

970 13



საქართველოს
რეპუბლიკის
ხელისუფლების
სამართლებრივი
სამსახური

საქართველო

2

1970

მნათობი

საქართველოს
განათლების
მინისტრის
გამართავი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 2

თებერვალი, 1970 წ.

საქართველოს საგონათა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ ს ი

მთარ ვაღიშე — აპირანნთა, პოემა	3
ქონსტანტინე ვამსაჯარაძე — თაშარ, რომანი	29
მეზარ კვიციანი — ლექსები	40
რევაზ ჯაფარიძე — ვნების კვირა, რომანი, გაგრძელება	42
ჯორჯა კუხიანიძე — ლექსები	60
დავით კვიციანი — მშვიდგონით, უსიარო ტაყვამო! რომანი, გაგრძელება	62
რუსი პოეტები — ლექსები, თარგმან ატანო მ ნ ე ლ შ ი	79
კლიმენტი გომიზა — ილიაობა, ბიოგრაფიული რომანი, გაგრძელება	81

100 ზ. ი. ლეონიძე 100

მთევან ხაჩიკიანი — ქართული პოეტური ლენინიანი	94
--	----

კრიტიკა და კუბლიზმისტიკა

აკაკი ხანიძე — თუშები	103
ვლადიმერ ჯიბუაძე — მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი	107
დავით გოგოჭერი — „გახტრიონის“ ერთი გვირგვინი ვინაობა	111
ვილჰელმ გირსენი — ორი ათასი წელი არისტოტელეს პოეტიკის გაყალ- ბებისა	116
ნინო ჩხეიძე — ნინო ყიფიანი	124
ე. ზოზუბარიძე — უკრაინა-საქართველოს უკთმეობრივობის ისტორიული	130
გიორგი ჩიქოვანი — „ცნობა თავისი თავისა“	136



საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



მ ე მ ნ ი ე რ ე ბ ა

ვიორკი გოზალისვილი — გრიგოლ ბაქურიანიძე

მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალრაძე

ს ი რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. ძღენტი,
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-
გელია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პაროსკეტი № 12.

ბილეთონები: რედაქტორის — 98-55-11,
პ/მგ. მღვანის — 98-55-13, განყოფილებ-
ის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ანაწყოზად 30/X11-69 წ., ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 12/11-70 წ., ანაწყოზის
ზომა 7¹/₄ X 12, ჭალაღის ფორმატი 70 X 108¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8.
უე 01968. ტირაჟი 12.200. შეკე. № 3891.

საქ. კბ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ა მ ი რ ა ნ მ თ ა

პ რ ე მ ა

თ ა ვ ი I

დადღილ მაჯისცემას ამიჩქარებს
ფიქრი სახვალის სამზადისის:
„წალკოტს მივატოვებ ნაქირავეებს
და ცა ქალაქისკენ გადამისვრის.
ცქვიტი ყურებივით ნიქარებით
ზღვაურს წავიყოლებ მცირეოდენს,
რომ შინ, უმდგრადობის ნიშანივით,
ზღვის ხმა არახოდეს მცილდებოდეს
და თავს მახსენებდეს ნაირსახედ
კონცხი — მარადმწვანე, საყვარელი,
რომლის სიცინცხალე, განვიზრახე,
მკითხველს დავესატო აკვარელით“.
ვიდრე გამგზავრების ჟამი
მწიფე მალღარივით იწურება,
რა ვქნა, მენატრება ნავით
ახლო ნავსადგურში მიცურება!
დროზე მოვიკითხო მინდა
ჩემი ნათესავი მარტოხელა,
მითხრას აღსარება წმინდა
ძველმა უქუდბედო კატორღელმა.
თუ არც მწუხარება მისი
და არც მარტვილობა გავამელავენ, —
არ ვარ უარყოფის ღირსი,
არ ვარ ბერიკაცთან დამნაშავე,
დრომ არ გამიმართა ხელი —
წლები აღმედგინა დათარსული;
იყო დასაწერად ძნელი
ვრცელი ოდისეას დასასრული.

და თუ მუგუზალი დავიწყების
ღველფს და ავლინაცარს დაუფერავს,
მყისვე წამოსცვივა ნაპერწკლები,
როცა გახსენება დაუბერავს.
მიწვევს სიზმარულ სამყაროში
ლურჯად მოელვარე ამირანშთა,
სადაც აჯანყებულ ცხრაას ორში
დროშა მეწამული აღიმართა.
მიცდის დარბაისელ მასპინძელთან
რთვლობა დახუნძლული შუაგისაც¹,
და იმ მოგონების გამღვიძებლად
ნავით გავეშურე შუადღისას...
მაგრამ საღალატოდ შენისლულმა
დარმა გამაწბილა მწყალობელმა,
წყალში შემცვალა, ელვისუმალ,
ჩემსავ ძალღონეზე წარმოდგენა.
შავზღვას ზედაპირი ქარდაკრული
როცა აეკეცა ნაოჭებად,
მაშინ მოვინატრე დაკარგული
ჯანის ჯადოსნურად განორჩება;
ვეღარ გავაჯიბრე ახალგაზრდულ
სისხლთან სტიქიონის სიზვიადე,
როგორც მელოტიხგან გადახანძრულ
თმებს ვერ დავიბრუნებ სიკვდილამდე.
ვეღარც ნარინჯების ათასქცევა
წალკოტს ვეახელი აღმაფრენით,
ჩემს წინ აღიმართენ დასაძლევად
მხოლოდ ლურჯტალღება აღმართები,
ვუსვამ დამძიმებულ ნიჩბებს

* ტალღები-მალღარი-თლარი.

და ზღვა მიჯანყდება ნებიერი,
უკან დაბრუნებას მირჩევს
გზაზე შეხვედრილი სეინერი.
დაღლილს შეღიმება ყალბად,
შხეფით ტანსაცმელი მენამება;
ჩემზე გაიფიქრეს, ალბათ,
„ვილაც დარდიმანდი მენავეა...“
შიშის განმქარავად, განმფანტავად
ვმღერი მეთევზეთა დანახვისას,
თან ჩემს არსებაში ამპარტავენ
უცნობს ვემტერები დანასისხლად.
ეკე, რახანია წამოვსულვარ,
წრეში მატრიალებს ქარბაწარა
და ჩემს მსარბეკებზე წამოსხმულმა
ნისლმა უსიამომ გამომწარა.
მკვდრის მზე პორიზონტზე ესვენება,
მიწის პირველყოფილ ლავასავით,
თუ ჩემს ბედისწერად ემსხვევა
ცეცხლისკაბიანი ლამაზმანი...
ზეცა პირისახეს გაირუხებს,
ელვას გამომიყოფს ენასავით
და ჩემს გასაგონად დაიქუხებს:
ვეღარ წამიხვალ ვეღარსაით!
სივრცემ ავზნიანი გაზმორებით
ლამის ნავიანად გადაშალოს, —
სადაც საწუთროსგან განსორების
ზღვარი გავლებულა სავალალო.
ასეთ ავალაში მშვენიერი
ქვეყნის დატოვება მენანება,
და შორს მიიმღერის სეინერი:
„ვილაც დარდიმანდი მენავეა!...“
ღრუბლის პორიზონტზე შეფეთება
უფრო მიბუნდოვნებს დასალიერს,
ტანზე მარილწყალი მუშხეფება,
მწვავს და ზეზუერად მამარილებს,
მთებად აზიდული სანაპირო
ზევითებს მომალანდებს ათბალიანს,
როგორც მონადირე სანადიროდ,
შიში მედევნება ადამიანს.
ხელში უზარმაზარ აზარფეშით
სივრცე შემთვრალივით ტორტმანებდა,
თითქოს მოესურვა განსაცდელში
ჩემი შეშინებით დროსტარება.
როცა აღმოსავლით უბერავდა,
ბეწვზე გადავურჩი ქარბორბალას,
მჭონდა აზავთებულ ბუნებასთან
ბრძოლა ჯარისკაცის შთამომავალს.

იმ დროს უბედობის გადალასხვას
ერქვა გამართლება იმედებიც
და რაც გაავდრება მავალსავე
სავლად ვიმყოფინებ სიბერემდის,
რადღა გავაგრძელო უსასრულოდ,
შევეულ სამშვიდობოს გამოცურვა,
მიხსნა გამძლეობამ უსათუოდ
ჩემში გენებიდან გადმოსულმა.
ანდა მომველინა ავთანდილად, —
ძველი სიყვარული გამიმართლა
ცაში ვულკანივით ავარდნილმა,
ზღვისპირ მოდარაჯე ამირანშთამ.
— რისთვის წამოხვედი ნავით? —
ბნელ და უკაცრიელ ნავსადგურში,
მკითხა ბერიკაცმა ღამით,
როცა ორომტრიალს გადავურჩი.
— მალე მიმიხვედებით მიზნებს! —
ეთქვი და წინასწარი თადარიგით
ძალად გავიღიმე ისევ,
ელვით განათებულ ავდარივით.

თ ა ვ ი II

რადგან შევძლებია ჭირ-ვარამის
ჯიბრზე ბოლმიანად გაღიმება,
ჩემი ღარიბული ჭურ-მარანი
ახლავ საჭაშნიკედ გაილება.
შენმა გამოჩენამ დარჩენილი
დღენი სიცოცხლისა გამიგრძელა! —
თქვა და ჟამთასბოლოით დასერილი
სახე გაიბადრა მასპინძელმა.
მისკენ სიყვარულმა გამომწვია
და რად გამომედო თავპატიჟი...
არც კი გამიკარა დალოცვილმა
ვახშმის საგანგებო სამზადისში.
სუფრას შუალამით მოვუსხედით
მე და ბერიკაცი სანუკვარი,
ორმა, პატივსაცემ მოხუცივით,
ბუხარს დავაცალეთ საუბარი.
ცეცხლი ტკაცუნობდა გამომწვევად,
თვალს არ გვაცილებდა თვალფხიზელი,
წლების სიშორიდან გვამოწმებდა
პრეისტორიული მასპინძელი.
ფსკერის გამოჩენით მალალებდა
ჯამი ოჯალეშით შევსებული,



თვითონ მაძალებდა გადაღებას შემწვარ-მოსარშული თევზეული. ზეცა უმიზეზო განრისხებას როცა დაჭეჭებით გამოსცემდა, ძველმა მებადურმა გაიხსენა ბევრჯერ გადარჩენის საოცრება. ფანჯრის მოქანჯისფრო არშიაში ელვა იღვრებოდა ტალღასავით, თითქოს მაკითხავდა გარიტრაჟი, რომ არ გაგქცეოდი აღარსაით. და ზღვის გემრიელი ნადავლივით ბრძენი მაწაფებდა სინამდვილეს: — შეილებს წინაპართა მაგალითი ჭირში გამაგრებას გვიადვილებს... — ბჭობდა ანანია შავოსანი, ემთხისაივისგან გაპოლილი, მასზე ლეგენდები საოცარი მქონდა ბაღლობაში გაგონილი. წლობით მიტოვებულ სამრეკლოდან ზარებს მირეკავდა მნათესავით, ახლო ნათესავთან სამეგობროდ სული მოიწვედა ნათესავის. წიგნის თაროებით გამოქვილილ დარბაზს შეერწყმოდა შუბლმალაღის სახე ნალღლიანი ნაოჭებით, როგორც დაფიქრება შუაღამის. და რაც დიადია ამასოფლად — ერთად თავსდებოდნენ კარადაშიც: „ფეხისტყაოსანი“, „კალმასობა“. თვალწინ აღმართოდა ბარათაშვილს. წიგნთა თვალშეუვალ ყრილობაზე შუქი რენესანსის დამნათობა, დანტე მაფნიზლებდა ღვიონნასევამს, საფო მიგალობდა დამართობლად. სისხლი ყმაწვილურად მიდღავდა უკვდავ „გილგამეშის“ დანახვისას; მზერა დამიტყვევდა „ილია დამ“, ზვესთან „ოდისეამ“ გადამხიზნა. ეპიკურელები ამბოხივით ჩქეფდნენ სოფისტების სამყაროში, როგორც სარქველიდან ამოღვრილი ჩვენი სავარესხვა მარახოში. და ერთ წიგნთსაცავში არეული ერთურთს შესცქეროდნენ მეტოქენი, თითქოს რიგდებოდნენ ადრეული ომით გასისხლული ეპოქები. წიგნებახორხლილმა კარადებმა,

გარდა დაუდევარ ეამთასროლის, ახლო წინაპართა თავდადება სარქველი კი არ შემასხენეს სხვათაშორის ბევერი მეცნაურა ტომებიდან — უყდო, გაცრეცილი, ყდადამწვარი, როგორც დღეგმებიან, ომებიან ჩვენი საუკუნის თანამგზავრი. მაგრამ ფოლიანტებს მიჩრდილავდა მათი შემკონავი, ამკინძველი, სტუმარს მიღიმოდა იშვიათად ჩემი შუბლშეკრული მასპინძელი, როგორც მატანე გადაშლილი ბრძოლებს მახსენებდა გაგანიას, ჩვენი ასწლეულის გასაჭირი ტანზე აუცრია ანანიას. გზები, ანალები დაქსაქსული თითქოს გვეძახოდნენ შთამომავლებს... და მე ნათესავი ხანდაზმული მზერას წარსულიდან გადმომავლებს: — ვიდრე განსაცდელი გასამდება, მინდა ჭირისუფლად დაგიგულო და შენ გაგიმტლავსო აღსარებად ჩემი უწმინდესი საიდუმლო. მოხუცს მოექუფრა მთვარისხელა სახე, ჭირვარამში განბანილი; ზღვა და ფათერაკი გაიხსენა სასწაულებრივი ამბავივით... აუჩქარებელი, დაუდღელი ფიქრით წარსულისკენ გაემართა, ზღვისპირ უცვარი დაქუხებით თითქოს დაემოწმა ამირანმთა. ხვირთქლმა საფეთქლები დამინამა, თქმა ძლივს მოვასწარი სამადლობლის, წიგნად არდაწერა დამენანა ძველი კატორღელის ნაამბობის.

თ ა ვ ი III

— რაა გასაკვირი — ხანდაზმულმა ეამი სიყმაწვილის მონატროს; ჩემი არსებობის დასასრულთან გაცნობ გიმნაზიელ კონსპირატორს. მორთულ-მოკაზმული, როგორც გრაფი, ზღვისკენ ვიხედები კმაყოფილი, თავი მექაეება — ფოტოგრაფის ნახატ მუყაოში გაყოფილი.

ზღვა და ტანსაცმელი ნახატია,
ჩემი სახეება მარტოოდენ,
ქვეყნად არაფერი მამადა
და მსურს დედამიწას ვაპატრონობდე.
შავი გუგებიდან ამბოხების
ვლდა გამომიკრთის ჩარაზული,
მინდა ჩარჩოების გადმოსეთქვით
ვითანთქა გარემოცვა შავრაზული.
ორთა საიდუმლოდ გამხელილი
მთანგავს ნაადრევი გაბრუება,
კეთილ სიზმარივით ახდენილი,
სულში გაზაფხული სადგურდება.
და იმ კაფანდარა ქალიშვილმა,
ვისი გამხნეებდაც მაკაჟებდა,
ჩემი ამორჩევით გაიხშირა
გვემა, სიდუხჭირე, ქაპანწყვეტა.
მყავდა თანშეზრდილი მეგობარიც, —
კი არ წააგავდა მაჩანჩალას,
მისით გავვეცანი მტერ-მოყვარის
ძნელად შესაცნობელ ავან-ჩავანს.
მაგრამ განვლილია სიყმაწვილე
და კვლავ წარსულიდან ვუბრუნდები
წლებად გადაჟაჭვულ სინამდვილეს,
ყოფით წერილმანების უკუგდებით.
ფოტო-სურათიდან გადავცქერნი
ზღვაზე ქარიშხალის დაბადებას
და ჯერ უცჭველი გამარჯვების
რწმენა მასულდგმულებს ასალბედას.
ჯერ არ მიგემია სიმძიმის
ყვლში ბებუთივით გაჩრა,
ჯერ არ მოუსჯიათ სიკვდილივით
ხადმო საფლავეების გაჭრა.
მე ჯერ ლოზუნგებად ასაწყობი
შრიფტი გადაამჭონდა ნავით,
მე ჯერ კატორღებში გასაცნობი
მყავდა საკუთარი თავი.
ჯერ არ მღირსებია ნაციმბირალ
ჭაბუკს შევხვედროდე რიგინად,
ვინც ამ აზავთებულ ნაპირიდან
ჯანყის მაუწყებლად იგრიალა,
ვისაც მაძებრები დაეძებდნენ,
ვინც ჯერ ზღვისპირეთში აჩაღებდა
ბნელი ჯურღმულების გამხმევებელ
ცეცხლს და ჯერარნახულ აჯანყებას.
ჯერ არ შევხვედრივარ ძმასწორივით,
ჯერ არც ჭირ-ვარამში გავცნობივარ,
მისი ტყვიასავით გასროლილი

მტრის შუბლს არასოდეს ჩავსობივარ.
და ჰა წინათგრძნობის გამართლება
სიზმარს შევადარე გადასარეეს,
ჩემი დედუღეთის აღმართებმა
ნატვრის ასახდენად გამამგზავრეს.
მთაში უპატრონოდ მიგდებული
სოფლის სანახავად გეახელით,
თვალწინ გამეშალა დიდებული
სივრცე — ნაფუძრებით, ვენახებით.
ყანებს გადავხედე ასახალავს,
ფშანებს მოვეფერე სიზმარულს,
სითბოს მიბრუნებდა ფორასჭალა
ჩემგან ბავშვობაში მიბარებულს.
თრიმლის ბუჩქნარებით მოფენილი
მიწა მომწვენა გასისხლული,
ფიქრში ამიკვნესდა სოფელივით
ხალსი — საზღვარგარეთ გახიზნული.
ნაცნობ სანახების შემოვლისას
თიხა მომეწება ნაწვიმარი,
ნისლის სამდურავი შემომესმა,
ქარმა ჩამწურწულა სამძიმარი.
უცხო სტუმარივით გამაკვირვა, —
სისხლი უცნურად ამიჩქეფა, —
ტყრუშულ ღობეებზე გამოკრულმა
ტუშით დაწერილმა აფიშებმა.
სოფლის სურათების შესახებად
თვალში ჩავიხატე სავენახე,
თავი წინათგრძნობამ შემახსენა
და ის ციმბირელი დავინახე...
დამხვდა დედუღეთში საოცრებად,
წვერი წამოზრდოდა ბალახივით,
თავის უერთგულეს საცოლესთან
ბაღში საუბრობდა თავდახრილი...
ყმაწვილს გამიღიმა მოკრძალებით,
ასე მესატყვოდა ოცნებაშიც.
— ალბათ, საღამოზე მობრძანდებით,
სტუმრებს წარმოგიდგენთ —

„ოძელაშვილს“.

თქვა და ერთმანეთი გავიცანით
სულ სხვა წარმოდგენის მნახველებმა,
ქართველ პროლეტართა საფიცარის
ძმური საუბარი მამხნეებდა.
გრიგალს მახსენებდა ბათუმისას,
და მას შეეცქეროდი გაოცებით,
ვინც მთელ იმპერიას დაუმტკიცა
ძალა გაფიცვების, გამოსვლების.
ჩემგან მიტოვებულ დედუღეთის

თავი IV

მასთან დამოყვრება მასხარებდა;
 ნიშნად უანგარო ერთგულების,
 ვცადე სამზადისში დახმარება.
 თავი ხელოსნობით დავიფასე
 და მან გამაწიბილა მოფერებით:
 — სცენას განვალაგებთ აივანზე...
 მე და რეჟისორი მოვერევიტ. —
 თქვა და გიშერთმებდა კატერინას
 ხელი მხიარულად გადახვია.
 — ბალი საზაფხულო პარტერია,
 ლოჯა — თიფთიკივით ბალახია,
 ხეილს წვრილფეხობა შეეხევა,
 როგორც თოჯინები საახალწლო,
 მათი ქანდარები ხეებზეა. —
 მორცხვად დამოწმმა საპატარძლო.
 და რაც იჭვიანმა გაეიაზრე,
 მათთან უნებლიედ წამომცდებთ:
 — როგორც გიმნაზიელს, ქანდარაზე
 ხომ არ მომიხდებთ აცოცება?
 გამიღიმებს კობა ძმურად:
 — აბა როგორ გეკადრებთ!
 წინა რიგში, დიდაკუსურად
 დაგაბრძანებთ დედაბრებთან.
 მარაბდელის როლში მნახეთ,
 საქმეს არ ვიქმ საძირახველსა,
 გადავუჭერ ვაჭრებს სახარეს,
 დავწვავ მტრების სასახლესა;
 თავადს გაეზდი, გლეხს ჩავაცმევ,
 რასაც ვიტყვი — განაღდდესა;
 მდიდარს ვართმევ — ღარიბს ვაძლევ,
 ღმერთი როგორ წამახდენსა;
 ჩემს საცოლეს გაეიტაცებ,
 ქალს ვერაყინ წამართმევსა.
 მისი მადლიანი გახუმრებით
 ვიგრძენ — სიცოცხლეზე ძვირფასია, —
 სოფელს, გლეხკაცობას ვმსახურებდე,
 ვიდრე დამასავსებს გიმნაზია.
 დროა, საღამომდე მივატავო
 ჩემი მასპინძლები გულგაშლილი...
 — ლოქას დამახვედრებთ?
 — კი ბატონო! —
 ფიცხლად მიპასუხებს ჯულაშვილი, —
 — უნდა დავიფასო თავდადება.
 დროზე გამოცხადდეთ, დალოცვილო...
 ოდეს წარმოდგენა დამთავრდება,
 სუფრა გაიმღება საქორწილო.

როგორც გაზაფხული ნაადრევმ
 ჩვენში შემოდგომა წყალუხვია,
 რიონს გააფთრებით, გადარევით,
 ბორნის ნიშანწყალიც წაუღია.
 მარტო გატიმული ბაგირილა
 მოჩანს ნაპირიდან ნაპირამდე;
 და თუ სითამამემ გაგაბრიყვა, —
 უნდა ფასკუნჯივით დაფრინავდე...
 თუ ზღვა, გრძნეულივით იდუმალი,
 ურიცხვ საგანძურით მდიდარია,
 ზღვაზე შეუცნობი, მიუვალი,
 მრავალსახოვანი მდინარეა.
 წარღვნის გადმოვლენას მოასწავებს
 მისი წუთიერი შეჩერებაც,
 მოქუხს, მრისხანებას მოაზავებს
 კლდეებს მოხეთქილი გლექჩერებად.
 მოაქვს იღლივებში გამოჩრილი
 რიყე, ყურწამლები ზარგრიალით,
 ქართულ ზღაპრებიდან გადმოჭრილი
 ბორგავს გველეშაბი ჯაგრიანი.
 გულში შურისგება ჩაუგდია,
 თითქოს მოდიდება აუკრძალებს,
 და რაც უპატრონოდ ჩაუთვლია —
 ზურგზე მოუგდია დაუზარელს.
 ბაგირს შესცქერაინ წარბშეკრული,
 დაგვიანებული მოსწავლენი;
 ყველა ბორანია წაღებული,
 გზაა შორეთიდან მოსავლელი.
 როგორც დაძახილი მშობლის,
 უხმობს წარმოდგენა ყველას,
 და იმ მოწაფეთა შორის
 ერთი გოგონიაც ღელავს.
 მისთვის ჩამოვსულვარ სოფლად,
 ზღვისპირ მომენატრა მისი
 სულის იდუმალი მოთქმა —
 გაბმულ საგალობლის ღირსი.
 მისით უძილობის მპოვნელს
 თავი დამაფიწვდა ყმაწვილს,
 მწვანე, ახალბედა პოეტს
 ლექსი დამებედა დამწერის.
 და მეც გულუბრყვილოდ მწამდა
 მგოსნად გადანათვლა ჩემი,
 მაგრამ ქარტეხილმა სადღაც
 სხვა გზით გამიცურა გემი.
 როგორც ფარღალაღა ოდა,

ლექსი კობასავით დავთმე;
 მსხვერპლს და შურისგებას მთხოვდა
 დიდი სამამულო საქმე.
 სულ სხვა პოეზიის ზვირთმა
 გზები გამიშალა ვრცელი,
 და ვით დაკარგული რითმა,
 თვალში ამიორთქლა ცრემლი.
 მანძილს აღარავინ დაგიძედა,
 ხალხი ტალღებით წამოდენა
 და გზას გაუყენა სვანიძეთა
 სახლში გამართულმა წარმოდგენამ.
 ჰო, იმ ღირსსახსოვარ საღამოდან,
 როგორც ხელთუქმნელი სახსოვარი,
 ბევრი დამრჩენია საამბობლად,
 მაგრამ მომისმინე სათხოვარი:
 ვიდრე დრომოტყმული დაისვენებთ
 და მზეს ემთადენა შვეიბურავთ,
 კი არ დაივიწყოთ, გაიხსენეთ
 ხალხში გაეღვება ჩვენებურად.
 ქოხებს — ჩალამებულს კუნაბეკად,
 როგორც მიწიერი სასწაული,
 უკუნს ჩირაღდნებით უნათებდა
 ბევრი ახალგაზრდა განსწავლული.
 ხალხი მწყურვალდით ესეოდა
 კრებებს, წარმოდგენებს სანაქებოს,
 დიდი ქომაგები უზრდებოდა
 რეჟოლუციამდელ საქართველოს.
 თქვენ კი — სიახლისკენ ხელგაშლილებს —
 ძველის ხელაღებით დაწუნება,
 ჩვენდა სამწუხაროდ, შეგაჩვიეს
 მოდასაყოლილმა ქალწულებმა.
 ჰო, იმ ღირსსახსოვარ საღამოდან,
 რიონს დავემგვანე ტოტბეგაშლილს,
 ვეძმე დამყაყებულ სამყაროსთან
 სამტროდ შეჯახებულ ოძელაშვილს.
 მსგავსად დატენილი ვაზნებისა,
 ქვეყნად ბოროტების დამფეთებლად,
 სიტყვებს აღექვანდრე ყაზბეგისას
 კობა ჯულაშვილი აფეთქებდა.
 ქუხდა სვანიძეთა სამოსახლო,
 ექო შემოგარენს აყრუებდა
 და რაც სოფლებია ახლომახლო
 სცენა იზიდავდა მაყურებლად.
 როცა ჯულაშვილი აივანზე
 ოძელაშვილივით გაივლიდა;
 — ხალხნო, იარაღით დაირაზმეთ! —
 ჭკქდა მოწოდება აიენიდან.

„ვაშას“ ხეებიდან გამოსცემდნენ
 „პარტერს“ აყოლილი „ქანდაკეობის“
 და მეც სასულეში გამომწყვდებულ
 „ვაშას“ გაუძახოდი გადარევით.
 სცენა გლვხკაცობას ახსენებდა,
 რომ დრო ახლოვდება გათენების,
 რომ კვლავ იზრდებიან არსენებად
 ლომის ბოკერებივით ქართველები,
 რომ ხმამ იმპერიის დამარცხების
 უნდა მთავრებილი გადმოთელოს,
 რომ ხვალ მერყეები დააცხრება
 მეფის თვითმპყრობელურ სამფლობელოს.
 მძრავდა სილატაკით სვემოწამულს
 ხვედრზე ამხედრება არსენასებრ,
 ჰგავდა წარმოდგენა დღესასწაულს,
 ცეცხლი ბდღვრიალებდა არენაზე.
 ხალხი გუგუნებდა აღგზნებული,
 როგორც ცხრაასხუთის წინაღამეს,
 ხალხი ბობოქრობდა არსებული
 თახსირ წყობილების წინააღმდეგ.
 სოფლად, წელთაღრიცხვის დაწყებიდან,
 ხალხს ვერ იხილავდი ამოდენას,
 თურმე მაძებარიც დასწრებია
 ღამის გამთენებელ წარმოდგენას...
 ბნელში მიმჯდარიყო გაყრებით,
 გვიან გაეარკვიეთ, საგალალოდ,
 თორემ ახელი ლაყურებით
 წყალში ჩავეშვებდით საბანაოდ.
 ხალხი ტორტმანებდა ზღვაოდენა,
 ოდის ირყეოდა კარ-ფანჯრები,
 კობამ დაამთავრა წარმოდგენა
 მტრებზე მარაბდელის გამარჯვებით.
 ...მაგრამ გოგონია დაებრიყვით —
 სტუმრად საღამოზე მოწვეული,
 განზე ხალხმრავლობას გაერიყა,
 როგორც ბადისპირას ბროწეული.
 მასთან შეხვედრათა განახლება
 დიდმა წარმოდგენამ დამიბრუნა, —
 კი არ დამამორცხვა, გამამხნევა
 ჩემმა ჩაცმულობამ — ლარიბულმ.
 ქვეყნის მუხთლობაზე მოუბარი
 ტალღა იმლებოდა გამთენია,
 ბაღში შემოდგომის კოინდარი
 გლეხის იღბალივით გათელილა.
 ხალხი ორღობებს აღვიძებდა,
 ყანებს შესვული მორთდივით,
 ზოგი ისვენებდა მასპინძელთან,



სუფრის სანეტარო მოლოდინით.
 უცებ, შემომესმა კაკლიანში:
 — საღ ხარ, ზელოსანო, გამოცდილო,
 ვიდრე გადაიღდება გაკირჩხაჲ,
 სუფრა გაგვიშხადეთ საქორწილო! —
 ბოლოს დამიყვავებს წვეროსანი:
 — გმადლობთ საღამოზე გამოვლისთვის...
 და მთელ წარმოდგენის შემოსავალს
 ჩუმაღ, მორიდებით გადმომივთვლის.
 ვიგრძენ დამცირება უცნაური
 მწირმა, დამშვეულმა მოსწავლემაც, —
 ვკადრე: — მეშოვება ლუკმა-პური,
 არ ვარ დაჩვეული მოწყალეებას.
 ჯულაშვილი წარბებს შეპყრის
 — ყველა ახალგაზრდა ქართველს
 დიდი ვალი გვაწევს ქვეყნის
 და ერთურთზე ზრუნვა გვმართებს.
 სარჩო გიმნაზიელ ობოლს
 ხვალის დღისთვის დაგჭირდება,
 ისე, როგორც ჩვენს სამშობლოს,
 მტრებთან ჯიქურ დაჭიდება...
 მე ჯერ დავიმორცხვე, გავიანაზე,
 მერე გავფხიანდი დანასავით,
 სუფრის გამოტანა აივანზე
 დილის ამონთებას დავასწარით.
 მე და თანმეზრდილი ძმადნაფიცო
 ერთად, შეწყობილად ვტრიალებდით,
 ლხინად გადამეჭკა სამწადისი
 თეთრი გოგონიას ტრფიალებით.
 ერთოდნი დაფასებით გამოცვლილი
 და თავს მაყვარებდა მამითადი,
 ტანზე მერგებოდა სამოსივით
 წელში გამმართავი განთიადი.
 ნუფემ მოიღსინა მადლიანმა,
 მაგრამ დროსტარება ჩაგვიშხამა,
 სუფრა აგვიშალა აღრიანად
 რისხვად ატეხილმა ქარიშხალმა...
 ფართო აივანზე, მოაჯირთან
 დამე შემობრუნდა გათეული,
 კობას შესაპყრობად მოჯირითდა
 მთვრალი სტრაჟნიკების ათეული.

თ ა ვ ი 7

შავწვეროსან მხედარს უყვებს
 წინ რიონი, უკან — მტერი.
 შედგა, შეუცოდა ცხენი
 და რიყუზე ჩამომსტარმა
 ათრთოლებულ პირუტყვს ცხელი
 ხვირთქლი პეშვით ჩამოპღვარა.
 წყალთან მწარედ ჩაუღინა,
 ბაგირს შესწვდა ჯულაშვილი;
 მავთულღვედი დაგრეხილა
 კაზაკური უღვაშივით.
 უნდა იყო განწირული
 და სატანას გადამიკიდე,
 რომ ბაგიად გაუიშული
 რწმენით გაღმა გადახვიდე.
 წარღვნასავით წყალზე გახვლის
 ფიქრიც კია წყალის ნაყუა,
 მაგრამ მტერი წამით გაცლის?!
 კობა რკინის ბაგირს გაპყუა.
 ყურთან ტყვია გაუწვივლებს,
 ფეხქვეშ მომდგარს ხედავს ტალღას,
 დასტევენს ტყვია და უწვრილეს
 სიმის მსგავსად წყდება სადღაც.
 შესვვია ხალხი ნაპირს
 და სტრაჟნიკთა ათეული
 ზღვადქმნილ რიონს, კაცს და ბაგირს
 უმწერს თვალგებანთებული.
 შუშის ბზინვას უგავთ მწერა,
 ეხორკლებათ ტანი ეკლით,
 ჯერ მდინარის შუაზე
 დაკიდული მათი მსხვერპლი.
 მღვევართ ჭრეოლა უეკლით სისხლში,
 რისხვით აღარ ყრიან ცოფებს,
 რაღაც დიდი ძალის შიშით
 დამიზნებულს ხრიან თოფებს.
 ათისთავი თვალებს ქაჩავს:
 — ეშმა არის, ანდა ჭაჭი!...
 — აღარ უნდა წყალში დამხრჩვალს
 არც საფლავი, აღარც ხარჯი!
 მაჯისსისხო ბაგირს მისდევს,
 მიაქვს მიძიმე ფიქრი კობას,
 და მგონია შორით ისმენს
 სტრაჟნიკების ქილიკობას.
 ღელავს ხალხი წყალგამოღმა
 და ყმაწვილი ფეხშიშველი
 ვიტანჯები, მახრჩობს ბოღმა,
 ჩემსად მამველს ვეღარ ვშველი.
 წყალი მისკენ მხეფებს ისერის,

თითქოს სისხლის ჩქერებია,
მტრებისადმი რისხვა, ზიზღი
ყელში შემინერებია.

თითქოს გაღმა ნაპირამდე
ვიყავ ცურვით გადასვლელი, —
ტანთ გავიძრე, გაეინადე
გაცრეცილი ტანსაცმელი.

ათისთავი მჭახედ ბრძანებს:

— ტყვიას ვისთვის ხარჯავთ ფუჭად?!...

ერთი სროლით ჩავაძლევებ,
თუ დაღრჩობას გადაურჩა.

— არ ესროლო! — აღმომხდებია, —

— ნუღარ ესვრი!... ნუღარ ესვრი!...

ათისთავმა გადმოხედა:

— შენ ხარ მასზე უარესი!

შემაგინა და მაშინვე
მის კარაბინს ვტაცე ხელი,
მტერს კონდახი დავუშინე,
როგორც თაველს საცხველი.

არ დამტოვეს ჭირში კენტად,

შემაშველა მხარი ხალხმა;

თავის სტრაჟნიკებზე მეტად

ათისთავი გაილახა.

შუბლზე შემრჩა იმ დილიდან

ბეჭედივით კვალი ძველი,

რომ მიხსნიდა სიკვდილისგან

მეფის ტახტის დამლევწველი.

ჩემს დაბეგვილ ყბებს და ცხვირპირს

სამუდამოდ დარჩა დამლა.

გავუძელი ჭირს და სიკვდილს,

მაგრამ დარდი დარდად გამყვა;

ჯერ ასეთი თავგანწირვა

კაციშვილის არ მენახა.

ხალხის რწმენით გაარღვია

ჯულაშვილმა წარღვნის გაღმა.

და ციმბირშიც საოცრებად

წამყვა ხსოვნა განსაცდელის,

ულრან ტყეში მაცოცხლებდა

გაელევა სამგვარ სცენის.

ერთი — ჭექდა აივანზე,

ზვალის გრიგალს აღმერთებდა;

მის ძახილზე დავირაზმეთ

ჯოჯოხეთის ამფეთქებლად.

და მეორე სცენა მკაცრი,

წარღვნასავით მეხსოვება:

ცხადად ვნახე ერთი კაცის

ორ სიკვდილთან შემბრძოლება.

როცა ვთმობდი დაზარებით
საქართველოს მშეს და მიწას,
დღე — ციმბირში გამგზავრების
ჩემს მესამე სცენად იქცა.

გოგონია ერთსოფლელი

გამიგრძელებს ყრმობას დიდხანს,

ჩემი კარის მეზობელი

ტუსაღს საგზლით მომაკითხავს.

კაფანდარა გოგო სანამ

მდულარ ცრემლებს გადმოღვრიდა,

გუთხარ: — გადაგიხდი ანავს,

თუ დავებრუნდი კატორლიდან.

იქვე ჩემი ძმადნაფიციც

განჩნდა ზარის დარეკვისას,

ვისაც მაზლის საკადრისი

ტვირთის ზიდვა დაეკისრა,

ვისაც ხატად ვაბარებდი

რწმენას ძმური ერთგულების,

და მიმქონდა მატარებლით

კენება ბედშავ დედულეთის.

ვაგონს დიდხანს, დიდხანს სდიეს

ძმადნაფიცმა და ქალწულმა,

თვალი მწარე სინამდვილეს

გავუსწორე დაქანცულმა.

თითქოს ჩემსკენ გამოზრბოდა

ყრმობა, ცისკრის ნათელივით,

იწყებოდა მარტოობა

მძიმე ჩექმით გათელილი.

იწყებოდა სიჭაბუკე,

როგორც ყანა დანახტყვი;

მე წარსული მქონდა უკვე.

მომავალზე არას გეტყვი.

წუთებს გამოსალმებისას

ხარბად ვსვამდი, მწყურვალევიტ,

გზას მივდევდი წამებისას

დედულეთის პურმარლით.

სამწყვესურში გატეხილი

ჭადის გემო ტიალ გზაზე

მიმყვებოდა ცვრიან დილის

ცხოველმყოფელ სილამაზედ.

ჭირში თავის არდაზოგვა

და გადახდა ამავისა,

მათმა ნახვამ, თანაგრძნობამ

უტკბებს ხარკად დამავისრა...

მაგრამ დადგა ბინდი მრუმე,

დაირეკა მწუხრის ზარი;

სურვილსა და საქმეს თურმე

„შუა უზის დიდი ზღვარი“.
 შემახსენა თავი გვიან
 ჩვენმა „ვეფხისტყაოსანმა“
 და აჩრდილად მომეგვლინა
 თავსამეტრევი ამოცანა.
 ყელში ბურთად გამეჩხირა
 გვემა, შხამი, დარდუბალა,
 ძილშიც ოხვრა გამიხშირა
 ზარის რეკვამ გარდუვალმა.

თ ა ვ ი VI

მიწვევს მოყვასივით თანაგრძობას
 მშობელ მიწაწყალზე დაფიქრება,
 დიდი სინამდვილის გასაცნობად
 თვალწინ წვრილმანები გამიქრება.
 და რომ მომიყვანონ გუნებაზე
 ნატვრას შემოპყვება პატიმართან
 ორი მეგობარი — ბუმბურაზი
 ზღვა და გოლიათი ამირანბეგია.
 უღრან ტაიგიდან ყმაწვილური
 გზებით უღელტეხილს გადავცდები,
 სადაც დამარხულან განწირული
 ჩემზე უკეთესი ვაჟაკები.
 ფიქრი წარმომიდგენს დაღუპულებს
 და მსურს დავემტაცო ერთგულება, —
 ვინც ბნელ, გაუტანელ საუკუნეს
 ხელის გაუბედა შებრუნება.
 სახე გაბადგრიათ მომდიმარი
 მებრძოლთ — სიცოცხლეში გაუცინართ,
 რუსის ხელმწიფისთვის ბოლმიანი
 სილა ყურისძირში გაუწვნიათ.
 მკაცრი წყობილების გამკიცხველნი
 იყვნენ მედროშენიც, თაოსნებიც
 ქართველ პროლეტართა გაფიცვების,
 გლეხთა იარაღით გამოსვლების.
 მზერას ტაიგიდან გადავავლებ
 მინდა ბედშავობა გადავთვლო,
 მათებრ თავგანწირვას დამავალებს
 ბორკილადებული საქართველო.
 არც ძველ ზღაპრებიდან გადმოსულნი
 და არც წაკითხული წიგნებიდან,
 სისხლის ღრუბლებიდან გადმოცურვით
 შუქურ-ვარსკვლავები ბრწყინდებიან.
 ლადო კეცხოველის სიმამაცეს,
 მამა წულუკიძის თავდადებას

ვედგამ უკვდავყოფელ სილამაზის
 განუმეორებელ ქანდაკებას. *ეროვნული*
 ფიქრი მეცხადება საწადელი *ბუნების*
 სულში შთაგონების შემონთებით,
 თვალწინ მეხატება გასაველი
 გზები ჭეშმარიტი შემოქმედის.
 ჩემს გულს მომავალი ინადირებს,
 რამაც პოეზია მომამშვია;
 სულ სხვას მიკარნახებს სინამდვილე:
 „შენი სარბიელი ბრძოლაშია.
 შენი ასპარეზი ტაიგაა,
 შენი დასაწერი ყინულზეა,
 მიწის პირისაგან აღიგავა
 ყრმობიდროინდელი ილუზია...“
 ჩემთან გადმოდიან ოცნებიდან
 რევოლუციური შემართებით, —
 თავის გასაწირად ცოცხლებიან
 ძველი ლენინელი შევარდნები.
 ყველა განწირულზე არნაკლები
 ერთი უპოვარი ანგეშია,
 მისი რაინდობის ანარეკლი
 წარღვნის დამარცხებულ ტალღებშია,
 რკინის უბორანო ბაგირზეა,
 ხვალის სამკალშია ნამგალივით,
 ვინც მე მომავალი გამიმშვეა
 სასწაულბერივი მაგალითით.

თ ა ვ ი VII

ყრუ და უკაცრიელ ტაიგაში
 ჩუმი მიღებულმა ამანათმა
 სულში ჩამისახლა გარიჟრაჟი,
 ჩემი არსებობა გაანათა.
 უღრან ტაიგეტში სამოცამდე
 წიგნის საიდუმლოდ გადმოცემა
 ნამდვილ სასწაულად განვიცადე
 და ვერ შევიოკე გაოცება.
 შენი ანანია ამბოკაძე
 ლამის უძილობით მივსავეთდი,
 კვარის სინათლეზე ამოვმარცვლე
 ძნელად გასარჩევი მისამართი.
 „აჭვე უცხოვრია — ბარაკებში“, —
 სულის მოუთქმელად გავიარე,
 ლამის სიბნელეში გადავეშვი,
 უცნობს მივაკითხე განთიადზე,
 ფართო ფოსოებში ჩაცვენილი

მსხვილი ცრემლებივით თვალებიდან
 შუქი მომესალმა ჩარჩენილი,
 სახე სიბრაღულით დამუბინდა.
 ქოხში, გაურანდავ ფიცარნაგზე
 იწვა, ახველებდა, ის საწყალი,
 მკაცრი, ვაგაკური სილამაზის
 კიდევ შერჩენოდა ნიშანწყალი.
 საღლაც შემხედრია, გამახსენდა,
 უცებ მეცნაურა ავადმყოფი, —
 გზაზე შევთავაზე გასახვევად
 წვეკო ვარამივით გასაყოფი.
 ერთურთს გავაცანიტ პაკიმრებმა —
 ვინ რა საგოდებელს დაუსირავს;
 მახსოვს, სახვალიოდ აპირებდა
 ჩემთან განახლებას საუბრისას.
 ახლა, ჭლექიანის წამონთებით,
 ღონემიღეული ახველებდა;
 „ხვალ-ზეგ ვეწელივით წამოსტებით, —
 ვცადე მომაკვდავის გამხნევება.
 მან ძლივს გაიღიმა, დაიგმინა:
 სენი გადამეჭტა ბედისწერად,
 გასვლა დაწყველილი ტაიგიდან
 მართო ახალგაზრდებს გედირსებათ.
 ჯანთან ჭაბუკური გაჯიბრებით
 გუმინ გადავწყვიტე ამბოხება,
 შევეძელ ჯოჯოხეთურ გაჭირვებით
 თქვენთან არმადანის წამოღება.
 ვიღაც გაიხსენა მომაკვდავმა:
 — ვისაც გაუშავდა გასაფხული,
 ვინც ევ საგანძური მომბაბრა,
 აქ წვეს უკუბოოდ დამარხული.
 ცხედარს უსარმანარ ტაიგაში
 სე ვერ გაუთალო, გაგონილა?...
 ჩემი უძღურებით გაეიტანაჯე,
 მოძმის გადმომედო აგონია!...
 და წრე ირკალემა ჯადოსნური:
 ხალხში ნაპერწყლებად გასაფანტი, —
 თქვენთან წასაკითხად გადმოსული
 ხვალ სხვას გადეცემა ამანათი. —
 ძლივსღა წარმოსთქვამდა მომაკვდავი, —
 — არ გთხოვ სამარესე თაიგულებს,
 მჯერა — უკეთესი მომავალი
 ნამდვილ ლენინელად დამიგულებს.
 მასთან მოვლენილი ანგელოზად
 ვიდექ ყურთასმენად გაკრეფილი
 და ლურჯ ბაგეთაგან ჩამესმოდა
 მკაცრზე უმკაცრესი გაკვეთილი.

ქალის სიყვარული, სიტკბობა
 და რაც საამოა, სათუთია, არ მინდოდა
 რაც რამ მიწიერი იპოვება,
 მსხვერპლად რწმენისათვის დაუთმოა.
 მოკვდავს სწამებია: მოკვდავთათვის
 ზრუნვა, მოყვასისთვის თავდადება,
 ადამიანიდან მოჭალაქის
 თანდათანობით დაბადება.
 მას არ უფიქრია — პირველობის
 ჭინით მეგობრობას გაქცეოდა
 და არც უსუსური თვითმკვლელობით
 დაუსრულებია არსებობა.
 ცივ და გაქვავებულ სახეს
 როცა ვაფარებდი ზეწარს,
 თითქოს ვუმალავდი ნაღველს
 პირქუს ტაიშეტის ზეცას.
 ქვეყნის მწუხარების დამტვეს
 როცა სუდარაში ვხვევდი,
 შორით გადმოხვეწილ ქართველს
 მწვაგდა პოლონელის ხვედრი.
 მიზნის მიუღწეველ განცდად
 წაპყვა სამშობლოზე ჯაგრი,
 კენესდა, რექვიემის მსგავსად,
 ხეთა დათალხული ჯარი.
 ჩაქრა, ჩაინაცრა ტაიგაში
 ვინც დღეს გახსენებას მიიოლებს,
 ვისაც შეჭფროდა ქარიზხალში
 დროშით გაძლოოდა მილიონებს.
 მას არ ღირსებია საკვირადლო
 გლოვა შავმოვლებულ კოლონების
 და არც უკუბოოდ დამიკრძალავს
 ნემსტი გადმოხიზნულ პოლონელის.
 მას არც ყვაილები დაძკლებია
 ყრუ და უკაცრიელ სამყაროსი,
 ცისკრის ნათელივით დაძხნევია
 მკერდზე უკვდავების ავგაროში.
 შარშან გავეშურე სანახავად, —
 ბორცვი საფლაგისა იხვევა,
 და ვინც პოლონეთი შემავარა,
 სულში ნათესავად მისვენია.
 ხიშტი დაჩოქებულ სამშობლოდან
 ხიშტი ტაიგაში გადმოხვეწილ
 კაცის სისპეტაკე საბოლოოდ
 ახლო წარსულიდან გადმოკვეცი.
 შენ სხვას გადულოცე მოგონებად
 ჩვენი გულახდილი საუბარი,
 როგორ ამიმალლა პოლონელმა



ქართველს მიწაწყალი საკუთარი.
 ლხინთან, სერობასთან შედარებით
 სიშწრის გახსენება ადვილია.
 როგორ გაგვიცენია ერთმანეთი
 და რა მუხთატეხა გაგვივლია.
 განა მიმოქცევა თაობების
 ნათელ გახსენებას დამიბნელებს?
 სულის დახვეწების, დაობების
 როგორ გვშინებია ტაიგელებს!
 შური, პირფერთა; მლიქვნელობა
 როგორ გეძაგებია დანახისხლად,
 როგორ გვწყურებია პირველობა —
 მხოლოდ იერიშზე გადასვლისას.
 და მეც შეტევაზე გადავედი.
 სიბრძნის საგანძური გადაეფურცლე,
 თანდათანობითი დაბადებით
 წყაროდ ვივსებოდი გაზაფხულზე.
 როგორც ნაკადული ლურჯტალღება
 დიდმა მდინარებამ შემიერთა,
 ეიცან დედამიწის უკვდავებად
 რწმენა თავგანწირულ ლენინელთა.
 დიდხანს ნაღვივები ნაღვერდლები
 წველიადს ელვასავით მივაშუქე,
 წიგნზე გატეხილი ღამეებით
 აღსდგა გათელილი სიჭაბუკე.
 წლები განზიასლდა წართმეული
 და ჩემს გასათობად აბრიალდა
 ბრძოლის მოწოდებად ანთებული,
 ზღვისპირ ასროლილი ამირანშოთა.
 და არ ჩამეთვლება გულთმისნობად
 და არც ჯადოქრობა დამბრალდება,
 თუკი მომვლენია წუთისოფლად
 თანდათანობითი დაბადება.

თ ა ვ ი VII

უფიქრობ ბალახებში გაწოლილი,
 შიშქიმს ტყიურივით, მეტყველება;
 ვიღაც დამიძახებს ნაცნობივით...
 „ალბათ აქაური მეტყვევა...
 ვგებ მომაკითხა ძმადნაფიცმა,
 ვინც მე ნუგეშივით შემეშველა,
 ვინც ჩემს ნაკვალევზე გამოიქცა
 მთიდან ზღვისპირეთში — ფეხშიშველა.
 ვინც მე ციმბირისკენ მაცილებდა,
 ვგებ ტაიგაში მომაკვლია?“

ყრმობის გახსენება მაცივდება,
 თითქოს ორთქლმავალმაც მომაცივლა...
 რა ღრმად ჩავეძირულვარ საფიქრალში...
 ვედარც დონ-კიხოტი შემედრება;
 წუთით შეადვილა ტაიგაში
 სიყრმის მეგობართან შეფუტება.
 კლდეზე არეკლილი გქოსავით
 ჩქამი შორიასლო განმეორდა;
 ბილიკს მოკვეებოდა ცხენოსანი
 ჩემთვის აკრძალული გარემოდან.
 ფლოქვთა მუხამუშა თქარათქერი:
 „აქ ვინ მომაკითხა?... რომელია?...
 მხრებში დევკაცურად გამართული
 ქობთან ათისთავი მომეფლინა.
 ვინც ვერ გავისტუმრე საიქიოს,
 ნუთუ ჯოჯოხეთში გამომიდგა?
 და ვინც გამიმეტა საციმბიროდ
 გაღმა მედავება გამოღმიდან?
 ვინც მე ბედისწერად გადაამეცა,
 მანვე გამიწია ძიძაობა,
 ბრძანა — ტანსაცმელი გადაამეცვა,
 განთავისუფლება მიწყალობა.
 სულ სხვა ათისთავი გავიცანი,
 მაგრამ ტუსადისთვის სულერთია, —
 ვველა სულიერად სახინარი
 ერთად — შავრახშული რუსეთია.
 ცხრა წელს ნაჯახირალს, ნაპატიმრალს
 „დიდი შეცოდება“ შემარჩინა,
 ერთი წელიწადი მაპატია
 მისმა „ბრწყინვალეობამ“ ხელგაშლილმა.
 როცა ათისთავმა ჩამაბარა
 განთავისუფლების საბუთები,
 ხელი ქურქისაკენ გააპარა:
 — შენ ხომ სამშობლოში დაბრუნდები?...
 დამენანა ბეწვი თბილი,
 ცხრა წელს ჩემი შემოსავლი.
 შეძენილი იმ დუნთივით
 წარმოდგენის შემოსავლით.
 შეტრიალდა სცენა თითქოს,
 ვერ ავართვი თოფი სულძალდს;
 მისი ხელით სახელმწიფო
 ტყავს მაძრობდა ყოფილ ტუსადს.
 ქურქთან ერთად მართმევს წინდებს
 მეფის უნტერ-ოფიცერი,
 ბოლოს ნასახსოვარ წიგნებს
 გადმოხედავს ქორის ცქერით.
 — თან წავიღებ საკითხავად. —

ძლივს შევეადრე მორიდებით.
 შემიკურთხა ათისთავმა,
 ვატყობ — ველარ მოვრიგდებით.
 — ეგ ფურჩი ვის დარჩება —
 ჩემთან არცკი გაამხილო!
 ხვალ ტაიგის დარაჯებმა
 წვეკო რაში გაასვიონ?!

ათისთავმა თქვა და ზიზღით
 შემიგინა მკვდარი დედა,
 ამივარდა თავში სისხლი,
 გონი რისხვით დამიბნელა.
 და რაც ჩემთვის უცემიათ —
 სულში ცეცხლად აბრიალდა,
 მესმა მთელი რუსეთიდან
 ხმა გაროზგილ პატიმართა,
 და სისხლით რომ უცრემლია —
 შორს აქუსდა ამირანშთა,
 თითქოს წიგნის ფურცლებიდან
 ამომძახა გარიბალდმა,
 გამამხნევა რობინ კუდმა,
 გმინვა მესმა რაზინისა,
 პატიმრობის ბოლო წუთმა
 ჩემს ცხოვრებას აზრი მისცა.
 — ეგ ნაგავი აქ დარჩება! —
 კახაკს დასცდა სიტყვა მრუმი;
 სცადა ჩემი გაანჩხლებმა,
 რომ ესლია ტყვია გულში...
 ბრაზს უნთებდა დანახვისას
 ყველა წიგნის სათაური.
 „არ დაფუთვობ, ძალას იხმარს,
 სად ჩავკვდები სადაური...
 რომ გავიქცე, ზურგში მესვრის,
 ლემად ჩამფლავს თვითონ ლემი“.
 დადგა წუთი უმძიმესი
 ჩემს გატანჯულ სიცოცხლეში.
 მრისხანება განმიახლა,
 განა ცეცხლი შემინელა,
 „მოგკლავს!“ — რიცა დამიძახა
 გარდაცვლილმა ლენინელმა.
 თითქოს ჩემთან განდა მყისვე
 ძმა და სიყრმის მეგობარი:
 „მიდი, თავი დაავიწყე,
 საფეთქელში შემოქკარი!“...
 ორთაბრძოლის წამი მოდგა,
 ათისთავმა დამცა უწინ,
 ზედ დამაცხრა, გაისმოდა
 ხმელი ფიჩხის ლაწალუწი.

ხან მე ვეგდე მის ქვეშ ხენეშით.
 ხან ის მეგო ქვეშაგებად,
 ერთურთს ვუშენთ მუშტებს
 სებებში,
 ბოლოს მტერი ეშმაკდება...
 ქარქაშიდან აძვრენს დანას
 და საცაა ბედით სიზანს,
 ნაცემ-ნაბეგე ახალგაზრდას
 მიმბარებს ბებერ მიწას.
 მოსწრებაზე მიდგა საქმე
 დამავიწყდა თავი მაშინ,
 ძალი კეტით ჩავაძაღლე,
 მკვდარი ჩავფალ ტაიგაში.
 საფლავს ფიჩხი წაყვარე;
 უკუნში აქვს უკუნს ბოლო.
 დამიმარხავს მტერ-მოყვარე
 კუბოთი და უკუბოოდ.
 გზას დავადექ ორთაბრძოლით
 დავაზული, დათეთქვილი,
 თან ცხოვრების რთული სკოლის
 მიმყვებოდა გაკვეთილი.
 ცოდვანახულ წიგნთა დასტას
 გაუათდა ანდამატი,
 ტყის მჭრელს — ჩემზე ახალგაზრდას —
 ეუანდერძე ამანათი.
 ისიც ჩემებრ, როგორც ბერი,
 მარტვილობდა სადღაც ქოხში,
 დასდებოდა თბის ფერი
 ცივ და უემურ სამყაროში.
 მას ვაჩუქე თბილი ქურჭიც,
 შეიმშრალა ჩუმად ცრემლი
 და რუსეთის სიჭბუკეს
 ჩამოვართვი ძმურად ხელი.
 დავაფიცე ფიცის გამტანს,
 რომ წიგნები მხოლოდ მისთვის
 გადაეცა, ვისაც სწამდა
 გზა წამებულ კომუნისტის.
 ქოხის ჭერი იყო მოწმე
 ჩვენი ძმური, წრფელი სალმის,
 ხვალის ახალ სამყაროზე
 ვბჭობდით ერთი რწმენისანი.
 და ტაიგა — ხეებსწორი —
 თვლემდა უტყვი, ცივი, ბნელი,
 როგორც უსხოვარი დროის
 მარადმწვანე ციმიბრელი.
 ნაძვთა, ფიჭვთა და კედართა
 შეურხეველ, მუდმივ ჩრდილში,
 იმედის და რწმენის გარდა,



იდგა მძიმე წუთის შიში...

სადაც გრიგალს ვერ ვუსმინე,
ვერც ცისკარზე მამლის ყვილს, —
დიდმა სივრცემ, ბნელმა სივრცემ
შემაზარა თავი ყინვით.
მან პატიმრის ძნელი წლები
ხის ფეხებზე დაიკიდა,
როგორც იქნა, ჩემი ძვლები
გავათრიე ტაიგიდან.

თ ა ვ ი IX

ვეცემ დამწვეულმა ტრამალები,
გზაზე ლუკმაპური დავიკვლი,
ხალხით გაჭეტილი მატარებლის
ჩოჩქოლს შვევგუე ტაიგელი.
მწარე საფიქრალში თავიარგული
ვეგდე გალახული უძილობით,
ჯიბქეცსატობით დანიარგული
და ჩემ თანამგზავრთა გულცივობით.
მკაცრი, მოღუშული სახეების
მზერა მამფოთებდა, ვწრიალებდი,
მგზავრთა საუბარი მახელებდა
სავზე ამქვეყნიურ წვრილმანებით.
სივრცემ ტრანსციმბირის მაგისტრალი
უსასრულობაში გადაზარდა;
ხელში შემომკვდარი ათისთავის
ლანდი მომყევებოდა თანამგზავრად...
ტანში გამჭოლავი, მომწუნსველი,
ცივი გამოსხედეა მამინებდა,
შემძრა ნაღვლიანი მოხუცების
შავმა, კუპრისფერმა არსიებმა.
ორი ხეიბარი აბრახუნდა
ვიწრო დერეფანში ყავარჯნებით,
ზემოთ ამომხედეს ამაყურად
და შედ დამაყარეს ფარაკები.
— როგორ გაშლართულა ნაძირალა!
— ბალღურ სიხმრებშია დეწერტირი! —
თქვეს და სალდათურად, დვარძლიანად,
ლანძღვა დააყოლეს დესერტივით.
მშიერს, ძილგატეხილს, ნაციმბირალს
ძმები მაგინებდნენ სიტყვამრუში,
ვისაც სიტუბუკე გამივლია
ხალხის უანგარო სიყვარულში.
ზანტად წამოვდექი ალწილი,
ვიგრძენ უნიათო სიმარტოვე,

ჩემი ფიქრებივით აწეწილი.
კორთა გულმოსულმა მივატოვე
შიშის ნატამალიც განვიფანტე
და მათ გადავუგდე უგუნებოდ:
— თქვენ თუ სახიჩრებად დაიბადეთ,
მე რას მემართლებით, უგუნებო?!
ზეზე წამოცივიდნენ დაჭრილები:
— ომის ჯოჯოხეთის გადამტანნი —
ჩვენ ვართ დაბადებით სახიჩრები
და შენ — კასაკების ატამანი?!
— აგრე შეაგინონ, გაგონილა,
ომში სასწაულით გადარჩენილთ?!
— ახლავ გადამბრძანდი ვაგონიდან,
თორემ გაგათავეთ ყავარჯნებით!
გავშირი, გამახვევა გოგნებამ,
თითქოს გამიყვანეს დასაჯულად;
ომის უეცარი ვაგონება
ჩემთვის გადაიქცა სატანჯველად.
კი არ მამინებდა ყავარჯნები
და არც გაძევება ვაგონიდან;
ჩემთვის გამოიღო კარ-ფანჯრები,
დიდი საიდუმლო გამოვლინდა.
ქამი არნახული გაჭირვების
გვერდს ვერ ამივლიდა ვეღარსაით,
ომი დამეჯახა დაჭრილების
ლანძღვა-გინებიდან ულდასავით.
ლამის შევიშალე გოცებით.
— ომი?! — შევიცხადე, გამიკვირდა, —
— ცხრა წელს ცოცხლებიდან ამოწერილს
არსად გამიხედავს ტაიგიდან.
ომზე არაფერი მსმენია რა,
თურმე დედამიწას აზანზარებს! —
ვთქვი და უნუგემოდ, სვედიანად
სახე მოვღრუბლათ თანამგზავრებს.
ომის გაგონებამ მიკარგული,
დუნე მაჯისცემა ამიჩქარა,
თვალი გადმოშავლო სიბრალულთ
ორმა უბედურმა სახიჩარმა.
ხალხი გაირინდა მოსასმენად
და მე დავიწვეველე დაბადება.
ვიღაც ბერიკაცმა მომახსენა:
— შეილო, სადაცაა დამთავრდება...
— ომი?! — ვეკითხები თანამგზავრებს,
წელან ტყიურივით გარიყული;
მე მათ ფანჯარასთან დამამბრძანეს,
სუფრაც გამიშალეს ღარიბული.
ომზე, მშვიდობაზე, ტაიგაზე

ბჭობა, პაექრობა გაიმართა.
 ძველი მებრძოლები დაირაზმნენ
 ყოფილ პოლიტიკურ პატიმართან.
 სითბოს გეიზოგავდა კერასავით
 ჩვენი გაბოლილი საბუდარი,
 არალეგალური კრებასავით
 ჩუმიდ ღვივდებოდა საუბარი.
 ერთმა ფერმიზილიმა ავადმყოფმა
 სახე საცოდავად გაიმკაცრა:
 — მეფის დინასტიის დასამხობად
 კიდევ გამოვდგები ჯარისკაცად!
 ერთხმად დაიძახეს ხეიბრებმა —
 მე რომ მომიღერეს ყავარჯენები:
 — ომის დამთავრება გველირსება
 თვითმპყრობელობაზე გამარჯვებით!
 ქალმა შემოგვივილა შავოსანმა:
 — ყველა მონასტერი მოვიარე,
 ახლა სვეტიცხოველს სალოცავად
 მივალ ვაჭაკებზე მგლოვიარე.
 მცხეთის გასხენებამ საგულეში
 გული შემიკუმშა, შემიქანა;
 „ჩემით გათელილი, სანუგევო
 ვის აქვს მიწაწყალი ჩვენისთანა?“
 დედას ვუპასუხე: — დაღუპულებს
 ლოცვით არაფერი ეშველება,
 უფალს შეავედრეთ საუკუნოდ
 ცოცხალ ჯალათების შეჩვენება.
 ვინც შვილს ელოდება მოთმინებით
 და ვინც საწუთროში დევნილია,
 ვისაც აბერებენ ბორკილებით,
 ყველას წინამძღოლი ლენინია.
 მისთვის ვათენებდი ნათილისმარ
 დამეს — გულწაბველს, უნიაფოს,
 მხარე მომივლია ტაივისა,
 სადაც უცხოვრია ულიანოვს.
 ბნელ და მიყრუებულ უღრანიდან
 რომელ ჭოხმაზშიაც შემივლია,
 მასთან ნაცნობობა უხარიათ,
 ყველას საფიცარი ლენინია.
 ვის არ მოხიზლავდა ენამჭკერი,
 ბრძენი, გულმართალი, პირდაპირი,
 სიტყვა მარჯვებია გადამჭრელი,
 როგორც ციმბირული ბირდაპირი.
 დრო იმ კარმიდამოს, ტაიგაში,
 წმინდა ადგილივით დაიგულბს,
 ხალხი, უსასტიკეს ქარყინავაშიც,
 კრძალვით წამოუღებს თაიგულბს!

ალარ მცილდებოდნენ მსმენელები
 ქადაგს გამოუცდელს, გაუწაფავს!
 — იმ გზას ვერასოდეს შევედრებით!
 რაც მას მომავლისთვის გაუკაფავს!
 ვიდაც მაფთიანი აწრიბინდა:
 — უკვე მოასწარით დაპურება?
 ხომ არ მოგუნატრათ ნაციმბირალს
 ისევ ტაიგაში დაბრუნება? —
 ღვარძლი გამომარცვლა დამცინავად
 წითელ, სიფრიფანა ბავეთაგან
 და თან წასახლეულად აწრიილდა,
 მაგრამ ბერიკაცი დაეტაკა:
 — გაგვემს, დაგვაბეზლებს გარეწარი!
 მოხუცს აღმოხდება გამწარებით, —
 ბოლო სადღეგრძელოს დაესწარით,
 დილით აღრიანად გაბრძანდებით!
 კართან ხეიბრები აღიმართნენ:
 — ნევენებს ჩავიღუწავთ ყავარჯენებით,
 ჩვენი ჭირვარამის განკითხვამდე
 თუ ამ ვაგონიდან გადაჯდებით!
 ჩუმიდ მიიკუნჭა ხმაწრიბინა,
 თავბირგაპარსული, ხანდაზმული;
 ხალხის გალახვისგან დაიძვრინა
 თავი შერცხვენილი, ლაფდასხმული.
 უფრო გულმოდგინედ დავირაზმეთ,
 სულ მის გასაგონად ვკადაგებდით:
 — ძმებო, აღვიმართოთ ბარიკადზე
 რევოლუციური თავდადებით.
 როცა საუბარი შევანელეთ,
 მან ხმა დაიბოხა ვაჭაკივით:
 — შავ დღეს გაუთუნებთ გერმანელებს,
 რუსეთს ვასახლებთ თავგანწირვით;
 — გასწი, ასახელე, არამზადე!
 — მეფე დაგიხსომებს, შევიფარებს!
 — ბევრი ლომკაცივით ახალგაზრდა
 მსხვერპლად შეეწირა შენისთანებს!
 — ლანძღვა შეგძლებიათ, გაგიკანით...
 გნახათ საიმქვეყნოდ გასუდრულბს!
 თქვენთვის ლენინია საფიცარი,
 ჩვენ სხვა განჩინება გვასულდგმულბს.
 ჩვენთვის რუსეთია სალოცავი
 ზღვებით, უნაპირო ტრამალბებით.
 — ხალხი გავიწყდებათ საცოდავი,
 ხალხს არ ავიწყდებით მტარვალბები!
 ვინც ჩვენს პაექრობას მოუსმინა, —
 უნდა ანდერძივით დაახსომდეს,
 რომ არ მოესწრება დაუძინარ



მტრების შერიგებას არასოდეს.
 ზღვისპირ განთიადზე ჩამოვდევით;
 ადგა შავრაზმელი არამზადა,
 მისებრ გაბერილი ჩემოდნებით
 ჩვენგან ადრიანად გადაბრძანდა.
 დიდხანს გრძელდებოდა მაშინდელი
 ბჭობა ერთსულოვან თანამგზავრთა,
 დილამ ხაუბარი
 საშინელი
 ომის ზარგრიალში გადაზარდა.

თ ა ვ ი X

რაცეც ვლოცულობდით ტაიგელნი,
 რასაც ოცნებებში ვიხსანავდით,
 ის გზა იატაკქვეშ გავიგუნე
 ძველი, შეუმცდარი მისამართით.
 ათმაგ გამიმართლა ერთგულებამ,
 და, ვით უდაბნოში ნაკადული,
 ტახტის დასამზობად შეთქმულებმა
 ავედრი მაპოვნინეს დაკარგული.
 თამა — სიჭაბუკის დამნაცრავმა,
 ომით, დამარცხებით გამოცვლილმა,
 დიდი სიხარულიც დამცალა,
 პირველ სიყვარულთან მაქორწილა.
 დღესასწაულს მოვესწარი,
 ჩამიგუბდა ცრემლი თვალში,
 როცა ახალგაზრდა პროლეტარი
 სტუმრებს დავხვდი ჩემი ბავშვით.
 იმ დღემ მომაცილა სინერემდის,
 ახლაც ტკბილად მეზმანება
 რევოლუციური სიმღერების
 ძველ ჰანგებთან შეზავება.
 ქვეყნის აწმყო გუგუნებდა,
 როგორც ამირანმთას მიჯაჭვეული,
 გადააბეს გურულებმა
 „ინტერნაციონალს“ „კრიმანჭული“
 და ღრმა ამოთხვრით გაჩაღებულ
 სიმღერებში შემოჭრილი,
 ბათუმს ჰგავდა აჯანყებულს
 ქიშინი იროდიონ ვედოშვილის.
 „მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
 ნუ შედრკება თქვენი გული;
 დე, შუბლს ოფლის ღვარი აჩნდეს
 და მკერდს სისხლის ნაკადული...“

გუგუნს შვერთვოდა მოძახილად
 აყივლება ჩემი ვაჟის,
 თითქოს პროლეტარის ოჯახიდან
 რეკდა ზარი გარიჟრაჟის.
 წყრიალებდა ლამფის შუშაც
 ძის და საძირკველის დამოლოცველად,
 ხალხი ჰანგებს მოუშუშარ,
 ღია ჭრილობებით გამოსცემდა:
 „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
 მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი,
 ვესროლე ბომბი, მოკვალი მხეცი,
 თვითმპყრობელობას ვერ გავეშვით!...“
 ის დღე სიმღერებით გადაფრინდა
 სადაც მარადისი ნათელია,
 და მე საიდუმლო სარდაფიდან
 ცოლშვილს ვაკითხავდი გამოთენია.
 დევნით გამოგვწაფეს, დაგვაბრძენეს
 მეფის ნაგაზებმა დაგვიმომა
 და ჩვენც გავეჭვით შავრაზმელებს,
 რომ ხვალ ყუმბარები დაგვეშინა.
 მზე ცას დაუტოვეთ მიძვალავით,
 ჭერად გადაგვექცა იატაკი,
 ფეხქვეშ გავიფინეთ, ძველმანივით,
 დროსა „ერთიანი ნიადაგის“.
 ცეცხლი დამარცხებამ წაგვიკიდა,
 მაგრამ გამცემლისგან განწირული
 კობა გვამხნევებდა ტაიგიდან,
 გვზრდიდა შემართება არწივული.
 ცეცხლი ედებოდა აბედივით,
 ჯურღმულს — საიდუმლოდ კარდაგმანულს,
 ჯაშუშ-მადებრები დაფეთებით
 სტამბას დაეძებდნენ გადამალულს.
 თითქოს სიჯეველ აპრილობდა
 ფრთებით მანქანაზე მოშრიალე,
 გულის გასახარად ასდიოდა
 ფურცლებს საღებავის ოშხივარი.
 წყველით ვისხენებდით დამპყრობლური
 ომის მძვინვარებას — დამატვევარს,
 ჯარებს ვაუწყებდით კატორღული
 ქვეყნის გარდაუვალ დამარცხებას.
 ფურცლებს იტაცებდნენ მოსწავლენი,
 ხალხი — მალაჩიებს დასეული.
 ჩასვეს დილეგებში ოსმალეთის
 ფრონტზე გასაგზავნი ასეული.
 ჯანყით, გამოსვლებით, გაფიცვებით;
 ელდად მექარხნეთა, ფაბრიკანტთა,

1917

პროლეტარიატი განრისხებით
აღსდგა, აგრიგალდა ბარკადად.
მარცხი ცხრაასხუთის გვაკაყვებდა,
ვჭკვდიით ჭაბუკური დაჭკვებით:

— თუ ვერ ვიზეიმით გამარჯვება,
ძმებო, ბოლშისაგან დავჭლექდებით!
ვარამს, ვაივავლახს, ბედკრულობას
ვძლევდით ვაჭკაცები მოწიფული,
მაგრამ გაგვრევია შეთქმულებსაც
სამტროდ უკუნეთის მოციქული.
ელდამ მოულოდნელ დაყვლებით,
გული დამითოფა, დამიზინდა,
როცა ჯუღაშვილმა გამყიდველის
გვარი მომაწვდინა ტაიგიდან.
კობას ციმბირამდე გაჰყოლია
ჯაშუს „მეგობართან“ სადიდგულო,
მასთან კატორღაში გაბოლილმა
კაცმა გამიმხილა საიდუმლო.
მარცხი გამახსენდა ადრინდელი,
ლამის შემლილივით ამაცყირა;
ჩვენი თავაკაცების გამყიდველი
თვალწინ წარმომიდგა თავდაყირა.
ჩემი ერთსოფლელი ძმადნაფიცის
სახე წარმომიდგა შებრუნებით,
ხსოვნა დედულეთში გადამისვრის,
სადაც ჭირ-ვარამში შებმულები
ერთად ვეზიარეთ ბაღლობისას
შიმშილს, ბედშავობას, დამცირებას;
ხვედრმა მეგობრობა გვაყოფინა,
აბლა გვემართლება დაცილებას.
და ერთ „ორირაშას“ ჩვეულები,
ერთად, ერთსულოვნად გატაცებით,
ერთი მიზანწრაფვით შეთქმულები
ერთურთს ვმორდებოდით ძმაკაცები.
„როცა გამყიდველი გვებრალება,
შურის უძიებლად გავთავადებით;
მისი გასაღება გვეალება
ჩუმად, შუაზღვაში გადაგდებით“.
სუსხმა, ციმბირიდან დანაბერმა,
ლამის დამზრალივით წამაქცია,
ელდამ სიბერემდე დამაბერა.

— როგორ გავიმეტო...

ძმაკაცია!

— მე ვინ მეკითხება,

გემოდება,

ძმობ თუ ძველთაგანვე ნათესაობთ,
გაგვცა?

გამყიდველი ეწოდება...

ზღვაში შეიტყუებ სათევზაოდ!
თქვა და დაძაგრულმა ტაიგულმა
თვალი შედიდურად ამარიდა,
აზრი შეხთატუნამ დამიზინლა,
ვგავდი ამოთრეულს სამარიდან.
მკერდზე ჯვარედინად მოვლებული
თითქოს ამიფეთქდა პატრონტაში,
სულის გამეხიზნა ორეული
ისევ ტაიგაში, კატორღაში.
თვითონ ბრალმდებელის ბაგეთაგან
მსურდა გაგაღება განაჩენის;
ვისაც ბაღლობაში დაებადა
რწმენა განწირულთა გადარჩენის,
ვისაც უტეხია ღამეები
ყოფნა-არყოფნაზე, სიკეთეზე,
ვისაც უდარდნია აღვლებით
ძმებზე, დამონებულ ქიტყვებზე.
„როცა გამყიდველი გვებრალება,
შურისუძიებლად გავთავადებით,
მისი გასაღება გვეალება
ზღვაში უმოწყალოდ გადაგდებით.
გულის დიაცური სირბილება
შენგან მოლაღატის თავდებობა...“
ყრუ ხმა ჩამესმოდა ციმბირიდან
და გზა შუა ზღვაში თავდებოდა.

თ ა ვ ი XI

თარსად გამოხდომია ტაიგელის,
მისგან შემზარავი აღსარება
და იმ უკუდმართი გამყიდველის
სახე წუთისოფელს მაზარებდა.
უნდა მომეხდინა სასწაული
სულის სითამამით, სინებიერით,
ანდა დავშლილიყავ დაძაბული,
უცხად დაწყვეტილი სიმებივით.
ასე გულდამწვარი, დაღდასმული
ვგავდი უღაბნოში მოლაღადეს,
ვოდრე საზღაური აღსასრულით
ანდერძს ავუგებდი მოლაღატეს.
კაცთმოძულეს დავემსგავსე,
ჩემს ვარამთან მარტო დავრჩი,
ჰო, ის ჩემი ცოლვით სავესე
წმინდანს გავდა ბაღლობაში.
მოძმის ხვედრით გამწარებულს



არ ძალუდა ჩემი შეველა,
 და მოსდევდა მატარებელს
 ქერა ბიჭი, ფეხშიშველა.
 ერთად განველეთ ყმაწვილებმა
 გზა ციების და ცხელების,
 ერთი რწმენა გვაწვევებოდა,
 დღეს გვაცილებს აკრემლებით.
 ვიდრე შურისგებას ვაპირებდი,
 ოც კაცს დაგვაკისრეს თავკაცებმა
 დასხნა პოლიტიკურ პატიმრების,
 ფოსტის ლამიანა გატაცება.
 უნდა დავცემოდით მატარებელს,
 ვიდრე მოგვისწრებდა განთიადი,
 თან ჩემს გამწვინებელს, გამწწარებელს
 სხვათა შეუმწინველად გავწირავდი.
 და ის ფიცგამტეხი ძმადნაფიცვი
 ოჯახს შუალამით გამოვტაცე,
 ვთხოვე: — ძველმანები გადაიცვი,
 მივალთ სასიკვდილო გამოცდაზე.
 ჩემი შურისგების გადავცილდემ
 რაკი თვითმკვლელებით მაწირიალა,
 ძველმა ციმბირელმა გადავწვევით
 ტყეში განმეგმირა ნაძირალა.
 ოცნი მივდიოდით შუალამით
 და ბნელ, დამძორებულ გარემოდან;
 კაცურ სინიდისის შემბლაღავი
 ერთი მოღალატე გავგროვდა.
 ვისი ორგულობაც მადარდებდა, —
 ცრად გადავხედე გამომცდელად
 და არ გავუმხილე ნადრევად —
 კობას ციმბირიდან გამოქცევა.
 ბრძოლა რიფრაგამდე გაიმართა,
 ფიცხლად დატრიალდა ოცველი
 შედგა ეშელონი პატიმართა,
 ჩიხში ზვარაკივით მოქცეული.
 სროლა გააჩაღეთ ყურწამლები,
 მუხი დავატეხეთ ჯარისკაცებს;
 გუნდი გაქცეული ტუსაღების
 ნადავლ თოფიარაღს გაიტაცებს.
 და იმ რიარიაშ გამხეცვებით
 რისხვა შურისგების განმიახლა,
 ბნელში მოღალატეს დავეჭებდი,
 ვეგბ სამიზნოზე დამენახა, —
 სასჯელს მიიზღავდა გამყიდველი,
 ჯავრსაც მოვრჩებოდი გამმოთავებელს.
 უცებ, თავზარდამცემ აყივლებით,

ორთქლი ავარდება მატარებელს.
 ჩვენგან გაქცეული ორთქლსავალი
 როცა თავაღებით გაქანდება,
 მაშინ გამაოცებს მომავალი
 მსხვერპლის არნახული თავადდება.
 ჩემგან გასაწირი ძმადნაფიცვი
 გუმაგს ფიტულივით შექანებს,
 განზე თავდაყირა გადაისვრის,
 დაჭირლს აიტაცებს მემანქანეს.
 ხრამთან გააქვავებს მატარებელს
 კაცი — გარდაქმნილი საოცრებად,
 და მის უსამართლო გამმართლებელს
 „ყოჩაღ“, — უნებურად წამომცდება.
 ალბათ გადაწვევითა გამყიდველმა
 ცოდვის თავგანწირვით გამოსყიდვა;
 რისხვად ვაგონებში გაიულვა,
 ქვეყნის საჭურველი გადმოზიდა.
 ჯიქურ შეჯახებით შექმნილი
 ფოსტა გავიტაცეთ მუხლმარდებმა,
 მეფეს დავეტოვეთ ხელწერილი:
 „ფული აჯანყებას მოხმარდება!...“
 და ვინც ბორკილებში დარჩენილი
 დაჭრეს კატორღელთა დარაჯებმა —
 ზურგზე ავიკიდეთ ბავშვებივით,
 მხრებში შევედქვით ყავარჯუნად.
 ხშირ ტყეს მიაშურეს პატიმრებმა
 და ვთქვი: „განსაცდელი გაველილია“,
 მაგრამ გამცემლისთვის პატიება
 გულში არასოდეს გამივლია.
 ზურგზე გვიკენსოდნენ დაჭირლები
 და გზას სიცოცხლისკენ მივიკვლევდით,
 ცეცხლში დაცემულთა აჩრდილები
 ჩუმად მიგვიძღვოდნენ ბილიკებით.
 წითელრაზმელები ადიდებდნენ
 ჯავარს იმდამინდელ გამარჯვების;
 ალბათ, ვერასოდეს გამიგებდნენ,
 რა დღეს ვუთენებდი გადარჩენილს.
 „გულის დიაცური სირბილეა
 შენგან გამყიდველის თავდებობა“, —
 ყრუ ხმა ჩამესმოდა ციმბირიდან
 და გზა შუაზღაში თავდებოდა.
 მრევლა სამინელი დაეჭვება —
 ხვალის გადასატან განსაცდელით,
 ტვინში ლურსმანივით ჩამეჭვდა
 წუთი დასაძლევნი, დამქანცველი:
 „ნუთუ შეკრულია ჯადოსნური
 წრე და ვეხეთქები გამოსავალს?“

ნუთუ ციმბირიდან ჩამოსული
კაცის ჩაგონებამ გამომცვალა?
თუ ჩემს საწამებლად გაორებულ
სულს არ შეუძლია გამოთიანდეს,
როგორ შევეგებო აღმოდებულ
შესეს და ნაოცნებარ განთიადებს?
ალბათ, ჩაეიწვები, გაეთავდები
მსხვერპლის სამსხვერპლოზე მოყვანამდის;
ბრძოლა, ძმაკაცობა თავდადებით
ნუთუ ნილაბია მოლაღატის?
თუ არც გამართლება უცოდველის
და არც შურისგება შემძიძლია,
თუ ვერც ორჭოფობას ვუსწორდები
და ვერც განჩინება შემიცვლია,
მამ რად დავბოგინებ ქვეყანაზე,
ცეცხლს თუ სიბრალული შემინულეებს?
რისმა მოიმედემ შევთავაზე
ძმობა თავგანწირულ ლენინელებს?
სხვებზე მინდობილი თავდაზღვევით,
სხვათა სანუგეშოდ დარჩენილი,
რასაც ოდითგანვე ვაფასებდი —
მტანჯავს მოსახდელი სასჯელივით.
სულის გადაბეღვის, განასლების
წარებს მირეკავდნენ განგაშით,
ბევრგზის წაკითხული თაბაბები,
გზები — ტომებივით გადაშლილი.
ჩემსავ დაეჭვებას, უძლურებას,
კვრატვემ ვაბზვევდდი კალოსავით,
სულის სანიავოდ ზუსუნებდა
ქარი — მოქროლილი აღმოსავლით.
ტყვეში ამღერებულ ავთანდილად
სიბრძნე საწუთროსი დაღადებდა:
მზემდე ამაღლებს ადამიანს
თანდათანობითი დაბადება.
წითელრაზმელები მივდიოდით.
აღმასრულებლები დანაქადნის,
თავზე დაგვიკიოდა მიკიოტი
და გზა მოკლდებოდა ქალაქამდის.
ტყე სულს გვიხუთავდა ჭერდაბალი
და ბნელ, უღიმღამო გარემოდან,
როგორც უწმინდესის შემბლაღავი
ერთი მოღალატე გაგვრეოდა...
ჩემად მოდიოდა, უბირივით,
ძმებს ვერ უღიმოდა გაუცინართ,
ალბათ, საქართველოს უგვირგვინო
მეფვე მისნაირებს გაუწირავთ.
ასე ორჭოფობით, ალბათობით

ბედერულ ჯამბაზივით გაეთამაშდი,
გვერდზე მომყვებოდა თანატრლდ
მწარე სიყმაწვილის გადანაშთი.

თ ა ვ ი XII

ბოღმით, უძილობით განაბრუებს
ფიჭრი ძარღვებივით მეჭიმება,
ვეუცდი, მოლოდინი მანადგურებს,
შუბლზე მახატია შეჭირვება.
სულ სხვა ასაკიდან ვიხედები,
როცა ოცნებები უხუნდებათ,
როცა ასაღები ციხეები
აღარ ეჩვენებათ ხუხულებად.
ჯამმა დაეჭვებას შემაჩვია,
აღარც უპირობა გამიკვირდა, —
ალბათ, გამყიდველი შეაშინა
კობას გამოქცევამ ტაიგიდან.
მინც ვიმედოვნებ — გამომნდება,
და ჰა, ალიონზე გასარკული
უკვე აკეცვია ნაოჭებად
შავზღვას ზედაპირი ქარდაკრული.
დილით თევზაობით მოღლილები
ნავზე მოუსვენრად დაფრენილან
და ფრთებს იბერტყავენ თოლიები,
თითქოს პაწაწინა აფრებიან.
გზისპირ დაშრეებულ თაბაშირის
მთა ჩანს, უნახივით თავტიტველი,
და მის შორიახლო განგაშით
შემძრავს გამოჩენა გამყიდველის.
ჩემსკენ ბედისწერა მოაჩქარებს,
შორით გამომხედავს გამომწვევად;
მოვა ყმაწვილივით მომასარებს
კობას ციმბირიდან გამოქცევას.
„ნუთუ უხარია მოლაღატის?“ —
სული მეკითხება აკენესებით.
ნავში ორთავენი მოვკალათდით
კიდებისნიშნებიან ანკესებით.
სული, ორჭოფობით დაქანცული,
თითქოს ამომძახის სასულედან:
„დგება გამყიდველის აღსასრული,
შენი სიმძიმოციც დასრულდება.
მხოლოდ შურისგებად გაგაჩინა
წმინდა მიწაწყალის სიციცხალემ
და სხვა სიძლიერეც გაგაჩინა —
დღეებს წარსულიდან გირიცხავენ“.

და ის უცნაური აყივლება
სულის გაორების, დაღლილობის,
ყალბად, უხალისოდ მადიმებდა,
მსგავსად ხელმოცარულ მსახიობის.
ხან ზღვას გაყურებდი ატალღებულს
და ხან გულუბრყვილო გაცევით
გამცემს შევეცქეროდი — გახარებულს
კობას ციმბირიდან გამოქცევით.

— მოვა, გვინახულებს ბათუმელებს! —
თქვა და გასამხელი გაეამღაღანე;

— ნათელს უკუნით დაუბნელებს,
ვინც მის წინაშე დამნაშავე! —
მკლის თავს ვკითხულობდი სახარებას,
გული უსიამოდ ამიგმინდა.

გამცემს ჩემნაირად ახარებდა
კობას გამოქცევა ტაიგიდან.
თავთან მოპაექრე, მოკამათე
ჩუმად ვბუტბუტები მლოცველივით;
ნავში ჩამაყივდა მოღალატე:

„რად ხარ ბერავით მოწყენილი?“

და ჩემს მოსაღმენად აღიღინდა
სიყრმის მეგობარი ლურჯთვალეობა,
თითქოს დაწყვეტილი თარიღიდან
ზღვაში მოელოდა უკვდავება.

დასმა მოელოდა მოუსვენრად,
ლოდზე მარყუქივით გამომბული;
ვიდრე შურისგება მოუსწრებდა,
ტკილად ღიღინებდა მგალობელი:

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?“

აწმყო თუ არა გეწყალობს,
მომავალი ჩვენია.

აყვავებულა მდგლო,
აყვავებულა მთები,
მამულო, საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

— დრთა, წარმოსთქვამდე აღსარებას,
ხანამ წუთისფელს მოგანატრებ.
დედა საქართველოს აყვავებას
შენ ვერ მოესწრები, მოღალატე! —
ვთქვი და დავანახე თასმიანი
ლოდი, თოვლისფერი ბალიშით
და თან შევეკურთხე ღვარძლიანად:
— ზღვაში ჩაძალღები ძაღლიშვილი.

სიტყვით წავასდინე ჩემსოფლელი:
— გამცემს მოგეზღვება საკადრისი,
შენგან განწირული მეზობელი

ზღვაში თავდაყირა გადაგისვრი.

— ჩემგან განწირული? — შეიცხადა
და ძლივს შეიოკა გაცხარება,
შუბლზე აღებუტდა შემრისხავად
მომძის გულახდილი აღსარება:
მაცნედ ჩამოსული ტაიგელის
წვრილად ჩაუკუნეჭე ნაამბობი,
რომ ზღვის ტალღებშია გამყიდველის
ძვლები უსაფლავოდ დასაღპობი,
რომ არ ეღირსება შებრალება,
თორემ ბოდმისაგან გაეთადებით,
რომ დღეს შურისგება მევალება
მისი შუაზღვაში გადადებით.
მსგავსად ელდისაგან მოცელილის
მუხლი მოიყარა ძმადნაფიცმა,
ჩემ წინ ჩაინოქა მლოცველივით
და წრფელ ღაღადისად გადაიქცა:
— ვინც მე სასიკვდილოდ გამიმეტა
და ვინც ტყუთმყოფი გადაგრია,
ვინც აქ გაიცენია ტაიგელად,
მითხარ, რომელია, რა გვარია?!
დაუუსურათხატე კატორღელი,
შორით გავაცანი — დაუსწრებლად,
კაცი ნათესავზე ახლობელი,
შეგება სასწაულის მანუწყებლად.
რისხვამ გამოსცვალა საშინელმა,
მხრებში მართალივით გაიშართა
და თქვა საოცარი განჩინება,
როგორც ბრალმდებელმა პატიმართან:
— შენს წინ სწორკაცობამ დამაჩოქა,
კი არ გვედრები გალაჩრებით,
ლოდი ჩამომკიდე დასახარობად,
ზღვაში გადამაგდე, გადაგრჩები!
მოვალ ორღესულად შემართული,
ჩემი შურისგება გაწირალებს,
სული ამოგზნება ვერაგული —
ძმა რომ ანაცვალო ნაძირალებს.
ვრჩები გულწრფელობის ანაბარა,
ვჭვით მოკვეთილი, გულდაჭირილი,
მე ვინც გამცემლობა დამაბრალა,
თვით მას გაუწირავს ჯულაშვილი.
ბევრჯერ დაუშვერავს ზღვისპირეთი,
ლუჯა საღალატოდ ჩაუშვია,
თავი გაუცენია ციმბირელად,
ჯამაგირიანი ჯაშუშია.
განა დასასმენად წავიდოდა
ვგ თუ ჯულაშვილის ძმაკაცია?!

გახსოვს წარმოდგენა, წყალიდობა...

თავე სტრატეგია დაგვასია.

ზურგში ჩაუცია დანა ცვედანს

და რაც უნუგეშოდ გვიკენესია —

ჩვენი ადრინდელი დამარცხებაც

მსტოვრის უნამუსო კისერზეა! —

თქვა და დავიბენი აღმოჩენით,

მივხვდი — მაძებარმა გამაწვილა.

— მითხარ, გულდაგული გამორჩევით

შენ რად ავიჩემა გასაწირად?

— მწარედ გამიცინა თანასოფელს

სიყრმის მეგობარმა შეფიცულმა:

— გეტყვი, საუკუნოდ დაგახსომდეს, —

შენთან ძმობისათვის შემოძულა!...

როცა შეკვნესოდი ტაიგაში

ოჯახს — საოცნებოდ წარმოსახულს,

ის აქ უგალობდა, მთვარიანში,

შენი სპაპატარძლოს სამოსასლოს.

და რა რაინდობაც განუზრახავს,

როგორ გამიმხელდა დამნაშავე

ან რად გავეუშვებდი გაულახავს,

მთვარის სერენადა ჩავაშაბე.

სილა გავეშალე მალარიჩად,

ძმარი დავადინე ცხვირიპირიდან,

და ვინც მოუკლავი გადამირჩა

მაცნედ „მოგვევლინა ციმბირიდან“.

უნდა აღასრულო დავალება,

თუ მან უცილობლად დაგაჯერათ,

ჩემებრ გამცემლობა დაგბრალდება,

თუ ვერ გამიმეტე დასასჯელად.

ჯერ არ შეგძლება ძმაკაცობა,

ჯერ ხარ მაჭარივით დაუმდგარი,

ჯერ შენ საჭაშნიკოდ, გასაცნობად

გიცდის სიჯველე საკუთარი.

ძმობაც გავიწყდება, მეზობლობაც!... —

სიყრმის მეგობარი მაქეზებდა.

სულში საყვედური მესობოდა,

კითხვისნიშნებიან ანკესებდა.

სისხლი მემღერეოდა შეძახებით:

— მკადრე მოლაღატედ გადანათვლა?!..

უნდა გამიმეტო ხელალებით?!..

— არა, სწორკაცობამ გაგამართლა! —

წრფელად დავემოწმე თანასოფელს,

რაკი განტყვება მოვილიე;

სურნელს გვასუნთქებდა დამათობელს

სივრცე იღუმალად მოლიევიე.

თავს არ გვავიწყებდნენ თოლიები —

ქროდნენ ქარიშხლის მაცნეებად,

გრიგალს დავხვედროდით ძმობილებში —

მკაცრი სინამდვილე გვასუნთქებდა.

ალარ მოგვიწია დაბრუნება

უკან, უკაცრიელ ნავსადგურში,

ზღვის და სასაფლაოს საკუთრება —

ლოდი ჩასაძირად გადავუშვი.

და ჩვენ ერთმანეთი ავაჩქარეთ,

მზე როს ჩასახელელად დაიხარა;

სიყრმის მეგობარი ქალაქკარეთ

ნავით გაეაპარე ჰაიპარა.

ვიდრე სამშვიდობოს გადავცურეთ,

წუთით სიძაბუნე განვიცადე;

ჩემი ძმადნაფიცი დავარწმუნე —

მთაში დაცვადა გაისამდე.

— არსად შეგწებო აქაურებს,

თორემ სასწაულად გადარჩენილს

ზღვაში ჩასახრჩობად დაგაბრუნებს

ძალა დაუწერელ განაწინის.

გასწი, დედულეთში გადასახლდი,

სადაც სიმრწემში გამოცტადე,

ზღვაში დაღუპულად გაგასაღებ,

კობას აჭარაში ჩამოსვლამდე! —

ვთქვი და გამეცალა შხამნასვამი

შვილი ავადმყოფი სამყაროსი,

გზაზე, ნაწეიშარი ჩალასავით,

ბინდი გაეფინა საღამოსი.

გარეთ გაგდებულნი საწყალივით

ზღვისპირ მიდიოდა ტანმორჩილი,

მხარქვეშ მოუწანდა საგზალივით

ქუდი იღლიაში გამოჩრდილი.

თ ა ვ ი XIII

ჯვრიან წერილების გახშირება

ცოდვილ დედამიწას დაამძიმებს,

დედებს ააჯანყებს გაჭირვება,

ფანჯრებს ჩაუღეწავს მალაჩიებს.

და თავს გამახსენებს სიბერეშიც

ქართველ დედაკაცთა შემართება,

მათი ნაკადები იერიშით

პურის ფარდულებში შევარდება.

გზაზე შემოხვდებათ ქარვასლები,

მთებად — ფარჩეული, ფართლეული,

ელვად გამოკრთება ფალასებში

მათი ღამეები გათუელი.



ნოქრებს გააქცევინ დაფეთებით, ქალთაც შესძლებიათ გამეხება, ნადავლ ძოწვეულის ნაფლეთებით ხელში დროშებით დაერხვებათ. წითლად განათდება უმწვობა ომით გაწამებულ ამორძალთა, თითქოს ორეხოვო-ზუევოდან რისხვა მთაგრეხილზე გადმოზვავდა. თითქოს გვანიშნებდა სანაქებო მათი არნახული ამბოხება: მალე დაგჭირდებათ, ვაჟკაცებო, ხმალის ქარქაშიდან ამოღება! ხელად იცლებოდა სავაჭროთა რიგი დარბეული, გაძარცვული, ბევრი ყმაწვილკაცი ვაჟკაცობდა ქალის ტანისამოსგადაცმული. როცა ვადიდებდი ჯალაბთანაც დედებს — მოთმინებადაკარგულებს, მაშინ შემომესმა — ფანჯარაზე ვიღაც მორიდებით აკაკუნებს. ხელში ხურდასავით ჩაუყურე უცნობს საახალწლო ტკბილეული, სახე მოედრებლა გაუხარელს, ახალმთვარესავით მიღეული. მზერა მომაშუქა სიბრაღულით, შემძრა დედაკაცის უთქმელობამ; თითქოს ფოსოებში მიმალული წყვილი ნაპერწკალი უქრებოდა. მუქი მეცნაურა მოციმციმე, და მე ღარიბული ანგარიშით უცხო სტუმარივით მოვიწვიე. არც მან გამოიდო თავპატივი. ცოლი დაფაცურდა, დატრიალდა, დახვდა ჩვენებურად — პურმარილით, ჩაი აუდულა ადრინანად, დაღლილს მოუარა მკურნალივით. სანთლად ჩამომდნარმა ანგელოზმა წრფელად, ნაღვლიანად გაგვიღიმა, შეიღი მორიდებით დამიკოცნა, — ლექსი ათქმევინა, აღიღინა, ძე და ოჯახობა დამილოცა, ჩაი დღეგრძელობით გაგვიღვინა, სუფრა სათნოებით გაგვიცოცხლა, ცნობისმოყვარება გაგვიღვივა, სტუმარს გაოცებით შევყურებდი და როს გამომხვდა ნაწყენივით, მაშინ გამახსენდა დედულეთი,

კობას საპატარძლო დარცხვენილი. „ბალი — საზაფხულო პარტერია, ლოჯა — თივთიკივით ბალახი, საქმრომ გაუცინა კატერინას, ხელი მზიარულად გადახვია. „ხეხილს წვრილფეხობა შეესვვა, როგორც თოჯინები საახალწლო, მათი ქანდარები ხეებზეა“, — კობას დაემოწმა საპატარძლო. კატოს, კატერინას დაგამსგავსე! — ჩემდა უნებლიედ წამომცდებია. — როგორც გიმნაზიელს, ქანდარზე ხომ არ მოგიხდებათ აცოცება? — თქვა და გაუგლევედა ნაოჭები, პეწი დაუბრუნდა ქალწულური, გავშრი საოცარი აღმოჩენით, ხამის პერანგივით გაწურული. წუთით პირისახე ამარიდა, ცრემლი შეიკავა მორეული, თითქოს წარსულისკენ გადაფრინდა მისი გიშერთმება ორეული. ისევ სვანიძეთა სამოსახლოს ძველი ზარგუგუნე მყურებდა, და რაც სოფლებია ახლომამლო — სცენა იზიდავდა მყურებლად ახლა, კატერინას გარეგნობამ, მისმა დათალხულმა თავსაბურმა სიზმრად წარმოსახულ გარემოდან ისევ ზღვისპირეთში დამაბრუნა. — წუხელ გამოსული პატიმარი დღესვე სადარბაზოდ გვახელით; გულში გამწვინა სატკივარი, „მოყვასს“ გაუცივარ ხელაღებით. ჩემი „დროსტარების“, „დალხინების“ მოწმე ნესტიანი კარცვრია, ოქმი „მზიარული დაკითხვების“ შუბლზე ნაოჭებად მაწერია. როცა გადავწყვიტე გამწვარებით ილაჯგაწყვეტილმა, დამეხილმა ჩემი დასაწვავი ნაწნავები ყელზე ბედისწერად დამეხვია, მაშინ სალდათივით გადამპარსეს თავი — ჯოჯოხეთში განბანილი; ახლა უკანასკნელ გადასასვლელს უთმო მხედარივით გადავივლი. მისმა ნაამბობმა გამაღრჯუა, სახე ნაცემივით გამეხისხლა.

საქმრომ გაუცინა კატერინას

როცა უმოწყალოდ გატანჯულმა
 გვარი გამიხილა გამცემლისა,
 შაშინ დავაფასე უნდობელმა
 წრფელი აღსარება ძნადნაფიცის,
 ვინც ზგალ დედულეთის მყუდროებას
 მშფოთვარ სიცოცხლეზე გადამიცვლის.
 მაშინ მომენტრა ცალხელივით
 სიყრმის მეგობართან გამგზავრება,
 მისი გამწირავი გამხვლილი
 მურდალ წუთისოფელს მაზარებდა.
 მსურდა დამეძახა ძმაცაცისთვის:
 „შენთან წამოვსულვარ საბოდიშოდ,
 ეჭვი დავივიწყოთ სიძრახისი,
 წყენა საგულედან ამოვიშოდ!“
 — ერთად ვაზიარებთ არამზადას,
 ერთი შურისგებით გავმხნევდებით! —
 ვოჭვი და წასახელელად გაემზადა
 ქალი — ჭლექიანის ჩახველებით.
 გამომემშვიდობა კატერინა,
 მაგრამ უკანასკნელ გადასავალს
 ვეღარ გადაივლის კატერინა,
 სენი შავეთისკენ გადასძალავს.
 მზეს ვერ ეღირსება კატერინა,
 ცისკრის მოლოდინით გათავდება.
 მისი ხსოვნასავით ნათელია
 ქართველ წამებულთა თავდადება!
 მარად მოციავე ვარსკვლავების
 მათ არ ჩაქრობიათ სიდიადე.
 ქმრების უწმინდესი ნაკვალევით
 შორს გზას მიჰყვებოდნენ ციმბირამდე.
 რწმენით მადლდებოდნენ ქედუსხრელნი,
 განა განსაცდელი აფერხებდათ;
 ტანჯულ კატორღელთა მეუღლენი
 მკვდრეთით წარმომდგარან ქალღმერთებად.
 ჰგვანან მწვერვალებად ამოზრდილებს,
 ნამდვილ ქართველებად დაზრდილები,
 დროშიად უღვვარებთ მადლმოსილებს
 სისხლით შეღებილი მანდილები.
 ახალ თაობებში ციაგდება,
 ვინც ბნელ ჯურღმულებში დასწულდა;
 აწმყოს გვინათებენ წმინდანებად
 სათნო სახეები დაცემულთა.

თ ა ვ ი XIV

ზარი გუგუნებდა განთიადის
 და ზღვა აცხადებულ ოცნებათა

დულდა ნაპირიდან ნაპირამდის,
 სისხლი აფრებიდან მოწყვეთაგდა
 ზეცა გრუსუნებდა პიტეროვით,
 ბჭენი ირყეოდა სასახლეთა,
 ციებცხელებიან იმპერიის
 ტახტი დასამზობად ცახცახებდა.
 გრიგალს შეერთვოდნენ ნაკადები
 ომში დამარცხებულ არმიათა,
 რევოლუციური თავდადებით
 ხალხი ბარიკადად აღიმართა.
 კვამლში ეხვეოდნენ შენობები
 ახალგაღვიძებულ ვულკანებად,
 ცეცხლი — სასწაულის შემოქმედი —
 ერთო დაცემულთა უკვდავებად.
 და რაც კატორღელს გვინატრია —
 ალი გამძვინვარდა, გაიშალა;
 დასცა რომანოვთა დინასტია,
 ფერფლად მიმოფანტა ქარიშხალმა.
 ხალხი შთაგონებას იტაცებდა
 რწმენად მოფრიავლ დროშებიდან,
 სრული გამარჯვების მისაღწევად
 ჭკქდა მოწოდება ბოლშევიკთა.
 გრიგალს მიუძლოდნენ ავანგარდად
 ქვეყნად შურისგების დამთესავნი;
 ჩვენგან აფრენილი ახალგაზრდაც
 არვიეს ერთგულებდა მართვისავით.
 ბუქში გასისხლული ფანტელების
 წითლად ღვივდებოდა გარიჟრაჟი,
 რაზმი თავგანწირულ ქართველების
 ღვინის მიჰყვებოდა ქარიშხალში.
 რიგით ჯარისკაცებს გვამხნევებდა
 ღვაწლი ნაციმბირალ თავკაცების,
 ნაცად ღვინიელთა სახელებთან
 სტალინს ახსენებდნენ აღტაცებით.
 და ვინც მაძებარის თადარიგით
 კობას იმოწმებდა დაუსწრებლად,
 ბათუმს გადმოველო ავდარივით,
 ჩვენი დამარცხების მაუწყებლად.
 მისმა გამოჩენამ გაგვინელა
 ალი პიტერიდან მონაბერი,
 ზეცა უბედობამ დაგვიბნელა,
 აირდაირია მონასტერი.
 რუსეთს ანახლებდა გარიჟრაჟი
 და ჩვენ გაღიმება მოგვანატრეს;
 ვნახეთ მენშევიკურ გვარდიაში
 რარიგ ალაღებდნენ მოლაღატეს.
 თვალწინ ცხენოსნებმა გაგვიგულეს...



სუფთად გაპარსული, გამძღარი ფიცხლად მიუძღოდა გვარდიელებს ჩვენი თავგაცობის გამლანძღავი. ვინც ძმის ფლიდობაში დამაჯერა, ვინც თავს ასაღებდა ტაიგულად — ჩვენმა ამომგდებმა, დამტანჯველმა, წმინდა გიორგივით გაიგულვა...
 ეამი გამახსენა გარდასული, მწარედ დაეინანე გაბეცება.

— გაგვეცემს გვარდიელად გადაცმული!...
 — ხეალ-ზეგ დასარბევად დაგვეცემა!...
 — ჯვარცმა, განსაცდელი მეორდება!...
 — გვეძებს მძებარი დაგეშოი! — ერთხმად გადავწყვიტეთ მეგობრებმა — ჩაგვეძალღებინა ძალიწვილი.
 — ჩემი ძმადნაფიცვი გადაუხდის! — ელჭვი და გაილურსნენ გაგონილით, ძმები — მომსწრეები ცხრაასხუთის თითქოს გაეაწილეს გაბონივით.
 — ჩუმად გავაცილეს დედულეთში, მთაში გაფაპარე შეუქმნველად! — ვთქვი და დამაცქერდნენ შეთქმულები, თითქოს მაჯისცემა შეუჩერდათ.
 ჩემი აღსარებით გაოგნებულ ძმების მდუმარებამ გამარინდა, თითქოს სასწაულით გაცოცხლებულ ცხედარს მოვეხმობდი სამარიდან. თრთოლდნენ სახეები სიხარულის ცრემლით დაცვარული, გალუმბული, უცებ აყიფინდნენ მზიარულად, მოძმე გაცოცხლდათ დაღუპული. ძალმოცემულმა ძმაკაცებმა ხელში ამიტაცეს, გადამოცნეს, ახალ ციხეების დასაძლევად მხარში ამომიდგნენ თანამომქმეს. მაგრამ ჭირგამოვლილ ჯარისკაცებს გვექცა ოდისეა ილიადად; ღვაწლი ჩალასავით ჩაგვიფარცხეს მჭადი დაგვიფასეს მილიარდად. იდგა ზარზუიში მევასშეთა, მზარე სილატაკემ გადააშთო, იტყა საქართველო გერმანელთა, თურქთა, ინგლისელთა სათამაშოდ. და ვინც რუსეთიდან დაიძვროდა, ვინც კი გამოიქცა მოსაკვლელი, ყველას საქართველო მასპინძლობდა, — თვითონ უპატრონო, მოსაველელი.

გზას და საზღვარგარეთს უცინოდა მეფის ოფიცრობა გაღმელი ბათუმს აბრუებდა უდილობა კონტრაბანდისტების თარეშით. ეამი მექრთამეთა, მედროვეთა, უემურ სიზმარივით მახსენდება; ისევ წამოვიწყეთ მეგობრებმა პროკლამაციების გავრცელება. მაშინ აწრიალდა ნაძირალა, ნილაზამოხდილი გათავსებდა, გამცა, დამამწყვედია, ამიკრძალა ციხის სარკმელიდან გადახედვა. ისევ დამებუდა საწყვევარი გვემა, პატიშრობა, ჭაპანწყვეტა. „მწარედ გააწილეს მძებარი“, — ჩემმა გაჭირვებამ ჩამაწვეთა. ჩვენი მტერმოძულედ გადაჰკიდეს რადგან დიაცივით გაშეძვდა, თავი ავეხსვიე, ავარიდეს ჯიქურ შეჯახებას გარეწართან. ჰგავდა გაბრძოლებას უკანასკნელს მისი სასიკვდილო ატორღება; ჯაშუშს ეშმაკურად ეუთანაგრძნე ძველმა, გამოცდილმა კატორღელმა. თვითონ გამიძახა დაკითხვაზე, თავის გამართლება დამანება. ეუთხარ: — ვაფაცობა დაგიფასე, ძმურად შეგისრულე დავალება. — ზღვაში გადაუშვი მორიელი? — შენთვის გავიმეტე დასასრობად... სადღა დაევიმალთ ორივენი, თუ ხეალ საქართველოც გასაბჭოვდა? — შენი აღსარება დაამთავრე?! — მკითხა მძებარმა განრისხებით. — არა!
 წამოგვევებით საზღვარგარეთ, ოდეს სამშობლოდან გაიქცევით. ძმები გამირბიან დანახვისას, აღარც დედულეთში ჩამესვლება; ჩემთვის ჯოჯოხეთად გადაიქცა სოფლის ღვარძლიანი ჩაგესლება. მკვლელს და მოლაღატეს მეძახიან, ლამის გამათავოს სიმარტოვემ. ჩემი კარმიდამო ერცახეა, დავთმობ, სამუდამოდ მივატოვებ. ნეტავ უშფოთველად დამასვენა... — ჩემი მოგესურვა აცრემლება? —

თქვა და მატებარმა გამახსენა
პროკლამაციების გაყვრება.
მისი თვალთმაქცობა მომაგონდა,
სიტყვა მოვეუქერი ელვის უმაღლეს:
— ხალხი საიდუმლოს მომანდობდა?

ყველამ ორგულივით შემოძულა.
მარტო ვეხეტები დათარსული,
ხვედრი ავთვალთაგან გამეთვალა;
ჩემი წილხვედრითი აღსასრული
მარტო საქართველოს გარეთაა.
ძველმა მატებარმა ჩაიციხა,
სულში დამიპირა შემოპარვა,
მკითხა: — საუკუნოდ ჩაიძინა
შენმა სანუკვარმა მეგობარმა?
— წყალში ქვამობმული გადავეუშვი,
ერგო სამუდამო მიძინება

— რომაც, გავიწყდება —
ნაკადულში
თვეზი არასოდეს იძირება! —
თქვა და მეზობელი ოთახიდან
სახედაბეჭდილმა, გალახულმა
სიყრმის მეგობარმა მომაკითხა,
როგორც იანვარში გაზაფხულმა.
ელდამ გამაშტერა, დამავიწყა
პირი მომეკუმა დაფრენილი,
შევეციბი ამაღნიციის დანახვისას
სახტად, საპყარივით დარჩენილი.
ვიდექ, შევეურებდი მტერმოყვარეს —
ძმას და მოზეიმე ნაძირალას,
ხელებგათოკილი მეგობარი
ჯამუსს შესცქეროდა დამცინავად.
ერთხანს წრიალებდა მატებარი,
ჩვენმა გულცივობამ გააცოფა:
— მე თქვენს წარმოდგენას დავესწარი,
კარგად შეგძლებიათ თვალთმაქცობა.
ვნახე წარღვნასავით წყალდიდობა —
ქვეყნის აოხრების შემძლებელი.
ჰო, იმ ნაბორნალზე გავიდოდა
მხოლოდ თავმოძულე ბელზებელი.
ახლა ცხრაკლიტულში შებრძანდებით
და კვლავ გედირსებათ დაპურება,
თქვენნი ლენინელი ხელმძღვანელი
როცა რუსეთიდან დაბრუნდება.
თითქოს სასიკვდილოდ გვაზიარა,
ერთურთს გადავხედეთ პატიმრებმა.
ფუჭად განიზრახა ნაძირალამ
ჩვენი ბალებივით ატირება.

ფიქრი გაგვიბრბოდა დილეგადან,
განა გლახაკურად გაგვირადიო,
ტიციილს ვიყურებდით იმედინან,
წითლად მობრდღვიალვ განთიადით.
გველის ნაკებნივით გაგვასია
კენესამ მოუშუშარ იარების,
ნისლად ეხვეოდა კაკასიას
ოხვრა აზვავებულ მყინვარების.
გვწამდა ლენინელთა დაპირების,
რომ არ დაგვტოვებდნენ მარტოხელებს
და ჰა, პროლეტარულ არმიების
„ვაში“ შემოგვესმა კატორღელებს.
მზერა დაგვადგენეს თავისუფლებს
ციხის ჩალეწილმა კარ-ფანჯრებმა,
შეება ზღვაურივით ჩავისუნთქეთ,
ზღვისპირ ვიზეიმეთ გამარჯვება.
ძმებმა საქციელი გამცემლური
ძვირად დაუჯინეთ ფარისველებს
და ის მატებარი განწირული
ზღვაში საუკუნოდ განისვენებს.
წმინდა შურისგებას მოვესწარით,
ცხარე შერკინება გაიმართა, —
თავზე დაგვეჭეროდა მოწმესავით
ზღვა და გოლიათი ამირანთა.

თ ა ვ ი XV

ზღვისპირ მოჩითული ათასფერად
მეფობს ოქტომბერი, ფოთოლცვენა,
ცაში ფანტელების ასაფრენად
თბილი ნიაჭკარი ფოლორცდება.
ზამთრის მომლოდინე მთაბარია
წვიმით გალუმპული, განბანილი,
ტანზე შემოდგომა აფარია,
ჭრელი ნაკუწების საბანივით.
და ზღვა, მოლისფერად მოვასვასე,
მთაში დაბადებულ მომთაბარეს
ჩავლილ ჭირ-ვარამზე, მომავალზე
ფიქრით დასალიერს მომატარებს.
მაგრამ მოწყენილი მასპინძელი
ნავში დაზაფრულა ბალახივით,
თითქოს სიმძიმისის გამღვიძებელ
ხსოვნას მოასვენებს ბალდახინით.
ჭრება წელანდელი იდილია.
როგორც აღმაფრენა ყმაწვილური
და ვერძნობ — შორიახლო სიკვდილია,
წყალში ტყვიასავით ჩაძირული.



— ჩვენმა გულცივობამ გააცოფა, ზღვაში ჩასახრჩობად მოყვანამდე, ბნელი საიდუმლოს გასაცნობად ლოდით გადავუშვით მოღალატე და ვინც არაკაცად გადაგვექცა, ხელში სიკვდილამდე გავგვიცივდა; მისი აღსასრული ძმადნაფიცმა სტალინს მოახსენა ცარიცინთან. — თქვა და ბერიკაცმა თავმდაბალმა თავი გამეტებით დაიწყევლა, — ასაკს, ჟამთასრბოლას დააბრალა ძველი თარიღების დაეწყება. ნავით ხანაპირო შემოვსაზეთ, და იმ ამბავივით ხანდაზმულმა თხრობა თანასოფლელ მეგობარზე სწორედ სტალინგრადთან დაასრულა. ნიშნად გარდუვალი დაბურების, ჩუმად, უხმაუროდ მოფრინავდნენ ტოტებს მოწყვეტილი ნაფლეთები — ჩვენში ოქტომბრამდე მობინადრე. ნაპირს მივადექით ნაოსნები, ლამაზ ფოთოლთყვევის სანახავად, ქარმა ქარვისფერი სამოსელი ზღვაში ჩასაყრელად დაახვავა. ვერხვის საჩრდილობელს შევეფარეთ და თქვა ბერიკაცმა ამოხენებით: — ასეთ შემოდგომის შემხედვარეს თავი გეგონება სამოთხეში, მაგრამ სიბერისგან მოთენთილნი ტოტებს მოწყვეტილნი დავმიწდებით, თუ ჩვენს თავგანწირვას, ფოთლებივით, ნელი დაედება დაეწყების. ჩვენ არ გვიბრძოლია სახელისთვის, მაგრამ გვიფეთქია ყუმბარებად, სისხლის უანგაროდ გაღებისთვის თქვენგან გვღირსებია ყურადღება. და რაც ვიჯახბირეთ შეთქმულებმა — ამბად პოემაში გამოკვანძე, ვიდრე ჯარისკაცად გეგულება შენი ანანია ამბოკაძე. როცა ნალელიანი განშორების წუთი ფოთოლივით ჩამოვარდა, ძველმა კატორღელმა დაკოქრილი ხელი დანანებით ჩამომართვა. სივრცე გამეშალა ბათუმამდე, ნავით გავეთიშე სანაპიროს და რაც მოგონებას დავუმატე,

ჩემმა ნათესავმა მამაკითოს. რაც მის ოდისვას დაეკვლი არქანსული ისიც მომიტკეოს მასპინძელმა მზლინოთქას გზები — წარსულისკენ გასაკვლევ — დროის უკმარობამ გამოგრძელა. და თუ ნამბობი დაწერილი არ მაქვს წინაპართა ბრწყინვალეობით, რა ვქნა, ამვსებია დაწყველილი თავი ყოველდღიურ წერილმანებით... მაგრამ არასოდეს შემბინდლწავს სული თვითგამყოფილ ზარზევით, ძმობა სიმართლისთვის შემფიცავს, სიტყვებს ვიზოგავდი ვაზნებივით. ჯოგი ტალღებისა გასაოცრად ნავში გამობმულა დელფინებად, შხეფი, შეღებილი საღამოსფრად, ტანზე თექასავით ეფინებათ. ცაში ასროლილი, ნათოფარი, როგორც მყინვარწვერი დარიალთან, — წყალის დასალევად გადმომდგარი, ფიქრით მიმაცილებს ამირანშთა. მისი მარადმწვანე კალთებიდან ოქროს დაზვავებას მოვესწარით, — ხვატით დაოსებულ, ანთებიან წარსულს გადასცქერის მოწმესავით. ხსოვნად ჩარჩენია გარდასული ომი პირველყოფილ არმიათა, ბევრი იმპერიის დასასრულის მემატიაწვა ამირანშთა. მიმზერს მიწიერი უკვდავება, უნდა გამიღიმოს, მომეფეროს, მაგრამ პირისახე უკვამლდება, ოდეს გაიხსენებს პრომეთოსს. ოდა-ლეგენდების საკმეველი მისთვის უკმევიათ ელინელებს, და ზედ გრიგალების დამტეველი დროშა აღუმართავთ ლენინელებს. ზღვას და დასალიერს გადმოსცქერის ცისფრად მოციმციმე სამყაროდან, ქვეყნად ამირანის გაცოცხლების, ცეცხლის მოტაცების მახარობლად. დარი უებროთა, უბადლოთა ჩვენში ამირანშთა მრავალია, მაგრამ განდიდება, უკვდავყოფა მხოლოდ ერთადერთის მავალია. ბრწყინავს მოღალანე ბუნებაში, მსგავსად უზარმაზარ ქანდაკების,

ზღვისპირ მოდარაჯე ბუმბერაზი,
 მოწმე ლენინელთა თავდადების.
 გავლა გამოცურვილ მანძილისა
 ვგრძნობდი მომიწევდა გაისადაც,
 და შორს სილუგტი მასპინძლისა
 კი არ გაილია, გაიზარდა.
 მშვიდად გადმოშდგარი ნაცხადგურთან
 კაცი მახსენებდა ხანდაზმული,
 როგორ გადიბუგა, განადგურდა
 ჟამი ცარიზმული, შავრაზმული.
 როგორ უბრძოლიათ განრისხებით,
 რათა გაშლილიყო იალალზე
 მზისფერ ოქტომბრების, მაისების,
 ახალ საქართველოს სილამაზე.
 თითქოს ჭარისკაცი მამარებდა:
 რწმენა შემენახა სიკვდილამდე,
 რომ არ დაეჩრდილა ანგარებებს
 სულის განახლების სიდიადე.
 რომ არ ვყოფილიყავ საძრახველი,
 მსგავსად მოფარფაშე სოფდაგართა,
 რომ არ დამემალა გასამხელი

ძმასთან, ამხანაგთან, მონაგართან,
 რომ არ შემრგებოდა გამყიდველის
 ხელით მორთმეული ლუგმა-პური,
 რომ არ დამრჭმევოდა განდიდების
 სენით შეპყრობილი უმადური.
 ჩრდილი მოხუცისა ირწოდა
 მწვანე ნაპირიდან ნაპირამდის,
 სასწაულეზობივად იზრდებოდა,
 როგორც ორეული ამირანშთის.
 ცხადში გადმოსული მითებიდან
 იდგა დაფიქრებულ ბუმბერაზთან,
 მისი შებოლილი ფილტვებიდან
 ჩემსკენ ნიავეჭარი უბერავდა.
 და შორს ჩამესმოდა, მეთასვედ,
 ძველი კატორღელის ქადაგება:
 დიდი ღირსებაა ქვეყანაზე
 თანდათანობითი დაბადება.
 ჩრდილი, იკაროსის თავგანწირვით,
 წმინდა ლაჭვარდამდე აღიმართა,
 მზარში ამოუდგა, ძმაკაცივით,
 მწვანედ მოზრდღვიალუ ამირანშთა.

მ ა მ ა რ

ა რ მ ა ნ ი

პ რ ო ლ ო ზ ი

საქართველოს უძველესს ციხეებსა და მონასტრებს, ან მათ ნამუსრევებს როცა ვათვალიერებ, გაოცებული ვრჩები: როგორ გადაურჩნენ ჩვენი ბრწყინვალე არქიტექტურის ძეგლები იმ პერმანენტულ შემოსევებს, რომელთაც მრავალი საუკუნის მანძილზე აწარმოებდნენ არაბები, სელჯუკები, მონღოლები, ირანელები და თურქები. უნდა აღინიშნოს: ბიზანტიის, იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის გარდა არც ერთ ერს ასეთი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრების ძეგლები არ გააჩნია: აიღეთ თუ გნებავთ ანანურის, გრემის ბირთვისის, თმოგვის, ვარძიის, ხერთვისის, უჯარმის, გორის, ბულბულის ციხე, ბარაკონი, მუცოს ციხე და მრავალზე მრავალი ციხეები და მონასტრები, იმკამინდელ ხელოვნებათა უძვირფასესი ძეგლები.

მე მუდამ ვტკბებოდი მათი ხილვითა და მათ გარშემო სიარულისაგან.

1548 წელს ოსმალეთის სულტანმა სულეიმანმა წარმოავხანა არზრუმს თავისი სარდალი აჰმედ ფაშა, რომელმაც ოცი ციხე დააქცია, მათ შორის უდიდესნი: თორთუმი, ნეჯა, მისახორ, აშეკალა, შენგერდი, და ისტერცადი. სიმაგრენი ის. პეტრევი 91 გვერდი.

რას გვერჩოდნენ აღმოსავლეთის ეს დაუოცებელი ბარბაროსები? მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმაზე მეტი რაც ბრძენმა გოეტემ ბრძანა: „დი გეშისტე ისტ აინ მიშმაშ ფონ როჰაიტ უნდ გვეალტ“.

ისტორია ბარბაროსობისა და მიძღვარების დომხალიაო.

ადრიანი ახალგაზრდობის ნაყოფიერ შრომას ვეწეოდი უცხო ენების შესათვისებლად, ასე რომ 20 წლის ჰაბუკი უკვე დავეუფლე ლათინურს, ფრანგულსა და გერმანულს, ხოლო იტალიურსა და ინგლისურს ბერლინის უნივერსიტეტის სემინარებში ესწავლობდი.

ნამეტნავად გამოიტაცა პლატონის, წ. ავგუსტინეს, კანტის, კირკეგოს, შოპენჰაუერისა და ნიტცშეს ფილოსოფიამ. 1911 წელს ბერლინურ უნივერსიტეტში სადოქტორო გამოცდის მოთავეების შემდეგ მთელი წლის მანძილზე ვიმოგზაურე იტალიაში.

ჩემს ავტობიოგრაფიაში დეტალურად არ აღმიწერია ის დიდი გაოცება და აღტაცება, რომელნიც მომგვარეს იტალიის ისტორიამ, ამ მშვენიერი ქვეყნის არქიტექტურულმა და მხატვრულმა ძეგლებმა.

იმ წელს გადავწყვიტე ფლორენცია-

ში: ალიგპიერო დანტეს ღვთაებრივი კომპედია მეთარგმნა. 9 თვის მანძილზე ვათვალისწინებდი რომის, ნეაპოლის და ფლორენციის მუზეუმებს. დილის 7 საათზე მეახლებოდა გიდი თავის ეტლზე აღმხედრებული, და შევეუდგებოდი მუზეუმებისაკენ მიმავალ გზას.

ჩერ კიდევ ჯერმანულ უნივერსიტეტებში ბეჭითად ვსწავლობდი იტალიისა და პაპიზმის ისტორიას, ჩემი ხელმძღვანელნი იყვნენ ჩემს მიერ მარადის დაუვიწყარი დიდი მეცნიერები: აკადემიკოსი ედუარდ შაიერი და პროფესორი ა. ტანგლ.

იტალიაშივე აღმეძრა ცხოველი ინტერესი აღმოსავლეთის ისტორიისადმი, უკეთ რომა ვთქვათ ისტორიებისადმი. უწინარესს ყოვლისა შევეცადე ჭვაროსნული ომების ისტორიის შესწავლას.

ჩემს ხელში იყვნენ: ვატიკანის ბიბლიოთეკის ყველა საუნჯენი; მრავალტომიანი არაბული ქრონიკის ფრანგული თარგმანი „ლისტუარ დე კრუსად“, იბნ ალასირის მრავალტომიანი ქრონიკები, უდიდესი ენციკლოპედიები დასავლეთში გამოცემულნი.

საქართველოში რა დავბრუნდი, მყისვე მეკეთენენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები: ექვთიმე თაყაიშვილი და ივანე ჯავახიშვილი. ხოლო შემდეგ წლებში პროფესორი გრიგოლ წერეთელი, მსოფლიო რეზონანსის პატრონი მეცნიერი. საქართველოს ისტორიის მხატვრული ასახვა მომთხოვეს.

მერმე ის იყო მივადექი ტფილისური უნივერსიტეტის მდიდარ ისტორიულ ლიტერატურას და შესანიშნავ ბიბლიოთეკას, რომელიც იმ წლებში აწინდელი ბიონერთა სასახლეში და ბოლოხანს საჯარო ბიბლიოთეკაში გადაიტანეს.

უწინარეს ყოვლისა მე შევეუდექი ბიზანტიისა და სომხეთის ისტორიას. საერთოდ კავკასიის ხალხების ისტორიების ათვისებაში ფრიად შემიწყო ხელი პარიზული „ეურნალ აზიატიკის“ ტომებმა, დაახლოებით ათას ხუთასი ეგზემპლარი გადაეძქე.

აქ დიდ დახმარებას მიწევდა ჩემი მე-

გობარი, აწ განსვენებულ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს, ყვეხელოვანი გრეცისტი, ბერძნულს მაპირტყსებს გამშიფრველი.

ოცი წლის შემდეგ ეს სახელოვანი ჩემი კონსულტანტი შესცვალა ჩემმა მეგობარმა, ჩემმა მთავარმა კონსულტანტმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა, რომელმაც ჩვენი თაობის თვალწინ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა როგორც ორიენტალისტმა.

ბოლოს შევეუდექი „ქართლის ცხოვრების“ გულმოდგინედ შესწავლას. ყოველივე ამ ღონისძიებათა ნაყოფია ის გარემოება, რომელმაც შემამღებინა გიორგი I ბაგრატიონის, გიორგი II და დავით აღმაშენებლის გაცოცხლება ჩემი ცხოვრების ორმოცი წელი შევწირე ამ გმირების ცხოვრებას.

მე არ ვინატრებდი არც აკადემიკოსობას, არც მსოფლიო რეზონანსის მწერლის სახელს, ენატრობ და ვნანობ მხოლოდ იმას, რომ მე არ გამაჩინა არსთაგანშირეგმ თამარისა და ლაშა გიორგის რომელიმე ლაშქრის მთავარსარდლად.

აეისმჩხრეკელები იმჟამად მე მიწოდებდნენ ბაგრატიონების მეხოტბეს და იმას ვერა ხედავდნენ რომ მე ბაგრატიონთა პირისფარეშობას როდი მიველტვოდი, არამედ გამოსახვას იმ გიგანტური ომებისა, რომელნიც ამ გმირებმა ჩაატარეს საქართველოს, სომხეთისა და საერთოდ კავკასიის გამუსლიმების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებს. საქართველოს ამ 15 საუკუნის მანძილზე ასზე მეტი მეფე ჰყოლია, მაგრამ ზოგ მათგანის სადიდებლად ჩემს კალამს არ ჩავაწობდი მელანში.

ვინც ჭვაროსნული ომების ისტორიებს თუნდაც ზერეულად გაეცნობა, განცვიფრდება უთუოდ: როგორ მოითმინეს სელჯუკებმა, რომელნიც ჭვაროსან რაინდების მრავალათასიან არმიებს ებრძოდნენ ბიზანტიის სამანებთან, თავიანთი ლაშქრების ზურგს უკან დავითისა და თამარის სახელმწიფოთა ენერგიული შეტევანი.

როგორც მოგესხენებათ, დავით აღმაშენებლის მკვდრეთით აღდგენას მე

შევწირე ჩემი შეგნებული ცხოვრების ერთი ნახევარი, ე. ი. 25 წელი. თუ გიორგი პირველის ისტორიის შესწავლიდან შემორჩენილი მასალები დავითს მივახმარე, ამ გმირის ცხოვრებისა და ბრძოლების შესწავლისას გადმონაშთი მასალები გიორგი მესამის და მისი სახელოვანი ასულის, დიდი თამარის ისტორიისათვის მაქვს განკუთვნილი.

ცხადია, რომანი ეს უბრწყინვალესი ტრამპლინი სულთა მიგრაციისა და მზე-გადასულთა გასაცოცხლებელი ფაქტორი უბადლოა და შეუდარებელი.

მე უკვე რვა წლის ბიჭუნა ვიყავი, როცა „ქართლის ცხოვრება“ მომიტანა ჩემმა მარადის დაუვიწყარმა დედამ.

ერთხელ მან შემოიხედა ჩემს ოთახში და დამინახა, წიგნზე დამხობილი რომ ვტიროდი.

რა გატირებსო, შვილიყო? შემევიტხა დედა.

თამარი მომკვდარა მეთქი.

ის დღე მარადის დაუვიწყარი დარჩება ჩემს ხსოვნაში. სამი სიცოცხლე რომ მომანიჭოს არსთავანმრიგემ, სამივეს გაგწირავდი ჩვენი ლამაზი დედის, დიდი თამარის სადიდებლად.

მე უდიდესის მღელვარებით ავიღე ამ შემთხვევაში კალამი ხელში. თამარი ქართველმა ხალხმა წმინდანად შერაცხა, ახლა, ავტორო, მიდი და მისი ადამიანური ვნებები გამოსახე.

არაფერია, ბარიერებს იმადაც აგებენ ჰიპოდრომებზე, მუხლმაგარ ცხენების გამძლეობა რომ აჩვენონ ხალხს.

არა ერთ ათას ლამეს გავათენებ ამ დიდი საქმისათვის და აპოლონი, რომელიც მუდამ მფარველობდა ჩემს მარჯვენას, არ ინებებს ჩემს დამარცხებას.

თუ ჩემმა მუზამ და ჭერაც დაუღალავმა მარჯვენამ არ მიღალატა, რვა საუკუნის წინ გარდაცვლილ დიდ თამარს კვლავ გავაცოცხლებ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს, საქართველოსა და მთელი კულტურული მსოფლიოს თვალთა წინაშე.

ტფილისი, 1969, 5, XI

კოლხური კოშკი.

I შ უ რ ი ს მ ხ ა ე ლ ი

გ ა რ კ ე ნ ე უ ლ ი

2 0 2 3

ტფილისში გვიან მოვიდა განაფხულად ათას ას ორმოცდათექვსმეტ წელს, ისინის სასახლის ქონგურებს უამრავი მერცხალი შემოეხიზნა. გახარებულმა ფრთოსნებმა მიაკითხეს თავიანთ ბუდეებს.

იმ დღეებში უცნაური ამბავი მოხდა ერთი, რომლის დარი არც დავით აღმაშენებლის, არც მისი ვაჟის დემეტრეს-ქამინდელ მესტუმრეთ, მელვინეთ და მეჩინბეთუხუცესებს არ უნახავთ.

მარნებსა და თავლებს აურაცხელი სინდიოფალა შემოესია. პირველსავე ლამეს ასი ფრთა ინდაური და ქათამი გაგუდეს და სისხლი გამოსწოვეს.

ეს ციყვისდარი მღრღნელები უცნაურად ჰყარდნენ, სკორესა ჰყრიდნენ ციხეთა ეზოებში, სავსებით წაბილწეს მარნები, საწინებელები და ქვევრის თავები.

ეს სათავსოები ვერცხლისიანი იყვნენ, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ჭერ კიდევ დავით აღმაშენებელს მოუწყვია ისინი, ზოლო დემეტრეს ერთი მარანი მიუშენებია მთავარ მარნებისათვის.

მელვინენი აღშფოთებულნი იყვნენ, რადგან თავს მოხდიდნენ თუ არა ქვევრებს, სინდიოფალები თავდაყირა ცვივოდნენ შიგ.

უფლსწულის გიორგის კარისკაცებს რატომღაც ურყევად სჭეროდათ, რომ სინდიოფალების დახოცვით გაანაწყენებდნენ ღმერთს, ამიტომაც ხელს არ ახლებდნენ მათ.

ერთმა მოხუცმა მეჩინბემ ჭიტესამ თავზე მოიფხანა და სთქვა:

„მაგ ტიალი სინდიოფალების შელოცვა იცის ერთმა ბერმა ბეთანიაში. კიმოთე რქმევია მაგ ბერს“.

მესტუმრეთუხუცესმა მალემსროლი წარგაზვნა ბეთანიას.

მეორე დღეს მოიყვანეს კიმოთე ბერი, იგი ბრმა აღმოჩნდა. მან ნაკურთხე წყალი ამოაღებინა ხურჭინდან, მარნებისა და თავლების კუთხეებში მოასხმევინა, შემდეგ შეიმოსა, საკმეველი და-

აქმია, თავისი ყავარჯენი დააბრახუნა და მჭახე ხმით უყვირა სინდიოფალებს, შემდგომ ამისა გამოლოცვას შეუდგა:

„ღმერთო ღმერთთაო და უფალო უფლებათაო, რომელი ცეცხლისფერთა ზეცისა გუნდთა შემოქმედი ხარ და უნიუთოთა ძალთა დამბადებელი, რომელმან ოდესმე მთავარი მხედრობათა აღზავნა რა და თვისნი წესნი ურჩებით შეურაცყო, ქვეყნად გარდამოსთხიე და იმისათნა ანგელოზნი თვისისა სიბოროტისაგან ეშმაკ რა იქმნეს. ბნელისა ქვესკნელისასა და სიღრმესა ტარტაროზისასა მისცენ, აწ შერისხვა ესე საშინელ იქმნეს მათ ზედა, რათა ექმნეს შემამრწუნებელ მთავარსა მას უკეთურებისასა და ყოველთა ბანაკთა მისთა. შერისხენ, რომელმან ერთარსება სწამა, რომელმან ქართა შერისხნა და ღელვანი ზღვისანი დააყუნდა, რომელმან გუნდნი იგი ეშმაკთანი წარპდევნა.“

შეშინდით, არა წმინდანო, გამოვედით, განგვეშორეთ და ივლტოდეთ წარდევნილი ყოველი ეშმაკი არა-წმინდა, ბოროტი და საძაველი, ქვესკნელისა, სიღრმისა, უფსკრულისა, ტარტაროზისა, ამოაუბისა, მაცთურებისა, ვინცა ხარ შენ და სადაითცა აღმოხველ, ვითარცა რა ხარ, გინა ბელზებელ, გინა აშტაროტ, გინა მოლოზ, გინა ცერბერუს, გინა ასმოდეოს, გინა ამპარტავენებისა, გინა მხეცთთა მგზავსი, გინა გველის სახე, ან თუ კვამლის სახედ გამოჩინებული, გინა ვითარცა ცეცხლის შეცუალებული, გინა საოცრებით გამოჩინებული, ვითარცა მამალი, გინა დედალო, ვითარცა მფრინველი, გინა ქვეწარმავალი. შენ ყოველთა ბოროტთა მომპოვნებლო და მასწავლებლო ეშმაკო, მუნ დაემკვიდრე, რამეთუ დიდ არს შიში უფლისა და დიდებულ არს დიდება მისი და ყოველივე შიშით ჰმონებს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.“

ბოლოს მიიძახა: „არული. არული!“

იმ ღამესვე აიყარნენ დედაწულიანად სინდიოფალები და სადღაც გაუჩინარდნენ. დიდმა და მცირემ ირწმუნა, მართ-

ლაც ეშმაკეულის მოძალეებით თუ რყოლ გამოწვეული სინდიოფალებს შემოსევა.

მესტუმრეთუხუცესის ბრძანებისამებრ კიმოთე ბერი დაასაჩუქრეს და ეტლით გაისტუმრეს ბეთანიას. გამგეთუხუცესს, მესტუმრეთუხუცესს, მანდატურთუხუცესს ღამე არ ეძინათ, რადგან უფლისწულის გიორგის შეფედკურთხევას კვირძალი იყო.

მენადირეებმა და მერემეებმა საერისთავოებიდან მორეკეს ირმების, მშვლების და ჭვირნების რემანი. ისინი საზეიმო დღისათვის შემონახული ჰყავდათ თუხარისის, თმოგვისა, ხერთვისისა, ოქროსციხისა, ბულბულისციხისა და ლორეს ციხისთავეს.

* * *

მაისის თორმეტს ისნის სასახლის პირველი გოდოლის ზეთაეზე მზის საათმა თორმეტი უჩვენა, ქოსსა ჰკრეს ისნის, კალასციხესა და შურისციხეში. გაისმა დაფდაფების ერთობლივი ხმა. ისნის სასახლიდან გამობრძანდნენ უფლისწული გიორგი, მეუღლე მისი ბურღუხან, სრულიად საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე, ამირსპასალარი ყუბასარ, უფლისწულის სიყრმის მეგობარი, სპასპეტი ქავთარ არიშინი, ერისთავები, მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები, ქვეითად გაემართნენ სიონის ტაძრისაკენ.

ორი ათასი თორსანი რაინდი ცხენდაცხენ მოჰყვებოდა ამ საზეიმო კორტეცს. ნასუქალ ულაყებს ძლივს უყავებდნენ თავ-კისერს მათივე მხედრები. დუემორეული ცხენები ჰიხვინებდნენ და გააყვებულნი ღრღინდნენ ლაყამს.

ციხეებიდან, მონასტრებიდან, ეკლესიის ეზოებიდან გამოცვივდა აუარებელი ხალხი, მონაზვნები, ბერები, ფეხშიშველა მათხოვრები, ბალღები გასულყვენ სახლებისა და ხეების ზეთაეებზე. ყურთასმენა არ იყო მათი ევიელისაგან.

მოსეირენი ჩოჩქოლობდნენ, იდაყვე-
ბით ივლეოდნენ გზას, რათა თვალთ
ენახათ დავით აღმაშენებლის შვილის-
შვილი „მწითურ და მშვენიერ თვალი-
თა“, რომელიც უმეტეს დროს ან ომებ-
ში ატარებდა, ან ნადირობაში ერთობო-
და, ხანაც ნაჭარმაგვევის სათამაშო სა-
სახლეში ნადიმობდა. მოსეირენი არად
აგდებდნენ ქონდაქართა და მონასპათა
მუქროსა და ხანაც მუდარას.

უფლისწულს გიორგის ძერასფერი
მუზარადი ეხურა თავზე, ტანზე საკურ-
ტავე ჯაჭვი ეცვა საღმრთაურისა. იგი
ახოვანი იყო, მხარგრძელი და ბეჭ-
ბრტყელი.

მას მხარმარჯენით სადედოფლო ბურ-
დუნანი ახლდა, მხარმარცხენით კათალი-
კოსი, მიდიოდა დინჯად, ხანგამოშვებით
ალურსიან მხერას შეაელებდა ხეებისა
და სახლების ზეთავებზე მოკიფივე ბი-
ჭუნებს, რომელიც გახარებულნი შე-
სცქეროდნენ მომავალ მეფეს.

სიონის ტაძარში შესვლისას კათა-
ლიკოსი წინ წარუძღვა უფლისწულსა
და მის მეუღლეს. საკურთხევლის წინ
შესდგა და ლაღად ჰყო:

„უფალო, ღმერთო ჩვენო, მეუფეო
უფლებათაო, შენ გვედრებდი და გე-
ვედრებდი ამიერიდან მეფე ჩვენი გიორ-
გი, რომელიც სამართლად ღირსებისა
შერაცხე მეფობად ქვეყანასა ზედა,
განაძლიერე ესე და დაუმორჩილე
მას ყოველნი ნათესავენი, ურწმუნონი,
განაძლიერე ესე ბრძოლისა, კეთილ-
სინდისიერებისა მტერთა მიმართ და შე-
არტყ წელთა მისთა სარტყელი, სიმტკი-
ციისა, დაადგი თავსა მისსა ჩაფხუტად
გვირგვინი მადლისა შენისაჲ“.

ახლა უკვე მეფე გიორგის მიმართა
კათალიკოსმა:

„მისთვის გცხო უფალმან ღმერთმან
ჩვენმან მური და შტახსი და კასია“.

ახლა დედოფალს მიუბრუნდა კათა-
ლიკოსი:

„დადგა დედოფალი მარჯენით შენსა
სამოსლითა ოქროსქსოვილითა შემკუ-
ლი“.

კვლავ მეფე გიორგის მიმართა კათა-
ლიკოსმა:

„შეიბ მახვილი წელთა შენთაჲ ქლუფესა
რო, შეუნიერებითა შენითა“.

დაიკონმა კვერეჭი წაიკითხა. კათა-
ლიკოსმა სამგზის გადაწერა ჯვარი მე-
ფესა და დედოფალს და წარსთქვა:
„გვირგვინოსან იქნების მეფე ჩვენი
გიორგი სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა. ამინ“.

ტფილისის მიტროპოლიტმა დავით
აღმაშენებლისეული ოქროს გვირგვინი
მიართვა კათალიკოსს, მან ხელში აიღო.
იგი, გიორგის დაადგა თავზე.

ისნის სასახლის დარბაზონებში შე-
სვლისას გიორგი მეფის მარჯვენა ხელი
ეჭირა კათალიკოსს, ხოლო მარცხენა—
ჰყონდიდელს. ჯვარისმტვირთველს ძე-
ლი ცხოვრების ჯვარი ხელთ ეპყრა.

პირველად დედოფალმა თავყვანი სცა
მეფეს, მერმე ჰყონდიდელმა, ათაბაგმა,
ამირსპასალარმა და მანდატურთუხუ-
ცესმა, მეჭურჭლეთუხუცესმა, გამგეთ-
უხუცესმა და ეჭვსმა სპასპეტმა.

მეორე დარბაზონში გასვლის წინ
გვირგვინი მოიხადეს მეფემ და დედო-
ფალმა.

დაიწყო დიდი დარბაზობა. კათალი-
კოსმა ბრძანა და დასხდნენ მარჯვენით
მეფისა და დედოფლისა ნატებსა და ბა-
ლიშებზე.

ჰყონდიდელი დაჯდა მარჯვენით მე-
ფისა, ნატსა და ბალიშზე. შემოვიდა
სომხითის მიტროპოლიტი და დაჯდა
ნატსა და ბალიშზე. შემოვიდა მთავარ-
ეპისკოპოსი და დაჯდა სომხითის მიტ-
როპოლიტის ქვემოლ, აგრეთვე ნატსა და
ბალიშზე. შემოვიდა მაწყვერელი და
დაჯდა მთავარეპისკოპოსის ქვემოლ ნატ-
ზე და უბალიშოდ.

შემოვიდა ალავერდელი და დაჯდა
ჰყონდიდელის ქვემოლ ნატზე და უბა-
ლიშოდ. შემოვიდა ქიზიყელი და დაჯდა
ალავერდელის ქვემოლ უნატოდ. შემო-
ვიდა კუმურდოელი და დაჯდა ქიზიყე-
ლის ქვემოლ.

შემოვიდა ნინოწმინდელი, დაჯდა ქი-
ზიყელის ქვემოლ.

შემოვიდა იზხელი და დაჯდა კუმურდოელის ქვემოლ.

შემოვიდა ანჩელი და დაჯდა ნინოწმინდელის ქვემოლ. შემოვიდა მტბევა-რი და დაჯდა ანჩელის ქვემოლ.

შემოვიდა წურწყაბელი და დაჯდა მტბევარის ქვემოლ. შემოვიდა წყაროსთაველი და დაჯდა წურწყაბელის ქვე-მოლ. შემოვიდა ერუშნელი და დაჯ-და წყაროსთაველის ქვემოლ. შემოვიდა მანგლელი და დაჯდა ერუშნელის ქვე-მოლ. შემოვიდა წინწყაროელი და დაჯ-და მანგლელის ქვემოლ.

შემოვიდა რუსთველი და დაჯდა წინ-წყაროელის ქვემოლ. შემოვიდა კაწარე-ლი და დაჯდა წილენელის ქვემოლ. შე-მოვიდა ურბნელი და დაჯდა კაწარელის ქვემოლ. შემოვიდა მროველი და დაჯდა ურბნელის ქვემოლ.

შემოვიდა სამთაველი და დაჯდა მროველის ქვემოლ. შემოვიდა ნიჭოზე-ლი და დაჯდა სამთაველის ქვემოლ. კიდევ და კიდევ შემოვიდნენ: ვალარ-შკერტელი, ბოლნელი, ხარჭაშნელი, ტფილელი, ბანელი, ქურემქალაქელი, წალკელი, დმანელი, დადაშნელი, გიშე-ლი და თავთავიანთი ადგილი დაიკავეს.

II კალხუვანის დალაშქრვა

დღეის ზეიმით მოხდა გიორგი მე-ფის კალხუვანს გალაშქრება. კათალი-კოსმა პარაკლისი გადაიხადა სიონის ტაძარში და გამარჯვება უსურვა მეფესა და მის ლაშქარს.

იმეამად კალხუვენის მპყრობელი იყო ხლათის სულთანნი შაჰ არმენ, ფრიად უშიშარი და მამაცი მეომარი, ჭვაროსან-თა წინააღმდეგ ნიადაგ მებრძოლი, ქრისტიან ქართველთა, სომეხთა და ბი-ზანტიელთა მოსისხარი მტერი.

იგი ხანგრძლივად ლაშქრობდა სირია-ში, ბოლოს გამარჯვებულად შინმობრუ-ნებული ავრე იქადნოდა: ჭვაროსნებს-ჩაერი ამოვიყარე, ახლა ქართველებისა და სომეხების ჯერი დადგაო.

ეს ყოველივე სომეხმა ბერებმა აღწ-ყეს გიორგი მეფეს. გიორგიმ მარბიე-ლი ლაშქარი წარგზავნა კალხუვანს, ბო-

ლოს კალხუვანს თავით ჩაევიდა ლაშქ-რითურთ.

შაჰ არმენ ციხეთა მისაღწეობითან დაუხვდა ქართულ ლაშქარს, მაგრამ პირველსავე ხმლის მოკიდებისას უკუ-იქცა და ციხეში გამაგრდა.

გიორგი მეფემ ტარანები და ლოდ-სატყორცნები მიუსია ციხეებს, სამი მზგეფისს მანძილზე ებრძოლა მტერს.

შაჰ არმენ კალხუვანის ღედაციხის ხერელიდან გაიპარა ღამით. მეფე და ამირსპასალარი ციხეში შეიკრნენ, მე-ციხოვნენი შეიპყრეს.

მერმე ის იყო, ქართულმა ლაშქარმა დიდძალი ალაფი აიღო, ოქრო და ვერ-ცხლით დატვირთეს აქლემები და ჯო-რები, უამრავი კარვები და ტახტრევა-ნები თან წამოიღეს და გამარჯვებული მეფე დაბრუნდა ტფილისს.

სომხეთიდან უსიამო ამბები მოჰქონ-დათ მსტოვარებს. ქრისტიან სომეხებს უწყალოდ ხოცავდნენ სელჯუკიანები. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა — გა-ათავისუფლა ანისი და აოტნა დამარც-ხებულნი თურქნი. დავითის ვაჟმა დე-მეტრემ არაერთხელ ილაშქრა ანისში.

მერმე როგორც მატთან გვაუწყებს: „მეფეთა მეფე დემეტრე მკვიდრცა არს მარჯუენით იესო ქრისტესსა, დამ-კვიდრებული და მიანიჭა ძესა მისსა მე-ფობა ღმრთა უზენაესსა და: არწიეთა უმაღლესსა და მისცა ღმერთან ურიც-ხვი ძლევა და გამარჯვება ყოველთა წი-ნალმდგომთა მისთა ზედა. იყო გამარ-ჯუება მისი, რომელ მცირეთა ერთი სძლია ფრიცხესა მას სიმრავლესა ბარ-ბაროზთა და მოკვლითა და ტყვეობითა მოსწყვიტა ოცდათექუსმეტი ათასი კა-ცი. დაუტევეს საქურველნი. ურიცხვი კარვები, ზენი, აბჯარი და ყოველი ნა-ქონები მათი.

დაიპყრეს თავადი ამირაები, ამირა სუქმანისძე“!

1 იფელისხეება ამირ სოქმანის ოჯახი, ორი ძმა სოქმანი. მამაცი ვაჟაკები, ისინი ხანგრძ-ლივად ებრძოდნენ ჭვაროსნებს სირიასა და პა-ლესტინაში.

ეს ამბავი მოხდა 556 წ. ე. ი. 1161 წლის ივნისს. გიორგი მეფემ გათენებინას აიღო ანისი. როგორც ციხეებში, ისე მის მონადგომებში დიდძალი მუსულმანი დაატყვევეს. ეკლესიებში ატყდა ზარების რეკვა. გახარებული მოსახლეობა წინ შემოეგება მეფეს.

გიორგი მეფემ შეიპყრო შადადის ძმა ამირ ფადლუნი.¹

ამ გამარჯვების შემდეგ მეფე სპიანად ჩავიდა შარაკს. აქ მას თან ახლდნენ იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სვიმონქნილი, ამირახორი ლიპარიტ სუმბატისძე, ბექა სურამელი და ქირჩიშ აბულეთისძე.

განთავისუფლებული ანისი გიორგი მეფემ ჩაბარა ამირსპასალარს ივანეს, ორი ათასი რჩეული მეომარი დაუტოვა მასვე.

ავგისტოს თვეში ანისელმა მუსულმანებმა მოიწვიეს ხლათის სულტანი შაპ არმენ ბენ იბრაჰიმ სოკმანი ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლად. შაპ არმენ: ანისს თავს დაესხა, რვა ათასი მონასპის თანხლებით. გიორგი მეფეს წინასწარ აუწყა ეს ამბავი ამირსპასალარმა ივანემ.

მეფე დაუყოვნებლივ ჩავიდა სპიანად ანისს. ამ ომში შეიღი ათასი მეომარი დაუხოცეს მტერს. ქართულ ლაშქარს ტყვედ ჩაუვარდა ორი ათასი ყმა და ექვსი მთავარი, ასორმოცდაათი დიდი ამირა. დავლად ერგოთ უამრავი ცხენები, აქლემები და ჯორები.

გამარჯვებულმა მეფემ ანისიდან ყველა ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები გამოისყიდა, ორმოცი ათასი დრაჰკანი დაურიგა უპოვართა და ქვრივ-ოპოლთა.

ქართული ლაშქრის მიერ ანისის აღება მთლად გააცოფა მუსლიმთა ამირები და ათაბაგები. მათმა გაერთიანებულმა ლაშქარმა ციხე გავი აიღო, გიორგი მეფე დაუყოვნებლივ მიეშველა

სომხებს. გავის ციხის სანახებში შეებრძოლა მუსლიმურ კოალიციას მტერთა უკუაქცია, მაგრამ მარბიულმა მუსულმანებმა არ დაადევნა, ალბათ, მონასპათა უკმარობის გამო.

უკუტყეული ელდიგუზ ათაბაგი კვლავ შემოესია საქართველოს სამზღვრებს. გიორგი მეფის გამოჩენამ იკმარა, ელდიგუზ სპიანად უკუიქცა და დიდძალი „ქურჭელი და ტყვეები“ დასტოვა. ამჯერად ასი ათასი მონასპა თან ახლდა ათაბაგს.

ომებისა და ბიჯაკებისაგან დაქანცული გიორგი ლორესა და დმანისის ციხეთა სანახებში ნადირობდა.

ხლათის სულტანმა შაპ არმენმა მოციქულნი წარმოგზავნა მეფესთან და დაზავება ითხოვა, მაგრამ მეფემ სულ მალე გამოარკვია, რომ ეს მოციქულნი იყვნენ მსტოვარნი „ამხილველნი და გამომხილველნი ქართულ ლაშქართა დგომისა“.

სულტანი და ათაბაგი სპიანად მოადგნენ გელაქუნს, იქიდან ანისის ციხეს დაესხნენ თავს. იქეამად ანისს განაგებდა სახელგანთქმული მოლაშქრე თორელი. მან განაგზავნა „საბრძოლო მანქანანი“.

გიორგი მეფე უზომოდ გააბეზრა ანისის დაცვამ. მეფეს გაეხარდა, როცა ელდიგუზ ათაბაგმა ზავი ითხოვა. შერიგების შუამავლობა იკისრა გიორგის დამ, რუსუდანმა. იგი სულტნის ცოლყოფილი იყო. ბოლოს გადაწყდა: ანისი გადაეცა მეფეს რომელიმე მუსლიმ დიდგვარიანისთვის. ასეთ კაცად მიჩნეულ იქნა არსლან ბენ მაჰმუდ.

შინმობრუნებულ გიორგის ახლა შინაური მტრები გადაევიდნენ, მაგრამ მეფემ „წარსცა ზავი და ფიცნი“.

III თაჰვისალეზისაგან აბაგული მჩაიტი

ახლადმეუღლეობულნი ნაჭარმაგვის სათამაშო სასახლეში ამირებდნენ წასვლას და სწორედ წინა დღეს ისინი სასახლის პირველ გოდოლს მოადგა

¹ ივლისსხემა ამირ ფადლონი, აგრეთვე დიდი ვეჯატი, რომელმაც მრავალჯერ თავი ისახელა ჭვაროსან რაინდების წინააღმდეგ გამართულ ომებში, შეადარე „გვსტა ფრანკორუმ ვტ აღიორუმ იერუსალიმტორუმ“.

შვიდი ჯორჯიანი, ისინი შავად იყვნენ მოსილინი, შავ-შავი ბერული კუნკული ეხურათ თავზე, გარეგნულად ბერებს წაგავდნენ, — მაგრამ ყოველ მათგანს დაშნები ჰქონდა ჯვალოს მოსასხამებს ქვეშ, ხოლო შავი კუნკულებიდან მუზარადები მოსჩანდნენ.

ციხისთავს არდაშელს შეევედრნენ ახლადმოსულნი — იქნებ მოხერხდესო მეფე გიორგის ნახვა. ციხისთავი გაცდა: იგი აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის კარზე იყო ნამსახური და აროდეს ენახა ასე ადრე მოსული სტუმრები. ციხისთავმა არდაშელმა პირველი გოდოლის შვის საათზე მიუთითა სტუმართა შორის უხუცესს და აგრე უთხრა:

„რასა ჰპრძანებთ, უფალო, სად გავიწილა ასე ადრე მეფის შეწუხება“.

ბოლოს ციხისთავმა ახმობინა მესტუმრეთუხუცესი. არც მესტუმრეთუხუცესს დაუჯდა ჰქუაში სტუმრების თხოვნა. მან თავაზიანად შეიპატიჟა ისინი საოსტიგნოში.

როცა სტუმრებმა ჯვალოს მოსასხამები გაიხადეს და მუზარადები მოიხსნეს, შვიდივენი თორჯიანის აღმოჩნდნენ. ყველას ოქროს ჯვრები ეკიდათ მკერდზე.

სტუმრები დანაყრდნენ, სულ მცირე უამი გავიდა და მესტუმრეთუხუცესმა ამცნო ახლადმოსულთა, მეფეთ მეფე გიორგი სადაცაა სადარბაზოში გამობრძანდებო.

სტუმართა შორის უხუცესი დვინის ეპისკოპოსი აღმოჩნდა, ოვანეზ, რომელსაც თურმე კარგად იცნობდა მესტუმრეთუხუცესი. იგი სხვადასხვა დროს სელჯუკიანებთან მებრძოლ სომხურ ჯარებს უძღოდა წინ და თავათაც ხმლით მუსრავდა უშჯულოებს.

ახლა თვალი შეავლო ოვანეზის მეინახეებს მესტუმრეთუხუცესმა და ჰკითხა: ეს დანარჩენიც მონაზონნი არიანო, მამაო?

„ყველანი, მიუგო ოვანეზმა, ოთხი მათგანი კილიკელია, ორიც ანელი“. ესა სთქვა ოვანეზმა, კარი გაიღო ამირ-

სპასალარი შემობრძანდა, და მეფეთმეფე გიორგისთან მიიწვია მსტუმრები.

მეფემ იცნო ეპისკოპოსი ოვანეზი, მისი თეთრი წვერ-ულვაშისა და ნახმლეუებით დაღარული სახის მიუხედავად. ოვანეზ მიეახლა მეფეს, მუხლის თავზე ეამბორა და მოახსენა: „ჩვენ გეახელით მეფე ბატონო, ყოველთა სომეხთა კათალიკოსის ბძრანებისამებრ. მისმა უწმინდესობამ უწინარეს ყოვლისა დაგვაბარა დიდი საღამი თქვენთან და ვისურვით მრავალყამიერი სიცოცხლე უშჯულოთა შესამუსტერელად“.

მერმე აქ შესდგა ოვანეზი (იგი ოღნავ უკიდებდა ენას), ბოლოს განაგრძო: „გასულ კვირიაკეს დვინში დიდი ღრეობა ჰქონდათ გამართული ჩვენს მოსისხარ მტრებს, ღვთის მიერ შეჩვენებულს შაპ არმენს, სულტან არსლან შაპ იზნ ტოლრილ ბეგს, შამს ედლინ დოქუშს, არხანის მპყრობელს ფასრ ედლინსა და განძის ამირას აბდულაჰ ბენ მაჰმულს.“

ეს ღრეობა, როგორც ჩვენ გავიგეთ ჩვენივე მსტოვართა პირიდან, მთ გამართეს ერთი საშინელი საქმის გამო. ყოველთა სომეხთა კათალიკოსმა შემოგითვალათ: ვიღუპებით და დაგვიხსენიო. თუ დვინს ჩამობრძანებას ინებებთ თავათ იხილავთ ისეთ რამეს, რისი მსგავსი ჯერ არავის უხილავს და სმენია მთელს საქართველოში“.

„მე ვაპირებდი დვინს გამოლაშქრებას, მამაო ოვანეზ, მაგრამ ახალი წლის კვირაძალში“.

„თქვენი მობრძანება დაუყოვნებლივ საშურთა, რა თქმა უნდა, სპიანად ასე შემოგავედრათ კათალიკოსმა. მთავარზე უმთავრესი ეგაა, ისევ ჩვენმა მსტორებმა გვამცნეს, რომ უშჯულოებს გადაწყვეტილი აქვთ, ამ თვის დამლევს ილაშქრონ საქართველოში. ცხადზე უცხადესია და თქვენ ჩვენზე უკეთ უწყით, მეფე ბატონო, ოდითგანვე უანდერძებით თქვენსა და ჩვენს წინაპრებს: სჯობს მტერს დაასწრო თავდასხმა“.

გიორგი აღვა და სთქვა:

„ერთი მზგეფსიც არ გაივლის და მე დღინში ვიქნები სპიანად“. ოვპანეზმა და მისმა მხლებლებმა არ ინდომეს შინ მიბრუნება, აგრე ამბობდნენ: აქეთობას მრავალგზის დაგვესხნენ თავს და გვიჯობს შეფეთ-მეფე გიორგის სპას მივეკედლოთო.

• • •

მეფემ ბრძანა და იმავე საღამოს აწვიეს დარბაზისგან ბჭობა გათენებამდე გაგრძელდა.

სტუმრები დააპურეს, წყალობითა შემოსეს და მეორე დღეს გიორგი მეფემ იხმო ამირსპასალარი, კათალიკოსი, ეპისკოპოსები და აუწყა მათ ყოველივე.

გიორგი მეფემ ისიც სთქვა: სომხეთს მეტად უჭირს და ჩვენი ვალია გამოვექომაგოთო.

უნდა ითქვას, ეს ბერი ოვპანეზი, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, უბრალო ბერი როდია, იგი ვახლავთ ნახიჭეანის ეპისკოპოსი, დიდი ვაჟკაცი. იგი ახრით შემოსილი ანისის მისადგომებთან მრავალჯერ შებრძოლებია სელჯუკიანებს.

ახლა ცხადზე უცხადესია, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევეუდგეთ საომარ მზადებას. ეს ყოველივე მით უფრო საშურთა, რომ წინა კვირას ჩვენმა მტოვრებმა ც ვაუწყეს: სულთან შაჰ არმენ, სულთან არსლან შაჰ იბნ ტოდრილ ბეგ, შაჰს ედღინ დოქუშ და არხანის მფლობელი ფასრ ედღინ ხვანჯებს გვიწყობენ, ვანძის ამირასთან მისვლა-მოსვლა აქვთ გამალბული“.

ესა თქვა მეფემ და მიმართა ამირსპასალარს: „ახლავე დაგზავნეთ წვევის წიგნი საერისთავოებში“.

IV ღვინს გალაშქრება

სამშაბათს დენა იწყეს ლაშქართა, მოვიდნენ ტაოელნი, კარელნი, ჯავახეთელნი, აფხაზნი, ეგრისელები, სვანნი და ოვსნი, ქართლისა და ჰერეთის სპანი. არც ციხეებში, არც მონასტერთა და ეკ-

ლესიათა ეზოებში ტყვა არ იყო. არამც თუ მონასპანი, მათი წინამდგომნი უბრალოდ დარჩნენ, რადგან კარგეში უკმაში არ აღმოჩნდნენ.

მეორე დღეს უთენია ქოსსა ჰერეს ციხეებში, ატყდა ბუკისა და დაფდაფების ცემა. მეფე, დედოფალი, ამირსპასალარი და შედივე სპასპეტი თავშიშველნი შევიდნენ სიონის ტაძარში, მეფე გიორგი ჯერ ეამბორა კათალიკოსსა და მის მკერდზე დაკიდულ ჯვარს, მერმე წმიდა გიორგის ხატს და ევედრა უფალს გამარჯვება მოეცა მისთვის და მისი ლაშქრისთვის. ახალგაზრდა დედოფალი არ სტიროდა, მაგრამ სახე მისი ამჟღავნებდა განუზომელ სიმძიმის.

ქადაგად დავარდა ბერი ანაქსიმანდრეს და ლაღად ჰყო:

„აროდეს მომხდარა ამ ქვეყნად ვახტანგ გორგასალის და დავით აღმაშენებლის დროშებს არ გაემარჯვოს. არუელი უშუქლოებს, მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი“.

პარაკლისის შემდეგ მეფე გიორგი უკვე სასახლეში მყოფი დაემშვიდობა დედოფალს, კათალიკოსს და მიტროპოლიტს. უკვე ცხრა საათი იყო, როცა ამირსპასალარი და სპასპეტი წინ გაუძღვნენ ლაშქარს და სომხეთს მიმავალ გზას დაადგნენ.

სეფე დროშის მკერობელი და ჯვარისმტვირთველი წინ მიუძღოდნენ ლაშქარს.

კარგებით დატვირთული აქლემები ძლივს მიბობდავდნენ ვიწრო ბილიკებზე. მენადირეებს თან მოჰყავდათ ავაზები და, როცა ტყეები დაიწყო, დაფრთხნენ ირმები და მშველები, მენადირეთ უხუცესმა ბრძანა და ავაზებს ახხადეს ყელსაბამები, ისინი გაედევნენ ოტებულთ. გიორგი მეფე ჩინებული მენადირე იყო, ხოლო მენადირეთუხუცესი არა ნაკლებ ხელმარჯვე. მათ არც კი სცოდნიათ, რომ ღმანისის მისადგომებში აურაცხელი ავაზები ბინადრობდნენ.

და მოხდა უცნაური ამბავი: როცა მოთინიერებულმა ჰვაზებმა გარეულები

დალანდეს, ნადირთა დევნა მიატოვეს და თვისტომთ მიეკედლნენ.

გიორგი მეფემ ბევრი იცინა ამის გამო და აგრე სთქვა:

„ისპაჰანში გადახვეწილი ქართველი ტფილისელს რომ შეეყრება და გაიხარებს, განა ეს ვასაკვირია?“

დმანისის შემდეგ გაივაცეს, დამწუხრებულმა მენადირეთუხუცესმა ახლა მწვერებში აადევნა ჭეირნებსა და მშვლებს. აურაცხელი ნადავლი გამოართვეს მენადირეებმა პირიდან მათ.

ლაშქარს ლორეს ციხის სანახებში მოუტყრო სიღამემ.

ლორეს ციხის პატრონმა წინასწარ იცოდა, ამ მოკლე ხანში მეფე გიორგი მობრძანდებოა სპიანად. მაცნე მოვიდა თუ არა, ციხის ეზოში იწყეს ირმების, მშვლებისა და ჭიხვების დაკვლა. ცხოველთა მოყვარულს უთუოდ შესძრავდა ამ საცოდავი ნადირების ზღავილი.

სახუმროდ და თავშესაქცევად ორი დათვი მოყვანა მენადირეთაგანს ერთს. ყასაბი სწორედ ისეთ დროს წაეტანა ერთ ბურუხუნა დათუნას, როცა გიორგი მეფე და ტაძრეული ციხის ეზოში შემოვიდნენ.

აქ დათვმა დიდი მამაცობა გამოიჩინა, როცა დანიანი ყასაბი წამოვიდა მისკენ, მან დანდობილად გასწყვიტა ჭაჭვი და გაადორებული ეძგერა ყასაბს. არც ყასაბი აღმოჩნდა ჭაბანი, იგი დიდხანს ეჭიდავა ამ უზარმაზარ ტყიურს და, როცა უკვე იგრძნო მომერევაო დათვი, სარმა გამოჰკრა დათუნას, მან ერთი დაობღავლა და გაიშოთა მიწაზე.

საოცარი ის იყო: ის მეორე დათვი ბურდღუნებდა, ზღაოდა, ჭაჭვეებს ჭიმავდა და მიიწვედა თვისტომის საშველად. აქ მოხდა სასაცილო ამბავი: ამ უზარმაზარმა დათვმა გასწყვიტა ჭაჭვი და ყასაბისაკენ გამოქაჩა. ყასაბმა ხელი უშვა ძირს გდებულს და ახლადმოსულს ეცა. გვემული დათვი წამოდგა და ახლა ორი დათვი შეებნენ ყასაბს. მყისვე მოვარდა მზარეულთუხუცესი და ახლადმოსულ დათვს შეეჭიდა.

მეფემ გულიანად იცინა ამ ორი ვაჟ-

კაცის და ორი დათვის კიდილის შემყურემ, ციხისთავმა წამუყურ ქონდაქართ და შუბებზე აავეს მორკინალი დათვები.

იმ ღამეს წამოვიდა უცნაური თქეში. მეფემ ბრძანა და სპასალარმა მეორედღეს უთენია წარგზავნა მსტოვარნი დვინს. საოცარი თავსხმა დაიწყო. გზები ატალახდნენ, ცხენები, ეტლები და აქლემები ლაფში ეფლობოდნენ.

მცირედენი მანძილი უკლდა დვინამდის ლაშქარს, მსტოვარნი მობრუნდნენ დვინიდან და მოახსენეს მეფეს: დვინის ციხეებში სრული მყუდროებაა, მიზგიეთებში უამრავი ხალხი მოგროვილა. მოლებს ყვილისაგან ყურთა სმენა არ იყო. ჩვენ განგებისად მთხოვარების ძონძები გადავიციეთ, ფეხშიშველნი შევედით მეჩეთში და ვითომც ვილოცეთ, შესალამოვდა თუ არა, ჩვენს ჯორებს მოვასხედით და სამშვიდობოს გავედითო. წისქვილებს რა გამოვცდით, ერთი მსტოვარი აგვეკიდა: ვინა ხართო და რანი?

ჩვენ სომხური ვიცოდით, მივეუგეთ შამ არმენის ყმანი ვართო. მსტოვრები დაბეჭითებით ამბობდნენ: გვიჯობს ღამე დავესხათ უშჯულოებს თავს, რადგან დღეს მათი დღესასწაული ყოფილა, არ ვიცით რომელი, ისინი მემთვრალეობას ხელს მიჰყოფენ და უგონონი დაეგდებიან სიღამისას.

მეფემ არ ირწმუნა ასეთი მტკიცება, სიმთვრალე უფრო მეტად ამამაცებსო მონასპათ, გვიჯობს ღამე გავათიოთ დვინიდან ერთი ეჭის სიშორეს და უთენია თავს დავესხათო უშჯულოებს.

რა თქმა უნდა, მოხდა ისე, როგორც გიორგიმ ბრძანა, უთენია ატყდა დაფდაფების ცემა.

მეფემ, ამირსპასალარმა და სპასპეტებმა ასე ინებეს: ლაშქრის გული პირდაპირ უნდა მისდგომოდა დვინის ციხეს. ლოდსატყორცნები დაეშინათ მისელის უმალვე, მარცხენა და მარჯვენა ფრთა ორი კიდიდან მისდგომოდნენ ციხეს, საბლის კიბეები მოეხმართ და ხელმარჯვენი გადამმტვრალიყვნენ ციხის გალა-

ენზე მათხოვრების სამოსით გადაცმულნი.

ყოველივე კეთილად წარიმართა, როცა ქართველთა ლოდსატყორცნთა ლოდები და ბერძნული ცეცხლი დაუშინეს ღვინის ციხის უზარმაზარ ჯებირებს, ციხის ქონგურებზე გადმოდგნენ ციხიონები, ადულებული წყალი და ფისი გადმოასხეს მომხვედურთა.

ეს ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა, მეფე დიდ კარავში იყო, მაგრამ არც ერთ ღამეს მას არ სძინებია.

მეოთხე დღეს განახნეს ციხის ბჭენი, გამოვიდნენ თორიანი ვაჟკაცები და სასტიკად შეუტრეს მეფის მოწინავეთა. ეს იყო ისეთი შემოტევა, რომ თვით უმამაცესი ტაოელი და შავშეთელი მოიერიშენი უკუიქცნენ.

მაშინ განრისხდა მეფე, ომახიანად შეუძახა სპათა, ღვინელო, მოიერიშენი უკუიქცნენ. ისევ დაუშინა ამირსპასალარმა ლოდსატყორცნები ღვინის ციხის ბჭეებს. ისინი დაილუწნენ და ისევ ტაოელი და შავშეთელი მოიერიშენი პირველნი შეცვივდნენ ხმალამოწვილილნი ციხეში.

მოიერიშეებს წინ შეეგებნენ თორიანი გოლიათები — მაგრამ შავშეთელებმა და ტაოელებმა შუბები აძგერეს მათ. დასტა-დასტად წამოვიდა ახალი და ახალი წყება მეციხოვნეთა, მოიერიშენი შეკრთნენ, მაგრამ ამირსპასალარმა შეუძახა მათ ომახიანად და მიწაზე განერთხნენ გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცები. მახლობელ ტყიდან გამოვიდა სპიანად განძის ამირა აბდულაპ და წამოეშველა სელჯუთა ლაშქარს. ანახადად გამობრუნდა უკუქცეული შაპ არ-

მენ და გულდაგულ შეუტია მეფე გიორგის. დანდობილად დაწინაურებული გიორგი მეფე ერთბაშად მოსწყდა ლაშქრის გულს, განძელებმა ზურგიდან მოუარეს მას, მაგრამ ქვეთარ არიშიანმა მცირე სპა გაამხნევა, აოტნა განძელნი და წამოეშველა მეფეს. ვილაც ჩია კაცი ქართველთაგანი გამოძვრა ჩირგვებიდან და ცხენი გამოუკლა შაპ არმენს, იგი უეცრად აბლაღლდა და თავკვე დაეცა მიწაზე.

ისევ განძელები წამოეშველნენ ამირას, ოთხმა თოროსანმა სხვა ცხენზე შესვეს შაპ არმენ და ბრძოლის ველიდან გაიტაცეს.

მეფემ მოიხმო ჰერეთის ერისთავი კოლონკელიძე და უბრძანა: ორი ათასეული მონასპა თან წაეყვანა, ღამე ტყეში გაეთია და მეორე დღეს კვლავ შემოსულიყო ომში. კოლონკელიძეს სპიანად წასვლა გაქცევად მიიჩნიეს ამირებმა, მცირე ხანს სდიეს მას თურქმენებმა, ბოლოს ერთობლივად გამობრუნდნენ ღვინის ციხისკენ.

როცა ციხე უკვე დაპყრობილი იქნა, ამირსპასალარი ყუბასარ გამალებული ეძებდა განძის ამირას და მის თანამდგომებს. იმ ღამეს სრული მყუდროება სუფევდა, მეფემ ციხის ეზოში დაადგმევინა დიდი კარავი და გათენებამდის ეძინა.

დილით ადრე, ეჭვისივე სპასპეტი ეახლა მეფესა და სპასალარს, ომი ჯერაც არ დამთავრებულა, უშჯულოების ლაშქარი მოედინება ციხისაკენ და, სადაცაა, ალყაში მოგხვდებიითო.

სულ მცირე ხანი გამოხდა და ალყა შემოართყეს ღვინის ციხეს.

ეშპარ კვიციანი

ღ ა ბ ბ რ ე ბ ა

ჩვენ ვბანაობდით სიცოცხლის ზღვაში.
იმ დღეს პირველად გაგვეხსნა პირი
და გვეზღებოდა პირველი ტალღა
შიშველ ფერდებზე. ქაფი ფოთლებად
იყო ასხმული და გვეზღვოდა.
ყელი პირველად გაგვექცა ცისკენ,
რომ დაგვენახა ღვთის ნახელავი
და ჩაეხედა ჩვენს თვალებში უსაზღვროებას.
სილაში ეგდო ვეებერთელა
კედარის ქერქი... ყვეთელ სილაში
გაველო მცურავს — უგონიერეს
ცხოველთა შორის — და ახლა ხიდან
გვითვალთვალებდა. ცოდვას ვერ ვიტყვი —
მოხუცს იმ დილით არც უფიქრია
ჩვენი გაკიცხვა ან გაძევება.
რაც იყო, მოხდა ჩვენი სურვილით.

წითელი ხავსი ეფინათ თევზებს
და მწიფობაში გადასულ ქვირითს
ძლივს იმაგრებდნენ ქათქათა მუცლით.
მშით დაჭორფლილი იყავ ყვაველი.
გამოტანილი ჩემი ტანიდან
და სამუდამოდ გახარებული...
გველის ჭრელ ზურგზე მეტად ბზინავდა
შენი მუხლები... მერე ის მახსოვს,
ვეძებდი ლერწამს, რომ ამომეჭრა
ნედლი გულიდან პირველი ბგერა —
სამადლობელი — ღვთის საკადრისი.
მერე გაივსო ჩემი ფარეხი,
მერე შავ გულში ჩაეხედე მიწას. —
განცხრომას შავი ოფლი ვარჩიე...
და გაჩნდა ქვეყნად ადამიანი —
დიდი ნაყოფი ბედნიერების.

ჰ ა მ ბ ა ზ ი

როგორ გაწვდებოდა სახეებს ამდენს
ჩემი ღიმილი უმისამართო...
მე შემიძლია თავდაღმა დავდგე
და მოედანზე ხალხი გავართო.

ორ ჯოხზე თოკი გაიწვლება...
არ მინდა ნობი და ჩარდახები.
ვის შემურდება ჩემი ხელობა,
შეთორებული ტურის ნახვევი.

რა გადამარჩენს, სახსრებში მარღვევს
შენი თვალები და ბრბოს ყიფინა...
წაკიდებია დაბურთილ ძარღვეებს
ქვაფენილების ავი შიშინი...

ჯერ კიდევ ფეთქავს ნათელი დღისა, —
მაგ სიმალიდან მშვენივრად ვჩანვარ...
ზიზლით უყურებ გაოფლილ კისურს
და მუხლებამდე აკეცილ შარვალს.

მ ო გ ზ ა უ რ ი



საქართველოს
წიგლიწიგლითქა

და მოხდა ისე, —
განსხვავდები ბევრისგან ბევრით.
ზოგჯერ მგონია —
ამ სამყაროს არა ხარ წევრი.

მიარღვევ ყაყანს,
უკან რჩება რუსი სვეტები.
ასეთ თვალეებში
მთელ სიცოცხლეს გავიმეტებდი.

მსუბუქ ბეჭებზე მოგიგდია
მსუბუქი ფუთა.
თვალეები შენი
უცნაურად ანთია მუდამ.

წვერგაუპარსავეს და თავშიშველს
სახე გიციინის...
მიდიხარ თავქვე
და ვერაფერს გრძნობენ ისინი.

წ ი ს ქ ვ ი ღ ი

მზის წვეწმა რიყე წითლად დაფერა,
წყალში ჩარჩენილ სიბნელეს ჯაბნის...
უხმოდ ბრუნდება შინ დედაბერი,
მოყვება სუნი ფქვილის და ლაფნის.

არ მოუხუტავს წუხელი თვალი,
არ აულია კაცისგან მინდი.

ვიწრო აღმართი თავდება მალე,
მივეგებებით ოჯახის სინდისს;

და დღე ახალი იწყება აქვე,
ისიც, მორჩილი, კვლავ ეწვალება...
და კრამიტებში შემალულ თავგებს
ძილში ჩაეხმით შაშვის გალობა.



რეპუბლიკა

შენიშნული კვირა

კ რ მ ა ნ ი

კარი პირველი

თ ა ვ ი V I I

გასინჯვაზე, რომელიც ვასო ინჯიას მოხსენებით აპილილებულმა მაიორმა ბრაიტნერმა შტაბის წინ, ბაზრის მოედანზე მოაწყო, ასეულები თითქმის მთელი სანაპიროდან მოიყვანეს. ამ ასეულებს ოცდაათ კილომეტრზე მეტი სიგრძის სანაპირო ზოლი ეკავათ ზანდფორტიდან ჩრდილოეთით — ნავსადგურ დენ-ჰელდერისა და ფრისლანდიის კუნძულების მიმართულებით. ჯარისკაცებით სავსე მანქანები ყოველი ხუთი-ათი-თხუთმეტი წუთის გამოშვებით ჩერდებოდნენ დანიშნულ ადგილას, ისე რომ მთელი ბატალიონის თავმოყრამ თითქმის ორსაათნახევარს გასტანა. მაიორი ბრაიტნერი შტაბში იყო ჩაკეტილი და გარეთ არ გამოდიოდა. როცა ყველა შეიკრიბებოდა და ბატალიონს სალაშქრო კოლონების ხაზზე დააწყობდნენ, მისთვის მორიგე ოფიცერს უნდა მოეხსენებინა ეს ამბავი და ისიც მაშინ გამოვიდოდა გარეთ პატაკის მისაღებად.

პროტესტანტული საყდრის წინ, რომლის კარი ამ დილას ჩვეულებისამებრ არ გაუღიათ, გერმანელი და ქართველი

ოფიცრებით გარშემორტყმული ვასო ინჯია იღვა და თვალს მოთმინებით აღევნებდა ბატალიონის ცალკეული ქვაგანაყოფების და ჭგუფების თავმოყრას.

მანქანიდან მებრძოლების ჩამოსხმის-თანავე ჭგუფის უფროსი უნტეროფიცერი მწყობრს აწყობდა და ვიდრე მოედანზე მითითებულ ადგილს მოქებნიდა ასეულების საერთო კოლონაში, ინჯიასთან მორბოდა და რადგან ის აქ თანამდებობით ყველაზე უფროსი იყო, გამოცხადების შესახებ ახსენებდა.

ინჯია გულგრილი, თითქმის განურჩეველი გამომეტყველებით იღებდა პატაკს, თითქოსდა მთელი ეს უაზრო ცერემონიალი, რომელიც ვილაცამ მოიგონა ხალხის შესაწუხებლად, სრულიად ზედმეტად მიაჩნიაო, უნტეროფიცერს თითით აჩვენებდა, სად უნდა დამდგარიყო ახალი მოსული ჭგუფი და მერე ისევ ოფიცრებს მოუბრუნდებოდა.

აქ უკვე მოეყარათ თავი ბატალიონის ექვსივე ასეულის გერმანელ მეთაურებს და ამდენსავე ქართველ ოფიცერს, რომლებიც აგრეთვე ასმეთაურებად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში კი

მხოლოდ მეთაურის მოადგილის თანამდებობას ასრულებდნენ. მოგროვდნენ ოცმეთაურებიც, რომელთა უმრავლესობა აგრეთვე ოფიცერი და ან ფელდფებელი იყო. მოვიდა საშოფრო სკოლის უფროსი ჰაუპტმანი ვებერი. ის შორიახლო დადგა და ინჯიასთან მოსახსენებლად არ მოსულა. გარდა იმისა, რომ ვებერი სუფთა სისხლის გერმანელი იყო, სამხედრო ჩინიც ინჯიაზე მეტი ჰქონდა და თუ მათ შორის ჩამოვარდნილ ცულ ურთიერთობასაც მოიგონებ, ცხადი ვახდება, ეს ამაყი, უკვე რეპუტაციამელახული ოფიცერი რად არ მოდითოდა თავისი სრული მორჩილების გამოსახატავად. ინჯიას თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა ჯიუტ ჰაუპტმანს. ეს ნილაბი ქვეშევრდომების თვალში თავისი ღირსების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა, მაგრამ ოფიცერთაგან ბრმა არაფერი იყო. მიუხედავად მისწრაფებათა და შეხედულებათა სხვადასხვაობისა, ინჯია გერმანელებსაც და ქართველებსაც ერთნაირად ეკალივით ესობოდათ თვალში და ობერლეიტენანტის უხეიროდ შენიღბულ ფხორვაზე გულში ეციენებოდათ.

დღის პირველ საათზე მეხუთე ასეულის ქართველმა მეთაურმა ფელდფებელმა ნოე გონგლაძემ, გოლიათური შესახედაობის მკვიდრად ჩადგმულმა ვაჟკაცმა, ბორჯომელი მეტყვეის შვილმა, რომლის სახის გამომეტყველებაში რაღაც მონგოლური იყო, მიმოხვრა კი ზანგი ათლეტისა ჰქონდა, ოცეულების სალაშქრო კოლონათა ხაზზე დადგომის ბრძანება გასცა.

ერთმანეთში არეულ-დარეული ქვეანაყოფები უფრო მეტად აირდაირივნენ და სანამ პაპანაქება სიცხეში ფეხზე დგომისაგან დაღლილი მეგრძოლები და უნტეროფიცერები მწყობრში თავ-თავის აღვილებს შიავნებდნენ, კარგმა დრომ გასტანა. გონგლაძე მარჯვენა ფლანგზე იდგა და დაბლვერილი უცდიდა თავისი ბრძანების შესრულებას, რომელიც ასე ჭიანჭურდებოდა.

— Die Deutschen auch?! — მიამიტურად იკითხა ვილამ გერმანელ ჯარისკაცთაგან.

— Es ist befohlen, sich in Reih und Glied aufstellen!¹ თავზარდამცემი ხმით გერმანულად დაიგრუხუნა გონგლაძემ, თავისი ვეება ტორებით ტაში შემოჰკრა და ამას ქართულად დაუმატა: — სწრაფად! რა ამბავია?

საქმე ის იყო, რომ ბატალიონი რომელშიაც რვაასამდე ქართველი მეგრძოლი და თითქმის ამდენივე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ითვლებოდა, მოედანზე ვერ დაეტია. საჭირო ვახდა მეხუთე და მეექვსე ასეულების მთლიანად მოხსნა და ბატალიონის მთავარ ფრონტთან კუთხით დაყენება.

აქა-იქ მეორე და მესამე საართულების ფანჯრები გაიღო. თითო-ოროლა ცნობისმოყვარე დედაბერმა და ბავშვმა თავი გამოჰყო. ბევრი, ვისაც ამის გამბედაობა არ ეყო, ჰერიდან იატაკამდე ჩამოშვებული ფარდების უკან იდგა და იქიდან უთვალთვალებდა, რა ხდებოდა ჯარით ავსებულ მოედანზე.

როცა ოცეულების სალაშქრო კოლონებად გაშლილმა ყველა ასეულმა თავისი აღვილი დაიკავა საერთო მწყობრში და ხაზზე განლაგდა ოფიცრებიც თანმიმდევრულად დადგნენ განაყოფებს შორის დატოვებულ ვასასეულებში.

გონგლაძე, ის იყო, წინ გავიდა, რათა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა მწყობრის სისწორე და ახალი ბრძანება გაეცა, რომ მის ზურგს უკან, ყველასათვის მოულოდნელად, მკვეთრი შეძახილი გაისმა:

— Bataillon, hör meinem Kommando zu!²

ვერავინ შენიშნა, როგორ გაჩნდა მოედანზე მაიორი ბრაიტნერი, ან შტაბიდან როდის გამოვიდა. ეს იყო ზვინივით მოსული, მალალი, ზორცსავსე, ქერათმიანი და ცისფერთვალე ვაჟკაცი,

1 გერმანელებიც?

2 ნაბრძანებია ყველა დადგეს მწყობრში.

3 ბატალიონო, უსმინე ჩემს ბრძანებას!

რომელსაც, მიუხედავად კამეჩის წონისა, მსუქანს ვერ დაუძახებდი, რადგან მის ყოველ მოძრაობას კადრის ოფიცრისათვის დამახასიათებელი ცეცხლოვანი სიმკვირცხლე და გარგნული მოხედნილობა ახლდა. ბრაიტნერს მთელი თავისი არსებით შეგნებული ჰქონდა, რომ ადამიანთა ამ ვეება მასის სრული ბატონ-პატრონი იყო და ამას კიდევაც იფერებდა. დამაბრმავებლად გაპყჩილებული შავი კრავები, მუხლებზე შემოსხლეტილი ხაკისფერი გალიფე-შარვალი, უკანასკნელ დღემამდე შეგნებული ამვე ფერის მუნდირი და ბატონა თეთრი სამხრეები, რომელთაც მოკლუკაკარდიანი მალალი ქუდი ავეირგვინებდა, თითქოს ამ ადამიანის შეუვალი ძალაუფლების და მკაცრი სამხედრო დისციპლინის თვალნათლივი გამოხატულება იყო.

ბრაიტნერი განრისხებული ჩანდა. ბრძანებას როცა სცემდა, თვლებიდან ნაპერწყლებს აფრქვევდა და ვიწროდ მოკუმული ტუჩების კუთხეებში ქაფი უგროვებოდა.

ბატალიონი გაქვეადა. მოედანზე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ზღვის ტალღების შორეული ტლაშუნი გარკვევით მოისმა.

რა განეზრახა ბრაიტნერს? რას აპირებდა?

მან გონგლაძე ხელის დაქნევით მიიხმო, რაღაც უბრძანა და სანამ ის სირბილ-სირბილით პირველი ასეულის მარჯვენა ფლანგს მიადწევდა, სადაც ასეთური ოტო კრიგერი და მისი მოადგილე აკაი მაჩაიძე იდგნენ, ადგილიდან არ განძრეულა, ხოლო როდესაც გონგლაძე მაიორის ბრძანებისამებრ კრიგერისა და მაჩაიძის მარჯვნივ დადგა, მოედანზე ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმე ხელახლა შეაზანზარა ბრაიტნერის მკვეთრმა, მხედრული ბრძანების გასაცემად საგანგებოდ გავარჯიშებულმა ხმამ.

— Bataillon, Achtung!.. Rechtsum kehrt!

მწყობრი აირია. მიტრიალენს ბრძანება ბევრს ისე მოულოდნელად წმენა, მარჯვენა-მარცხენაც კი შეეშალა მტყდა ფრუტუნი, ჩუმი სიცილი და გინება, რაზეც ერთბაშად დაარღვია აქამდე გამეფებული მკაცრი ზეიმურობა.

— Wer schwatzt da! — დაიქუხა მოთმინებიდან გამოსულმა ბრაიტნერმა და გულდაგულ წინ წამოვიდა, მერე შეჩერდა და უფრო მკახედ დაიძახა: —

— Taugt nichts, aufheben!

მწყობრს გადაჩვეული ბატალიონი ულიმდამოდ და არეულდარეულად დაუბრუნდა პირვანდელ მდგომარეობას. გერმანელი ასმეთაურები მწყობრიდან გამოვიდნენ და თავთავიანთი ასეულების წინ დადგნენ, ბატალიონის მეთაურის ბრძანება ასე უფრო ცოცხლად და ჯარისკაცების მწყობრისათვის შესაფერისი სისხარტით შესრულდებოდა. ისედაც ბოლმამორეული ბრაიტნერი განრისხდა. მან მთელი ხმით დაიდრიოლა, მე არავისთვის მიმიცია მწყობრიდან გამოსვლის უფლებაო. კრიგერს კისერი გაუწითლდა. ასეთ დროს ბრაიტნერთან შეკამათება, თვით მალალი ჩინის გერმანელი ოფიცრებისთვისაც კი, ფრიალ საზიფათო იყო. მან ახალი ბრძანება გასცა, ბატალიონი სალაშქრო კოლონად დაეწყოსო. ასეულები ისევ მიტრიალდნენ იქით, საითაც მარჯვენა ფლანგი იყო. მხოლოდ მარჯვენა ფლანგზე მდგომი პირველი ასეულის პირველი ოცეული არ განძრეულა, მარტო ოფიცრებმა მოინაცვლეს ადგილი და თუ აქამდე თავიანთი ქვეგანაყოფების მარჯვნივ იდგნენ, პირველი მწყობრის გასწვრივ, ახლა კოლონის წინ განლაგდნენ. გონგლაძე, რომელიც ბრაიტნერს ამოჩემებული ჰყავდა და ბატალიონის მწყობრს ყოველთვის მას აწყობინებდა, რითაც წესდების მოთხოვნას არღვევდა, სულ თავში მოხვდა. მის უკან სამიოდენ ნაბიჯზე ოტო კრიგერმა, ხოლო კრიგერის უკან აკაი მაჩაიძემ დაიკაჯა ადგილი.

1 ვინ ყბულობს მანდ?

2 არ ვარცა, დასტოვებ!

1 ბატალიონი, სმენა!.. მარჯვენისა-კენ!

დამჯრის ბრძანება რომ გაიკა, პირველი ოცეული წინ გაემართა მხედრული ნაბიჯით. მისი ადგილი მომდევნო ოცეულმა დაიკავა, მაგრამ დაიკავა თუ არა ეს ადგილი, შეუჩერებლივ მარცხნივ შეტრიალდა და წინამავალ ოცეულს კვალდაკვალ მიჰყვა.

ბრაიტნერი ამ დროს უკვე წინ იყო და კიდევ რაღაც ახალ ბრძანებას სცემდა.

გონგლაძე ერთხანს ადგილზე იტყეპნებოდა, შემდეგ მხარმარცხნივ შემოტრიალდა და კვლავ მხედრული ნაბიჯით განაგრძნო გზა კერამიკული აგურით მოგებული ვიწრო გასასვლელისაკენ, რომლითაც ორმოციოდე წუთის წინ ნიკო მიქიაშვილი და „ახლები“ მოდიოდნენ. ქუჩა ყრუდ და მოკვეთილად გამოსცემდა მწყობრი ნაბიჯების ხმას. მალე ის მთლიანად აივსო ოთხ-ოთხ მწყრივად დაწყობილი ოცეულებით და ვინაიდან კიდურა რიგებს ტროტუარებზე მოუხდათ შედგომა, ხოლო დანარჩენი ორი რიგი კი ფილაქანზე მოაბიჯებდა, ფეხის აწყობა და მწყობრის სისწორის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. საბედნიეროდ, ბრაიტნერი წინ იყო და არეულდარეული მწყობრისათვის ქორული მხერის ვადავლება არ შეეძლო, რადგან ამის საშუალებას ადამისკამინდელი ქუჩის სივიწროვე არ იძლეოდა.

მაგრამ სად მიდიოდნენ ასე ცარიელტარიელნი? მიწის სათბრელი ან სხვა რამ იარაღი თან არავის მიჰქონდა. მაშ

იქ, საითაც მაიორი ბრაიტნერი მიუძლოდათ, ხელცარიელებს რა უნდოდათ თებინათ? თუმცა სამუშაო ინსტრუმენტების მოტანა ან ადგილზე დახვედრება რა დიდი ამბავი იყო! ორი-სამი სატვირთო მანქანა თვალისდახამხამებაში ნოაყრიდა თუნდაც ხუთი ათასი კაცის საკმაო წერაქვსა და ნიჩაბს.

ვიდრე მებრძოლები ამ ორკოფულ ფიქრში იყვნენ გართული, ბატალიონის აენაგარდი პარლემის გზატკეცილზე გავიდა, მეექვსე ასეულის უკანასკნელი ოცეული კი ჯერ ისევ ბაზრის მოედანზე, პროტესტანტული ეკლესიის წინ, ზოზინებდა.

— სწრაფად! დაეწიეთ! — მოისმა მეტაურების შეძახილი, რადგან ამასობაში მწყობრი მეტისმეტად გაწეილიყო. მაგრამ წინ მიმავალთა ნაბიჯით დაწევა უკვე აღარ ზერხდებოდა. — სირბილით! — ბრძანეს ასმეთაურებმა. მათაც და მებრძოლებმაც მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შეიტყვეს, რომ წინა ასეულებიც მიბრბოდნენ. ბრაიტნერი უკვე მწვანედ შეღებულ საველე მანქანაში იჯდა, გზის მარჯვენა მხარეს და პირქუში ღიმილით ადევნებდა თვალს, როგორი თქარათქურით გამოდიოდა ბატალიონი დაბიდან და მწყობრს გზადაგზა როგორ ასწორებდა.

— Schneller! Schneller! — მკახედ შესძახა მაიორმა და შოფერს თვალთ ანიშნა, მანქანა დასძარიო, — Wer ist zurückgeblieben?²

თ ა ბ ი VIII

ველზე ცეცხლისფერი ტიტა და თოვლივით თეთრი ზამბახი ყვაოდა. გრძელ, სწორ კვლებში გლეხებს სარწყავი წყალი შემოეშვათ და ტბა დაუყენებინათ, თვითონ კი არსად ჩანდნენ. როცა გზაზე სირბილით მომავალი ჯარი დაინახეს, უთუოდ ყველამ საიმედო სამალავი მოძებნა. სამალავის პოვნა კი აქ არცთუ ისე ადვილი საქმე იყო, რადგან ტრიალ მინდორში, აქა-იქ ბორცვებზე აწოწილ ქარის წისქვილების გარდა, უბრალო

ხულასაც ვერ დაინახავდი. შორს, ცის დასალიერზე, მოჩანდა ზანდფორტის წითელი სახურავები და იმას იქით უსაზღვრო ლურჯი ზღვა, რომელიც სადღაც აქ ახლოს ლოკავდა ქვიშიან ნაპირს.

მალე ქარის წისქვილებიც უკან დარჩა, ტიტასა და ზამბახის ზღვისებრ მო-

1 სწრაფად! სწრაფად!

2 ვინ ჩამორჩა მან?

ციმციმე სწორი ოთხკუთხედებიც. ბრაიტნერის მწვანე მანქანამ, რომლის უკანა სავარძელზე ვასო ინჯიას მოეკალათა, მთავარი გზატკეცილიდან დინჯად გადაუხვია და წყალუბვი არხებით მრავალ ადგილას გადაკვეთილ საძოვრებს თუ სათიბებს შორის მიმავალ ვიწრო გზას დაადგა.

სირბილისაგან დამძიმებულ და სუნთქვამოხშირებულ გონგლაძეს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ალაგ-ალაგ მთლად გალუმპული მწვანე გიმნასტურა ზედ დასწებებოდა ჩაიკრულ მხარბექს. გიმნასტურა ქამრის ირგვლივაც სველი იყო. ოფლი ყოველ წუთს უფრო და უფრო ასველებდა. გონგლაძე ახლა მარტო მირბოდა ბატალიონის წინ, რადგან ზანდფორტის ჰინშარს გამოსცდნენ თუ არა, ბრაიტნერის ბრძანებით გერმანელი ოფიცრები მწყობრიდან გამოვიდნენ და მწყობარში მხოლოდ ქართველობა და გერმანელი რიგითი ჯარისკაცები დასტოვეს. ბატალიონის ექვსივე ასეული თითქმის ორ კილომეტრზე გაიჭიშკრა. ქვეგანაყოფები ერთმანეთს შეერივნენ. ქართველი მეთაურების ბრძანება, ხვეწნა და მუდარა — მაგ ნადირს სულსუ გაეაცოფებთო — ვეღარ სჭრიდა. პაპანაქება სიცხეში სირბილისაგან ხალხი ისე მილასლასდა, საკუთარ სხეულს ძლივსღა მიათრევდნენ. ბევრს სუნთქვა შეგუბებოდა და აფართხალებული გული ხელით ეჭირა. სხვები ნიდაყვებით ლამობდნენ ყინულივით გაციებული გულისკოვზის დაფარვას, მაგრამ ამაოდ. თუთუნისა და წეკოს მწვევლებს ხველა ახრჩობდა. ამას ზედ ერთვოდა გზაზე ავარდნილი მტვერი და დამწვარი ზეთის სუნი, რომელიც შემხვედრი მანქანების გავლის შემდეგ რჩებოდა გზაზე.

ხან აქ, ხან იქ გულის სიღრმიდან ამომავალი უკმაყოფილო ბუზლუნი და მწარე გინება გაისმოდა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ნეტა სად მიგვარბენინებსო, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არავის შეეძლო. არ შეეძლო და არც არავინ ფიქრობდა, რომ პასუხს მიიღებ-

და. გინებით მხოლოდ გულს ირთებდნენ და კვლავ მორჩილად მირბოდნენ წინ, სადაც უფრო ბედნიერებამს უკვე გაიარეს...

ნაყოფიერ პოლდერებში, ოდესღაც რომ ზღვის ფსკერი და წყალმცენარეების ადგილსამყოფელი იყო, კაცის ქუჩანება არ ჩანდა. ბალ-ბოსტნები სარეველა ბალახსა და შამპნარს დაეფარა. ზანდფორტის ბევრი სახლისა და მისი შემოგარენის მსგავსად ბოსტნები და საძოვრებიც კარგა ხნის წინათ მიეტოვებინათ მის მფლობელებს და აქედან შორს გახიზნულიყვნენ. მათი ქვეყანა გაპარტახებული იყო და ოფლითა და სისხლით გააოხილ მიწას მტრის ჯარისკაცის უდიერი ჩექმა სთელავდა.

— შეხედეთ, ბიჭებო, ბრაიტნერი გაჩერდა! — დაიძახა ვილკამ მესამე ასეულში, — იქით გზა აღარ არის და სად მამაჩემთან წაეთრევა!

განუწყვეტელი სირბილით უღვთოდ მოქანტულმა მებრძოლებმა, აქამდე რომ მიწას ჩასტკეროდნენ და მორჩილად მირბოდნენ წინ, ხელი მოიჩრდილეს. ხუთასიოდე ნაბიჯის მოშორებით, სადაც ეს დაცემული ჭალა დიუნების ზოლით შემოფარგლულიყო, მწვანე მანქანა იდგა და მისი მოხაზულობა მკვეთრად იკვეთებოდა მეჩხერი სიმწვანით გადავლილი ქვიშის ფონზე. ბუნებრივ ჯებირად აღმართული დიუნების ზოლის გადაღმა ზღვა იყო და აქედან ის უკვე აღარ მოჩანდა. მეწინავე ოცეულები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს ადგილს, სადაც ბრაიტნერს მანქანა გაეჩერებინა პირით დიუნებისაკენ ეწეობოდნენ. გერმანელი ოფიცრები, აქამდე რომ სატვირთო მანქანით მოსულიყვნენ, თავთავიანთ ქვეგანაყოფებს გზაშივე ეგებებოდნენ და მკვახე შეძახილებით აჩქარებდნენ. ბრაიტნერი წინ და უკან დაიარებოდა დიუნების გასწვრივ. მის ყოველთვის პრიალა კრაგებს მტვერი დასდებოდა და ვინც მათ პატრონს ასე თუ ისე ახლოს იცნობდა, კიდევაც გააკვირვებდა ჩაცმაში ფაქიზი კაცის ამ-

გვარი უყურადღებობა მტკრიანი კრავების მიმართ.

სირბილის თავი უკვე აღარავის ჰქონდა. ოცეულები მხოლოდ მაშინღა უმატებდნენ ნაბიჯს, როცა რწმუნდებოდნენ, მაიორი ნამდვილად აქეთ იყურება და, მგონი, კიდევაც გვხედავსო.

ოფლში გალუმპულმა გონგლაძემ ახალი განკარგულების თანახმად ასეულები ერთიმეორის პირისპირ დააწყო. ქვეგანაყოფებს ასე მხოლოდ მაშინ აყენებდნენ, როცა ბატალიონის მეთაურს ან რომელიმე ზემდგომი ინსტანციიდან მოვლინებულ პირს რაიმე მნიშვნელოვანი და საგანგებო ჰქონდა გამოსაცხადებელი. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ დღესაც რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა გამოეცხადებინათ. ზღვის უდაბური ნაპირი, სადაც არასასურველ მოწმეთა დასწრებისაგან სარდლობა საცხებით დაზღვეულად იგრძნობდა თავს, საამისოდ სწორედ შესაფერისი იყო.

როდესაც ყველა მოგროვდა და მითითებული ადგილი დაიკავა, ბრაიტნერმა, ბოლოსდაბოლოს, გონგლაძის პატაკი მიიღო. ამის შემდეგ თავგადაბდილ მანქანაში საკვსთან დადგა და იქიდან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი სირბილისაგან ქანცგამოლეული ადამიანების მოლუშულ სახეებს.

მაიორი გრძნობდა ასობით გულში დაგუბებულ ბოღმას და ერთხელ კიდევ რწმუნდებოდა, რომ ახლაც და სხვა დროსაც მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ამ თავხეხვალეებულ ბრბოსაგან შემდგარ სამხედრო ნაწილში სამსახური ბრაიტნერის მხრივ ნამდვილი გმირობა და თავგანწირვა იყო. კიდევ კარგი, სადაც ჯერ არს, ამას ხედავდნენ და ჯეროვნად აფასებდნენ: ბრაიტნერი, მართალია, ჩვეულებრივ მუშა ბატალიონს მეთაურობდა, მაგრამ ფრონტზე მეტროლი უფროსი ოფიცრის გადიდებულ ხელფასს იღებდა. ამით მისი შელახული თავმოყვარეობა ასე თუ ისე დაკმაყოფილებული იყო. სიძულვილით და შურისძიების სურვილით აღესილი თვა-

ლები ასობით მეტროლისა, რომელთა კეთილსინდისიერებას და ეჭვიანობას მანიისადმი ერთგულებას სხლად მითხვროვნე კაცი ორ ნაბიჯზეც ვერ ენდობოდა. ფარულ გულისწაადილს ვერ მალავდნენ და ბრაიტნერს სრული საფუძველი ჰქონდა დაუყოვნებლივ ებრძანებინა, რომ მანძილი, რომელიც ბატალიონმა სირბილით გამოიარა, ხოხვით უკანვე გაევიღო, თუნდაც ამ უკანასკნელი ბრძანების აღსრულებას დღის დანარჩენი ნაწილი და მთელი ღამე დასჭირებოდა.

— Feldweibel!..— მან თავი შეიმაგრა. სცადა ფიქრი სხვა საგანზე გადაეტანა და ნოე გონგლაძეს მიმართა — დაუძახეთ ობერლეიტენანტი, აქ მოვიდეს და უთარგმნეთ, რასაც მე ვიტყვი!

— ობერლეიტენანტი ინჯია თქვენს უკან დგას, ბატონო მაიორო, — მიუგო გონგლაძემ ისე, რომ გაქვავებულ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შენძრევია.

ინჯია მართლაც მანქანის კართან იდგა, მარჯვენა მხარეს და მოხსენების მთელ ცერემონიალს გარინდებული ყურს უგდებდა. იქვე მის გარშემო შემოკრებილიყვნენ სხვა გერმანელი ოფიცრებიც. თავისი სახელი მოესმა თუ არა, ინჯიამ მანქანას წინიდან მოუარა და ყვრიმალთან ორი თითის მიტანით, როგორც რუსეთის ძველ არმიამი იცოდნენ, მაიორს წარუდგა.

— Vielleicht ist es besser, daß Sie sprechen? შეფარული ათვალწუნებით ჰკითხა მას მაიორმა, რომელიც ისევ მანქანის საკვსთან იდგა და ამ მხარეს სულაც არ იყურებოდა.

ინჯიამ გონგლაძეს მიაპყრო მზერა, რას მეუბნებო.

— ხალხს რომ თქვენ ელაპარაკობთ, ხომ არ აჯობებსო, — მიძიმედ ამოღერლა გონგლაძემ.

— მე რატომ უნდა ველაპარაკო! გერმანელებმა ქართული არ იციანთქო. უთხარი, ჩემი ლაპარაკისა რა უნდა გაიგონთქო.

1 ივნებ ჯობდეს, თქვენ ილაპარაკოთ!

— გერმანელებს, ალბათ, თვითონ მოელაპარაკება. ობერლეიტენანტი მზად არის, ბატონო მაიორო, — გონგლადემ ინჯიას საბოლოო პასუხს აღარ დაუცადა, ბრაიტნერისაკენ შეტრიალდა და ქუსლი ქუსლს მიარტყა, — უბრძანებთ დაიწყო?

— Soldaten — ბრაიტნერმა იმნაირი სახე მიიღო, თითქმის გონგლადემის ნათქვამი არც კი გაეგონოს და მის წინ გამწვრივებულ ოფიცრებს გადაჰხედა, — ახლა ობერლეიტენანტი თქვენ ყველაფერს გეტყვით, რისთვისაც აქ მოგიყვანეთ. ებრძანებ, სმენა იყოს და გაგონება. თქვენ იცით, აქ ისეთი არავინ არ არის, ვინც არ იცოდეს: თავისი მასშტაბითა და გააფთრებით ისტორიაში ჯერ არნახული ომი მიმდინარეობს. ომმა მთელი დედამიწა მოიცვა, თვით ის ქვეყნებიც კი, სადაც ხანძარი ჯერ არ გაჩენილა. დღე-დღეზე ომში ჩაებმებთან ესპანეთი და თურქეთი. იცით, რას ნიშნავს ეს? ახლა ობერლეიტენანტი თქვენს ენაზე ილაპარაკებს. გაფრთხილებთ: აქამდე ყველა დეზერტირისა და მოღალატის მიმართ, თუ ის უცხო ტომის ჯარისკაცი იყო, ლიბერალურად ვიქცეოდით, ღმობიერებას ვიჩენდით. ამიერიდან, დღეის ამას იქით, ეს, იცოდეთ, აღარ მოხდება. არავითარი დანდობა! სენტიმენტალიზმის დრო წავიდა, წავიდა დიდი ხანია, მას შემდეგ, რაც გერმანიის ძლევამოსილი არმია თავისი დიდი გამათავისუფლებელი მისიის შესრულებას შეუდგა. დამაბნელებელი ყველამ: უბრალო დანაშაულისთვისაც კი სასტიკად დავსჯით დამნაშავეს. ომის დროს პატარა და დიდი დანაშაული არ არსებობს. ყველა დანაშაული დიდია. აი, ახლა ობერლეიტენანტი ილაპარაკებს, აბა, ობერლეიტენანტო!..

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე მაიორი ძირს ჩავიდა, ადგილი მანქანის საკვსთან ინჯიას დაუთმო, შარვლის ჯიბიდან თოვლივით თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და ქაფმორეულ ტუჩებზე მოისვა.

ინჯია ერთხანს დაბნეული იყო. ბატა-

ლონის მეთაურის ნათქვამიდან მას თითქმის არაფერი გაუგრა. „ქუტრი“ მოკერა მხოლოდ რამდენიმე ნაცნობ ხაერთაშორისო სიტყვას. ამას გარდა მაიორმა ესპანეთი და, მგონი, თურქეთიც ახსენა. ინჯია გამოცდილი კაცი იყო. სიტყვის გეგმა მან ელვის სისწრაფით შეადგინა და უწყინარი შეკითხვით დაიწყო:

— ვინ ვერ გაიგო, რასაც ბატონი მაიორი ბრძანებდა?

პასუხი არავის გაუცია. ეს დრო ინჯიამ მოხერხებულად გამოიყენა შემდგომი სიტყვების მოსაფიქრებლად და ახლა უფრო გაბედულად და რიხით გადმოსძახა ჯარს:

— მაშ, ვასაგებია? მაიორმა ყველაფერი გითხრა. შეიღებო, მე რაღა უნდა დავუმატო!..

— ჩამოდი აბა ძირს!

— რაო? — ინჯიამ პალარა წარბები შეჰყარა და ოქროსძეწვეიანი ინგლისური გასაღები, რომელიც ხელში ეჭირა, ჯიბეში ჩაიღო. — რომელი იყო ეს?

პასუხი, რასაკვირველია, არც ახლა გასცა ვინმემ, მხოლოდ აქა-იქ ფრთხილი ფრუტუნე მოისმა.

— აი, ხომ ხედავთ, შეიღებო, ჩვენს საქმეს თვითონვე ვაფუქვით, — დამრიგებლურ კილოზე შენიშნა ინჯიამ. — მე ვლაპარაკობ, ქვეყნის ბედობალი წყდება და ვილაყა ძალღიშვითი მწყობრიდან მელაზღანდარავება, რატომ არ წაივლებთ ხელს და კინწისკერით წინ არ გამოავლებთ? ერთი და ორი ოზრის გულისათვის ამდენი ხალხი რად უნდა ვწვალდებოდეთ! ამ წუთში არ მოგიყვანეს აქ სირბილით? თუ ვინმეს რისამე თქმა უნდა, ვაყაყურად გამოვიდეს და თქვას, ნუ გეშინია, ენას არ გიგვალავთ, სხვების ზურგსუკან კი ნუ იმალებათ!

— Was ist los? — გონგლადემს ჰკითხა ბრაიტნერმა, მაგრამ ვიდრე ფელდფებელი რაიმეს უპასუხებდა, ინჯიამ ძალა მოიკრიბა და თითქმის უნიათოდ

დაწყებული სიტყვა დინჯად და თავდა-
ჭერებით განაგრძო:

— თავის აგდებას, სანამ გვიან არ
არის, მოვეშვათ და ქუეხს მოკუნამთ.
გესმის, მიქიაშვილო? სწორედ შენს
გასაგონად ვამბობ.

— ჩემთან რა გინდათ, ბატონო ვა-
სო? — იყვირა ბაიასავით გადაფით-
რებულმა ნიკომ, რომელიც სწორედ
პირველ მწკრივში იდგა, არტემიძისა
და ანთიძის შორის, და მაშინვე ხველა
აუფარდა, — მე... რას მომდევნით? აქ
ჩემს მეტი ვერაფერს დაინახეთ?

— ბევრს ნუ ხმაურობ! შენ არ და-
გვიყვირა? სხვამ ხომ დაიყვირა? — ინ-
ჯიას ტუჩები აუთრთოლდა სიბრაზისა-
გან. — ჩემთვის სულ ერთია, ჩემთვის
ერთი ხარა ყველა. სად ვიყავი... ჰო! აქ
უკვე ილაპარაკა ბატონმა მაიორმა.
თქვენ ჩემზე უკეთ იცით გერმანული
ენა. ყველაფერი საკუთარი ყურით მო-
ისმინეთ. ახსნა-განმარტება საჭირო არ
არის. თავისი სიტყვის ბოლო ნაწილში
მაიორმა, თუ არ ეცდები, „მისია“ ახ-
სენა. მე, ყველას მოგესხენებათ, გერ-
მანული ძალზე სუსტად ვიცი, რადგან
მთელი სიცოცხლე, მას შემდეგ, რაც
სამშობლოდან იძულებით გადმოვიხვე-
წე, საფრანგეთში გვატარე. მაგრამ გუ-
მანით მაინც მიხვდები, რასაც ბრძანებდა
ბატონი მაიორი. დიახ, მისია... მე და
თქვენ, შეილებო, მართლაც ძნელი მისია
დაგვაკისრა ისტორიამ. ერთ მუჭა ქარ-
თველობას შორი გზის მოვლა დაგვიკირ-
დება, სანამ გველეშაპის კლანჭებში
მოქცეული სამშობლოს თავისუფლებას
მივალწევდეთ...

ინჯიას აქ ხმა გაეზარა, აუკანკალდა
და რამდენიმე წამის განშავლობაში სი-
ტყვის გაგრძელება ველარ შესძლო. მან-
ქანის მეორე მხარეზე მდგომმა გერმა-
ნელმა ოფიცერებმა ერთმანეთს გადახე-
დეს. ვერაფერს მიხვდა, კერძ ბებერს რა
მოსდიოდა.

ინჯია შთაგონებული იყო, როგორც
იტყვიან, „თავის სტიქიაში“ იმყოფე-
ბოდა. ქართველებთან ერთად თვით
ისინიც კი ხმაგაქმნდნენ უსმენდნენ,

ვისაც მისი ენა არ ესმოდა, ბრაიტნერ¹
რი მოღუშული და კრიჭანეჭერული უღელ-
გა.

Die Sprache der Einheimischen!
მას ყოველთვის აღიზიანებდა, მაგრამ
შექმნილი მდგომარეობა მოქმედების
თავისუფლებას ართმევდა და იძულე-
ბული იყო მოთმინება გამოეჩინა. ბრა-
იტნერი გულში ნაღვლობდა, რომ არ
შეეძლო გაეგო, რას ეუბნებოდა ჯარის-
კაცებს ობერლეიტენანტი, მაგრამ გა-
ნა სულ ერთი არ იყო? ინჯიას უყოყმა-
ნო ერთგულებაში არც თვით მას და
არც ზემდგომ ინსტანციებში ეჭვი არა-
ვის ეპარებოდა. ობერლეიტენანტმა ეს
არაერთგვარ დაამტკიცა საქმით და ამ
მხრივ მაიორს შეეძლო სრულიად დამ-
შვიდებული ყოფილიყო. ვეცე რომ არა,
თავისი წარსულით ინჯიას ბოლშევი-
კურ რუსეთთან დაახლოების ყველა
გზა მოკრილი ჰქონდა და კარგა ხანია
ღია „კარტებით“ თამაშობდა.

ინჯიას მსგავსად, როცა თვითონ ლა-
პარაკობდა, ბრაიტნერსაც მოესმა რამ-
დენიმე ნაცნობი საერთაშორისო სიტყვა
და თუმცა ამ სიტყვების მიხედვით ძნე-
ლი იყო რისამე დანამდვილებით გა-
გება, მაიორი მიხვდა, რომ ობერლე-
იტენანტი სწორ გზაზე იდგა. მან ორჯერ
გაიგონა სტალინის სახელი. ერთხელ
ცალკე და მეორეჯერ რუხველტისა და
ჩერჩილის გვერდით. ინჯია დორბლებს
ჰყრიდა, უამრავი გაუგებარი სიტყვის
კოცონს ანთებდა.

ფრიდრიხ ბრაიტნერი გამოქეჩილი
პოლიტიკოსი იყო. სიტყვები კიდევ
რომ ვერ გაეგო, ის მოლაპარაკის გან-
წყობილების ნიუანსებში კითხულობდა
ნათქვამის ქვეტექსტს და, შეიძლება ით-
ქვას, არასოდეს არა სცდებოდა. ახლაც
ნამდვილად არ სცდებოდა ბრაიტნერი.
ვასო ინჯია თავისი ჩვეული დამარწმუ-
ნებელი ძალით მოძღვრავდა ხალხს.
სიტყვის მეორე ნახევარში მან თვალ-
ნათლივ დახატა მოკავშირეების მიერ
მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლო-

1. „ტუხემცების“ ენა.

ბა. გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობამ იცის და მხედველობიდან არ უშვებს ამ შესაძლებლობასო. თუ ვინცობაა გამართლდა ის, რაც დიდმა სამეულმა ერთმანეთს შეჰფიცა თეირანში, თქმა აღარ უნდა, ზღვის ზღუდის გადმოლაზვას ლა-მანშისა და პა-დე-კალეს სრუტეებში სცდიანო. თავისი სიტყვების სიმართლეში ღრმად დარწმუნებულმა ინჯიამ გამოაცხადა, რომ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს მოუშალებელს ვერ მოუსწრებენ. ბელგიის და ჰოლანდიის მთელი სანაპირო, არდენის მთებიდან ვიდრე ნავსადგურ დენ-ჰელდერამდე, ზევით ფრისლანდიის კუნძულების ჩათვლით, საიმედოდ გამაგრებულია. ქართულ ბატალიონს წილად ხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიიღოს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში და ამით ერთგულების ვალი მოიხადოს თავისი დიდი მოკავშირის წინაშე. იმ შემთხვევაში. თუ მოკავშირეებმა კონტინენტზე შემოჭრა მოახერხეს, უმაღლეს თავს წამოჰყოფენ ადგილობრივი ანტი-გერმანული ძალებით. ამ ძალების არსებობა ინჯიას არ დაუშალავს. ის გატაცებული იყო თავისი სიტყვით და ვერ შენიშნა, როგორ ნიავეით გადაუქროლა ჩურჩულმა ასეულებს და მერე ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომელშიაც დროდადრო იჭრებოდა, იქვე, დიუნების გადაღმა, გაწოლილი უნაპირო ზღვის ნებიერი ფშვინვა...

— რა უნდა ვქნათ ჩვენ? — ოდნავ ხრინწვალეული, ბებრული ხმით იკითხა ინჯიამ, — ყოველნაირად უნდა მოვარიდოთ თავი რაიმე ურთიერთობის დამყარებას ადგილობრივ მოსახლეობასთან. მათ ჩვენ, ნუ დაგვიწყდებათ, ორპაგად ვქულვართ, თავიანთი კომუნისტების მიერ არიან მოხარშული. კაცმა არ იცის, რას არ მოგიწყობენ, რა დავიდარაბაში არ გაგხვევენ. ჩემი მამაშვილური თხოვნა მხოლოდ ეს იქნება: ნურავის მიენდობით, ნურავის გაიშინაურებთ. ბორდელებს სათოფეზე ნუ მიეკარებთ. რა განქარებთ, შვილებო,

სამშობლოში ჩახვალთ და ყველაფერს მოესწრებით...

ერეკნული

ამაზე კი მხიარულნი იყვნენ ბორბოცი ატყდა. ვილაცამ ხმამაღლა იოხუნჯა, დღევანდელი კვერცხი მირჩვენია ხვალინდელ ქათამსო. ამას კიდევ მეტი ხარხარი მოჰყვა. ბრაიტნერს „ბორდელი“ მოესმა, მიხვდა, ობერლეიტენანტი რასაც ამბობდა და ნიშნად თანხმობისა თავი დააქნია. გამხიარულებული ქართველი ბიჭების შემხედვარე ინჯიას უნებლიეთ ღიმილი მოერია და სადავეები რომ ხელიდან არ გაეშვა, მთელი ხმით დაიყვირა:

— სიჩუმე! ვარიეტეში ხომ არ გგონიათ თავი! გასაგებია, რაც ვთქვი? ვის ვეკითხები?!

— გასაგებია, გასაგებია... — ჩაიბუბუნა რამდენიმე ხმამ.

— ასე! — ინჯია კმაყოფილი იყო, რომ წამიერმა მხიარულებამ დაძაბული ატმოსფერო ვერ განმუხტა და ბატალიონი ისევ ხელში ჰყავდა, — კიდევ ერთი ამბავი: ვინ ნახეთ წუხელ პატრულები? ხუთი ნაბიჯით წინ გამოვიდეს. სწრაფად!..

მწყრივები შეირხნენ, ისევ გადაიარა ჩურჩულის ტალღამ, მწყობრიდან კი არავინ გამოსულა.

— მაშ, არ გინდათ გატყდეთ? — დასტეკა ინჯიამ და შეიგინა, — ვიშეორებ: ვინც წუხელ პატრულები ნახა და მათთან ერთად ვისკით გამოთვრა, ათი ნაბიჯი წინ გადმოდგას!

ამჯერად ჩურჩული შეწყდა, მწყობრიდან კი შინც არავინ გამოდიოდა.

— კეთილი! — ინჯიამ ცოტა ხანს კიდევ შეიკადა, თან სათითაოდ ათვალთვრებდა ოცულებს, შემდეგ უფრო აიშალა ხმა, — რაკი აგრეა, ჩვენ თვითონ გამოვარკვევთ, — და თვალებით გონგლაძე მოძებნა, — ფელდფებლო, მოიყვანე პატიმრები!

ათას ხუთასი კაცი სმენად გადაიქცა. სადღაც მგზუთე ასეულის ზურგში მწყობრმა მიიწ-მოიწია და აეტომატებით შეიარაღებულმა ორმა გერმანელმა ეფრეიტორმა ბატალიონის შუაგულში

სამი ქამარშემოხსნილი და ფეხსაცმელში ზონრებდამჭვრალი გერმანელი ჯარისკაცი გამოიყვანა. განმასხვავებელი ნიშნები, გარდა სახელოებზე მიმაგრებული „გეორგიანული“ სამფეროვანი ალმებისა, რომელსაც ქართველებთან ერთად შეექვსე ეროვნული ბატალიონის ჯარისკაცები და ოფიცრებიც ატარებდნენ, არცერთს აღარ ეკეთა. ღამე ან ღამის ნაწილი, ეტყობოდა, სამივეს ჰაუპტეხტში ან საყარაულო შენობაში გაეტარებინა, რადგან მუნიციპალიტეტის სამივეს დასარესილი ეკვა და გამოუძინებელთ სახეც არეული ჰქონდათ.

ეგვენიმ და გვიმ, აგრეთვე სხვებმა, იცნეს ზორზოხა გერმანელები, წუხელ რომ თავისი ფეხით მიადგნენ საკუთარ უბედურებას და მთელ ტანში შიშის ერუანტელმა დაუარათ. ღმერთი რომ გამწყარაღიყო და აქეთ გამოეხედათ, ხომ დადუჰავდნენ ყველას! თითქოსდა განზრახ, წუხანდელ მოქიფეთაგან ხუთი: გივი ანთიძე, ნიკო მიქიაშვილი, მიტო გიგაშვილი, შურა ჩილაჩავა და ეგვენი არტემიძე ერთად იდგნენ მეზუთე ასეულის პირველ ოცეულში. მხოლოდ საქმის წამოწყები შაშვ მღვდელაძე, კაკო ცუცქირიძე და შალიკო ნოზაძე აკლდათ.

ბედად, გერმანელებს აქეთ არ გამოუხედავთ და არც თავი აუწევიათ. წამიც და ახალი სამიშროება წამოიჭრა: ხომ შეიძლება, თვით ინჯიას ებრძანებინა ამათვის ყველა ასეული ფეხდაფეხ დაევილოთ და წუხანდელი თანამეინახენი კინწისკერით ბატალიონის შუაგულში გამოეყვანათ.

რალაც ბედად არც ეს მოლოდინი გამოართლდა. პატიმრების საშუალებით დანაშაულის თანამონაწილეთა მოძებნა აზრადაც არავის მოსვლია.

ანდა მართლაც რა იყო ქართველი ბიჭების დანაშაული? სასმელი ჰქონდათ და დალიეს. დიდი ამბავი! არც არსად წასულან, არც ვინმე შეუწუხებიათ. ეგ იყო, სანთელი აანთეს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ ამბავს უბედურება არ მოჰყოლია. თუმცა რა უნდა მოჰყოლო-

და. ინგლისისა და ამერიკის ავიაციას სწორედ ზანდფორტის დასაბრუნებად სურს. რომელი ჰავრი და ოსტენდენ უნდა არის! აბა, რა მათი ბრალი იყო, თუ პატრულები თავისი ფეხით ამოეხეტნენ მეორე სართულის კიბეზე და ვისკის საყლაპავად თავისივე სურვილით დარჩნენ. გაყრიდი თუ? დედას არ გიტირებდნენ? ახლა კეთილი ინებონ და პასუხიც მართო თვითონ აგონ. ტყუილად როდი თქმულა, უჭკუო თავი ფეხებს ძალას აყენებს...

ეს აზრი ხმამაღლა არავის წარმოუთქვამს, მაგრამ ბიჭები მეტნაკლებად გრძობდნენ, რომ ამ საქმეში მათი დანაშაულის წილი სულ უმცირესი იყო და წელშიაც თანდათანობით გაიმართნენ.

ჯერ ვასო ინჯიამ, შემდეგ კი თვით ბრაიტენერმა, დიდხანს ილაპარაკა იმაზე, თუ რა შეუძლია სიფხიზლის თუნდ ოდნავ მოდუნებას. ინჯიამ ზელახლა ახსენა კონტინენტზე მოკავშირეთა სადესანტო ჯარების შემოჭრის შესაძლებლობა და ის, რომ ზანდფორტში და მის გარეშემო, ყველგან, სადაც კი ბატალიონის ქვეგანაყოფები დგანან და საფორტეფიკაციო ნაგებობებს აშენებენ, მტრის შენიღბული აგენტები დაძვრებიან და ცდილობენ ვერაგული მოქმედებით ძირი გამოუთხარონ „ჩვენი მოკავშირე გერმანიის“ სამხედრო და სახელმწიფო-ეპრივ ძლიერებას.

— ამ დროს კი რას შერებიათ ჩვენი პატრულები? — პირგამეხებული ბრაიტენერი ზელახლა შეიმართა მანქანაზე, — ვილაც არამზადებთან ერთად ვისკით ილუშებიან და ქალაქს, თავის მძინარე ამხანაგებს ღვთისა და კომუნისტი აგენტების ანაბარა სტოვებენ... ამიტომ ებრძანებ: დღესვე სამივე მიცემულ იქნან სამხედრო ტრიბუნალის სამართალში, როგორც საგარნიზონო წესდების უხეში დამრღვევები! გააფორმეთ საქმე, ბატონო ობერლეიტენანტო, — მიმართა მან ინჯიას, — გამოვიყენებ მთელ ჩემს გავლენას და ძალას, რომ დამნაშავეებს ღირსეული სასჯელი შეუფარდონ. — შემდეგ ისევ გონგლაძეს

და ავტომატებით შეიარაღებულ ეფრეტორებს მიუტრიალდა და ხელი აიჭ-

ნია, — გაიყვანეთ სამშობლოს მოლალატეები!..



თ ა გ ი I X

ნავაზშემეგს ახალმოსულები შტაბში დაიბარეს და შოფრების რაზმში გამწესების მაგიერ ყველას სხვადასხვა ასეულში უკრეს თავი. შურა ჩილაჩავა მესამე ასეულში უნდა წასულიყო ნიკოლოზ მელიქიასთან. მიტო გიგაშვილი შალვა ლოლაძის ასეულში გაგზავნეს ანთიმე — ნოე გონგლაძესთან. არტემიძე გივი მინდიაშვილის მეოთხე ასეულში მოხვდა.

ამ ქვეგანაყოფებიდან შიგ ზანდფორტში მხოლოდ შალვა ლოლაძის ასეული და გივი მინდიაშვილის ერთი ოცეული იდგა, დანარჩენები კი დასახლებული ადგილებიდან მოშორებით ცხოვრობდნენ, ზღვის სანაპიროზე

განაწილება ბრაიტერის ადიუტანტმა მოახდინა, ოცი-ოცდარი წლის ლოყებდაბარწულმა ლეიტენანტმა, რომელიც ეკლესიის ორდანიტს უფრო ჰვავდა, ვიდრე მებრძოლ ოფიცერს. შტაბში ამ დროს მის მეტი არავინ იყო. ბიჭებს უნდოდათ ადიუტანტის ახალგაზრდობით ესარგებლათ და შეხვეწნოდნენ, ერთად მოსული ხალხი ვართ, შოფრების რაზმშიც ერთად ვიყავით ჩარიცხული, იქნება ისე მოგვიხერხოთ, რომ აქაც ერთად ვიყოთო, მაგრამ ადიუტანტი მიუხედავად და თვითონვე აგრძნობინა, ბრძანება ზემოდან მოდის და მე, სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შემიძლიათ. აღარც ბიჭები ახირებულან. ხვეწნა-მუდარას შეიძლება რაიმე ეჭვიც კი გამოეწვია და მათაც ბედის დამორჩილება ამჯობინეს.

რადგან უკვე გვიანი იყო, ახალმოსულ ქარისკაცებს ნება ეძლეოდათ ეს უკანასკნელი ღამე კიდევ ერთად გაეტარებინათ და ხვალ, მუშაობის დაწყების წინ, თავ-თავიანთ ასეულებში გამოცხადებულყვენ.

ადიუტანტი არ დაინტერესებულა, თუ წუხელ სად ეძინათ ან ამაღამ სად აპი-

რებდნენ ღამის გათევას. ეკლებზე იჭდა, სადღაც ეჩქარებოდა. საქმეს მორჩა თუ არა, ბიჭები გარეთ გამოისტუმრა, გააფრთხილა, დროით წადით, თორემ სადაცაა კომენდანტის საათი დაიწყებაო და მოედანი უკანმოუხედავად გადასქრა.

კუთხეში, ეკლესიის პირდაპირ, თეთრებში გამოწყობილი ქალიშვილი ელოდებოდა. მათ ხელი ხელში ჩასჭიდეს ერთმანეთს და სირბილ-სირბილით თვალს მიეფარნენ.

— ჯვარის დასაწერად ხომ არ მიარბენინებს ეგ ვირიშვილი! — ჩაიცინა ევგენიმ და ქუჩის კუთხეს, სადაც ყმაწვილი ქალ-ვაგი ის იყო მიიმაღა, გამკილავე მზერა მიაპყრო.

— შენ რა გენადვლება, და არის შენი თუ ბიძაშვილი! — ჩამოართვა სიტყვა შურა ჩილაჩავამ, — ასევე უწინა...

— წავიდეს, მაგისი... — ევგენიმ გემოზე შეიგინა და ამხანაგებს მოუბრუნდა, — მიაგნებთ ახლა ბუნავს?

— შენ არ მოდიხარ თუ? — გაიკვირვა მიტომ.

— ვერ გაიგონეთ, რა მითხრა დილას მიქიაშვილმა? ინჯია უნდა ენახო.

— მოგცილია ერთი!

— ხომ იცი, დაბარებული ვყავარ და რატომ ამბობ მაგრე!

— ბოდიში, ბატონო, წავედით ჩვენ!

— მიაგნებთ მერე სახლს?

— თუ ვერ მიაგნებთ, უკან ხომ მოვბრუნდებით!

— ამას ჰგონია, ბიჭო, თუ წინ არ გაგვიძღვა, უსათუოდ კლდეზე გადაეცვივდებით უპატრონო ცხვრებივით! — სიცილით თქვა გივი ანთიმემ, რომელსაც დილანდელი ნაწყენობა უკვე დაევიწყებოდა და არტემიძეს ალაღად სახეგახსნილი შესცქეროდა.

— აგრე, ხომ? — გაიცინა ნასიამოვ-

ნებმა ევგენიმაც, — ნახეთ, თუ უკან არ დაბრუნდეთ ზუზუნით, გვიშველეთ.

— ჩამოდი ნიძლევი!

— ჩამოდი! — ევგენიმ ხელი გაუწოდა, — თქვენ იყავით, ბიჭებო, მოწმე, თუ...

— Hallo!... — ბიჭების მხიარული მიემოეთი შტაბის კართან მდგომმა ავტომატგადაკიდებულმა გუშაგმა დაარღვია. — Hier darf man nicht stehen. Bitte weitergehen!¹

— რატომ ვითომ? — ყველას მაგიერ გერმანულადვე ჰკითხა მას გივიმ.

— იმიტომ, რომ საგუშაგოა, — დინჯად უპასუხა გერმანელმა, რომლის აქ ყოფნა ახალგაზრდებს აქამდე არც კი შეუქმნენვით, — გთხოვთ გაიაროთ!

— რომ არ გავიაროთ? — გივი აშკარად შარზე იყო.

— მე გუშაგი ვარ და ლაპარაკის ნება არა მაქვს, — ისევ დინჯად ვაიმეორა გერმანელმა და ტყავის შავი თასმით მხარზე ჩამოკიდებული ავტომატი გადმოიღო.

— წამოდი თეოთი, რას ედავებით, — ყველას მიმართა შურამ, რადგან შეატყო ევგენიც და მიტოც გივის მხარეზე იყვნენ და გუშაგს თვალებით ჭამუნდნენ, — იეზუიტია, ვერ ხედავთ? თითო ტყვიას ისე მოგვაჯღობს, თვალს არ დაახამხამებს. წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას!..

— გაიარეთ! — მშვიდობიანად გაინეორა გერმანელმა, — აქ ღებოშის და ჩხუბის ადგილი არ არის.

— აი, ღებოშისა! — ქართულად წამოიძახა გივიმ, მართლაცდა იეზუიტით მშვიდ და აულელევებელ გუშაგს კი გერმანულად ჰკითხა: — ვინ ჩხუბობს მერე?

— მე ღებოშისა არა ვარ, მე გუშაგი ვარ. გთხოვთ გაიაროთ!

ეს უკანასკნელი „გთხოვთ“ ბრძანებაზე უარესი იყო. იგი თვით გივიმაც კი ივრძნო. იმასაც მიხვდა, რომ გერმანელი თავის მოვალეობას ასრულებდა და

ჩხუბისა და დავეიდარაბის სურვილი სრულებითაც არ ჰქონდა.

შტაბის შენობას ათიოდე წამით იტყუებოდნენ ვაცილებული, როცა უკან დანა დახილი მოესმათ. ეს ისევ ავტომატიანი გერმანელი იყო. ბიჭები შედგნენ და მოიხედეს. საღამოს ბინდბუნდში, დიდი ხნის გაურეცხავი ფასადის მუქ ფონზე, გუშაგი ძლივსლა დაინახეს. მას გვერდში ვილაც ახმახი კაცი ამოსდგომოდა.

— Kehrt um, Georgier!..¹ — დაიძახა გუშაგმა, — Der Oberleutnant möchte mit euch sprechen.²

ბიჭებმა ისედაც იცნეს, რომ ახმახი კაცი ვასო ინჯია იყო. წამით ერთმანეთს მიაჩერდნენ, რა ვქნათო, მერე კი წინასწარ შეთანხმებულგვით წავიდნენ იქით, სადაც რამდენიმე წუთის წინ იდგნენ. ევგენი დაწინაურდა, ობერლეიტენანტს მხედრული ნაბიჯით ეახლა და მოახსენა, თქვენი ბრძანების თანახმად გამოვცხადდით.

— ესენი ვინდა არიან? — ჰასუხის მაგიერ მიუგო ინჯიამ და მოახლოებულ ამხანაგებზე ანიშნა.

— ჩვენი ბიჭებია, ჰერ ობერლეიტენანტ, ახლები. შტაბში ვიყავით დაბარებული, გაგვანაწილეს.

ამასობაში დანარჩენებიც მოვიდნენ და ინჯიას მხედრულად მიესალმნენ.

— რატომ თქვენ-თქვენ ასეულებში არა ხართ? — ყველას ჰკითხა ინჯიამ და გივი ანთიძეს შეხედა.

— ახლა მივედიოდით... — ბიჭებმა ერთხმად უპასუხეს.

— ამ წუთში მოკურცხლეთ აქ არცერთი არ დაგინახოთ! კომენდანტის საათამდე შეიდი წუთია დარჩენილი.

— მესმის!.. — სათითაოდ უპასუხეს ახალგაზრდებმა და გატრიალდნენ.

— მეც წავიდე, ბატონო? — მორიდებულად მიმართა არტემიძემ ინჯიას.

— შენ დარჩი! — მიუგო მან, ერთხანს მოედანზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალ

¹ დაბრუნდით, ქართველებო.

² ობერლეიტენანტს თქვენთან ლაპარაკი უნდა.

¹ აქ ღებოშა არ შეიძლება. გთხოვთ გაიაროთ!

ბიჭებს გაჰყურებდა, მერე მიტრიალდა, ძეწვევებმული ინგლისური გასაღებით, რომელსაც დღეს დილიდან საღამომდე ხელში ატრიალებდა, თავისი ბინის კარი გააღო და ბნელ ოთახში პირველი შევიდა, — წამო, რაღას უცდი! — მიმართა ევგენის.

არტემიძემ ისე შეაბიჯა ოთახში, თითქოს ნამქერისაგან მოდიდებულ მდინარეში შედისო. რატომღაც ეგონა, რომ აქ სამსხვერპლო თიკანივით დამწყვდეულ შამშე მღვდელაძეს დაინახავდა, მაგრამ მისი მოლოდინი უმალ გაიფანტა, როგორც კი ინჯიამ თითბრის ძველებურ შანდალში ჩამაგრებულ სანთელს მოუციდა და ოთახი გაანათა. ევგენი ამან გააკვირვა, მაგრამ იქვე შენიშნა, რომ კარსაც და ფანჯრებსაც მაუღის უბრალო საბნები ჰქონდა ჩამოფარებული და კარგა ხნის გაუწიავებელ ჩახუთულ ოთახში საშინლად ცხელოდა.

ინჯიამ სკამი გამოსწია და მუშაობა-გადაფარებულ მაგიდასთან დაჯდა. სკამი მეორეც იყო, მაგრამ ის ევგენისათვის არ შეუთავაზებია.

„ფრთხილობს, არ ვავთამამდე, — ფიქრობდა ევგენი და ოთახის ყველა კუთხეს მასპინძლისათვის შეუშინველად აკვირდებოდა, — ნეტავი რა უნდა? რისთვის დამიბარა? თუ გულახდილი ლაპარაკი დამიწყო და რაიმე მკითხა მეც უთუოდ ის უნდა ვუპასუხო, რაც გაეხარდება. ასე რომ არა ვქნა, სულელი ვიქნები!“

— რისთვის დაგიძახე... — თითქოს გულში უჯდაო, ინჯიამ პირდაპირ დაიწყო და თავი ასწია, — იცოდე, სიმართლე უნდა მითხრა!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო... — ევგენი ოდნავ შექანდა ადგილზე და თავაზიანად გაიღიმა.

— იმ ამბის რა იცი?

— რომელი ამბის, ჰერ ობერლოიტნანტ? — არტემიძე ამჯერად მართლაც ვერ მიხვდა, რომელ ამბავზე ეკითხებოდნენ.

— ობერლოიტნანტს ნუ მეძახი, თა-

ნაც აგრე საძაგლად, უბრალოდ ვასო დამიძახე.

„აი, დაიწყო!..“ — გავიფიქრა ევგენიმ, ხმაძალა კი მხოლოდ ეს თქვა.

— გმადლობთ, ჰერ... — და ისევ თავაზიანად გაიღიმა.

— გეცოდინება, მონსი ღვინით საესე ცისტერნა გახვრიტეს ბიჭებმა. ამდენმა თავანკარა ღვინომ ძირი გაიარა.

— როდის, ბატონო ვასო? — ევგენი შეწუხდა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს ამბავი პირველად ესმოდა, გულში კი გაიფიქრა: „ამ წუთში გამოჩნდება, გაგვყიდა თუ არა შოთა მამალაძემ. აი, ამ წუთში! მაგრამ როდისღა მოასწრებდა, ის ხომ მხოლოდ გუშინ ჩამოვიდოდა ამსტერდამში, თანაც ინჯისთან არაფერთარი სამსახურეობრივი ურთიერთობა არა აქვს!“

— ეშელონი როცა მოდიოდა საფრანგეთიდან, — მშვიდად განაგრძო ინჯიამ, შემდეგ უცებ კილო შეიცვალა და ევგენის, რომელსაც ეგონა, ამ საშიში კაცის კეთილი განწყობილება უკვე მოპოვებული მაქვსო, მოულოდნელად შეუტია, — თავს ნუ იკატუნებ! ხომ ხელები, მე არაფერი გამომეპარება, მიწაში რა არის, ის ვიცი!

— როგორ დაგარწმუნოთ, ჰერ ობერლოიტნანტ... — თავისი სიტყვებისათვის უფრო მეტი წონის მისაცემად ოფიციალურობასთან შერეული შინაურული ტონით მიუგო ევგენიმ და ორივე ხელი გულზე მიიღო, — მაგ ამბისა დანამდვილებით არაფერი ვიცი. ისე კი, ვერ მოგატყუებთ, კილოკავად მოგყარი ყური, ასე და ასე მოხდაო. მაგრამ დანამდვილებით... თუ გნებავთ, ხატზე დავიფიციებ!..

— ხატზე! — ინჯია გაჯავრდა, — ხატი და წირვა-ლოცვა ძალიან გწამთ თქვენს!.. — ეს „თქვენ“, რასაკვირველია, მარტო ევგენის არ შეეხებოდა და ის უკვე დარწმუნდა, რომ შოთა მამალაძის შეტყობინებას, თუ ის მართლაც რისამე შეტყობინებას აპირებდა, ჯერ აქამდე ვერ მოეღწია, და ვასო ინჯის ხელთ არაფერი საგულისხმო ცნობა არ

ჰქონდა. „ვერ გაბედავს! — ფიქრით სხევ მინისტრის პორტფელის მძაივებელ ექიმს გასწვდა ევგენი არტემიძე, — ძვირი დაუჯდება. გიჟია-გადარეული, აუტკივარი თავი აიტკივოს, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც მატარებელში მოხდა?“

— მე თუ „შკითხავთ, — მოწინებით შეჰხებდა ინჯიას, — ეგ საჭმე გერმანელების ნამოქმედარია. თავს მოვიჭრი, თუ ასე არ იყოს!

— როგორ თუ გერმანელების?! — ინჯიას გაუკვირდა.

— როგორ და, ჩვენ ღვინოს დაველევთ, ცისტერნის გახვრეტა კი ქართველებს დაბრალდებათო.

— ხომ იცი, ქვეყანაზე არაფერი დაიძალბა, — ინჯია დაფიქრდა. ევგენისთვის კი ძვალ-რბილის გამჟოლავი, გამომცდელი მზერა არ მოუშორებია. ამ გუშინდელი ღლაპის გუმანი როდი იყო საღ აზრს მოკლებული. გერმანელებს, რომლებიც ამავე ეშელონით ქართველებთან ერთად მოდიოდნენ, მართლაც შექცლოთ მსგავსი რამ ეფიქრათ და ჩაეღინათ. — სულ ერთია! — მან თათქოს თავის ფიქრს უპასუხა, — გაფრთხილებ, არტემიძე, შენ და შენი ამხანაგები არ იყოთ ვარეული ამ ამბავში, თუარა... — ვასომ სიტყვა აღარ დაამთავრა და მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად მოკვამა ღრმა ნაოჭებით დაფარული, თითქოსდა ხისაგან გამოკვეთილი ტუჩები, — ახლა ეს მითხარი დალაგებულად, სათვისტომოში იყავით პარჩხში?

— შიგ შენობაში არ შევსულვართ.

— აბა, სად ნახეთ ბატონი კელია?

— ჭეჩანში. მანქანაში ჯდებოდა და სადღაც მიდიოდა.

— ვინ გითხრათ მერე, ის არისო?

— ერთი სომეხი ვაგიცანით, ბატონო ვასო, ხორციის საეაქრო ჰქონდა ვაგზალთან. ქართულს ამტყვევდა. სათვისტომოშიც იმან მიგვიყვანა და ბატონი მიხეილ კელიაც იმან დაგვანახა. ზატონმა მიხეილმა, ქართული ლაპარაკი რომ შემოესმა, თვითონ მოგვეკრა თვა-

ლი და დაგვიძახა. ააშენა ღმერთმა! ასე რომ არ მომხდარიყო, შეიძლებოდა ეგრეთვე მიგვებედა. ვინ ჩვენ დაუჭირა?

— მარტო იყო? — ვასო ინჯიას თვალები უციმციმებდა, ევგენის პირში შესჩერებოდა და თავისი ახლობელი აღამიანების ამბებს მოწყურებული ყოველ წვრილმანს მოუთმენლად ელოდებოდა.

— არა, არ ვახლდათ მარტო, მათე ბოლქვაძე იჭდა კიდე მანქანაში.

— მათესაც იცნობთ?

— კი, ბატონო, აღრე ვიცნობდი.

— საიდან?

— რუმინეთში ვიყავით ერთად.

— რუმინეთში? — ვასო მთლად განცვიფრდა და მისმა თვალებმა კიდევე უფრო მოუმატეს ბრწყინვას, — შენ რუმინეთშიც მსახურობდი?

— არ ვმსახურობდი. ტყვეთა ბანაკში ვიყავი. ქართველი ბევრი იყო. ათას კაცამდე მაინც ვიქნებოდით.

— სად იდებო, რა ადგილას?

— ქალაქი ოლტენიცი გაგიგონიათ? დუნაიზე. ქართველების დიდი ჯგუფი იქ იასის ბანაკიდან მიგვიყვანეს. დიდი გაჭირვება იყო. ასობით იხოცებოდა ხალხი. გვამების გატანას ვეღარ ავეულოდით.

— შენ რალამ გადაგარჩინა?

— ვანგებამ. არ ვიყავი, ალბათ, განწირული. რაც შუბლზე გაწერია, კაცს ის მოგივა.

— გეტყობა, ყოჩაღი ბიჭი ხარ. ომამდე რას აკეთებდი?

— მოსწავლე ვახლდით, ბატონო, ფიზკულტურის ტექნიკუმში ვსწავლობდი. კადრის სამსახურში რომ გამიწვიეს, სასწავლებელი დამთავრებული არ მქონდა.

— რა ეჩქარებოდით, რუსეთი უშენოდ ვერ გასძლებდა?

— წლოვანებით მომიწია.

— მშობლები რა ხელობის ხალხი გყავს?

— მამა უბრალო გლეხაკი იყო, მიწისმუშა. ოცდაჩვიდმეტში დამიხვრი-

ტეს. — ევგენიმ თვალები დახარა და ინჯიას შვერა მოარიდა. მამა მას ნამდვილად აღარ ჰყავდა, მაგრამ ბერიაკი 1937 წლამდე დიდი ხნით ადრე იმსხვერპლა ბრმა შემთხვევამ სახლის მშენებლობის დროს: კოჭებზე გადაბული ლამფა აუყირავდა, მეორე სართულიდან ძირს ჩავარდა და ცოცხალს ვეღარც კი მიუსწრეს, — ტროცკისტი ხარო, ჩააცივდნენ საწყალ მამაჩემს, — ფიქრიანად განაგრძო ევგენიმ, — ტროცკის სახელი არც კი გავგონა, რის ტროცკი, რა ტროცკი, ბატონო ვასო, საჭმელი იყო თუ სასმელი, ვერ გეტყოდა. ამისთანა ადამიანს მოუსწრავდეს სიცოცხლე. ვაჰმე!.. დედას თამარი ჰქვია, მთიელი ქალია, ფასანაურიდან. მამას მოტაცებული ჰყავდა...

— და, ძმა გყავს? — ვასო ინჯიას ვუღიღინა მთელი მთელი არტემიძის თავგადასავალმა და ეს უკვე მამობრივი სითბოთი და მზრუნველობით ჰკითხა.

— ხუთი ძმა დავრჩით. ხუთივე პოლშევიკების სისხლში ვიბანთ ხელებს. მთის ხალხი ვართ, ბატონო ვასო. მამაჩემს ლაჩრებად კი არ გამოვუზრდივართ. მტერს არ შევაქმევიანებთ ქვეყნის ჯაფრს! ასწილ და ათასწილ ვაზღვევიანებთ. თუ ბედმა გვიმუხთოლა და ადრე დავიხოცენით, შვილსა და შვილიშვილს დავუბარებთ და იმათ დავაღვრევიანებთ დასადრეულ სისხლს!..

— როგორ, ბიჭო, — ვასო ინჯიას თვალები აუწყლიანდა, — ძმებიც აქეთ არიან თუ?

— გაბროსი არ ვიცი, ის ყველაზე გვიან გამოიწვიეს მობილიზაციით, მაგრამ ვითორგი, ვასილი და ილია კი ნამდვილად გადმოვიდნენ, — ევგენის ლაწკვები შეეფაკლა და ყვრიმალეებზე ოფლმა გამოეთონა. ის არც ახლა ამბობდა მართალს. უკანასკნელად მოზდოკში შეიტყო ძმების ამბავი. ოთხივე ფრონტზე იყო და შეუბოვრად ებრძოდა მომხდურ მტერს. სახლ-კარი და წვრილშვილი მოხუცებული დედის და ქალბატონის ანაბარა დაეგდოთ. — ახლა გა-

ბროც, — მან გამბედაობა მოეკრიბა და უფრო თამამად განაგრძო უკუპარაშის სული უღვას, გადმოხსტყნა მტკნება. საწყალი მამაჩემის მკვლევებთან და ჩვენი ძველი ბუდის მომშლელებთან ამდენხანს რა დააყენებდა!

— ხალხი თქვენ კოფილხართ, შვილო, — თქვა გულაჩუყებულმა ინჯიამ, წინ გადმოიხარა და თავისუფალი სკამი გამოსწია, — დაჯექი. მამაბაბე, თუ წელან ან სხვა დროს გლახა სიტყვები გაკადრე. ყველა შენისთანა კი არ მიოდის აქ! ეს რა მოთხარი, ეს რა მესმის!... მე თუ კიდევ რაიმე გამახარებდა ან გამაყვირებდა, აღარ მეგონა. გულს ნურც შენ გაიტებს, შვილო, ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კეთილად დაბოლოვდება. თავად როგორ ჩაბარდი ტყვედ, დაჭრილი იყავი?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ვასო, გაკაწრულიც არსად მქონდა. ის კი არა, რუსული ავტომატიც თან წამოვიღე, — ევგენი დაჭდა და დაიმედებულმა, ყოველ ჩემს სიტყვას ნაყოფიერი ნიადაგი ხედებო, ხელახლა მოხსნა თავი გულას. შემდეგ გაახსენდა, რომ ფეხში მძიმედ იყო დაჭრილი, რის გამოც სიარული ვეღარ შეიძლო და კამენეცკ-პოდოლსკის აღმოსავლეთით ტყვედ ჩავარდა და სამჭაროდ დაუშავა: — ერთი კვირის შემდეგ რუსებმა მომარტყეს ბესარაბიაში. ცხვირწინ ნაღმი ამიფეთქდა. სამ დღეს უგონოდ ვიყავი. კინაღამ სული გავაცხე. ნაწილს ჩამოვრჩი. რუმინელებმა უკან წამიყვანეს და სამხედრო ლაზარეთში მოთავსების მაგიერ ტყვეთა ბანაკში მიკრეს თავი. ბევრი ვამტკიცე, ჩემი ნება-სურვილით ვარ მეთქი გადმოსული, მოსისხლე ბოლშევიკების წინააღმდეგ იარაღითაც მიბრძოლია, ამ ჩემს კრილობას მაინც დახედეთ მეთქი, მაგრამ ეინდა დაგიჯერა! ცოტალა აკლდა. არ მიმახვრიტეს. ვილადა ჩემი ცოდვით სავესემ ხმა დამიყარა, ეგ რუსების მოგზავნილი ჯამუტში უნდა იყოსო... თუ უზრ-



დღეობად არ ჩამომართმევთ, ბატონო ვასო, ერთს მე შეგეკითხებით.

— ჰო... — ანგარიშმიუცემლად დართო ნება ინჯიამ.

— გიორგი ინჯია რა არის თქვენი? შინაურობაში უორას ეძახიან.

— გიორგი ინჯია? — გაწეულა ვასომ და ხომ არ მომეუტრაო, სკამიდან წამოიწია, — ვინ გიორგი ინჯია, ბიჭო, რა ხნის კაცი იქნება?

— ასე, თქვენი ხნის, — თითქოს ვერც კი ამჩნევს აღელვებასო, დინჯად უბასუხა ევგენიმ, — სახითაც კალიან ჩამოგავთ. გუშინ, დავინახეთ თუ არა... ისიც მაღალ-მაღალია, თხელ-თხელი...

— ძმა არის ჩემი, ბიჭო, ღვიძლი ძმა! მის მეტი დედამამიწვილი არც გამაჩნია. ორივე ასე სხვის კარზე დაუბერდით და უშეილძიროდ გადავეგეთ. პირადად ნახე? სად? როდის? მოხუცებულია ძალიან? დალაგებულად მომიყვები, თუ ღმერთი გწამს... ეს კი გავიგე, თამარ აინსში ჩარიცხულაო. მერე ველარა-ვინ მითხრა მისი ამბავი. ფრონტზე უპირებდნენ გაგზავნას, კავკასიაში...

— „თამარ აინსი“ ფრონტზე არ გაუგზავნიან, ბატონო ვასო. ოლტენიცში ჩამოიყვანეს და იქ ღუნაის ფლოტილის გემებს ატვირთვინებდნენ.

— რას მიედ-მოედები! — წამოიძახა შეურაცხყოფისაგან წონასწორობადარღვეულმა ინჯიამ, — ეგ ასეული ხომ ყველაზე უფრო საპატივეცემო ქართველი ემიგრანტებისაგან შეადგინეს. სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა... იმით გემების სატვირთავად გამოყვანას ვინ გაუბედავდა! — ვასოს ძმა სულ გადააიწყდა, რადგან გულში შელახულმა ღირსებამ და ეროვნულმა თავმოყვარობამ გაიღვიძა. მაგრამ ცხოვრების სინამდვილე უღმობელი იყო.

— მე ჩემი თვალით ვნახე, ბატონო, — მიუგო ევგენიმ და დამწვარზე მდულარე გადასახა.

— საწყალი ჩემი ძმა, ის რაღას აკეთებდა?

— რასაც სხვები. ტომარებს აწყობდა ურიკაზე.

— ასე აბუჩად აიგდეს მძიმე...

— გერმანელები ებოდისებოდნენ, ძალიან ძვირფასი ტვირთებია და სატანებს ვერ ვენდობითო. სატანები ვითომ ჩვენ ვიყავით. ახლა თუ ისე ცოცხალი ვარ, ბატონო ვასო და აგერ არხინადა გელაპარაკებით, თქვენს ძმას, ძია გიორგის უნდა ვუმადლოდე.

ევგენიმ ეს სიტყვები ისე უშუალოდ და ალაღად წარმოთქვა, შეუძლებელი იყო მათ სიმართლეში ვინმეს თუნდ იოტისოდენა ეჭვი შეეთანა. ვასო ინჯია გაბრუებული იყო და არ შეეძლო გაეგო, რომ მტრის კლანჭებში მოხვედრილ ამ ახალგაზრდა კაცს მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — რიგორმე მისი გული მოეგო და სრული ნდობა მოეპოვებინა. ევგენიმ ყურმოკრულად იცოდა, რომ „თამარ აინსში“ სხვა ქართველ ემიგრანტებთან და ოამდენიმე მოხალისე სამხედრო ტყვესთან ერთად, ვასო ინჯიას ღვიძლი ძმა გიორგიც მსახურობდა. რაკი ეს იცოდა, მისთვის ძნელი არ იყო გულში ჩამწვდომი ამბავი შეეთხზა და როგორც კი მარჯვე შემთხვევა მიეცემოდა, ეს ამბავი ვასო ინჯიასათვის მოეთხრო. ამაზე უფრო მარჯვე შემთხვევას ის ვეღარ იპოვნიდა და ამიტომაც ევგენი ყველა ღონეს ხმარობდა, გამოცდილი და გონებაგამპირიხი ვასო ინჯია თავისი ხელით დაგებულ ბადეში გაეხვია, რათა შემდეგ, თუ საპირობა მოითხოვდა, მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონოდა. ევგენი, რასაკვირველია, გრძნობდა, რომ ეს ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ მისდა გასაკვირად და სასიზარულოდ, ჯერჯერობით საქმე ჩინებულად მოეწყო: ინჯია მორჩილი პირუტყვივით მისდევდა საბელს, რომლის მეორე ბოლო ევგენის უჭირა.

— რანაირად? — ჰკითხა მან თავის ახალგაზრდა სტუმარს, როგორც კი ევგენიმ გიორგი ინჯიასადმი დიდი მადლიერება გამოთქვა.

— თვალები იმან ამიხილა, — კედევ მეტი შთაგონებით მიუღო არტემიძემ, — გზაზე დამაყენა, გერმანელებთანაც იმან გამიკეთა საჭმე და სულ მალე ბარაკიდანაც გამომიყვანა. ვისაც თავისი თვალით არ უნახავს, ბატონო ვასო, ვერც კი წარმოიდგენს, ეს რასაც ნიშნავს, სანდო ხალხს ერთად მოგვიყარეს თავი. სამასიოდე ბიჭი მოვგროვდით. ტანი და ფეხი სულ შემოგვადნა. შიშველ-ტიტველი ვიყავით. ფრანგული თუ ბელგიური სამხედრო ფორმა ჩაგვაცვეს. ათასჯერ დაკერებული იყო, მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ სული მოგვაბრუნებინა. ერთ დღეს ჩვენც გაგვიყვანეს ნავსადგურში გემების გადმოსატვირთად. სამუშაო, რაც მართალია, მართალია, მძიმე იყო. რუმინელები და ვლასოველი პოლიციები შორიდან გვითვალთვალებდნენ. ეგონათ, რამეს წაეახდნენდით. საკუთარი თავის მტრები ხომ არ ვიყავით! ასე გაგრძელდა სრულ თოთხმეტ დღეს. მეთხუთმეტე დღეს ისევ ემიგრანტები მოგვაჩინეს. იმათ შორის ძია გიორგიც იყო. თურმე ჩვენი ჯგუფისაგან ახალი ეროვნული ასეულის „თამარ ცვაის“ ჩამოყალიბებას აპირებდნენ. გადავირიე სიხარულით. ვიცი, სხვებსაც გაეხარდათ. ვერ ვამყვანებდით. ენდობოდი ვინმეს თუ? ერთმანეთის გვეშინოდა. კომუნისტებს, თქვენ უკეთ იცით ჩემზე, ყველგან ჰყავთ თავისი კაცები. ასეული თანდათან, ხალხის მომეტების კვალობაზე, ბატალიონად უნდა გარდაქმნილიყო, ბატალიონი — პოლკად, — პოლკი — ბრივადად, ბრივადა — დივიზიად დივიზია — კორპუსად და ასე...

— რუსების წინააღმდეგ კიდევ გაგვიყვანეს? — შეაწყვეტინა ინჯიამ, რომელიც ძთელი ამ ამბის მოსმენის დროს უცნაურად დაძაბული და აგზნებული იყო.

— ორჯერ, ბატონო, — დაუფიქრებლად უპასუხა არტემიძემ, — ჯერ მოზლოკთან ვიბრძოდი, დავიჭერი და ეის-

კის ლაზარეთში მომათესეს. ეისკიდან როდომში ჩაგვიყვანეს სანტარული მატარებლით. მეორედ ჰერნიკოვთან გახლდით, ყირიმში. სულ ბოლოს, კაპიტან ჭიჭინაძის დალატის ამბავი რომ გავრცელდა, ყველა კრუშინაში მოგვაგროვეს...

— მოწამლული ხართ, — ზიზლით წარმოთქვა ინჯიამ და სახე მიიბრუნა. კაპიტან ჭიჭინაძის გახსენებამ მას გუნება გაუფუჭა და წუთიერი აღტკინებაც ერთბაშად ჩაუქრა.

კაპიტან ჭიჭინაძის თავი რაიხის გენერალურმა შტაბმა ასი ათას მარკად შეაფასა. ეს ვერაგი ქართველი ჯერჯერობით ერთადერთი კაცი იყო, ვინც შესძლო, კბილებამდე შეიარაღებული თავისი ასეულით, ფრონტის წინახაზის მიღწევისთანავე, თავისიანების მხარეზე გადასულიყო და გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში მაშინვე ჩაბმულიყო. ყველა ქართველმა, ვინც იმხანად რაიხის რიგებში მსახურობდა და გერმანელ ნაცისტებს თანაუგრძობდა, ეს ამბავი მწვავედ განიცადა, რადგან მამაცი და უაღრესად განათლებული ოფიცრის — ჭიჭინაძის დალატის შემდეგ, რაც სავსებით მოულოდნელი იყო, ყველა ქართველს აღმაცერად დაუწყეს ყურება და თვით ვასო ინჯიასაც კი საიდუმლო მოთვალთვალე მიუჩინეს. თავდაპირველად ინჯიას ეგონა, რომ ეს დავალება თვით ბატალიონის მეთაურ იოსტს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ საქმემ მალე დაარწმუნა, რომ იოსტი თვით იყო საეჭვო პიროვნება და თავისი საქციელით კომუნისტების ფარულ მსტოვარს უფრო ჰგავდა, ვიდრე გესტაპოს სანდო პირს. შემდეგ მან ეჭვი მოხუცებულ ვებერზე მიიტანა და ამ ორ სხვადასხვა ბუნების კაცს შორის წყაღვევაში ომი გაჩაღდა. ვებერი თავს იცავდა და ცდილობდა ინჯიას საქმეებში არ ჩარეულიყო, მხოლოდ მისდამი ზიზლს კი ვერ მალავდა. ბატალიონის გერმანელ ოფიცერთა წრეში და, ასე გასინჯეთ, თვით ქართველებს შორი-

საც კი, მას ბევრი თანამგრძობი და პარტივისმცემელი ჰყავდა. ამიტომ, თამაში რომ არ წაეგო, ინჯია ფრთხილად იქცეოდა და აშკარა იერიშზე გადასვლას თავს არიდებდა.

ყველა ამ ბოროტების სათავედ, რასაც რაიხის რიგებში მომსახურე ქართველი სამხედრო პირების რეპუტაციის საფუძვლიანი შელახვა მოჰყვა, ვასო კაპიტან ჭიჭინაძის ვერაგულ დალატს თვლიდა და რას არ მისცემდა, ოღონდ მოლაღატე ჭიჭინაძე ოდესმე ცოცხლივ ხელში ჩაეგდო. მაგრამ ცოცხალი იყო დღეს ჭიჭინაძე? იქნებ თვით ბოლშევიკებმა მოუღეს ბოლო? მათთვის ხომ მადლიერების გრძნობა, ნამდვილი ერთგულება არც არსებობს!

„გერმანელებს, სამწუხაროდ, ყველა საბუთი აქვთ, რომ ქართველებს ერთნაბიჯზეც არ ენდონ, — ფიქრობდა ინჯია და გული ბოღმით ევსებოდა, — განა უკეთესი ამბავი მოხდა თვით კრუშინაში? ქართული ბატალიონის იქაურმა ქართველმა უფროსმა, იოსტის დროს, მაიორმა ქარცხიამ, მთელი საწყობები დააცარიელა და სურსათი და იარაღ-საჭურველი პოლონელ ყაჩაღ-პარტიზანებს დაურთვა. პარტიზანებში ხალხის გაქცევას თვითონ ხელმძღვანე-

ლობდა ძალიშვილი. უკანასკნელ ჯგუფთან ერთად თვითონაც აპირებდა მიმალვას, მაგრამ მამა ვაცხოხე იმათი, დროზე სტაცეს ხელი და თავი ყულუშში გააყოფინეს. სად ყოფილა ამისთანა უპირულობა და წაჭეჭ-უქუჭეჭობა! რა აჭამეს ამ ოხრებს ბოლშევიკებმა, ასე რანაირად მოხარშეს, ასე როგორ ვადიბირეს. მიტენვალდის შეთქმულებამ ხომ სულ დაავიროვინა საქმე! ქართველი ოფიცრები — წიკლაური, ტაბიძე და ჯმუხაძე სწორედ ფრონტზე გავზავნის წინ ამხილეს და მათაც გასანთლული თოკი მოარგეს კისერზე. არადა, მთელ ბატალიონს რაჰის მთებში უპირებდნენ გადასხმას. ვითომდა რუსების კომუნიკაციების მოსაშლელად... ამის შემდეგ ქართველების რომელ ნდობაზე შეიძლება ლაპარაკი! განა გასაკვირია, თუ თითო ქართველ ოფიცერს ორი და სამი ფარული მეთვალყურე ჰყავს? რაც იყო, იყო, უკვე მომხდარს უკან ვეღარ დააბრუნებ. აწი მაინც იქნებოდეს თანხმობა და ახალი უმსგავსობა აღარაფერი მოხდებოდეს მთელი ქართველობის სამარცხვინოდ და თავის მოსაჭრელად. ღმერთო, შენით!...“

□ ბაბრძილება იანბნა □

ზუკაბ კახიანიძე

მ ო ღ ი ს...

წავიდა,
როგორც შვენის ბუნებას
ძველის წასვლა და ახლის წყურვილი...
წავიდა უკანმოუბრუნებლად
დამცხრალ, დაფერფლილ სიყვარულივით.

ბედ-იღბალს სჭედდა, როგორც ნალბანდი.
დიდება მისცა ბევრს ბუნებრივი,
ზოგი იმ ქვეყნად შავი ნაბადით,
წააწიაჭა ბელურებივით.

წავიდა,
რა გვაქვს ჩვენ სამდურავი,
ბებრულ თვალბზე ფიქრი კრთებოდა...
მისი ყოველი დღე, ვით ზურაბი
კვდლის დუღაბში იკირებოდა.

ბევრი მივიღეთ მის აღერსიდან
და სუნთქვა მისი ჯერაც აქ არი;
თან დავგიტოვა თმაში ვერცხლი და
აუხდენელი ნატერის კანკალი...

მოდის,
დღითი-დღე ძალას შეიძენს,

ამოგვიქარგავს ოქროს ბილიკებს
და დიდ სიხარულს, როგორც დედის რძეს,
დაუმაღლებლად ჩამოგვირიგებს.

იქნებ დაკრიფოს დარდის მტევნები,
დალეწოს ქვეყნად კაკანათები...
და აგვისრულოს აუხდენელი
ფიქრი,
ოცნება,
ნატვრა ნათელი.

მოდის...
დაადგა თვალი მთა-სერებს.
და ვგრძნობ სინათლით როგორ ვიესები...
ალარ მასვენებს,
ალარ მასვენებს
ბურუსიანი ოქროს სიზმრები.

მოდის ახალი წელი,
შეფოთლილს
მოაქვს ხალისი სიტყვა, სურვილი
და ათრთოლებულ სულში შემოდის
ახლადმოვარდნილ სიყვარულივით.

• • •

ჯერ შეუსმელო სადღევრძელოვ,
რად არ მასვენებს,
ჯერ დაუთვლელო ვარსკვლავებო,
მე ვით დაგთვალოთ.

მიუწვდომელმა ოცნებებმა
გული დასერეს,
მაგრამ ადრეა სადღევრძელო
ვთქვა საკართანო.



ჯერ დაუშრეტო ფიქრო,
საით მიეჭანები,
ჯერ დაუმცხრალო რას ჩუხჩუხებ
სისხლო ტიალო,
რად გსურთ დაღეწოთ,
გაანგრიოთ
ცის სამანები
და თეთრ ღრუბლებთან გამიტაცოთ
სახეტიალოდ.

ჯერ არნახულო სიხარულო,
დამკარ ზვირთები,
ჯერ არმოსულო სიყვარულო,
შენით ებოგინობ...
გამოტყდით ბარემ,

ქე გამოტყდით,
ხვალ რას მპირდებით,
ჯერ გაუვლელიო,
გაუსვლელიო,
გზავ და ბოგირო.

ჯერ არდამდნარო რად კანკალებ
თაფლის სანთელიო,
ცხელიო ბუხარო, თვალს რად ხუჭავ
გულადრიანო;
ანათეთ!
თქვენით ბევრი ღამე
უნდა გავთელიო,
და ნაკვერცხლებზე ფეხშიშველამ
უნდა ვიარო.

ბოლომდე...

თუ კი ეს ყანწი დასაცლელია —
ნულა აყოენებ, სხეები გელიან,
ასწი ბოლომდე!

თუ ეს ბილიკი გასავლელია —
ნუ შეუკრთები ღიჭს და ლელიანს,
გასწი ბოლომდე!

თუ სიყვარულით გული ყმაწვილობს —

ქვეყნად არავის გაუნაწილო,
დატკბი ბოლომდე!

თუ კი ეს შხამი უნდა დასცალო —
წვეთ-წვეთად დუნა აღარ აცალო,
შესვი ბოლომდე!

თუ გააშიშველ მტრისთვის ხანჯალი,
ნულარ ყოყმანობ გულისფანცქალით,
ჩაეც ბოლომდე!



მედიკოსი, უსიარო ტყაპო!

რომანი

იმ ღამესაც არ მეწერა ძილი და მოსვენება. სად წავიდნენ? რა მოვლით მათ? ან ჩვენ როგორ მოვიქცეთ, რომ დაავიანონ? იქნებ რაიმე შეემთხვათ? იქნებ სულაც ვერ დაბრუნდნენ?

ნერვიოზის მახლობლად ბატალიონის არსებობა ანტონმა მოიგონა და ახლა ყველაფერი მის ნიქსა და მოხერხებაზე იყო დამოკიდებული.

მეორე დღემ მშვიდად ჩაიარა. ბანაკის ირგვლივ ყარაული გავაძლიერე, ექვსის მაგიერ ათი მეზობლი დავაყენე.

მესამე დღეს მოწვიმა. მშვენიერი დილა გათენდა. ცა სუფთა იყო და ხასხასა. მაგრამ ნაშუადღევს ერთბაშად მოიღრუბლა და ცოკისპირული წვიმა დაუშვა. ყველანი კარვებს შეეფარნენ. დაღამებამდე არ გადაუღია, არც ბიჭებს გამოუყვიათ თავი კარვებიდან.

სალამოს ბიჭები კარვებიდან გამოეფინენ. სახელდახელოდ წაიხემსეს და ჩემს კარავთან შეჯგუფდნენ.

კიდევ ერთი ხვალინდელი დღე და ანტონი და ვალოდიაც უნდა გამოჩნდნენ.

ახლა საუბრის თემა ესაა მხოლოდ. ვინ რას ამბობს, ვინ რას ყვება, ათასგვარ ვარიანტს თხზავენ, იმედოვნებენ.

მეც შიგ და შიგ სიტყვას ჩავურთავ, მეზობლებს ვამხნევებ, გულში კი ცეცხლი მიტრიალებს.

რატომ მოვიქციით ასე? რატომ ვაკადრეთ ტყუილი ამ გულდია, თავდადებულ ვაჟაკებს? იქნებ სჯობდა გვეთქვა სიმართლე. სიმართლის თქმა ყოველთვის სჯობს.

ყოველთვის?

ბანაკმა გვიან დაიძინა. დაიძინა-მეთქი, ვამბობ, თორემ ალბათ ჩემსავით არც სხვებს მოუხუჭავთ თვალი. აგერ, ჩვენს კარავში ოთხნი ვწევართ. მიშა ლიზუნოვი ყოველ საათში გადის კარავიდან, გუშაგებს ამოწმებს. ერთი-ორჯერ მეც გავყევი. ახლა ალიოშა ტარანეკო წრიალებს, ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდება, ხან მეორეზე. ვასო უფრო მშვიდადაა. ხელები თავქვემ ამოუწყვია და დუმს.

მე თუთუნს ვეწევი.

ალიოშა წამოჯდა, მკლავები გაშალა. კარავში საკმაოდ ბნელა, მაგრამ მე კარგად ვხედავ მის დაკუნთულ მხარბეჭს. ისეთი ღონიერია, შეგშურდებათ.

— რაც არ უნდა მოხდეს, ვისაც არ უნდა შევეუერთდეთ, ჩვენ ერთმანეთს მაინც ნუ დაგშორდებით. — თქვა ალიოშამ.

— რა უნდა მოხდეს, ალიოშა? — ვკითხე.

— რა ვიცი, ჩემი უკრაინაა, ჩემი სოფელი აქედან შორსაა. მე აქ უნდა ვიბრძოლო, შორჩა და ვათავდა. სანამ ძალა შემწევს, სანამ სული მიდგას, უნდა ვიბრძოლო. ჩვენ ერთად ვიყავით. რაზმიც რომ დიშალოს, ჩვენ მაინც ნუ დაეფანტებოდა. ასე დიდხანს არ გასტანს. აღსდგება ხალხი. ახლა დაშინებულა, სოროვებში შერევეს გერმანელებმა, მაგრამ მალე ნახავთ, რა ცეცხლი დაინთება ამ ტყეებში. სადღაც ბატალიონიაო, მერე რა, ჩვენსავით დაბნეულები იქნებიან. რას მოგვეცემს მათთან შეერთება. აქ ფრონტი არ არის, რომ დიდი ძალით შეგვეძლოს ბრძოლა, ფრონტის გარღვევა და მთავარ ნაწილებთან შეერთება. ჩვენ ხალხთან მივიდით, ხალხთან. ხალხია მთავარი. შემოვიკრიბოთ, ვიბრძოლოთ. ასე ყველასაგან მოწყვეტილი არც ბრძოლა ვარგა და არც სიცოცხლე. არ გეწყინოთ, თითქოს ჰქუას გარიგებთ და, ალბათ, არ გსიამოვნებთ, მაგრამ მგონია, არ უხდება ვცდებოდე.

— სწორი ხარ, ჩემო ალიოშა, ცამდე მართალი ხარ და რა მეთქმის. მთავარია ჩვენი ბიჭები შევიწინააღმდეგოთ. რა ვუყოთ, ცოტა თუ შეკრთენ. ადამიანები არიან. ექვსი კაცის, ექვსი გულითადად მეგობრის სიკვდილი ვის არ შეაფოთებს. აი, დაბრუნდებიან ანტონი და ვალოდია. მე მათი იმედი მაქვს. ვნახოთ, რა ამბავს მოგვიტანენ. მერე გამოვიტანოთ დასკვნები. ხალხთან მისვლა კი აუცილებელია. მადლობელი ვარ, ასეთი კარგი რჩევა რომ მომაწოდე. ახლა დაიძინე. თუ მართლა გაწყრა ღმერთი და რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა... ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, მუდამ. ძილი ნებისა, ალიოშა.

— ძილი ნებისა, — თქვა და დაწვა. ძილი ნებისაო, ისეც რა ვუთხარი ალიოშა ტარანენკოს, ახლა მან თვალი დახუჭოს!

ის ღამეც ჩათავდა. ასე ფიქრსა და ღელვაში ჩაიარა ღღემაც. სუბოდოლსკისა და კორპუშევს ხვალ დილით მოველით, მაგრამ იმ ღამეს კარავში თითქ-

მის არავინ არ შესულა. დადიანს, დეალაჯებენ ბანაკის ირგვლივ გაუფრთხილებენ, თან თვალი და ყური გაუფრთხილებენ. საკენ აქვთ. იქედან მოელიან ამხანაგებს. ანტონი და ვალოდია განთიადისას ისე შემოიპარნენ ბანაკში, არც ერთ ჩვენთაგანს არ გაუგია. ეს არაა გასაკვირი და არც მათ ჩაეთვლებათ დიდ გამირობად. ორივემ ხუთი თითივით აცის ჩვენი ბანაკის განლაგება. როგორც კი თვალი მოჰკრეს ბიჭებმა ანტონსა და ვალოდიას, იმწამსვე თავქუდმოგლეჯილები გამოიქცნენ. ანტონს წვერი წამოზრდია, ილიმება და ფოლადის კბილებს ბრჭყვიალ-ბრჭყვიალი გაუღდის. კორპუშევი მოგვესალმა და გვერდზე გადასა. სიტყვა ანტონს დაუთმო. ანტონი მზიარულად გვართმევს ხელს, თან ლაპარაკობს.

— დავალება შევესარულეთ, მეგობრებო. ბატალიონის მეთაური ვინახულეთ. ამ რაიონში სხვა ნაწილებიც ყოფილან. მალე ყველანი შევერთდებით. მეთაურს ჩვენი რაზმის ამბები გავაცანი და დახმარება ვთხოვე. არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. მალე პარტიზანული ბრძოლის ხანძარი მთელ ბელორუსიას მოედება. ამ ბრძოლაში ჩვენი რაზმი ერთ-ერთი პირველი იქნება. რადიოააც მოვეუსმინეთ. ფრონტის ამბებით ვერ გაგახარებთ, მტერი წინ მიიწევს. გუშინ სმოლენსკი აუღიათ. ამხანაგ სტალინის ბრძანებაც გავაცინეს. მთავარსარდალი გვაგალებს მივიდეთ ხალხთან, გავამხნეოთ და ბრძოლაში გავიყოლიოთ, დავუკავშირდეთ იატაკქვეშა ორგანიზაციებს. ასეთი ორგანიზაციები კი უთვალავია თურმე!

ცოცხლად და დამაჩერებლად ლაპარაკობს ანტონი. ისეთი შთაგონებით წარმოთქვამს ყოველ სიტყვას, რომ მე თვითონ მეპარება ეჭვი. იქნებ ყველაფერი ეს, რაც მან განაცხადა, სინამდვილეში მოხდა-მეთქი.

თუ ასეა, ხომ კარგი, თუ არა და მაინც ვენაცვალე ამ ბიჭს სულში. ჭკუით არ ყოფილა გატენილი!

კორპუსებს გადაეხედე. ვალოდია ხალსიანად საუბრობს ბიჭებში. მათ კითხვებზე უპასუხებს და იცინის.

ბიჭები დაიშალნენ, ჭგუფ-ჭგუფად წავიდნენ-წამოვიდნენ. მალე რომელიღაც კარავიდან სიმღერაც კი მოისმა.

წარმოვიდგენიათ, სიმღერა!

ეჰ, კაცის გულო, რა ცოტა გყოფნის. სუბოდოლსკის ისე უქირავს თავი, თითქოს ჩემთან განცალკევება არ უნდოდეს, თითქოს ჩემთვის სათქმელი არაფერი ჰქონდეს.

მე კი სული მძვრება, ადგილს ვერ ვპოულობ. როგორც იქნა ეშველა, ყურადღების ღირსი გამხადა, მომიხსლოვდა, მკლავში ხელი გამომდო და საშმო საფლავისკენ წამიყვანა.

თავის სოფელ ვოროშინაში ჩასულა ანტონი. მშობლები და დაძმანი მოუნახულებია. მამისაგან შეუტყვევია იატაკქვეშა რაიონული კომიტეტის არსებობა. იმდენი უმარჯვნია, ბოგუშევსკის რაიკომის მდივანს, ამხანაგ ადამ კონსტანტინეს ძე სტელმახს დაკავშირებია. ამასთან მოუთათბირებია, ვიღაც ცურანიც გაუცნია. ერთი სიტყვით, მართლა გაუყვებოდა საქმე.

— ხვალ შენ სხვა სახელითა და გვარით უნდა მოინათლო, მითხრა ბოლოს.

— ეგ რაღა საქიროა?

— საქიროა და აუცილებელიც. მე რაზმს ვეტყვი, რომ ეს იატაკქვეშა რაიონული კომიტეტის დავალებაა, რომ რაზმის მეთაურმა ზედმეტსახელი დაირქვას. მეთაური კი, თუ არ დაგვიწყებია, შენა ხარ. გაძლევ მოსაფიქრებლად მთელ დღესა და ღამეს. იფიქრე და შეარჩიე სახელი და გვარი. ხვალ დილით მითხარი და შენი ნათლობა ჩემზე იყოს.

იმ ღამეს ბიჭებმა არ მომასვენეს. კითხვას კითხვაზე მაყრიდნენ. ესაო და სუბოდოლსკი შენ უფრო დაწვრილებით მოგიყვებოდაო ყველაფერს, მეტს გეტყვოდაო. მეც უპასუხებდი მათ შეკითხვებზე, ვამბობდი ტყუილსა და მართალს. ბიჭები მოვიგერიე და თითქოს დასაძინებლად გავეშაღე, მაგ-

რამ ახლა სახელისა და გვარის გამოძებნა გამახსენდა. ამაზე დაველოდებოდი ხანს ვიფიქრე.

ბიჭულიძე

გვარი იმ წამსვე შევარჩიე. საშუალო სკოლაში ყოფნისას ლექსებს ვწერდი, ბევრჯერ გამომიქვეყნებია საახალწლო, სამაისო, თუ საშვიდნოეშბრო ლექსი სკოლის კედლის გაზეთში. ლექსებს, რა თქმა უნდა, ფსევდონიმს ვაწერდი. დედაჩემის და მამაჩემის სახელები შევავუღლე და ვასკალიშვილი გამოვიდა. სახელზე ფიქრით თავი არ შემეწუხებია, საშაზე შეეჩერდი. არ არის ურიგო სახელი. თანაც იოლად წარმოითქმის.

მამ ასე, ხვალ დილით ანტონ სუბოდოლსკი მომნათლავს. რაზმის წინ დადგება და იტყვის:

— ამხანაგებო, ბელორუსიის კომპარტიის ბოგუშევსკის იატაკქვეშა რაიონული კომიტეტის დავალებით, ჩვენი რაზმის მეთაური, კონსპირაციის დაცვის მიზნით იცლის სახელსა და გვარს. დღეიდან იგი ალექსანდრე ვასილის ძე ვასკალიშვილია.

...მიშა ლიზუნოვი ხშირად დაძვრება ტყე-ტყე. გზატკეცილზეც გადის. დაბორილობს. ხანდახან ალიოშას, ან ვასოს გაიყრლიებს. მოიგდებს მხარზე ავტომატს, ნებართვას აიღებს და ჰაიდა. დაზვერვაზე ხან დღისით მიდის, ხან ღამით.

დაზვერვის შედეგი ჯერ ჩემთვის არ უთქვამს, ალბათ, ისეთი ვერაფერი შენიშნა, რომ მოხსენების ღირსი იყოს.

ახლაც ეშაღება, მგონი მარტო აპირებს წასვლას, მაგრამ ვალოდია კორპუსევი არ ეშვება, თან წამიყვანეო გამოცდილება მაქვსო. მე რომ ანტონ სუბოდოლსკის თან არ ვხლებოდი, შავი დღე დაადგებოდაო. მიშა უარსაა. იგი ჩემთან მოდის და ჩურჩულით მეუბნება.

— გზატკეცილზე, ჩვენი ბანაის შემოსასვლელში ვიღაც-ვიღაცები დაძვრწიან, სამი დღეა ვეპარები, მინდა რომელიმე ავიყვანო. სისხლის სუნი მკეშს. სულიწმინდები არ უნდა იყვნენ.

— მერე აქამდე სად იყავი? მიშამ მხრები აიჩეჩა, შებრუნდა და წასვლა დააპირა.

— დაიცა, მიშა, მეც მოვდივარ. ლოზუნოვმა ჭერ კორპუსებს გადახედა, მერე მე, მეც ხომ არ მეტყობა უარს?

ტყის ბილიკს გავყევით. მიშა წინ გამიძღვია. მეტროიან ნაბიჯს ადგამდა. მალე ბანაკს საგრძნობლად დაეშორდით.

— იმ ოპერაციის შემდეგ სწორად გამოვდივარ გზატკეცილზე, ერთხელ ვილატ შევნიშნე, გზის გადაღმა იდგახეს მოფარებული და ჩუმად უთვალთვალებდა ჩვენს ბილიკს. გლეხურად ეცა და არც ისე ახალგაზრდა ჩანდა. შინდოდა გამოვლასპარაკებოდი, იქნებ წითელარმიელია-მეთქი, მაგრამ როგორც კი გამოჩნდი, მოცოცხა. მაშინ დავერწმუნდი, მოგზავნილი რომ იყო. ახა რა მიარბენინებდა? მეორე დღესაც დავეუდარაქდი, მაგრამ აღარ გამოჩენილა. გუშინაც აქ ვიყავი, ბუჩქებში ჩავიმაღე და იმდენ ხანს უთვალთვალე გზატკეცილს, კინაღამ ჩამეძინა. ხელი ჩაიქნე და ბანაკში დაბრუნება გადაწყვიტე. ამ დროს გზის გადაღმა სწორედ ის კაცი დავინახე. ამჯერად იგი მარტო არ იყო. გზატკეცილი გადმოჰრეს, ტყის პირას შეჩერდნენ და ერთხანს ერთმანეთში იჩურჩულეს. მერე უკანვე გაბრუნდნენ.

— რატომ ჩვენ არ გვითხარი, ეს ხომ საგანგებო შემთხვევაა, მიშა. კარგი პიკი ხარ, მაგრამ ცოტა სიფხიზლე გკლებია. ახლა ათასი გარეწარი წამოყოფს თავს. ხომ გაიგონე რა თქვა ანტონმა, გერმანელები სოფლებში პოლიციელთა რაზმებს ჰქმნიანო.

— დამწავევ ვარ — დაირცხინა ლოზუნოვმა.

— დაბრუნდეთ უკან. ანტონს მოველაპარაკოთ. — ეთქვი და ის-ის იყო შეებრუნდი, რომ მიშა მოწყვეტით დავარდა მიწაზე. მეც მას მივბაძე.

ნიავე უბერავდა. მიწაზე არყის ხის უვითელი ფოთლები ეფინა. გზატკეცილზე კაცის ხმა გავიგონე. მიშას ვა-
5. „მნათობა“, № 2

ნიშნე. ორივენი გავინახეთ. მე თავი წამოვწიე ბუჩქი ვიფარე და გზას გავუხედე. შუა გზატკეცილზე მგერმანელები კაცი გამოჩნდა, მერე მთელი ჯგუფი.

გზა გადაიარეს და ჩვენი ბანაკისაკენ მომავალ ბილიკს დაადგნენ.

ჯგუფს სხვებზე უფრო ხანში შესული კაცი მოუძღოდა. იგი ხელებს შლიდა, რალაცას ცხარედ ამტკიცებდა. მე მისი სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმოდა. ტბა და ბანაკი აშკარად ახსენა.

ქამარში შავი ნაგანი ჰქონდა გარკობილი. სხვებს თოფები ეკადათ, ერთერთს ზედ შარვალზე ხელუწყმბარაც ჩამოეკონწილალებინა. მიშამ მიჩქმიტა და მანიშნა, თავს დავესხათ თუ არაო.

რა კარგი ვქენი, ლოზუნოვს, რომ წამოვეყვი...

იქნებ თავიანთ ნაწილებს ჩამორჩენილი წითელარმიელებია. ტანსაცმლის შეცვლა მოახერხეს და დაიწიან ტყე-ტყე, ჩვენ გვეძებენ.

თავდასხმა არ შეიძლება. უნდა ვუთვალთვალოთ, მთავარია არაფერი გამოგვეპაროს...

• იქნებ აქაურები არიან. პოლიციელთა რაზმში შესვლაზე თქვეს უარი და სდევნიან. ჩვენც რომ დავაფრთხოთ, მაშინ?

ვაითუ პოლიციელებია, ვაითუ ვაგვიანებთ.

ღამდება, ჭერ კიდევ შეიძლება ამათი თვალთვალი.

ჯგუფთან ვილატ მივიდა. ჩახს დაზვერვაზე ვაუგზავნიანო. ჩვენ კი ეს არ შეგვიინიშნავს.

ნაგანიანმა იარაღი იძრო, რალაც თქვა და ჯგუფს გაუძღვია.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიდიან. ყოველ ბუჩქს, ყოველ ხეს ეფარებიან. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ. ჩვენც უკან მივეყვებით.

ახლა საეჭვო აღარაფერია, ასე მხოლოდ მტერს ეპარებიან. ცხადია საქმე პოლიციელებთან გვაქვს.

მიშა კატის თვალებით ზვერავს მათ. დაღამდა. ნიავე მოძლიერდა. ტერ-

ციალ-ტყრციალი გაუღით ფოთლებს. თითქოს რაღაცას გვანიშნებენ.

მხოლოდ ნაძვები დგანან გარინდულნი.

— გადაეასწროთ, მიშა, ბანაკთან დავხვდეთ. — ვუჩურჩულე ლიზუნოვს. გვერდზე გადაუხვიე და გავიქეცი. მიშაც სირბილით მომყვა.

ბანაკთან შევჩერდით, სული მოვიტყვით. მერე ბანაკი მოვათვალიერეთ, ერთმანეთს გადავხედეთ და ალბათ ორივემ ერთნაირად გავიფიქრეთ.

რა შენიღბვაა ეს? აგერ კოცონი გაუჩაღებიათ, გარს შემოსხდომიან და ლაზღანდარობენ. ესაა საქმე?

ანტონთან მივედი, ყველაფერი ვუამბე. კოცონი მაშინვე ჩავაქრობინეთ. ყარაული გავაძლიერეთ, ერთგვარად მოვეშხადეთ.

ბიჭები ჭგუფებად დაეყავით და ბანაკის ირგვლივ ჩავასაფრეთ.

თითქმის შუალაშემდე ვიჭექით საფრებში. მაგრამ არაინ გამოჩენილა. ბიჭებს ასე დამუნჯებული ჯდომა თუ წოლა მობეზრდათ, ჯერ აჩურჩულდნენ, მერე ხმაც აუწიეს, ოღუთუნიც გააბოლეს.

შე და ანტონმა სახვალიოდ ბანაკისათვის ადგილის შეცვლა გადავწყვიტეთ. როგორც კი ინათებდა, უნდა ავეყრილიყავით. ტბის მეორე მხარეს. უფრო ღრმად დაგებანაკებულიყავით.

დილაშდე კარავში შესვლა მაინც ავკრძალეთ.

ნაშუალამევს ანტონმა დამტოვა. სხვა ჭგუფთან წავიდა.

მიშას წამითაც არ დაუსვენია, ბიჭებს აფრთხილებდა, ნუ ხმაურობთ. ყოველ წუთში მზად იყავითო, არ დაიძინოთო.

ინათა. მალალი ნაძვების კენწეროვებს ზემოთ თეთრი ცა გამოსჩნდა.

გულაშმა ვიწქეი. ცას გავცქეროდი და იმ ნაგანიანსა და მის ამფსონებზე ვფიქრობდი.

ტყვიამფრქვევის გაბმულმა ჯერმა გაჰკვეთა ტყის სიჩუმე. ტყვიებმა ზედ თავზე გადამიწულიეს. ტყვიამფრქვევს ავტომატებიც აჰყვა, ყუმბარების ხათქა-

ხუთქმა ტყე შესძრა. შორიდან ნალმმტყორცი აბლავლდა. კენწეროვებმა ნელთა ყაყანიც დაერთო.

ახლო მოსულან, სამი მხრიდან გვიტყვეწ. ტბასთან უნდათ მიგვრეკონ.

ნალმმტყორცი ბლავის, ნალმები სწორედ იმ ადგილას სკდებიან, სადაც წუხელ კოცონი ენთო.

ბიჭები თოფმომარჯვებულნი წვანან. ჩემკენ იქიარებიან.

— მშვიდად, ბიჭებო, არ შედრკეთ. — ავტომატი შევმართე და პირველი ჯერი გაუშვი.

ვილაც წამოიმართა და ხელმყებარა ტყორცნა.

ჩვენს სროლას გროგალისებური ცეცხლით უპასუხეს. უკვე გარკვევით ისმის გერმანელთა ღრიანცილი. შიგადაშიგ ვილაც რუსულად გაჰყვირის, წინ, წინო, აქეზებს მისიანებს... გათენდა.

ჯერჯერობით ვდგავართ. ფეხიც კი არ მოგვიცვლია, ბიჭები მშვიდად ისერიან და მტერს ახლო არ უშვებენ, მაგრამ საღამდე გასტანს ასე? ნეტავი ბევრნი არიან?

ნაძეს მოვეფარე და იმ ბუჩქნარს გავხვდეთ, სადაც მტერი მეგულგებოდა.

ოდნავ შემალკებულ ადგილას მსუბუქი ტანკი გამოჩნდა. იგი ცხენივით ამოგელვდა, დადგა და ცეცხლი გახსნა.

ახლა თავის წამოწევა აღარავის შეეძლო. მეც ჩავწექი და ისეც ბიჭებთან მივხობდი. თვალგბდაჰყვტილნი შევყურებთ ტანკს. ვაითუ წინ წამოვიდა, როგორ გინდა შეაჩერო?

მიწაში მივძვრებით, სროლის სამუალემა აღარ გვაქვს, მტერი წინ მოიწევს.

უცებ სროლა შეწყდა და ერთი წუთით საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ხროალი მოძმა. თავი ავწიე, ტანკი პირდაპირ ჩვენზე მოდიოდა. ტანკს აქეთ-იქიდან მოყვებიან გერმანელები. ახლა გარკვევით ვხედავ ყველას. გერმანელები წინ პოლიციელებს ერეკებიან, კონდახებს ზურგში სცემენ, უყვირიან, აგინებენ.

წამით იმ ნაგანიანს მოეკარი თვალი. თავზე ქუდი არ ახურავს. მელოტი ყოფილა, ნაგანს იქნევს და გამყინავი ხმით ყვირის. შუბლზე ნაიარვეი აჩნია.

ნელა მოლოდავს ტანკი. ტყვიას აფენს და წინ მოიწევს.

— ყუმბარა, ყუმბარა ვისა გაქვთ. — ყვირო.

ვილაცამ ტანკს ხელყუმბარა ესროლა. თითქოს ვაშლი ესროლოს, მოხვდა, გასკდა კიდეც, მაგრამ ტანკისათვის არაფერი დაუკლია.

...გონზე რომ მოვედი უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. სისხლში ვეურავ, ხალათი მაქვს შემოტმასნილი. ეციდილობ ხალათი გადავიძრო, თავის წამოწვევაც არ შემძლია.

ცაზე მზეა, ჩახჩახა მზე. მგონია ისევ ბანაკში ვარ. ალბათ ბიჭებმა ბრძოლიდან გამიყვანეს. მეთქი, ვფიქრობ. თავი მისკდება, წყურვილით ვიზრჩობი. ვიძალე, მარცხენა ხელი ჩანთაში ჩაყავი. კრილობა ზედ მარჯვენა მხრის ძირას მწვეავს. ჩანთიდან მარლა ამოვიღე და დიდის გაკირვებით მოვიწმინდე კრილობა. მარჯვენა ხელი უძრავადაა, არ შემორჩილება, თითქოს არც მეხას. ქამარი შევეშვი, ხელი შიგ ჩავტენე და წამოვდგომა ვცადე. როგორც კი წამოვიწიე, იმ წამსვე თითქოს რაღაც დამკრესო, მიწაზე დავეცი. ერთხანს აღარ გავნძრეულვარ. კრილობა არ უნდა იყოს მძიმე, მაგრამ ნუთუ ამდენი სისხლი დაეკარგე? ნუთუ ვერ წამოვდგები. აჟერ, იმ არყის ხემოლი რომ მიმიყვანა, მერე რაიმეს ვილონებ. გავიხედ-გამოვიხივადე, ვინმეს დაინახაო თა ხმას მიიწვიდენ. იმ არყის ხემოლი მისკლაა საქმე. გავიწიე, გავხოხდი, ექვინავ, სული მეხუთება, თავში ჩაქუჩს მცემენ, მაგრამ არ ვეშვები, მივდივარ, მივბობლავ. სისხლს ვაფურთხებ.

პირში სისხლი?
 ნუთუ მართლა წასულია ჩემი საქმე?
 ხეს მარცხენა ხელით წავეტანე, ახლა შეჩერება არ შეიძლება, ახლა უნდა წამოვდგე. ნელა, გაკირვებით ვიწვევ მალა, ფეხზე რომ დავდექი. გული მომეცა. ხეს მოვებლაუქე და სახით მის გრილ ტანს მივეხუტე. ხის სიგრილე

მსიამოვნებს, ოღნავ ვმშვიდდები. ნაბიჯის გადადგმაზე ერთი სიცოცხლე გავათავე, მაგრამ არ შევჩერდი. ახლად ფეხადგმული ბავშვივით ნაწვის ხემდე მივალწიე და მოვეხვიე. ცოტა სული მოვითქვი და ისევ წინ წავედი, მაგრამ რას ნიშნავს ეს წინ? საით მივდივარ? ირგვლივ ტყეა და კაცის ქაჭანება არ ჩანს. ვერც ტბას ვხედავ და ვერც კარვებს. მაინც უნდა წავიდე. ბუჩქიდან-ბუჩქამდე, ხიდან-ხემდე რის ვაივავლახით მივდივარ. სიმწრის ოფლი მდის. ოფლი წურწურით ჩამდის პირში და მსიამოვნებს. წყალი, ერთი ყლუბი წყალი, სიცოცხლეს მირჩენია.

„ცხენი, ერთ ცხენში სახელმწიფოს ვიძლევი.“

რამ გამახსენა ახლა რიჩარდი. რა მესაქმება მასთან. წყალი, ერთ ყლუბ წყალში წაიღეთ სიცოცხლე. უცებ ტყვია გავარდა გაიხმინა, მაგრამ არ გაიწულია. გავარდა და ჩაღუმდა.

გასროლის მიმართულებით წავლასლასდი. ახლა სულერთია, ახლა აღარაფერს დავეძებ ვინაა მსროლელი. მტერი თუ მოყვარე. ოღონდ სულიერი დავინახო და აღარაფერს დავეძებ. თუ მტერია. ჯანდაბას ჩემი თავი. ამ სიკვდილის წინ ჩავაფრინდები ყელში და, მერე თუ ბიჭია დამიძვრეს ხელიდან. ჩემს ფიქრზე მწარედ მეღიმება. ცალი ხელით ვაპირებ კაცის დაზრჩობას.

ბანაკში ვყოფილვარ. ეს ახლა ვიგრძენი. ახლა ყველაფერს ვხედავ, დაქცეულია ჩვენი კარვები, მიწასთანაა გასწორებული ჩვენი ბანაკი.

ამ სურათმა ძალა შემმატა. ცოტა თავის ბრტილმაც მიკლო. თვალებში ხელი ამოვისვი, გონებას ძალა შევმატე და საძმო საფლავისკენ წავედი.

ზედ საფლავთან მებრძოლი იწვა. შუბლიდან თქრიალით სდიოდა სისხლი. ტანსაცმელზე სისხლი ეცხო. ცხადია, თავი სწორედ ამ მებრძოლს მოეკლა. ამას რალა ფიცი და მტკიცე უნდოდა. ვინ იცის, იქნებ ჩემსავით ევლო დაქრილი, საშველი რომ ვეღარ იბოვნა, ძმების საფლავთან მიხობდა და ტყვია დაიხალა.

— მე?

მეც? ასე ხომ არ მოვიქცე?

არა, მე სიარული შემიძლია, მე ჭერ განწირული არა ვარ. ისევ წავედი. ისევ ბუჩქიდან-ბუჩქამდე, ხიდან-ხემდე მივლოდავ და ცხედრებს ვითვლი, მაგრამ სათვალავი მალე ამერია. ყოველ ცხედართან ვჩერდები, დავცქერი, მეშინია ანტონი, ან მიშა, ან ალიოშა, ან ვასო არ აღმოჩნდეს.

ჩაეჭვები.

როგორ მოვიქცე? როგორ მივებარო მიწას დახოცილები?

თავს ძალას ვატან, ვფიქრობ, ვანგარიშობ და ვასკენი, რომ ეს ბრძოლის მეორე დღეა.

ისევ სამო საფლავისკენ სვობია მივსვლა. იქ ერთი პატარა ნიჩაბი ეგდო ამასწინათ. იქნებ შევძლო, იქნებ ცალი ხელით გავთხარო სამარე.

ნიჩაბი ვიპოვე. ტარში მარცხენა ხელი ჩავავლე და მიწის თხრა ვსინჯე. მთელი საათი ვჩოყნე მიწა, მაგრამ ერთი ბარის პირიც ვერ ამოვთხარე. ნიჩაბი გადავაგდე. თავი სამერეს მივადე და თვლები დავხუჭე. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ასე თვალდახუჭული. არც ის ვიცი, შეძინა თუ მეღვიძა. ხმაური ჩამესმა და თვალი რომ გავახილე, კაცი დავინახე. კშინავს, ხელებს იქნევს, არა, ხელებს კი არ იქნევს, მიწას თხრის და ფანტავს. უხერხულად აწეება ნიჩაბს, წელში ორად იღუნება.

ვინ უნდა იყოს?

ჩემს საფლავს ხომ არ თხრის ასე გულდაგულ?

მზე გადახრილა, ალბათ მალე დადამდება. ჩემს თვლებში კი უკვე წებება ბინდი, მაგრამ იმ კაცს ვამჩნევ. ღონივრად იქნევს პატარა ნიჩაბს და მგონია, მე მირტყამს, უნდა გამათაოს.

მინდა დავიყვირო, შევთხოვო. ნუ, ნუ დამკრავს, სვობია ტყვია გაიმეტოს, ცოდვა ვარ, ცოდვა. ბიჭოს ორნი ყოფილან. ნიჩაბს ერთიმეორეს ხელიდან გლეჯენ, ორივე ჩემკენ მოიწევენ. აბა, ჰე, რომელი მოასწრებს აბა, რომელი მომიღებს ბოლოს.

დავიკვნესე.

არა, ეს მე არ მინდოდა. არც მიფიქრია, ეს ჩემმა გაწამებულმა სხეულმა დაიკვნესა უნებურად. ეს მე არ მინდოდა.

ჩემი ნატყვიარი მხარი კვნესის, ჩემი ქამარში მომწყვდეული მარჯვენა წუხს და არა გული.

გული ფეთქავს, გული ცოცხალია, გულს იმედი აქვს.

სახეზე ხელის შეხებას ვგრძნობ. ალბათ მომეპარა და ამ წამში დასრულდება კვნესაც და გულის ფეთქაც.

რას მეპარები, შე უღმერთოვ მე, ხომ უკვე ცხედარი ვარ, მე ხომ ლეში ვარ, ქილყვაების დასაქორტნი ლეში.

ტუჩები დამისველდა. წყალია, წყალი. ეს ვილაც სველი ხელით თვალებს შუბლსა და ლოყებს მისრესს. მერე მათარით პირში წყალს მასხამს. მე მარცხენა ხელით ვეპოტინები მათარს. მეშინია არ წაიღოს. წყალი სახეზე მეღვრება და ვფხიზლდები.

— მკვდარი მეგონე!

— შენ ვინა ხარ?

— კორპუშევი.

— კორპუშევი? შენ კორპუშევი ხარ? შენ ვალოდია კორპუშევი ხარ?

— მე ვარ.

— ჩემო ვალოდია, მართლა შენა ხარ? მართლა ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი კი ვარ.

— ის მეორე ვინ იყო?

— ვინ მეორე? — მიიხედ-მიიხედა, თითქოს შეგვედა კიდევ, ახლო-მახლო მართლა ხომ არ ყოფილა ვინმეო, მერე ქამარი შემხსნა, კრილობას დახედა, თავი გადააქნია და მაგრად შემიხვია.

— წყალი, წყალი დამალევინე, ვალოდია.

მუნძულით ჩაირბინა ტბაზე, მათარიც წყალი მოარბენინა, ჭერ დამალევინა და მერე სახე მომბანა.

— მკვდარი მეგონე.

— მკვდარი ვიყავი.

— რომ არ დაგეყვნესა... — წამომაჯინა, გასამხნეველად გამიღიმა, ზურგზე ხელები მომიფათურა.

— არა, ვალოდია, მეტი ჭრილობა არ უნდა მჭობდეს.

— კიდეც კარგი.

— შენ არ დაჭრილხარ?

— არა.

— ეპ, ეს რა დაგვემართა, ვალოდია, რა დაგვემართა... — ვალოდია წამოდგა, ნიჩაბს მისწვდა და მიწის თხრა განავრძო. ერთხანს ხმა არ ამოუღია, უსიტყვოდ თხრიდა სამარეს პატარა ნიჩბით. მიწას იქვე ყრიდა. მერე ჩემკენ თავი მოაბრუნა და მითხრა:

— ხანდახან დამელაპარაკე.

მე ლაპარაკს ფიქრი მერჩია. ფიქრი რაზმზე, ანტონზე, მიშა ლიხუნოვზე, ალიოშაზე და რა თქმა უნდა, ვასოზე. ნაღმის ნაშხერევიტ გაგლეჯილი ჩემი მხარისც დროდადრო მახსენებდა თავს. ვალოდიას მიეჩერებოდი, მაგრამ ბიჭებზე უფრო მეტს ვფიქრობდი. კორპუშევი ნელა მიძვრებოდა მიწაში, მუხლები თითქმის აღარ უჩანდა. ოფელში იყო გახვითქული. ხალათი დასველებოდა, ხანდახან შუბლიდან ოფლს იდაყვით მოიწმენდდა და ისე ამოიოზრებდა, გვეგონებოდათ გული კი არა, სულიც ამოაყოლაო. ჩემკენ აღარ მოუხედავს. ეტყობოდა ისიც ფიქრობდა და მივაეჩიქა.

— ვალოდია, — დავუძახე. ნიჩაბი დაღო და იმაე წამს მოიხედა.

— ჭიბეში თუთუნი მაქვს, ვალოდია, ამოიღე. ჩემთვისაც გააწყვე. მოვიდა, დაიხარა, ჭიბიდან ქისა ამომიღო.

— კარგია, გაგახარა ღმერთმა, უამისობა ძნელია. ძნელი კი არა, არ შეიძლება, — ორი პაპიროსი შეახვია, მოუკიდა და პირში ჩამიდო.

— ქისა შენთან დარჩეს, ვალოდია. უშენოდ მაინც ვერ გავაწყობ თუთუნს.

— ავრე იყოს. რა დროა ნეტავ?

მარცხენა ხელით შარვლის წინა პატარა ჭიბიდან საათი ამოვაცქრინე და გავეწოდე. დახედა, თავი გადააქნია. დაღამებულა და ესააო. ადგა და ისევ სამარეს მიაღდა. მთელი საათი თხრიდა მიწას, წელამდე მოთხარა, გვარიანად გაავანიერა და შეუსვენებლივ შეუღდა

ცხედრების სამარესთან მოზიდვას. მას რომ შორხა, მერე თვითუღს ჭიბიდან მედალიონი ამოუღო. ზოგს მედალიონიც არ ჰქონდა. წითელარმიელის წიგნაკი ედო მხოლოდ ჭიბეში. ვალოდია უბის წიგნებში ინიშნავდა წითელარმიელთა გვარებს, მისამართებს, მერე მედალიონები და წითელარმიელთა წიგნაკებზე საფლავში ჩააწყო და ფრთხილად ჩაასვენა შიგ პირველი ცხედარი. მე თვალები დავხუჭე. ამ სურათის ცქერა აღარ შემეძლო. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ასე თვალუბდახუჭული. რომ გამოვიხედე, სამარესთან არცერთი ცხედარი აღარ ესვენა. კორპუშევი სამარეს მიწას აყრიდა. მალე ყველაფერი დასრულდა ვალოდიამ ნიჩაბი ჩირგვებში შემალა. ამ წუთში მოვალე, დამიძახა და ტბისკენ დაეშვა. რომ დაბრუნდა, მე წამომჭდარი დავხვდი.

— სიარული არ შეგიძლია, ხომ? — მკითხა.

— ვეცი. — წამოვიწიე, ცალი ხელით მიწას დავეყრდენი და მინდოდა მის დაუხმარებლად წამომდგარიყავი, მაგრამ დროზე რომ არ მომშველებოდა, დავეცემოდი. მხარში ხელი ჩამავლო, ფეხზე დამაყენა, საღი ხელი მხარზე გადავხვიე და წავედი. იქ გაჩერება აღარ შემეძლო, ამ მიწაყრილის ცქერა სულს მიხუთავდა.

— აქ. საღაღაც ახლო საბძელია, როგორმე იქამდე უნდა მივიდეთ. იქიდან სოფელიც ახლოა. რაიმე გასაკნასავს ვიშოვი, მგელივით მშია. შენ? გშია ხომ?

— მშია, მაგრამ გავძლებ. — გავუღო მე, — მე შიმშილის ატანა შემეძლია.

— მე კი არა, ყველგერს ავიტან, შიმშილის გარდა. გიჭირს სიარული?

— ისე რა!

— თუ გინდა ზურგზე მოგიკიდებ.

— არა, ვალოდია, ვერ მთლად ასე არა ვარ ხელიდან წასული.

მივიღვიართ. ხანდახან ვალოდია ხელს გამიშვებს, თუთუნს აწყობს, ახლა ვიცი ჩამოჭდება, მეც სულს მოვიტყვამ.

ასე წვალებით მივალწიეთ იმ საბძლამდე. ეს საბძელი კორპუშევს მაშინ

აუთვალთვალეზია, როცა ანტონ სუხო-
დოლსკის ახლდა სოფელში.

საბძელში რომ შეველით უკვე გვარი-
ანად ბნელოდა. ერთ კუთხეში თივა
ეწყო, მე იმავ წამს თივაზე მივეგდე.
მხარზე ცეცხლი მივიღია.

ვალოდამ ჭერ საბძელი მოათვალიე-
რა, მერე გარეთ გავიდა, ალბათ იქაურო-
ბა დახვერა, შემოვიდა და ჩემს წინ
ჩაიმუხლა.

— როგორ ხარ?

— რა ვიცი.

— ცოტა ხნით უნდა დაგტოვო, სო-
ფელში შევიპარები. პურს ვიშოვი, იქნებ
იოდი. ან სპირტი აღმოაჩნდეს ვინმეს.
შენი ჭრილობა საშიში არ არის, მაგრამ
ღრმაა და...

— წადი, ვალოდია, წადი და შენ იცო-
დე. თუთუნის შემთხვევით და მომიკიდე.

შეახვია, მოუკიდა და რომ მაწოდებ-
და, სიცილით გამაფრთხილა:

— არ ჩაგეძინოს, საბძელი არ გადაწ-
ვა. მე მალე მოვალ. ვეცდები... ესეც
უნდა იცოდე, ახლო-მახლო სოფლებში
გერმანელებია, იმით ალბათ დავუძვრე-
ბი, მაგრამ პოლიციელები უფრო საშიშ-
ნი არიან. თუ რაიმე შემემთხვა, თუ დი-
ლამდე ვერ დაებრუნდი, აქ არ დარჩე.
ტყეში გადი, დაიმალე და დამბთ სოფელ-
ში შევიპარე. ვინმე შეგიფარებს. ყვე-
ლაზე ასლო სოფელი ნერეიშაა, მერე
ბუდა, მერე ანტონის სოფელია, ვორო-
შინა. იქნებ ანტონის სახლამდე მი-
აღწიო...

— შენ რა, მართლა ხომ არ აპირებ
ჩემს მიტოვებას?

— არა, ყოველ შემთხვევაში სჯობია
იცოდე როგორ მოიქცე.

— ნუ წახვალ.

— მშია, დილამდე სული დამძვრება.

— დილით ერთად წავიდეთ, დილით
უსათუოდ უკეთ ვიქნები. ცოტახანს
იფიქრა. იყოყმანა, მაგრამ დარჩენა
მინც ვერ გადაწყვიტა.

— მივდივარ. — თქვა. — მივდივარ
და დაებრუნდები, — კარებთან შედგა,
შემობრუნდა, უნდოდა კიდევ ეთქვა
რალაც, მაგრამ ეტყობა ამდენი ნუჯეში

ზედმეტად ჩათვალა, თავი დაღუნა და
გავიდა.

ვაგდივარ თივაზე უმწველდ, გამოვლებ
თუთუნს და ვფიქრობ.

ღმერთო შენ დააბრუნე უვნებლად
კორპუსევი, ღმერთო ნურაფერს გაუ-
ჭირვებ, ნურც მას გასწირავ და ნურც
მე.

რომ არ დაბრუნდეს? რომ ჩავარდეს?
ამ სიგრძე კაცი შეუმჩნევლად როგორ
უნდა შეიპაროს სოფელში...

მერე რა ღეთის მოგზავნილივით გამო-
მეცხადა სულთმობრძავს.

რომ არ დამეკცნესა? რომ არ შევემ-
ჩნიე? რა მოხდებოდა? რა მოხდებოდა
და მეც სამარეში მიკარავდა თავს. ალბათ
ბევრი სისხლი დაგვარავ, თორემ ასე
არ უნდა დავესუსტებინე ჭრილობას.

მშია, წელები მეწვის. მინდა დავიძი-
ნო. თვალეზზე ხელს ვიფარებ ძალით
ვხუტვ, მაგრამ არაფერი გამოდის. მი-
ჩერებვივარ საბძლის ჭერს, თუმცა
სადაა ჭერი, მორება გახლართული
ერთმანეთში. ეს საბძელი ალბათ ისლი-
თაა დახურული. რა თქმა უნდა, ისლით
იქნება. აბა ტყეში, ამ მიყრუებულ ად-
გილას აგებული საბძლისათვის ყავარს
ვინ ვაიმეტებდა!

ნეტავი კარები თუ მიხურა ვალოდამ.
არ მიუხურავს. ისე ცვითა თავი ტყე-
ში, კარები არ გახსენებია.

რაო, რა თქვა ვალოდამ? თუ ვერ
დაებრუნდი, დილით აქ არ დარჩეო. ახ-
ლო სოფელი ნერეიშააო, მერე ბუდეო,
არა ბუდაო, მერე ანტონის სოფელიაო.

სუხოდოლსკებთან მიმესვლება. ანტო-
ნის მშობლები ცის ქვეშ არ დამტოვე-
ბენ. მიმიღებენ, შემიფარებენ. თუ ცოც-
ხალია, ანტონიც აცნობებს ოჯახს, ან
მიაკითხავს.

მერე?

მერე იმ იატაკქვეშა რაიკომის მდივანს
დაუუკავშირდები.

რა გვარიაო?

თუმცა გვარს რა მნიშვნელობა აქვს
ახლა? ანტონი იცნობს და ესაა მთავარი.
მეც მიმიყვანს მასთან, გამაცნობს, დამა-
ახლოებს. რაიკომის მდივანი დავალე-



ბებს მომცემს. მერე შეეკმნით რაზმს, უფრო მეტსაც...

რად არ დავესხით თავს იმ გარეწრებს? რად წავყვევი მაშინ ლიზუნოვს? იქნებ მიშას უფრო სწორი გადაწყვეტილება მიეღო. კი, მიშა ნამდვილად აუტეხდა სროლას. ერთ-ორს ჩაამალვებდა კიდევ. ამასობაში ჩვენც მივეშველებოდით, მერე გავეცლებოდით იჭაურობას, გადავიდოდით ტბის მეორე მხარეს, ან უფრო შორს და...

სად არიან ახლა ჩვენი ბიჭები? ლიზუნოვი, ტაჩენკო, ვასო?

ვაი თუ სადმე ტბის პირას ყრიან მკვდრები, ან მძიმედ დაპრილები. ვაითუ მიწის დაყრაც არ არგუნათ ბედმა.

შენგან შეიძლება მართლა კარგი მეთური დადგესო, ასე მოთხრა ერთ დღეს ანტონ სუხოლოვსკიმ. კარგი მეთურიო...

ნამდვილი ბრძოლა რომ ჰქვია, მხოლოდ ერთხელ გადაგვხვდა და მიწასთან გავვასწორეს. რა მეთური ვარ მე? მაინც რა ერთბაშად შემოგვიტყეს, ალბათ დიდხანს გვხვევრავდნენ.

ვინ იყო ის მელოტი კაცი, შუბლზე ნაიარევით, ხელში შავი ნაგანით. ო, რა მონდომებით ყვიროდა, როგორ აქეზებდა სხვებს.

პირდაპირ კი ვესროლე, მაგრამ...

სოფლებში გერმანელები პოლიციელთა რაზმებს ჰქმნიანო. ნუთუ თავიანთი ნება-სურვილით ეწერებიან ამ შავ რაზმებში? ნუთუ საკუთარი ფეხით მიდიან მტერთან, იარაღს ისხამენ და თავისიანებს ესვრიან?

ნუთუ ეს დასაჯერებელია?

არა. ასე არ იქნება, ასე არ შეიძლება მოხდეს. ალბათ აიძულებენ, დახვერტის შიშით აიძულებენ, ოჯახის განადგურების შიშით ერეკებიან შავ რაზმებში.

თუმცა...

თუმცა ახლა ნაძირალებიც აღმოჩნდებიან, თითო-ორიოლა არაკაცი სწორედ ახლა წამოყოფს თავს.

აი, თუნდაც ის მელოტი, შუბლზე ნაიარევით, ან სვისტუნოვი-

სვისტუნოვი!

წითელარმიელი სვისტუნოვი.

რა არის ეს? სულმოკლეობაა? შეშაა? იქნებ შორიდან, ძალიან შორიდან გამოიყალიბო ბტრობაა?

ვინ იცის, ვისი მოდგმისაა სვისტუნოვი?

თუ სადმე შევხვდით...

სად არიან ახლა ჩვენი ბიჭები? მიშა, ლიზუნოვი, ალიოშა ტარანენკო, ვასო, ანტონი?

სად არიან, სად?

ყველაზე საცოდავი მაინც ვასოა. სხვები თუ ცოცხლები გადარჩნენ, რაიმეს ილონებენ, ტანსაცმელს გამოიცილიან, სოფელს შეაფარებენ თავს, აჭაურ მცხოვრებლებად გასაღდებიან.

ვასო?

რა უნდა ქნას ვასომ? თავისი მართლაც მაყვალივით შავი თმით, კეხიანი ცხვირით, საცრისოდენა თვალებით.

ვინ სულელი დაუჯერებს რომ ბელორუსია?

ვასო და ბელორუსი?

მერე რა ჰქვია, რა აზრია, რა ბიჭია ვასო. დინჯი, დაფიქრებული, სიტყვაც მოზომილი აქვს და ნაბიჯიც. ბრძოლაშიც არ ამჩატებულა.

ვასო არ უნდა დაიკარგოს, ვასო სიცოცხლის ღირსია.

ნეტავი როგორი კაცია ის იატაკქვეშა რაიკომის მდივანი?

მეც იატაკქვეშელი გავხდები.

სოფლებში შეიქმნება ჯგუფები, ორგანიზაციები, დაირაზმება ხალხი და სულ მალე ყველა, ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, ტყეში დაიდებს ბინას.

წითელი არმია?

რა ხდება ნეტავი ფრონტზე?

ნუთუ ისევ უკან იხვევენ ჩვენები?

...ჩამთვლიმა. სიზმრად წავედი.

შავ ცხენზე ვიჯექი, ხმალამოწვდილი მიუძღვოდი რაზმს. მტერს მარჯვნივ და მარცხნივ ვკვეთდი. მტერი შიშით გარბოდა. ჩვენ მივდევდით. რაზმი უკან მომყვებოდა. ბიჭების ყვირილი, ცხენების ჭიხვინი და თქარა-თქურო არემარეს იკლებდა. აგერ ანტონი თავისი ფოლა-

დის კბილებით. აგერ ალიოშა ტარანენკო, ხმლის მაგიერ თოფს იქნევს. აგერ მიშა ლიზუნოვი, პო, პო, როგორ ატაკა მახვილი გერმანელს. ბიკოს, ვასოც აქ ყოფილა. ცხენზე წაბრილი ზის. მტრის შუაგულში იჭრება. მიდით, ბიჭებო. მეც დაუზოგავად ვიქნევ ხმალს. მივქრი, უკან მომდევს ცხენების თქარათქურით და რაზმის ყიყინა. აგერ, ის მელიოტი პოლიციელი, შუბლზე ნაიარევით, ჩასისხლული, ქროლა თვალებით. შავი ნაგანი. ბუჩქთან ჩაცუცქულა. ნაგანს მიმიზნებს, თან იციანის, რა აცინებს ახლა ამ ოჯახდაქცეულს. ხმალს ვიქნევ, მელიოტი თავი მიწაზე გაგორდა და მაინც იციანის, ხითხითებს. მერე ეს თავი იქცევა ორად, ათად.... მიწაზე გორავენ მელიოტი თავები და ხითხითებენ.

ტანი ქანაობს, აქეთ-იქეთ აწყდება, მაგრამ არ ეცემა. შავი ნაგანი ისევ ჩემზეა მოშვერილი, შიგ გულში მიმიზნებს თავწაცლილი სხეული. ნაგანიდან მოელავს ცეცხლი. მწვავს. მწვავს. ბიჭებო! ბიჭებო!

აგერ, ამ უთაოს დასცხეთ. დაკეპეთ. მერე ძარღვები ამოუწვით, ამოუშანთეთ. თორემ ისევ წამოეზრდება თავი, ერთი კი არა, ორი, ხუთი, ათი... დასწვით, დაკეპეთ!

ასე, ასე თქვენ გენაცვალეთ სულში და მარჯვენაში. მიდი, ვასო, მიდი, არ დაინდო, შიგ გულში ატგერე, შიგ გულში. გულია მთავარი.

ანტონ, ანტონ! მიშა! ალიოშა!

თქარა-თქურით გარბიან ცხენები, მტერს ყიყინით მისდევს რაზმი. აი, ეს ბრძოლაა, ეს კი ნამდვილი ბრძოლაა.

დასცხეთ, ბიჭებო. დასცხეთ!

ბალახებში გორავენ მელიოტი თავები. გორავენ და ხითხითებენ. თავწაცლილი სხეული ძირგამოჭრილ ხესავით ქანაობს. აქეთ-იქეთ აწყდება და არ ეცემა.

შავი ნაგანი ისევ ჩემზეა მოღერილი. შავი ნაგანი აფრქვევს ცეცხლს, ეს ცეცხლი გულში მხვდება და მწვავს, მწვავს. ცეცხლი მედება შუბლზე, მკერდზე, მხარზე, მთელ სხეულზე.

ბიჭებო!

მიშველეთ, ბიჭებო!

— საშა, საშა!

— ვინ მეძახის? ვის გვახსენდი, პე მეთაური ვარ. ცეცხლი მიკიდა მთელ სხეულზე ვიწვი, ვიწვი.

— საშა, საშა!

— შენა ხარ, ანტონ, ჩემო კომისარო. იმას, იმ უთაო სხეულს მოუღე ბოლო. ჩქარა მოათავე, ანტონ, ჩქარა, დაკარო. დაკეპე, ნაყუწ-ნაყუწ დაკეპე და მერე დასწვი.

— ვასო. წყალი, წყალი! ერთი ყლუპი წყალი რას მიზამს, ბიჭო! ცეცხლი მიკიდა, ცეცხლი. ერთი ყლუპი წყალი რას მიშველის. მთელი სხეული მეწვის, კასრი მოიტანე, ტანზე გადაამახსი, ვიწვი, ვიწვი.

— საშა, საშა!

— ანტონი ხარ?

— მე ვარ.

— ალიოშა? მიშა? ვასო?

— ვალოდია ვარ, კორპუშევი.

— ვალოდია?

კორპუშევი მათარით წყალს მასმევს. წყალი მეღვრება სახეზე, საყელოში ჩადის და მსიამოვნებს. ვალოდია ცხვირსახოცს ასველებს, შუბლზე მისვამს. მეც თანდათან მოვდივარ გონზე.

— აბა, წამოჩექი, საშა. თითო ლუკმა შევჭამოთ. გზაში ბევრჯერ წამძლია სულმა, მაგრამ გადავურჩი ცდუნებას. წამოჩექი. — ხელი მომხვია, წამომსვა და პური მომაწოდა. ბიკოს, მთელი პურია, ქონის ნაჭერიც, მოხარშული კარტოფილიც. ვალოდია პურს ჭრის, ქონს ანაწილებს, თან ლაპარაკობს, მაგრამ მე ვერ მისი ლაპარაკი არ მესმის. ჯერ ისევ ბურანში ვარ, თუმცა გონება თანდათან ფხიზლდება. ვალოდიას მარილიც არ დაეწიყებია. პური ჩაკბინა, ქონიც მიატანა.

— სიზმარში იყავი, ხომ? მკითხა.

— სიზმარში?

— კი, სიზმარში იყავი. ვილაცებს თავებს აცლიდი, ყვიროდი, დაკეპეთო, დაწვითო, ამოშანთეთო, ბიჭებს ეძახდი, საშველად უხმობდი ანტონს, ალიოშას.

ვასოს, მიშას. მე არ გიხსენებდით მაგრამ მაინც დავბრუნდი.

— ვალოდია!

— ჰამე, ჰამე და თან მისმინე.

— გისმენ!

— ვოროშინაშიც ჩავედი.

— ეს რომელია?

— წასვლისას ზომ ავიხსენი, ანტონ სუხოდოლსკის სოფელია.

— კი, კი, გამახსენდა. ვოროშინა ანტონის სოფელია. იქ ანტონის მშობლები ცხოვრობენ. შენ დილაზედ თუ არ დაბრუნდებოდი, მე მათთან უნდა მივსულიყავი. მომეძებნა ანტონი, ანტონი მიმიყვანდა რაიკომის მდივანთან.

— ვისთან?

— იატაკქვეშა რაიკომის მდივანთან. ასე არ თქვით მაშინ შენ და ანტონმა? მოგვატყუილეთ თუ?

— რაიკომის მდივანი თვალით არ მიჩნახავს. სუხოდოლსკიმ მგონი მართლა გაიცნო, არ გაინტერესებს სად ვიყავი, ან სად ვიშოვე ეს პურ-მარლი?

— როგორ არ მაინტერესებს.

— ნერეიშაში ვერ შევედი. იქ, გერმანელები დგანან და პოლიციელთა რაზმიც ჰყავთ. არც ბუდაში შეიძლება ცხვირის შეყოფა. პოლიციელთა რაზმი ამ სოფელს ჯერ არ შეუქმნია, მაგრამ გერმანელები საკმაოზე მეტნი არიან. რა უნდა მექნა, დავლუნე თავი და ისევე ანტონის სოფელს, ვოროშინას მივაბურე. საბედნიეროდ ვოროშინაში გერმანელები არ დამხვდნენ. სოფელში ჯერჯერობით მხოლოდ სამი პოლიციელია. სუხოდოლსკებთან ეზო-ეზო, ბოსტან-ბოსტან მივიპარე. ფანჯარაზე ფრთხილად დავაკაუნე. დიდხანს ვიყურყუტე, მაგრამ არავინ გამოძხედა. ისევე დავაკაუნე, მანამ არ მოვეშვი, სანამ ფანჯარას ანტონის მამა, იგნატი არ მოადგა. მე ჩემი სახელი ვუთხარი, გავახსენე, ისა ვარ, ამას წინათ თანტონს რომ ვაზღლი-მეთქი, კარები გამიღო, შინ შემიშვა და მაშინვე ანტონი იკითხა. ანტონის ამბის გაგებას მისგან მოველოდი და უცებ ენა კინაღამ ჩამივარდა, მაგრამ არ დავბნეულვარ, სული მოვითქვი

და წყალი მოვითხოვე. წყალი და საკმელი ანტონის დამ, ტანიამ მომიტღვე. წყალი დავლიე, საკმელიც მომეჭრა. ლი არ მიხლია. დაჭრილი მეთაური მელოდება და დასაჯდომად არ მცალია-მეთქი. ანტონის დედამ ეს პური, კარტოფილი და ქონის ნაჭერი შემიხვია. ყველა შიშით შემომცქეროდა. ბიძია იგნატი იდგა მხოლოდ უტეხად. მე როგორც შევეძელი დამაჯერებლად მოვუყევი ჩვენი ბრძოლის ამბავი. ანტონი არც კი დაჭრილა, ახლა გაფანტულ მებრძოლებს მოუყარა თავი, სახვლიო საქმეზე ფიქრობს და თქვენთან გამომგზავნა, ორ დღეში თავად გინახულებთ და უფრო დაწერილებით მოგიყვებათ ყველაფერს-მეთქი. ოჯახი დავამშვიდე, წამოსვლისას მაინც ვუთხარი, თუ მეთაურს უკეთესობა არ დაეტყო, სოფელში უნდა გადმოვიყვანოთ, ვინმემ უნდა შეიფაროს-მეთქი.

ანტონის დედამ შუშაში ცოტა არაყო ჩამისხა. მერე რალაც მალამო ეძია, მაგრამ ვერ ნახა და მეც წამოვედი.

— კარგად მოქცეულხარ, ვალოდია. ცოდვანი არიან მოხუცები. იცი, ახლა მგონი ცოტა უკეთ ვარ, დავნაყრდი კიდევ. ეს პური შევინახოთ, გამოვიზოგოთ. რა იცი რა მოგველის ხვალ. ახლა დაწევი და დაიძინე, დალილი ხარ.

— მართლა ნამეტანი დავიღალე, მაგრამ ჭრილობა არ მოგწმინდა?

— დილაზედ მოვითმენ, ახლა რას დინახავ.

— კარგი.

ვალოდია ჩემს გვერდით მიწვა და მაშინვე ხვრიწვა ამოუშვა.

მეც ერთ ხანს ვფხიზლობდი, მერე ჩამეძინა.

დილით კორპუშევის დაუხმარებლად წამოვდექი. საბძელში გავიარ-გამოვიარე, კარიც გამოვალე, გარეთ გამოვედი და სანამ ვალოდიას გაეღვიძებოდა, შიდადამო მოვათვალე. ეს საბძელი ეტყობა შუაგულ ტყეშია, მაგრამ აქ დარჩენა მაინც არ შეიძლება. საბძელში შეებრუნდი. ვალოდია უკვე ფეხზე იდგა, წვერი გვარიანად წამოზრდია, მეც გა-

ვისეი ხელი ლოყახე. რა თქმა უნდა. გასაპარსი ვარ, მაგრამ რა საჭიროა ახლა გაპარსვა?

ვალოდამ ისე ნებიერად გააზმორა, თითქოს სანატორიუმში გაეთიოს ღამე. მარჯალი დაიფრთხა და ფეხზედამდგარი რომ დამინახა, გაელიმა. კარებთან მივიდა და ტყეს გახედა. ერთხანს ასე გარინდული უცქერდა ტყეს, მერე მომიახლოვდა, დამსვა, კრილობა შემისხინა, არყით მომიწმინდა და მაგრად შემიხვია.

— უკეთ ხარ, ხომ?

— კარგადა ვარ, ვალოდია. ა, შეხედე, მარჯვენა ხელსაც ვამოძრავებ.

ხელი აწვიე, მაგრამ ვერ გავმართე. ვალოდამ ხელი ისევე ქამარში ჩამიტანია. ნუ ამოძრავებ. კრილობა გაღიზიანდებო.

— რა ვქნათ ახლა?

— ვისაუხშოთ.

— გუშინ მთელი დღე არაფერი გვიკამია და ახლა საუხშმესაც აღარ იკლებ?

— როცა მაქვს, რატომ უნდა დავიკლო. ჰემა მთავარია.

— ნამეტანს ნუ გაიქანები, ვალოდია. საუხშმეზე თავი შევიკავოთ. მე ჯერ მაინც არ მშია.

შემომხედა, მეგონა დამეთანხმა-მეთქი, მაგრამ თურმე ეს არც უფიქრია. პური ამოიღო და ორად გაჭრა, ერთი შეახვია, მეორე შუაზე გაყო და გამომიწოდა.

— ცოტა წაფიხმსოთ. საღამოს კიდევ ვიშოვი რამეს. თუ ნებით არავინ მომცა, წავართმევ. ან გერმანელს წავართმევ ან ჩვენთანს.

— არც ჩვენთანს დაინდობ?

— კუჭმა დანდობა არ იცის.

პურის ნაჭერი უკანვე დაეუბრუნე, კარტოფილი ავიღე, მარლი მოავაყარე და შევკვამე. ვალოდამ თავის ულუფას ერთ წითში მოუღო ბოლო და კარტოფილიც მიაყოლა.

საბძლიდან გამოვედით და იქვე ხელმარცხნივ ბილიკს დავადექით. ვალოდის ბავშვივით უხარია, რომ უკეთ ვარ, რომ სიარული შემიძლია.

— ექიმი ვარ, ნამდვილი ექიმი, ოქროს ხელი მამია. ნუ იცინო, მგონი სოფელშიც კი ფეხის ბიჭუნა შეიძინდნენ. თითქმის მთელი სოფლის საახალწლო მეკვლე მე ვიყავი. ავად რომ გახდებოდა ვინმე, მე მომაკითხავდნენ, შენი არაფერი გვინდა, ისე ტყუილა შემოდგი სახლში ფეხით. იქნებ სასწაულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ვინახულებდი თუ არა ავადმყოფს, მეორე, მესამე დღეს ჩიტყვით წამოფრინდებოდა ზეზე.

ვალოდია წინ მიდის, ოდნავ მხრებში მოხრილი მიბიჯებს. ხან ლაპარაკობს, ხან სტვენს. ტყე იღვიძებს, ცოცხლდება, ჩიტებს ერთი ყრიაშული აქვთ, დახტიან ტოტიდან-ტოტზე, ქლურტულეებენ.

მე სიარული თანდათან მიჭირს. მიკვებები ვალოდის უკან, რაც შეიძლება ვინდომებ. კრილობა ფეთქავს, მწვაეს, მტებს. დროგამოშვებით ვალოდია მომხედავს. მე ვუღიმი, ნაბიჯებს ვითვლი. ყოველ ოც ნაბიჯში ვალოდია თავს მოაბრუნებს და მეც ამ მეოცე ნაბიჯისათვის საგანგებოდ ვემზადები. არ მინდა ჩემი წუხილით ისიც შეწუხდეს, კბილსკბილზე ვაჭერ და არ ვკენისი.

ტბას მივადექით, უცებ ეს ჩვენი ტბა მეგონა, მაგრამ კარგად რომ მოვათვალიერე, მივხვდი, სხვა ტბა იყო, ბევრად უფრო პატარა, მაგრამ ძალზე ლამაზი. მალლიდან ალბათ ნატყრისთვალისით გამოჩნდებოდა ამ უსიერ ტყეში ეს ტბა.

ხელ-პირი დავიბანეთ. ვალოდამ მათარა წყლით აავსო. ჩემი მათარა აღარ ჩანს, დამიკარგავს.

გზა განვაგრძეთ და მალე შოსეს მივადექით. ვალოდია ბუჩქთან ჩაქდა. მე თუ ჩავიშულე, ვიცი ველარ წამოვდგები და ხეს მივეყრდენი. ვალოდია დიდხანს ზვერავდა შოსეს, მერე ხელით მანიშნა, ფეხი არ მოიკვლო, ადგა და შოსეზე გავიდა.

შორიდან მანქანის ხმა მოისმა. გულმა რეჩხი მიყო. ვალოდის გავხედვდგას და ელის. ნეტავ მარტო ხომ არ აპირებს შებმას? ყოველ შემთხვევისათვის

რევოლვერი ამოვიღე. მარცხენა ხელში იარაღის დაქერა მეუხერხულა, მავრამ რას იზამ. ხმაური ახლოვდება, ვალოდია მ ხელი ჩაიქნია და ჩემთან მოიბრბინა.

- მთელი კოლონაა, თორემ...
- რას იზამდი?
- ეს შე ვიცი.
- რევოლვერით აპირებდი შებმას?
- წავიდეთ.

ერთ კილომეტრამდე შეუჩერებლივ ვიარეთ. ვალოდია ბალახზე დაეშვა. მეც დავექეცი. ჭრილობა ფეთქავს, მწვავს, მტხავს. ალბათ ვერ ავდგები. ვალოდია მ თავქვეშ ხელები ამოიწყო და დაუსტვინა. ო, როგორ მინდა მეც ასე გემოზე გავიშობო...

- ვალოდია.
- გინდა რამე? — წამოხტა.
- მკამს, მწვავს, მღრღნის, თორემ ვფიცები არ შეგაწუხებდი.
- არ გრცხვენია? რაღაცაზე ვფიქრობდი და მიმავიწყდი.

ჩანთიდან ბამბა და არაყი ამოიღო, გვერდით მომიჭდა, ჭრილობა გამიხსნა, მომიწმინდა, მერე ბამბა არაყით დაასველა და ჭრილობაზე დამადო.

იცოცხლე, მე ამ „ოპერაციამ“ გამაშწარა.

— ორი-სამი დღე მაინც უნდა დავრჩეთ ამ შიდაბოში. ღამე ისევ იმ საბჭელში გავათიოთ. საქმელსაც ვიშოვი. იქნებ ვინმე ჩვენთან გამომჩნდეს ანტონის მამამ წუხელ რომელიღაც ხუტორი მოხსენა, სულ დამავიწყდა შენთვის მეთქვა იმ ხუტორში თურმე ვიღაც სამხედრო ექიმი დაქრილებს უვლის. ახლა სწორედ მასზე ვფიქრობდი. იმ ხუტორში უნდა მივიღე, იქნებ ჩვენი ბიჭებიც იქ არიან, ა?

— მე იმ საბჭელში მიმბრუნებელი არ ვარ, ვალოდია. საღამომდე ასე ვისუტილოთ, თუ ვინმე გამოსაჩენია, გამოჩნდება. საღამოს მეც თან წამოგყვები, გინდა სუბოლდოსკისთან მიმიყვანე, გინდა იმ სამხედრო ექიმთან.

ვალოდიამ ბუნქს მოზრდილი ტოტი წაატეხა. თქმით არაფერი უთქვამს. ერთ-

ხანს ამ ტოტის მტვრევით იყო გართული, მერე ადგა და წავიდა.

— დაიცა, ვალოდია, ასე უფრო ავდგები.

მობრუნდა, წამომაყენა.

— ის სამხედრო ექიმი, შენის აზრით, ვინ უნდა იყოს? — მკითხა.

— ჩვენსავით გაჭირვებული იქნება, ალბათ ნაწილს ჩამორჩა, ან ალყა გაარღვია და ახლა წვალობს.

— შენ სიარული გიჭირს, დაწეკო, ცოტა-ხანს კიდევ დავისვენოთ. უარი არ მითქვამს, დაწეკე, თავი ბალახზე მივდე. ნაძვების კენწეროებში გავაპარე მზერა და ცის პატარა ნაჭერი დავინახე. ტკივილმა მიკლო, ცოტა ჩაეწყნარდი. მთელი საათი ვიწეკით, უსიტყვოდ შეეცქეროდით უზარმაზარ ნაძვის ხეებს, ვუსმენდით ჩიტებს, არყის ფოთლების შრიალს.

ავდეკით.

ვალოდიამ ჩემი მარცხენა ხელი მხარზე გადაიდო. დამეყრდენიო, მითხრანაბიჯ-ნაბიჯ მივიწევეთ წინ, თუმცა არც კი ვიცი, საით მივიღივართ. ახლა თავი ამტკივდა, ზედ შუბლთან ფეთქავს ძარღვი და თვალთ მიბნელებდა. ისეთი ჯოჯოხეთური ტკივილი დამეწყო, ჭრილობა სულ დამავიწყა. ვალოდია ხუმრობს, ბავშვობის ამბებს იგონებს, მეც მეკითხება რაღაცას, მავრამ პასუხის გაცემის თავი მაქვს?

შესვენებისას ვალოდიამ პურის ნაჭერი და ორი კარტოფილი ამოიღო. უცებ შევსანსლეთ და დავწეკით. მე დამეძინა.

დაღამებამდე მეძინა. ტყეში კუნაპეტი ღამე იწვა, ციოდა. აგვისტო ილეოდა. ამ დროს აქ საგრძნობლად ცივა. ამაში მერე და მერე უფრო დავრწმუნდი.

ვალოდია ფეხზე დგას და ალბათ ჩემს ვალეიძებას ელის.

მე მის დაუხმარებლად ვცადე წამოდგომა, წამოვიწიე, გავიძარეთ კიდევ, მავრამ თავის ბრუალმა დამიქნია და დავეცი, ვალოდია მოვარდა, მათარა მომწოდა.

— არ მინდა წყალი, გრძნობა კი არ დამიკარგავს. ცულადაა ჩემი საქმე. ეს კრილობა მგონი შიგ გულ-ღვიძლში მიძინებდა, მტეხავს, მწვავს. ალბათ მალე გახერხებს სხეულს, თავიც მოსკდება.

— ზურგზე მოგიკიდებ, საბჭელში დავბრუნდეთ.

— ცოტა მაძალე და თუ ჩემი სიკეთე გინდა, სოფელში, ან იმ ხუტორში წამათრიე. ეს თუ ძნელია, თუ ის ხუტორი. შორსაა, მაშინ სადმე აქვე ახლო მიმიყვანე ადამიანებთან. ადამიანებთან სიკვდილი მირჩევნია. შიგ რაღაც მწვავს, გარეთ კი მცივა. ასეთი რამე ვინახავს? გიგრძენია?

— კარგი, წავიდეთ სოფელში, რაც იქნება-იქნება.

ვალოდის თანხმობამ ერთბაშად შემმატა ძალა. ისე უცებ დავდექი ფეხზე, მე თვითონ გამოკვირდა. ვალოდამ მაინც შემამშველა ხელი. შემიკავა.

— გამიძეხი, ვალოდია, გამიძეხი, და რაც არ უნდა ხმამალა დავიკვნესო, არ შეჩერდე, არც მოიხედო, მე გამოვყვები.

კორპუსევი წავიდა, მეც გავყევი.

არ ვიცი რამდენი ვიარეთ. არ ვიცი როგორ გავედით ტყიდან, როგორ აღმოვჩნდით ტრიალ მინდორში. ნაპურალში, ბოსტნებში, ეზოებში.

მესმოდა ძალღების ყეფა-გნიასი. ვგრძნობდი, სოფელი ახლო იყო, სოფელი და იმედი.

ლამე გზას ამოკლებსო, ეს ასეა, ნამდვილად ასეა.

ვალოდია შეჩერდა. დამელოდა. მე უკვე ვხედავდი სახლებს. ხელი მომიკლა და საბჭელს მიმაქუდა. არ წაიქცეო, დამიბარა და იქვე საბჭელზე გადაბმულ სახლს მიაშურა.

არ წაიქცეო, იქნებ გაიხუმრა ვალოდამ, მე კი მართლა ვერ ვიკავებ თავს, ეს კედელი რომ არა, ზღართანს მოვადენდი მიწაზე. ცეცხლი მთელ სხეულზე მიკიდია. ჩანს კრილობას გაუწვავს სხეული, გაუხერხებია და მეორე მხარეს გასულა. მინდა წავიდე, ვალოდის მივყევი. არ დავშორდე, არ მინდა ამ კედელთან

ვიყო მიყუდებული დასახერხებელი კაცივით, მაგრამ ფეხის გადადგმის თავში არა მაქვს. ფეხის გადადგმა კი არა დამხეტა არ წაიქცეოდე. არ უნდა წაიქცეო, არაფრის გულისათვის არ უნდა წაიქცეო. ახლა ესაა მთავარი. უცებ სულ ახლო კაქუნი გავიგონე. ეს ალბათ ვალოდიაა. ბნელა, თვალში თითს ვერ მიიტან, მაგრამ კაქუნი მესმის, ამკარად მესმის. ვაითუ შინ არავეინაა, ვინ იცის რა მოხდა ვალოდის აქ ყოფნის შემდეგ?..

ნელა გადავდგი ნაბიჯი, ერთი, ორი, სამი... ვალოდია დავინახე. იგი ფანჯარაზე აკაქუნებს, მე მას ვხედავ.

კარები გაიღო.

დავიძახე. მინდა მოვისმინო რას ეტყვის ვალოდია. რა პასუხს მიიღებს. ყველაფერი მინდა ვიცოდე, მაგრამ ლაპარაკი არ შედგა. ვალოდიამ ორი სიტყვა უთხრა მას, ვინც კარი გააღო და ჩემკენ გამოიქცა. რომ არ დამეძახნა ისე ჩამვივლიდა, ვერც შემამჩნევდა.

და აი, უკვე თბილ ბინაში ვარ. პართალია ბნელა, არავის და არაფრის გარჩევა არ შეიძლება, მაგრამ ეს ოთახია, ბინაა. მყუდრო ოჯახის, ადამიანების სუნი მცემს ყოველ კუნჭულიდან.

აგერ ვილაცა მშვიდად სუნთქავს, ნეტავი შენ!

ჭრაქი აანთეს. ფანჯრები ისე საგულდაგულოდაა შენიღბული, რომ აქედან სინათლე ვერ გაატანს. მოხუცმა მხარჩოლავი ჭრაქი პირდაპირ იატაკზე დადგა და თავად მეორე ოთახის კარები შეაღო.

— ჩქარა ადექი, ალექსანდრა, ანტონის ამხანაგები მოვიდნენ. ანტონის დედა ალბათ უკვე ჩაცმული იყო, მაშინვე გამოჩნდა, მოგვესალმა.

— წყლის გათბობა თუ შეიძლება, დედი. — ჰკითხა ვალოდამ.

— ანტონის დედა ღუმელთან მივიდა, პატარა ქვაბუნა გამოსწია და შიგ თითი ჩაჰყო.

ჭრაქი მომაწოდე, ივანტ, — დაუძახა ქმარს, მაგრამ ივანტს ვალოდამ დაასწრო, ჭრაქი აიღო და ღუმელთან მივიდა.

ივანტიმ სკამზე დამსვა. მე თავს ძლივს

ვიკავებ, ვკენისი — ნუ გეშინიაო, — მხარზე ხელი მომიტათუნა მოხუცმა.

ანტონის დედამ ვალოდიას ჭრაქი გამოართვა, ქმარი მოიხმო, შენ დამიჭირეო, უთხრა. მე ჩემი სკამით ღუმელთან მივჩოჩდი. მარცხენა ხელით ქაშარი შევიხსენი. ანტონის დედამ ფრთხილად გამიხსნა ჭრილობა, თბილი წყლით მომბანა. შეება ვიგრძენი. მეგონა ბამბას არებით დაასველებდა და ჭრილობაზე დამადებდა, მაგრამ არაფერი გამოუჩენია. ძველი სკივრიდან ჩვარში შეხვეული რაღაც ამოიღო, მაშინ ვერ მივაგენიო, მოიბოდიშა. ჩვარი რომ გახსნა, მალამოს სუნე შეცა.

მალამო ჭრილობაზე წამისვა, ზედტილოს ნაჭერი დაფარა, შემისვია და მოხრა: აწი ნუ გეშინია, უებარი წამალიაო, ეს თან წაიღეო.

თან წაიღეო. — ეკალივით მომხვდა ეს სიტყვა. თან წაიღეო... მაშ ახლავე უნდა წავიდეთ? ერთ ღამეს მაინც ვერ გავათევ ამ თბილ ოთახში?

ვალოდიას გავხედე. მას მგონი არც კი ფუგონია ანტონის დედის სიტყვებზე. იგნატთან საუბრობს. იგნატი ჯიბიდან უშველებელ საათს იღებს, წამდაუწუმ დასცქერის, ნეტავი რას გვიპირებს.

ანტონის დედამ რაღაც და მოხარშული კარტოფილი მომიტანა, მე ჭიქა რაღაც დაველიე, ვალოდიამ მთელი ტოლჩა გამოაწრო. არც კარტოფილისათვის დაუყრია ხეირი, გაუფცქენელად შესანსლა.

მივიხედ-მოვიხედე. ერთი წაქცევა და თვალის მოტყუება სიცოცხლეს მერჩინა, მაგრამ უკვე ვიცოდი. რომ ამ ფუფუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სიბზოში და სიმყუდროვეში ისე მომთენთა, პირდაპირ მაგიდაზე ჩამოვდე თავი, მაგრამ ვინ გაცალა!

— რა ვქნა, შვილო, აქ თქვენი გაჩერება არ შეიძლება, — თქვა იგნატმა, თუთუნე მოქანა, ჩემს წინ ჩამოჯდა და ბოდიშით გაიმეფორა: — არ შეიძლება, საშიშია.

რა ტკბილი ხმა აქვს ანტონის მამას.

— იცოდეს ღმერთმა, ანტონის ამხანაგებისათვის თავს არ დავზოგავ, მაგ-

რამ ახლა სწორედ სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდეს კაცი, ხელაუფრთხილად უნდა ჰყვოდეს კაცის სიცოცხლეს, სცადე, შვილო, სცადე, წამოდექი.

ვალოდია წამოიწია, მაგრამ მისი დახმარება არ დამჭირვებია.

— ყოჩაღ. — შემაქო იგნატ პლატონიჩმა.

— ყოჩალია, — დაუდასტურა ვალოდიამ.

ანტონის დედამ ამოიოხრა.

— სად უნდა წავიდეთ?

— გზაში გეტყვით. ჭრაქი ჩააქრე, აღექსანდრა, მე მალე დავბრუნდები. ტყაპუჭი მოიცვა, ხელში კარგა მოზრდილი ჯოხი დაიჭირა და კარი გამოაღო.

ჩვენც გავყვეით.

იგნატ პლატონიჩმა ერთხანს ეზო-ეზო გვატარა, მერე გზა გადავჭერით და ნაპურალში გადავედით. სიგრილემ ცოტა მომაცოცხლა, თავსაც უკეთ ვგრძნობ.

ნაპურალი ჩავათავეთ და ასევე ჩვენებურ საურმე გზას დავიდექით. ბნელა, წინ არაფერი ჩანს. მე იგნატისა და ვალოდიას შუა მივაბიჯებ. ჯერ-ჯერობით ჭრილობა არ მაწუხებს.

იგნატ პლატონიჩს მალალი კაცი ეთქმის, მხრებში ოდნავ მოხრილია, მაგრამ სიბერე ჯერ შორსაა მისგან. მხნედ გამოიყურება. მიდის, შილაჯებს, ხანდახან მოიხედავს, რაღაცას შეუბნება, მაგრამ მე მისი ხმა არ მესმის. საურმე გზიდან გადავედით. იგნატი შედგა, დავველოდა.

— იქ არ გითხარით, სოფელშიაო არ შეიძლება ახლა ლაპარაკი. ყოველ სახლს, საბძელს, ხეს ყური აბია. ახლა სოფლიდან შორსა ვართ, ახლა გეტყვით. — ჯოხი ერთი მიმართულეობით გაიშვირა, — კილომეტრნახევარში ნუტორია, იმ ხუტორში ადრე სამი ოჯახი ცხოვრობდა. ბომბი დაეცა, და ყველა ამოწყვიტა. ახლა იქ აღარავინაა. საბძელია ერთი და მასზე მიდგმული პატარა ოთახი. საბძელში დაჭრილები არიან დათ სამხედრო ექიმის უფლის. მასთან უნდა მივიდეთ. — გზა განაგრძო, — ჩვენ სოფელში ჯერჯერობით სიმშვიდეა. არ

გვაწუხებენ. სამი პოლიციელია მხოლოდ, მაგრამ ჯერ ცუდი არაფერი გაუბედავთ. კურეიშინოში კი უკვე შექმნეს პოლიციელთა რაზმი და ფარფაშებენ. ხალხს ზვრეტენ, გერმანელებთან აბეზღებენ, არაფერს არ თაკილობენ...

— კურეიშინო შორსაა? — ვკითხე.

— არაა შორს. ხუთი კილომეტრიც არ იქნება. ის ექიმში კი კეთილი კაცია, მიგიღებს, მოგარჩენს. შენი ჭრილობა მთლად სახუმრო არ გეგონოს.

— ვგრძნობ.

— მით უფრო საჭიროა ექიმი.

— კი, მაგრამ იმ დაჭრილებს ჰამა არ უნდათ, ბიძია იგნატი? — იკითხა ვალოდიამ.

— დღეგამოშვებით ავდივარ, რძე და კარტოფილი მიმაქვს. ხანდახან პურსაც გადავირჩინებ ხოლმე, სხვებიც მშველიან, დასმარებაზე უარს ვინ იტყვის. ჩვენს სოფელში კარგ ადამიანებს რა გამოლევს. მაინც ვფრთხილობ, ძნელი სანდოა ახლა კაცი. ის მაიორი...

— მაიორია?

— მაიორია, ექიმი მაიორი.

იგნატ პლატონიჩი ლაპარაკობს გამართულად. ეტყობა ბევრი რამ უნახავს ცხოვრებაში და არც ისე გაუნათლებელი კაცი ჩანს. მე ეს მიხარია, მიხარია, რომ ჩემი მეგობრის მამა ასე კეთილია, კაცური კაცია, თავდადებული.

ანტონის მამა მართლა დიდებული კაცია, მაგრამ თვითონ ანტონი სად არის? იქნებ დაჭრილია, იქნებ მოკლეს კიდევ?

ჭრილობა სულ მიმაეჩიქდა, აღარ მტეხავს, ეტყობა ანტონის დედის მალამომ მიშველა. თავისუფლად მივდივარ.

მაინც როგორ გაგრძელდა ეს გზა.

ნუთუ ამდენხანს ვერც შევიპოვე კილომეტრნახევარი? მეზღვევით

აჰა, მოვსულვართ. იგნატი შეჩერდა. თქვენ აქ დამელოდეთო, გვითხრა, თავად კი საბჭოლისკენ გასწია.

ვილაკამ დაუძახა, ვინ მოდისო, იგნატმა უპასუხა. ეს კარგია, კარგია რომ დაჭრილები ასე თუ ისე თავს იცავენ.

იგნატ პლატონიჩი მალე დაბრუნდა, ყველაფერი რიგზეაო, თქვა და წაგვიძღვა.

სულ პატარა ოთახში შევედი. ექიმში ფეხზე ამდგარი დაგვხვდა, პატარა ლამფაც აენთო. ხელი ჩამოგვართვა, ტახტზე დაგვსვა. მე მაიორი შევათვლიერე. მძალი, მხარბეჭიანი კაცია. ჰალარა მორეგია, მაგრამ ორმოცდაათზე მეტის არ უნდა იყოს. სქელი უღვაშიბიც შეთეთრებულია და ეს კიდევ უხდება.

— შენ ხარ დაჭრილი?

— მე ვარ. — წამოდგომა დავაპირე, არ დამანება.

ლუციის გამარჯვებისადმი. პოეტი უველავ
ლენინის სახეს ზედავს, ვარშავაში, ბერლინსა
თუ სოფის თაღებს ქვეშ. მშვიდობის კონგ-
რესზე ლენინს უყრავს ტაშს, რადგანაც მსოფ-
ლიში მშვიდობის დამკვიდრებაც ლენინური
იდეების გამარჯვებად შიანია. პოეტი ლექსს ასე
ამთავრებს:

... ის ჩვეთანაა, ლენინი
ის მზეებარ იცოცხლებს დიდხანს,

ის სიტყვას არ აძლევს აგრესორთ,
ის ომებს არ აძლევს სიტყვას...
მსოფლიოს ხალხს უნდა მშვიდობა,
მსოფლიო ტაშს უყრავს ლენინს...

მეორე ლექსი „ლენინის ქედი“ აგებულია
იმ ამბავზე, თუ ფრანგმა მუშებმა რა სასოებით
შეინახეს ლენინის ქედი და შემდეგ გამოგზავ-
ნეს მოსკოვში:

...ლენინის ქედი... მას ჰერდაბალ ქოხებში
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი,
აქ, ასეთ ქოხებში, დღეს ფრანგი დოკერი
რა ფრთხილად ფერცლავს და კითხულობს
ლენინს!...

ხოლო ლექსი — „ლენინი ვისლენენში“ —
ეხება ლენინის ძეგლს, რომელიც მტრის რისხ-
ვად დარჩენილი იდგა პატარა ქალაქთან. პიტ-
ლერელები მას ვერ იტანდნენ, მოხსნეს და პო-
ლონეთში გაგზავნეს გადასაღწობად:

...ლენინი ხალხმრავალ ქუჩებში —
პირს ღამაშ დემადიფენილი:
ჩურჩული პოლონელ მუშებში:
მათ იცნეს ვლადიმერ ლენინი.

პოლონელმა მუშებმა უარი თქვეს მის გადაღ-
წობაზე და თქვეს,

... არ იწვის ასეთი ლითონიო!...

პიტლერელებმა პოლონეთიდან ახლა გერმა-
ნიის ქალაქ ბრესლაუში წილეს, იქაც გერმა-
ნელმა მუშებმა იცნეს და მათაც უარი თქვეს
მის გადაღწობაზე:

... ჩურჩული გერმანელ მუშებში:
არ იწვის, — აქაც თქვეს, — მყარია,
ვერ დაწვეს ღემელის კედლები...
იგი ჩვენს ქალაქში დარჩება,
და როცა მამაცი მხედრები...
შემოვლენ გერმანულ ქალაქში...
სახეზე ღიმგადიფენილი —
მათ ვისლენენში დახვდება,
ილიჩი, ვლადიმერ ლენინი...

მართლაც, ომი დამთავრდა პიტლერელთა
დამარცხებით და ილიჩის იდეების გამარჯვებით.
და აი:

მოვიდნენ მამაცი მხედრები...
ტყვიების ქარცეცხლი დაანთეს...
მოვიდნენ საბჭოთა მხედრები,
პასუხი მოსთხოვეს ქალათებს...

ხოლო გერმანელმა მუშებმა ძეგლი გერმა-
ნელ მიწაზე აღმართეს:

...ძველი დგას გერმანულ მიწაზე,
ბრინჯაო, მზის შუქში ფერილი:
ასჯერ და ათასჯერ ზარავდეს
მტარვალთ ის ელადიმერ ლენინი!

მშრომელი ხალხის იმედად და მტარვალთა
რისხვად ისევ დგას ელადიმერ ლენინის ძველი.
ასე დაიცვა და შემოინახა მშრომელი კაცის
ველმა და მარჯვენამ ლენინის ძველი.
ანა კალანდაძემ პოეზიის ენით უკვდავეყო ის
მშებნი, რაც ლენინზე ელგენდებოვით დადიო-
და.

თავისებური და განსხვავებულია მუხრან მა-
კავარიანის პოეზია.

მუხრან მაკავარიანმა კომუნისტების მშენებ-
ლობის ეპოქას, ჩვენი საუბუნის რთულ ეთარე-
ბას, ატომისა და კოსმოსის მეფეებს, გამოუძემა
შესაფერი საღუნავეები და შესაფერი ზმით
მისცა ზანი.

„ეიწრო ქუჩებში კომუნისტები ვერ შემოიტე-
ვაო“, გვითხრა პოეტმა და კომუნისტების საგა-
ლობელი დიდი აზრებით ძველ ჩარჩოებში ვერ
ჩაბრა, ახალი სახეები გამოუნახა.

მუხრან მაკავარიანმა თავის ლექსებს გამოუ-
ნახა ახალი დროის შესაფერი ახალი ფორმა.
თავის ეპოქის შესაფერი ზმით უმღერა ლექსში
„ლენინის ქუჩა“.

პოეტი — ამაყი და თავისუფალი ქვეყნის
მოქალაქე — მიაბიჯებს საშობლოს დედაქალა-
ქის საყვარელ ქუჩაზე. შეჩერდება და თვალს
გადაუვლებს კედელზე გაკრულ განცხადებებს,
რომელშიც იფურცებიან: „გვესაპირებმა მჭედ-
ლები, დურგლები!“.. პოეტი აუღელვებლივ გა-
ნაგრობს გზას. დღე საამეროა, ისეთი საამერო,
რომ არც კი სჯერა, თუ კაცი მომაკვდავია, მი-
ყვლებულიც რომ ეჩვენებინათ, მაინც არ დაი-
ცვობდა შესძახება: „სტუდის, არ არის მკვდარ-
ი!“.. პოეტი ახლა გახეთქის დაფასთან შეჩერ-
და. გახეთქი ეწერა: „...იზრდება უოლ-სტრიტზე
უშუშეკართა ტალღა“.

გაახსენდება წითის წინ ნანახი განცხადება
და ომბიანად შესძახება:

რაც უნდა ვერქვას შენ.
ჩეკი, მარტინი, ვინდ ჯონი!
სულ ერთია, სიბარიბესა და უფლებებობას
თავს ვერ დააღწევს... რატომ?
აი რატომ,
მანდ ამერიკაში არ არის ლენინის ქუჩა,
ვიდრე არ განდდება მანდ ლენინის ქუჩა,
მშოერი იქნები ჯონ.

ამ ლექსში ორი სამყაროს კონტრასტული სუ-
რათი ლირიკის ენით დიდებულად არის მოცუ-
მული.

რაც შეეხება მეორე ლექსს — „ელადიმერ
ლენინი“ — პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოე-

ბას, რომ ლენინის სახელი ხალხისათვის განა-
ჯვების სიმბოლოდ იქცა:

სახელი — რწმენა გამარჯვებამ მარად რომ
ახლავს.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში
გამოვლენილი,

სახელი იგი — სიცოცხლე რომ უწოდა
ხალხმა,

ნუგეში მემის — ოკეანის გამოღმა გაღმა,
ელადიმერ ლენინი! —

ახსენე მხოლოდ —
და წყვილადში იფეთქებს შუქი,

ახსენე მხოლოდ —
და გვაღვაში დაუშვებს წვიმა,

ახსენე მხოლოდ —
გზას დაგიტოვებს მძაფრი ქარბუქი:

ახსენე მხოლოდ —
და გათბები როდესაც გცივა.

ასე სწამს და სჯერა პოეტსაც და ხალხსაც, რო-
მელსაც ლენინის იდეების გამარჯვებამ ყველა
სიკეთე მოუტანა. ამიტომ არის, რომ ხალხი მისი
იდეების საუფრევლეზე რასაც კი ქმნის: ეს ირბი
იქნება, ხიდი თუ ქარხანა. ან ელექტროსადგე-
რი, ყველაფერს კარგს ლენინის სახელს უწო-
დებს:

...ეს კი ნიშნავს რომ უკვდავია საქმე ლენინის,
ეს კი ნიშნავს, რომ ჭლიერია პარტია ჩვენი...
ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში
გამოვლენილი

არის ლენინი.
ჩვენც ყოველდღე ზელს ვართმევთ ლენინს...

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გამოთქვა ყოვე-
ლი პიროვნების ნატერა და სურვილი: ნეტა ერ-
თხელ მაინც გვენახა ის, ვინც ხალხს ამდენი
სიკეთე და სიხარული მოუტანა, ვინც მთელი
მსოფლიოს მშრომელნი ერთი დროშის ქვეშ
დაარზმა და მოუწოდა უკეთესი შერმისისათვის
ბრძოლისაკენ, ჩაუდგა სათავეში და გამარჯვება-
საც მიაღწია.

პოეტმა ლექსში სულ სხვანაირი კეთხიბა გა-
ამუქა ხალხისათვის ლენინის მოვლენება. ლე-
ნინი ამროლში დაიბადა, ამროლი განაფხელის
თვეა, განაფხელს მთელი დედამიწის ზურგზე
განახლება და სიხარული მოაქვს, ისე როგორც
ლენინი იდეების გამარჯვებამ ხალხს სიხარუ-
ლი და სიკეთე მოუტანა. თვით აღარ არის, მაგ-
რამ მისი ძველებია ყველგან აღმართული და
პოეტსაც გვეუბნება:

მიღის ამროლი
ულამაზეს ფერთა სიმღერთი,
მიღის დიდი
დიდებულები და მოღბენილი.

ჩვენ ვდგევართ ძველთან
 ღღობა სიმხნევით,
 ჩვენ, ვის ერთხელაც არ გვინახავს
 დიდი ლენინი...

ამ გაზაფხულის ღამაზე დღეს მღეროან შთან, ჩვენსავე იღბენენ ხენი, ღამაში და უელმოღერებული ბუნება სუნთქავს და ჩვენც სიყვარულით ვუყურებთ ლენინს, სიკვდილი დამარცხებულია, რადგან ლენინი ყოველთვის ჩვენთან არის შრომაშია და სიმღერაშია. მის იდეებს მიჰყავს ჩვენი ქვეყანა იმედითა და რწმენით. ლენინი ჩვენ ყოველთვის მხარში გვიდგას, თუნცა ერთხელაც არ გვინახავს იგი — ბელადი, მამა, ბრძენი. ლექსი მთავრდება ისეთი ოპტიმისტური შეძახილით:

...გესმოდეთ ყველის
 გაზაფხულის სიმღერა წრფელი,
 ვინა ხართ ქვეყნად...

ცრემლიანი და მოწყენილი...
 ლენინი მოჩანს უველა მტრიდან,
 უსმინეთ ლენინს,
 დგას ტრიბუნაზე
 და ვრცელ სიტყვას ამბობს ლენინი.

ტრიბუნიდან ნათქვამ ლენინის სიტყვებს ხალხი სულგანაბული უსმენდა, მწყურვალეობით ეწაფებოდა და მოკვებოდა. ლენინმა ხალხი გაშარჩვებამდე მიიყვანა.

წინასწარმეტყველურად ამოიძღერა ერთმა ხალხურმა მელექსემ:

ლენინ, ოქტომბრის ბელადო,
 შენ არა ხარ ჩვენთვის მკვდარი,
 მთელს მსოფლიოს გააღვიძებს,
 შენგან შემოკრული ზარი.

მართლაც და დღეს მთელი მსოფლიო სწავლობს ლენინის იდეებს და ეზიარება მის უკუდაე პუმანურ აზრებს.



თ უ შ ე ბ ი

თუშების სახელით ცნობილი ტომი დღეს უმთავრესად კახეთში ცხოვრობს, ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში, რომლებიც დიდი სოფლებია, ერთმანეთზე გადაბმული, ალვანის მარცხენა ნაპირას, ალვერდს ვაღმა (ოდნავ ზემოთ), ახმეტისა და ათიოდე კილომეტრის დაშორებით. ყველა ეს თუში ჩამოსულა, სხვადასხვა დროს თუშეთიდან, რომელიც კავკასიონის მთავარი გრებილის ვადაღმა მდებარეობს, დაახლოებით ახმეტა-ყვარლის ხაზის სივრცეზე. თუშეთი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან უფრო მაღალი და მიწვალი მთებით არის მოზღღდული, ვიდრე სამხრეთიდან.

თუშეთი მაღალი მთების ხეობებში მოქცეული კუთხეა, რომლის მდინარეს ადგილობრივ ალვანს ეძახიან ეს ალვანი, მამასაღამე, სხეა, ვაღრე ის მდინარე. რომელსაც ამ სახელით უმეტესად ვიცნობთ და შიგნი კახეთში მიედინება. ის თუშეთის ალვანია, ეს კი — კახეთისა.

თუშეთის ალვანი ორ მთავარ ტოტად გამოიყოფილია: ერთია ჩრდილოეთისა, ტებულის მთიდან (ანუ ღაქეების მთიდან) გამოიშინარბ, რომელიც პირიქით თუშეთში ჩამოვიდის და სამხრეთის ტოტს შეუერთდება ოშალის ქვემოთ. ეს სამხრეთის ტოტი გამოიშინ ბორბალოს ძირას და გზავ შეიერთებს წოეთის ხეცს, შეიერთებს სხვა შენაკადებსაც და უერთდება ჩრდილოეთის ტოტს. რის შემდეგ ორივე ერთად შეერთებული მაღე დატოვებს თუშეთს, შეიერთებს ანდის წყალს, ჩიოელის დაღესტანზე და სულაყის სახელით კასპის ზღვას ერთობს.

თუშების კახეთს ჩამოსახლება ალვანის მინდორებში და ბასტრიონის მიდამოებში, სადაც მათ წინათ სამოურავნი ჰქონდათ, აღრე დაწყო, მე-18 სუეკენიდან. ეს პროცესი დღესაც გრძე-

ლდება და ამჟამად ალვანში ვაცილებით მეტი მცხოვრებია. ვიდრე მთელი თუშეთის სოფლებში. მარტო ქვემო ალვანში 1300 კომლამდეა, მთაში დარჩენილი თუშები კი 1963 წლისთვის 110 კომლი უოფილა.

ბოლო ხანებში ძალიან გამოიყვანა თუშეთიდან მარად გადმოსედა. ამის გამო თუშეთი თანდათან უკაცრიელდებოდა და იყო შემთხვევები, რომ დიდოები ამოსულიყვნენ და თუშების ნასოფლარები დაეკავებინათ. 1963 წ. ივლისში ომალოდან ჩილოს ასულ სამეცნიერო ექსპედიციის წევრებს იქ აღარავინ დახვედრია: „სოფელი დაკარგილებულია. დარჩენილია სახლებიო“. წერდა ექსპედიციის ერთი წევრ-თავანი და ნაღვლიანად დასძინდა: „წელს ორი მოაგარავე ამოსულა, მომეაღ წელს, ალბათ, ესენიც აღარ ამოვლენო“.

საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად, ორივე ალვანი (ზემო და ქვემო) და მთელი თუშეთი ახმეტის რაიონში შედის. ამ დაყოფის თანახმად თუშეთში ნარევენია ერთი სასოფლო საბჭო, ოშალისი, რომელშიც 22 სოფელი შედის: ამალო, შენაკო, დიკლო, ჭვარბოსელი, ვაყინძირი, ვესტმო, იღურთა, ვესტომთა, გოგლურთა, დოკე, ბოკორმა, ქემელაურთა, ზისო, შტროლთა, ნაციხარი, ჩიგლაურთა, საბაო, დარბოლო, დანო, ყვავლო, ქეშო და ვეშდურთა. აქ აღარ არის ნარევენები სოფლები, რომელთა სახელები მე ჩაწერილი მაქვს 1913 წელს და

1 თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. 1967. შესავალი.
2 იქვე.
3 საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის. 1966.



რომლებიც 1907 წელს დაბეჭდილ რუსულ ხუთ-ვერსიან რუკაზედაც არის აღნიშნული; ესენია პირიქითში: კონიით, დაქიურთა, ვირვეი, ფარსმა, სამიქიხში: ჩილი; გომეწარში: საბუე, ჩირაღლი, ჩაილილო, ბუხტრთა, ბელაია, ბიქურთა, გუდანთა, ვერხოვანი, დადიურთა, კოკათა, ვეძისხევი, აღისგორი; ჩალმაში: აგურთა, ცოკალთა.

თუშების ძველ სამყოფ ადგილს თუშეთი ეწოდებოდა და ახლაც ეწოდება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თუშობა კახეთშიც გავრცდა, „თუშეთის“ ნაცვლად ხშირად „მთათუშეთის“ ამოიბენ. ეს მთათუშეთი დღეს საქაოლ დაუკლილია მოსახლეობისაგან: უკანასკნელი (1959 წლის) აღწერის თანახმად, მთაში, ომალოს საზოგადოების 22 სოფელში, ნაჩვენებია სულ 543 მცხოვრები, ზემო აღვანში კი, სადაც ცხოვრობენ წოკათუშები და ნაწილი ჩალმა-თუშებისა (პირიქითლების სახით), ნაჩვენებია 4266 სული, ხოლო ქვემო აღვანში — 2876 სული.¹ ზემო აღვანის მოსახლეობის უმეტესობა (დაახლოებით ორი წილი) წოვა-თუშებია.

ძველად, ვიღაც თუშები მთიდან დაიძვრებოდნენ და ბარად ჩამოსახლებებოდნენ, მთელი თუშეთი ომს თემად იყო გაყოფილი; ესენი იყო: პირიქითი, ჩალმა, გომეწარი და წოვათა.² წოვათაში შემდეგი სოფლები შედიოდა: საგი-რთა, მიწართა, ეტელთა, ინდურთა და წარო.

მე-18 საუკუნეში ქართული ენა თუშეთში ყველგან გავრცელებული იყო, მაგრამ წოვა-თის სოფლებს თავის ენაც ჰქონდათ, რომელიც მათ კახეთში ჩამოსახლების შემდგომაც არ დაივიწყეს, თუმცა ქართულიც კარგად შეითვისეს და სხვა თუშებზე ნაკლებ არ იციან.³ ამიტომ დღეს თუშებს ნაწილი მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილს კი შემოქრჩა მანა-პაების ენაც, რომელიც ადრე თუშეთის ყველა თემში უნდა უყოფილყო საერთოდ გავრცელებული, როგორც ამას ქართულად მოუბარ თუშთა ენაზე დაკვირვება და მისი ანალიზი გვიჩვენებს.

წოვა-თუშთაგან ამჟამად ყველაში კახეთში სახლობენ, ზემო აღვანში, რაც შეეხება ჩალმა-თუშებს, ეინც ბარად ჩამოვიდა, ძირითადად ქვემო აღვანში ცხოვრობენ, ზოგნი კი ლალის-ყურშიც (რომელიც თელავის რაიონში შედის), ზემო აღვანშიც (აქ პირიქითლები არიან) და ბარქაიანშიც (მანკისის ხეობის თემში).⁴ ჩალმა-

თუშებო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ საკუთარო ჩალმა-თუშებს და მათთან ერთად სხვა თუშებსაც, გარდა წოვებისა.

რაცხოვრივად წოვა-თუშები და ჩალმა-თუშები თითქმის თანაბარნი არიან, ოდნავ უნდა სკარბობდნენ ჩალმანი, რომლებშიც ყველა სხვა თუში იგულისხმება, მთაში დარჩენილებიცა და ბარად ჩამოსახლებულებიც.

ჩალმა-თუშების ქართულში უხვად ურევია ელემენტები, რომლებიც უტყუვრად მოწმობს, რომ ერთ დროს მათი მამა-პაპანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე. ასეთი ელემენტებია, უპირველეს ყოვლისა, ადგილის სახელები, ფონეტიკური მოვლენები და შემდეგ ცალკეული სიტყვები.

თ. უთურგაიძემ სწორად აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს თუშეთის ტოპონიმია: ბევრა სახელი წოვერი ენის მეოხებით აიხსნებაო, მაგრამ აქედან მან სწორი დასკვნა ვერ გამოიყვანა: „უდავოა, რომ წოვების მენზობლობას თუშურ კილოზე საყმათლ შესაძნეველი კვალა დატოვებიაო“.¹ არა, მენზობლობას კი არა, არამედ ქართულად მოუბარი თუშების მამა-პაპებზე ძველად იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც შემოქრჩა წოვა-თუშებს და რომელმაც დანარჩენ თუშეთში ადგილი დაუთმო ქართულს.

თ. უთურგაიძის წიგნს უძღვის წინ მისი რედაქტორი ა. შანიძის მოკლე ცნობა, სადაც გარკვევით არის ნათქვამი: „ქართული ენის თუშური კილო ერთი იმ კილოთაგანია, რომელშიც ცხადად ჩანს სუბსტრატი ენის-ვლემენტები, განსაკუთრებით ფონეტიკასა და ლექსიკაში. ეს სუბსტრატი ენა წოვა-თუშური, რომელიც ამჟამად მხოლოდ ზემო აღვანში ვახსენის“. „ამჟამადო“, ვამბობდი, რადგანაც იგულისხმება, რომ ძველად იგი ვაისმოდა წოვათის სოფლებშიც და უფრო ადრე თუშეთის სხვა თემთა სოფლებშიც: პირიქითისა, გომეწარისა და ჩალმისაშიც, აი იმ ენამ დატოვა კვლი არა მარტო ტოპონიმიაში, ე. ი. ადგილის სახელებში, არამედ თვით იმ ენის შემცველ ქართულში, რომელიც თუშეთის მოსახლეობის ჩვეულებრივ სასაუბრო ენად იქცა. მაგ., ჩალმა-თუშურში ადრე „შქვანეს“ ნიშნავს, საიდან მოდის ეს სიტყვა ქართულად მოლაპარაკე თუშებში? რა თქმა უნდა, მათი ძველუბისაგან, რომელთათვისაც ეს სიტყვა ჩვეულებრივ იყო „შქვანის“ აღსანიშნავად. წოვა-თუშურში „შქვანე“ სწორედ ასეა² არის, ოღონდ ოდნავ სხვაგვარი გამოთქმით. ბოლოს რომ ვ არის, იგი ცხვირისმიერი ბგერაა (ე. ი. იმის გამოთქმა).

1 ცნობები მივიღეთ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან.
 2 ზოგნი ამჟამად ცალკე თემად გამოჰყოფენ ქანჭხივანს და ივანურთას.
 3 ოღონდ წოვა-თუშების ქართული საქაოლ განსხვავდება სხვა თუშების ქართულისაგან. იგი უფრო კახური მეტყველებაა.
 4 ცნობა მომწარდა ვასო ცისკარიშვილმა.

1 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960 (თ. უთურგაიძემ შემდეგ გამოაქროა თავისი შეკვლევა: „ცისკარი“ 1966, № 2, გვ. 109-115).

დროს ჰაერი ცხვირიდან გამოდის). და განა მართო „აფე“! მთელი რიგი სიტყვებისა ჩაღმა-თეშერში წოვა-თეშერის მასალებით ახსნება; მავალითად, „ქოკები“ (საციფერაობები), „გაოწი“ (ჭვანთ), „გახერება“ (გაჭვანთება) და სხვა. განა სალტერატურო ენაში არა გვაქვს შემოტანილი (უმიფარესად ფშერის გზით) წოვა-თეშერი სიტყვები, როგორცაა „ეხი“ (გამოქეპებული კლდეში), „ბედნა“ (გამსხვავება) და სხვა? ამიტომ, როცა ავადმივიცნა ა. შინდერმა ამ სიტყვების წლის წინათ (1856 წ.) გამოსცა გერმანულ ენაზე ვრცელი ცნობები, რომლებაც შეიცავს წოვა-თეშერის გრამატიკულ მიმოხილვას, ტექსტებსა და ლექსიკას, და წიგნს დააწერა — „უდა თეშერი ენის შესახებ“, ეს არ იყო შესაძლებელი, ისტორიულად მანაც, იმიტომ რომ ისტორიულად „თეშერი“ სწორად ის უნდა ეთყობოდეს, რომლის ჩამომავალია წოვა-თეშერი. როცა ქართულად ამტკიცებულა თეშერის ნაწილი და მათი მამა-პაპების ენის ხმარების არე შემცირდა და წოვათის სოფლებსდა შემოპირჩა, განდა საჭიროება, რომ ამ ენას დარქმეოდან წოვათ თეშერი ანუ წოვა-თეშერი (შემოკლებით წოურები). რომ აგრე, ამას უკვლახე უფრო ნათლად ქართულად მოუბარი თეშერს კილო ამტკიცებს. კახელმა რომ თეშის ლაპარაკს ყური დაუგდო და ხორხისმიერი ბგერების ხშირი ხმარება შეინა, ჰეთხა: თუ-მო, რას იხრჩობიო? არა, თეში არ იხრჩობა, იგი თავითულად გამოითქვამს თავის კილოს ბგერებს, მათ შორის ხორხისმიერ ბგერებსაც, როგორც ჩვენ არ გვიჭირს „ბაყაყის“ გამოთქმა, ისე ჩაღმა-თეშს არ უჭირს „მეტყ“ სიტყვის გამოთქმა, „ქოლტაყისი“! „კალიას“ ნიშნავს) და სხვებისა. ამას გარდა, ხშირია სიტყვის ბოლოს უმარცვლო ხმოვნის ხმარება, რაც ჩაღმა-თეშერის შევცლო მიეღო მხოლოდ წინაპართა ენისაგან, რომელიც იგივე უნდა ყოფილიყო, რაც წოვა-თეშერის წინაპრებისა.

როდის მოხდა თეშეთის სამი თემის საბოლოოდ ვადმოსვლა ქართულ მეტყველებაზე, ეს ამჟამად ძნელი დასადგენია სათანადო მასალის უქონლობის გამო, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ძალიან შორეული ამბავი არ უნდა იყოს. მე, მავალითად, იმისი თქმაც კი მიჭირს ვადაჭირო, თუ რა იყო შინაური სასაუბრო ენა ბაქტრიონის გვირის ზეზევა ვაფრინდაელისა, რომელიც ეკისძირიდან იყო: წოვა-თეშერი, თუ ჩაღმა-თეშერი (ცაკისძირი წოვა-თეშერის წაროდან ხუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული).

წერილობითი ისტორიული ცნობები თეშების

შესახებ ცოტაა შემონახული და, რაც შემონახულია, არ არის შეკრებილი და ერთად გაშლილი, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თეშეთის ისტორიული ამბები. ჩამოვინდაც წიკო, ისტორიულ წყაროებში არსად არ არის გარჩეული თეშები, ყველანი თეშებად იწოდებოდნენ. „თეში“ საერთო სახელია ყველასი, იმეც თეშეთის აღახნის ზეობაში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1682 წელს უნდა იყოს დაწერილი, ნათქვამია: „ერთობით თეშებისათვის — წოვასა და ჩაღმისთვის“.

ჩამო-დასტურითაც, ზნე-ჩვეულებითაც და ყველა ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით თეშები ერთი ტომია, „თეშერი ქედლი“, რომ ვამბობთ, ან „თეშერი ყველიო“, ჩვენ არ ვიცით, ოსი გაცემებულია ქედი თუ ყველი, წოვა-თეშისა თუ ჩაღმა-თეშისა; არც ის ვიცით, ვინ მოქსოვა ჩითა (უტრავარი წინდა); ეგვეც ითქმის თეშერი ცხვრის შესახებაც.

თეშერი ლექსებიდან კარგად ჩანს, რომ წოვანი და სხვა თეშები ერთად მოქმედებდნენ საფრთხისა და განსაცდელის დროს. მავალითად, სპეროსას მთას რომ ლეკები დაეცნენ და თეშების შეიღო ფარა გაიბტყეს, წოვა, ჩაღმა და პირიქითელი თეშები ერთად დაედევნენ მტერს:

კაცი მოვიდა წოვათას;
 ლეკს დავეცოა ჭარბა;
 სპეროხით ცხვარი წაიღეს,
 შავად დაბლურტეს მთანი,
 გაყავრდნენ წოვათ ბიჭები,
 ახერის გამოდის ჩქამია,
 სწრაფ გადიარეს მთის წვერი,
 ღმერთო, დასწერე ჭვარია,
 წინ უძღვის ბერი საშება!
 უნდა გავლახო მტერია,
 თან გაყავა ჩაღმა-თეშით;
 მშურდა ვეჭვიროთ მხარია.

ემაგის მალექსებული წოვათას თეშის ქალია. აი ეს მტერი მხარის დაჭერა იყო ძველად ყველა თეშის ერთობლივი მოქმედების საფუძველი. თეშები ერთი ჩამომავლობისა არიან, ძმები იყვნენ და ძმები არიან და ძმებადვე დარჩებნან მომავალში.

კარგად ცნობილია, რომ ვეჯა-ფშეველა დიდი შეგობარი იყო თეშებისა. იგი „თეშ-ფშეველთა რწმუნებულნი“ იყო და ხელს უწყობდა, რომ შირაქში მთიელები ჩასულიყვნენ დასასახლებლად. ამ დიდი პოეტის სიტყვის შეუტრიახებლად იქნებოდა, ვეველთა, თუ რომელი თეშების რწმუნებული იყო, წოვა-თეშებისა,

1 ჩაღმა-თეშერიო, რომ ვამბობ, იგულისხმება, ვიშეორებ, არა მართო საყუთრივ ჩაღმერი, არამედ სხვა თეშების მოსახლეობის მეტყველებაზე: პირიქითობისა და გომეწრულებისა.

1 სალოცკია წოვათაში; აქ იგულისხმება მისი დროსა.
 2 ვეჯა-ფშეველა. (თხულებანი). 'ტომი მეშვიდე, 1956, გვ. 293.

თუ ჩაღმა-თუშებისა. ვაჟა ყველა თემის რწმუნებული იყო, განურჩევლად იმისა, თუ რომელ თემს ეკუთვნოდა ესა თუ ის თემი.

ქართული კულტურის განვითარების საქმეში ყველა თემი იღებდა და იღებს მონაწილეობას, განურჩევლად თემისა. შავალითად, მცირე როლია შემონატანი ამ კულტურაში წოვა-თუშების მხრითაც. მეცნიერები, ინჟინრები, პროფესორები, დოცენტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები წოვა-თუშთაგან — ცრისკონსერვაციები, ქადაგიძეები, ქრულაშვილები, ბუქურაძეები, ბაძოშვილები, აბაშიძეები და სხვები, რომელთაც თვალსაჩინო წილი უძველესი ჩვენი ქვეყნის პროგრესის საქმეში. უდაოდ შემაღვნივლო ორგანული ნაწილია ქართული ინტელექტუალისა, ისე როგორც ჩაღმა-თუშებიდან გამოსული მწერლები და მეცნიერები: სულაქაძეები, კურდღელიძეები, ვაკოიძეები, უფურგაძეები, ელანიძეები და სხვები.

ამიტომ დიდი გაუგებრობაა საყოთნის დასაძკი კი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ეწოდოს თუშის, ეს საყოთნო კი ხანია გარკვეულია და არც ახლა მისი გადამსინჯვის საჭიროება. ამიტომ უნდა უცნაურად მეჩვენება, როცა როსტომ ელანიძის საყმაწვილო მოთხრობა წავიკითხე, რომელიც ბაბტიონის აღებას ეხება და რომელშიც ზეზეა გაფრინდაულის გმირობის ამბებია მოთხრობილი. უცნაურად მეჩვენება იმის გამო, რომ მოთხრობაში საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქო ამ სახელოვან ომში თუშთაგან წოვანი არ იღებდნენ მონაწილეობას. არა, ბაბტიონის აღებაში წოვა-თუშებიც მხურავლე მონაწილეობას იღებდნენ შველა შველასის მეთაურობით და თავიც დიდად ისახელებს. თუ ჩაღმანი ნაქრალის მთით გაღმობილდნენ და ქვემოდად შემოუტყეს ბაბტიონში მდგომ თაორებს, წოვანი პანკისზე დაეშვენ და ზემოდან მოუარეს:

შველაო შველასიყო,

ბანკისს ვასტეხე წყალოო.

ბაბტიონის აღების შემდეგ დიდი ალენის მინდორი თუშებს დასრიათ,

დავდებინეს ალენი,

თუშთ არის საკუთარიო;

ქერ ღმერთი, მერვე ბატონი,

სხვა არეინა ჰუჯს მცილეო,¹

ბაბტიონის აღებაში სხვა მთიელებიც იღებდნენ მონაწილეობას (ფშაელები, ზესურები), რაც კარგად აქვს წარმორჩენილი ვაჟა-ფშაველას თავის „ბაბტიონში“, მაგრამ თუშების ღვაწლი ამ ომში განსაკუთრებით დიდია.

1 ბაბტიონის აღება თუშთაგან. ხალხური ლექსები, გამოქვეყნებული ი. ბუქურაძის მიერ „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. მე-5, გვ. 12-13).

როსტომ ელანიძის მოთხრობის შემდგომ გამოცემაში უთუოდ გასწორდება უნებლად შეცდომა, მაგრამ ეს როგორ მოუხერხდა როსტომის ქმისწილს ვ. ელანიძეს, რომელიც თუშთა წარმომობის ისტორიის საკითხებს იყვლევდა და ასეთი მცდარი დებულება წამოაყენა: „წოვა და თუშის, რჩივე სხვადასხვა ტომის სახელებია და ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვსო“ და „ამიერიდან მიიწე „წოვა-თუშის“ ნაცვლად „წოვა“ და „ჩაღმა-თუშის“ ნაცვლად „თუში“ უნდა ვიხმაროთო“¹.

კულის სატყეო ამბავია, რომ, როგორც ელანიძის მიმოხილვიდან ჩანს, ავტორი სათანადოდ ვერ გარკვეულა თუშთა წარმომობის საკითხებში და მცდარ დასკვნებამდე მისულა საყუერი ამბავია, მაგრამ იმედია, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ გამეორდება.

ენათმეცნიერთაც მართებთ (და ძალიან) არ დაიფიწონ, რომ წოვანიც თუშებია და, ტერმინებს რომ ხმარობენ. ეს ტერმინები სათანადოდ უნდა ასახედნენ საქმის ნამდვილ ვითარებას; ნამდვილი ვითარება კი ეს არის: წოვა-თუშური ენა და ჩაღმა-თუშური კილო (ქართული ენისა), ამიტომ, მაგ, პავლე ხუბერტიას წიგნს უნდა დასრქმეოდა არა „თუშური ენაო“² არამედ „ჩაღმა-თუშური კილო“, ხოლო წოვა-თუშური უნდა დასრქეს იმ ენის აღსანიშნავად, რომელიც შემოპრიათ ერთი თემის თუშებს. რომლებიც ძველად წოვათაში ცხოვრობდნენ და კი ხანია, რაც ზემო ალენში სახლობენ.

თუშების ერთობა, რომელიც კარგად ცნობილია ადრინდნე, არაფერმა არ უნდა დაარღვიოს და შეარყიოს.

ამიტომ ცხადია, რომ ბაბტიონის აღების 300 წლისთვის აღსანიშნავად 1959 წელს ქვემო ალენის ცენტრში სოფლის მოედანზე დადგმული ძველი ზეზეა გაფრინდაულისა ისევე საამაყო და სანუკვარია წოვა-თუშთათვის, როგორც საამაყო და სანუკვარია ჩაღმა-თუშთათვის წოვა-თუშების მიერ ბაბტიონში იმავ საზეიმო ამბის აღსანიშნავად აპართული ობელისკი. სადაც უნდა იყოს ჩაღმა-თუშის, შთანთ თუ ბარად, თუშეთში თუ კახეთში (ალენაში, ზემოსა თუ ქვემოში, ლალისფრსა თუ ბირკინში), მისთვის ბაბტიონის ობელისკიც იმ საერთო ბრძოლით მომავებული გამარჯვების მომასწავებელია. რომელსაც ზეზეა გაფრინდაულის ძველი ემსახურება.

1 ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმომობის ისტორიისათვის (ი. გოგუბაშვილის სახელობის თელავის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 62).

2 პ. ხუბერტი, თუშური კილო. ლექსიკონბლტისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1969 (თ. უთერგაძის რედაქტორობით).

მხატვრული სიყვიის დიდოსტატი

თუ ნაწარმოები რამდენჯერმე წაგაკითხებთ თავს, მისზე იტყვიან ხოლმე, რომ არამარტო აწყო, ხელონდელი დღევ აქვსო, სწორედ ასეთ ბედნიერ ქმნილებათა რიცხვს მიეკუთვნება მიხეილ ჭავჭავიძის თხზულებანი, რომელთა მრავალ პერსონაჟს მკითხველი დიდი ხანია იცნობს. მ. ჭავჭავიძელი ყოფილი სურათებისა და ადამიანთა სულიერი ცხოვრების უბადლო მხატვარია. მხატვრული კვანძების გახსნის ბრწყინვალე ოსტატი შესანიშნავად გრძობს და ზედავს საგნებსა და მოვლენებს.

მ. ჭავჭავიძელი, როგორც დიდი მწერალი, თანაბარი სიმკვეთრით ხატავს დაღებიანსა და უარყოფით ტიპებს, არსენა მარაბდელი და კვაკი კვაპანტირაძე დიამეტრიულად საწინააღმდეგო, სრულიად სხვადასხვა თვისებების მქონე პერსონაჟები, მაგრამ ორივე სრულქმნილი და სრულფასოვანი მხატვრული სახეებია.

მიხეილ ჭავჭავიძელი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შექმნა შესანიშნავი ნაწარმოები ინტერტულობის წინააღმდეგ და მძლავრი მხატვრული ფუნქციონირება და მძლავრი მხატვრული ინტელიგენციის სახე. თეიმურაზ ხევისთავი („ჯაყოს ხიზნები“) ვერ ხედავდა საზოგადოებრივი პროგრესის რეალურ გზებს, ეკუთვნოდა თვითონ უფურცელად ახალ ცხოვრებას, საქართველოს მომავალს, მან დაეარგა საკუთარი თავის რწმენა, ახლის შიშმა და გულგატეხილობამ არარაობად აქცია იგი.

„ჯაყოს ხიზნებში“ (1925 წ.) მ. ჭავჭავიძელმა შეაფიქრებინა გამოხატა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილესთან, თეიმურაზ ხევისთავის ცხოვრების გამოძლეავენებით დაგმო პასიურობის ტენდენცია, რაც შეინიშნებოდა მისი ინტელიგენციის ერთ ნაწილში „ჯაყოს ხიზნებში“, რომლის მთავარი გმირის თავდაჭერებულობა სპონტანური და ამავე დროს სასაცილოც, შექმნილია ჩვენი დროის სასარგებ-

ლოდ და უიმედობისა და უახრო არსებობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, შემოქმედებითი ნიჭი განსაკუთრებული მაღლია ბუნებისა, დიდ რეალისტურ ქმნილებებს სწორედ ეს მაღლი ასულდგმულებს და საკაცობრიო კუთვნილებად აქცევს, ამას მიხეილ ჭავჭავიძელის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობაც ადასტურებს.

მ. ჭავჭავიძელი დაკვირვებელი და დაუცხრომელი მწერალის უნარით აღჭურვილი მწერალი იყო, ქვეშაობით მხატვარი და ოსტატი. იგი წერილმანსაც კი შეტად თვალნათლივ ხედავდა, მაგრამ მოვლენათა რთული ქსელიდან გამოყოფდა მხოლოდ არსებითს და მაღალმხატვრულ ხარისხში აყავდა ის, რაც ნიშანდობლივია ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპისათვის. იყო დიდი შემოქმედი, ეს იმას ნიშნავს, ძერწო სინამდვილის სურათები და არა ჭიმურები, საესკიზით მართალია, რომ შემოქმედებაში მხატვრის დიდი ამოცანა ნაწარმოების საგნისა და შინაარსის შერჩევასთანაა დაკავშირებული, მაგრამ არანაუბედ მნიშვნელოვანია შესაფერის სახელი მოძებნა პერსონაჟს, რომ შემდგომში ეს კერძო სახელი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის თვისებების გამოამხატველად იქცეს.

ერთი დიდი მწერალი ამბობდა: — ნუ იტყვი, — აი მიხედე, რომელიც ცარ რწმენით, მკვებელია განზრახვით და დამნაშავეა, — თქვით. — ხა ფამუსოვი! ნუ იტყვი, — იი ადამიანი, რომელიც ფლიდობს სარგებლობისათვის, ფლიდობს თავისი სულის ნამდვილი მიდრეკილებით — თქვით, — აი მოლჩალინი! სწორედ ასეთ ზოგად, შემკრებ სახეთა რიცხვს ეკუთვნის მიხეილ ჭავჭავიძელის კვაკი, ჯაყო, და სხვ. მაგალითად, კვაკი კვაპანტირაძე ტიპური წარმომადგენელია თადლითი, ამორალური საქმოსანისა. ამიტომ ასეთ პიროვნებაზე ჩვენში უბრალოდ და მოკლედ ამბობენ — აი კვაკი! ხეპრე, ვაიფერა, ზნე-ხსენით ბინ-

ძერ კაცზე კი — აი ჩაყო ეს ფაქტი უკვე თავისთავად მტრულად მიხედავდა ჩვენთვის და ნაწარმოებთა დიდ მხატვრულ ძალზე.

მ. ჯავახიშვილი თავის ღრმად მოფიქრებულ, საკვებით თვითმყოფი რომანებითა და მოთხრობებით, საერთოდ, ჩვენი ეპოქის ყველა დიდი მწერლის გვერდით დგას. კერძოდ კი, ქართული საბჭოთა რომანის განვითარებაში მას ერთ-ერთი პირველი სიტყვა ეუთვნის.

მ. ჯავახიშვილის საუცუტესო რომანები და მოთხრობები თარგმნილია მთლიან ხალხთა და მრავალ ექსპორტ ენაზე. მისმა თხზულებებმა ფართო მსოფლიურ აღიარება მოიპოვა.

მ. ჯავახიშვილს ავტობიოგრაფიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებები არ დაუწერია. იგი საკუთარ ცხოვრებაზე მოკლედ მოგვითხრობს, უბრალოდ მიუთითებს იმ ფაქტებსა და შემთხვევებზე, რომლებიც მის ცხოვრებაში მომხდარა. მაგრამ მწერლის მცირე ნაამბობიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას დიდი და რთული ცხოვრების გზა აქვს გაულოლი.

მ. ჯავახიშვილმა თავის დიდ საზოგადოებრივ როლდ-ფართოზე ზოგადად მიგვიჩინა, სამაგიეროდ ფართოდ გავსილი თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარი. წერბრში „როგორ ვმუშაობ“ („მნათობი“, 1933 წ., № 10) მწერლის საიდუმლოების ყველა ნიუანსი გამოამჟღავნა.

მ. ჯავახიშვილის შინაგანი სამყარო რომ არაჩვეულებრივად ღრმა და ფართოა, ამას დასაბუთებულ შრომაც ადასტურებს. მასში ბევრი რამ არის საყურადღებო და განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებსათვის საგულისხმო, მაგრამ აქ მხოლოდ წერბრის ერთ ადგილს მოვიყვანთ: „მამამეში სოფლის მეურნე იყო და მეც ამ ხელმძღვანელის მამაზედ ვიყავი. აგრონომიამ რვა წელიწადი წამართვა. მამამეში რომ ვარდაიცავდა, სკოლის დირექტორმა დამიხარა და მიხარა: „თქვენ აგრონომად არ გამოდგებით, ამიტომ გაირჩევთ სხვა ხელობა აირჩიით, მავალითად ტელეგრაფისტობა. როგორ მოგწონთ? მშვენიერი საქმეა“. მეც დავეთანხმე და აგრონომობას თავი დავანებე. მაგრამ არც „მშვენიერი საქმე“ მიყისრება. მე სხვა რამე მავალზედა. მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი, ნამდვილად კი წერას და ლიტერატურის შესწავლას შევუდებო და იმ დღიდან ჩემს მწველმელებს აზრებსა და სურათებს ქალაქზე ვღრმობდი“. ასე დაიწყო მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება. პირველი ნაწარმოებები „ჩანჩურა“, რომელიც „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდა 1903 წელს, მწერალმა ერთ დღეამეში დაწერა: „იმ დღის მწერლობაში „საწყალი კაცი“ იკალიებდა და მეც მიმიზიდა. ერთხელ ბაზარში მათხოვარა დავინახე — ჯუჯა, უბადრუკი, მუნჯი, მისხარა, დიდხანს ესდებ და ვუთვალთვალე. მერმე საღამოს შევიდა საათზე ჩაუფიქრი და მეორე დღეს თორმეტ სა-

ათზედა ავდექი. ასე დაიბადა „ჩანჩურა“, რომელმაც ერთი კვირის შემდეგ მწერალთა კლუბში შემოვიყვანა“.

გ. ბ. ჯ. ბ. ბ. ბ. ბ.

ერთ საწყალს რამდენიმე საწყალი მოყვა, — „უბატრონი“, „მეჩემე ვაზო“, „კურკას ქორწილი“ და სხვ. და ეს მოტივი — დაჩაგრულისა და უბედურისა, შემდეგაც მეორედ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

ასეობის აზრი, და ეს აზრი საკვებით სწორია, რომ ყველა, ვინც ლეკს ან მოთხრობას წერს, მწერალი არ არის. შეიძლება კაცი რამდენიმე წონის ავტორიც იყოს, მაგრამ მხოლოდ ან ბელეტრისტი არ ეწოდოს. მწერალი მხოლოდ ის არის, ვისი ნაწარმოებაც იწვევს მკითხველის გულის ღრმა საპასუხო გამოძახილს, შინაგანად ზრდის აღმზანს და კეთილმსოფელ გავლენას ახდენს მის სულზე. სწორედ ასეთი მწერალი იყო მ. ჯავახიშვილი.

იგი თავიდანვე იმიტომ აღიარეს ნამდვილ მწერლად, რომ ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ მასთანვე იგრძნო მის ნაწარმოებებს ცხოვრება რომ ასაზრდოვებდა. მ. ჯავახიშვილს არაერთხელ უთქვამს, პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალსო. „თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაყოფი უდგია, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა“. მაგრამ პროტოტიპის დახატვა არ კმარა, რადგან ხელოვნების იარაღი ფორთაპარატი როდია; მწერალი პროტოტიპს თავისებურად გარდაქმნის, „ზოგს რამეს მიუმეტებს, ზოგსაც დაეკლებს და ისეთ ვინმე გამოიყვანს, რომელიც კიდევ ჰგავს დედანს და არცა ჰგავს“, — ასე იქმნება ტიპი. ჩანჩურა მ. ჯავახიშვილმა ცოცხლად ნახა, ასევე ნახა მეჩემე ვაზოც, კურკა, ლამაზლოც, უშუა, აბდულაყ. ავჯი თურმე მრავალჯერ შეხვედრია ცხოვრებაში, კანკინიც გაუცნია მწერლისათვის.

ჯაყოს სულ სხვაგვარად წარმოიშვა „30 წლის წინათ ჯაყოს ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა — ბრვე, ბანჯველიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარტი და მოხერხებულ, მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ იწვ. ფილი უაზრებმა ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო: ნაყმემა თავის კნეისას ძღვენი მოართვა.

— გამარჯობა, ჯაყო!
— კნეინას ვახლავარ.
— რასა იქმ, როგორ ხარ?
— ძალიან კარგად ბრძანდები, შენი წირი მე.
— ცოლშვილი როგორა გყავს?
— სულ კარგათა ხართ, გენაცვალე.
— რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?
— თორმეტი გყავს, გენაცვალე მე ზაგ თვალეშია.

— როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?
— მამ, მამ! აგრე ვიცის ჯაყომ! მიუგო ნაყმემა.

უკანაკრულ სიტყვებში ამაზე უფრო მწვავე პილილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში სე-

ათილდე წუთზე მეტს ვერა სძლებს, მაგრამ ამ უწყალოდ ანგდობს ჯაველი ოსი ჩაებლართა და ამ სახემ ზემი ხსოვნის ერთერთ კუნძულში დაიბუღა. კიდევ გავიდა ათილდე წულოწიდი და იგი მოულოდნელად გაიკოცლა, ვამიშვლდა და თავაწინ წამოიჭრა. აი, როგორ ანხოვადოებს მწერალი კერძო შემთხვევებს და ზოგად საკაცობრიო სახეებზე ჭმნის მათ. ერთი დიდი მწერალი ამბობდა: „კეშმარიტი ნების მიერ დახატული ყოველი პიროვნება ტიპია, და ყოველი ტიპი, მეთხველისათვის, უცნობი ნაცონობია“. ასეთი კეშმარიტი ნების ბუქედი აზის მიხედვით ჯავენიშვილის მოთხრობებს, რომლებსაც წაყოთხავთ და სამუდამოდ იმასსორებთ.

მ. ჯავენიშვილის აზრით შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, იგი სასტყად ებრძოდა ფორმისა და შინაარსის გათიშვის ცდებს, მაგრამ ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში პირობიტებს ამ უკანასკნელს აქვთვებდა. „ყველა ვენოისი მწერალი, — წერდა იგი, — ჯერ სახეს და აზრს ხედავდა და მხოლოდ მერმედა უფარდებდა მას მუსიკალურ გამართულ ფორმას... სიმბოლოსტემა, და ნამეტარ თ ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა დიდი ზიანი მიაყენეს პროზას. ბელი და მისი მოწაფენი სიტყვების კომპოზიტორები არიან და არა ცხოვრების მხატვარ-მისაველნი... მან (ბელიმ) მხატვრული სახე მოახლედ დაუყენა მუსიკალურ ბეჭტას“.

მხევილ ჯავენიშვილმა თავისი შემოქმედებით მეტეორად განსაზღვრა მწერლის ავადი და როლი ადამიანთა სულიერ ყოფაში, მისი ნაწარმოებები, რომლებიც რეალისტური ხელოვნების დიდი პრინციპებით იქმნებოდნენ, სამუდამოდ შეჩა მუოცე საუფენის ლიტერატურის ისტორიის.

რამ განაპირობა მიხვილ ჯავენიშვილის ესოდენ დიდი წარმატება ლიტერატურის ფართო ასპარეზზე? ამ უმნიშვნელოვანეს კითხვას ამომწურავ პასუხს აძლევს თვით ჩვენი სახელკოვანი მწერალი: „განუწყვეტელი ვარჯიშობა — აი წინდელი ყოველგვარი ხელოვნების გამარჯვებისა. ლექსილის მუდმივი გაშიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ხალხური ენის შესწავლა ის საძირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნის. მეტსაც ვიტყვი: თუ საშუალო ნების ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული, ის მუდამ აჯობებს ქართულის უცოდინარს ძლიერ ნიჭერ მწერალს... ენა მწერლის ბალეარია, მისი უმოავრესი იარაღია. სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“. ეს სრული კეშმარიტებაა. მწერლის მხატვრული ოსტატობის დონეს განსაზღვრავს ენა და სტილი. მხატვრული ხაზე და საერთოდ კომპოზიცია. აი, ეს პირადი გამოცდილება,

ყოველთვის უწინამდებრებდა მწერლის წარმატებას ლიტერატურის ფართო ასპარეზზე. მხატვრული სახეების დიდოსტატურად ვყო მჭერილი მშობლიური ენის სტიქიაში და ხელშესახებლად გრძობდა მის სიდიადესა და სურნელებს. იგი ყოველ თავისუფალ დროს, ზაფხულობით, ქართულს სოფლებში ატარებდა. ამით აიხსნება, რომ მან ზუსტად იცოდა ყოველი ცალკეული სიტყვის ხალხური ნიუანსები, უნივერსალურად ფლობდა ქართული ენის წიგობას, ქართულ ფრზას, როგორც ლიტერატურულად დამვიდრებულ კანონებში, აგრეთვე მუსიკალურ მონაცვლეობებში.

ენა ფორმა ნაწარმოებისა, ცხოვრება კი მისი შინაარსი. მწერალი სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ მიადწევს თუ იგი დღენიადც ცხოვრების შეგულში იტრიალებს. მ. ჯავენიშვილმა კითხვანუ თუ რა მასალა უფრო შეეღის მწერალს საკუთარი ზოგრაფია, ცალკეული დავირეება, წიგნი თუ სხვადასხვა ჩინაწერი, მოკლედ უბასუხა: ყველა ერთად, ცალცალკე კი არც ერთი, ყველაზე უფრო საბეფათოა მწიგნობრული მასალა. თავისუფალი შემოქმედების მაგიერ ბრმა მიმბაძველობა გამოვა. დავირეება პროზაიკოსისათვის ფრთხვს უდრის, უმისოდ ვერ გაფრინდება. შესაძლებელია მან ხალასი ფსიქოლოგიური რაიმე დანწეროს, მაგრამ ის ვერ შექმნის ცოცხალ ტიპს, ვერ დავიბატავს პეიზაჟს, ვერ დავეანაბებს სულიერ-უსული საგნებს ურთოერობისა, ე. ი. ბუნებას, სიცოცხლეს, ცხოვრებას. მისი დანაშნულება კი სწორედ ეს არის და სხვა არაფერი.

მ. ჯავენიშვილი ამ ბუნდირ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც ბევრი თელია ცხოვრების გზაზე. იგი რედექტორობდა გზეთ „გლხვს“, განედულად ბუქედი აძველი წესწყობილების წინააღმდეგ მასალებს. 1906 წელს მის მიმართ სასამართლოში აღძრეს საქმე, მან თავს შევიცარიაში გაქვეით უშველა. 1907 წელს საცხოვრებლად გადადის პარიზში, მოგზაურობს იტალიაში, აფრიკაში, ინგლისში, ბელგიაში, გერმანიაში, მშობლიური მხარე ხომ მხარე ფეხით ქქონდა შემოვილი. ერთი სიტყვით, მ. ჯავენიშვილმა თავისი სიცოცხლის მინილიზე ბევრი რამ ნახა და ვანიცადა. მას წესად ქქონდა ნანახის, გაგონილის, ნამდვილი თუ მოგონილი ამბავის ჩაწერა, წერილმანისა და მსხვილმანი ფაქტების, ყოველი ახალი სიტყვის რეგისტრაცია: მწერალი მისთვის საინტერესო სახეს ჩაბატავდა, შემდეგ ამგვარად დავგოვილ მასალას თავის შემოქმედებითი ლაბორატორიის ბრძმედში ვატარებდა და ზშირად მიღებულ ხასიათებსა და სახეებს არაფერი ქქონდათ საერთო აღრინდელ ნედლ მასალასთან. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანზე დავირეება და საკუთარი ცხოვრებისეული მოვლენები მის ნაწარმოებებში განუყრელად არიან ერთმანეთთან შეზწყნული. საე-

სებში მართალია მწერლის განცხადება, რომ თუშცა უკლებლივ უველას შემთხვევია რაღაც ამბავი, რაღაც განუცდია და რაღაც უნახავს, მაგრამ ყველა მწერლად არ ივარგებსო. მწერალს და, საერთოდ, შემოქმედს ბევრი ისეთი რამ სჭირდება, რაც უკვე იცნს მეცნიერებამ და ერთი ისეთი რამეც, რასაც ტალანტი ეწოდებაო.

ამრიგად, მიხ. ჯავახიშვილის აზრით, დიდი პროზაიკოსი ისტორიკოსიც არის და პოეტიც, ფილოსოფოსიც და უმთავრესად დამკვირვებელიც. მ. ჯავახიშვილი დაჟილდობებული იყო ცხოვრების შეგრძნებისა და ცოცხლად აღქმის ნათელი ტალანტით. იგი ამბობდა: «ყველაზე უფრო ძნელია მოთხრობის დაწყება, დასაწყისის მთელ მოთხრობას აძლევს რიტმს, კოლორიტს, სტილს, უნდალად დაწყებული ამბავი უნდალად წავა. ძნელია შემდეგში ცეცხ-

ლის გაღვივება, სტილისა და რიტმის შექმნა ძნელიც არის და სახიფათოც. ამიტომ მე დედნანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს, რუსები კომპოზიციონერს ერთბაშად სტაცე ხელი რეჟიმში. მეც კარგახანს ვეტრიალებ მოზვერს, და, როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ უცხად შევდებ რეჟიმში და აღარ მოვადუნო, დასასრული სიძნელის მხრივ დასაწყისს არ ჩამოუვარდუნებ, ადვილი არ არის უკანასკნელი წერტილის დასმა, ეს ლერსმანი ყველაზე უფრო ღრმად უნდა იყოს ჩარჭობილი». ამ თეორიული მოსაზრების კონკრეტული დადასტურება თვით მიხეილ ჯავახიშვილის რომანები და მოთხრობებია, რომელთა ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ბევრი გაკეთდა ჩვენში, მაგრამ ყველაფერი ის, რაც დღემდეა გაკეთებული დასაწყისისა იმ კოლოსალური მუშაობისა, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის უზარმაზარი მხატვრული შექვიდრების შესწავლას სჭირდება.



„ბახტრიონის“ ერთი გვირგვინის ვინაობა

საქართველოს ისტორიის ნაკვალევზე ბევრი თავდადებული გვირგვინი სახელი წაიშალა. შეისტორიებენ მათი ვინაობის ჩანიშვნაც კი ვერ მოახერხა. რა სამართლიანი იყო დადი ილიას გულისტკივილი იმის გამო, რომ „ხალხი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. 1 მაგრამ ის მშრალი ისტორიული ფაქტები, რაც წერილობით ძეგლებში ვერ მოხვდა, ხალხის გენიამ წყობილიცუვაობად აქცია და საწუკვარ მამულიშვილთა სახეები საუკუნეთა ქართველში დროშასთან ერთად გამოიბარა. ქართულ ზემოწიტივეთებში დიდძალი ლექსები, სიმღერები, თქმულებები და ვადმოცემები შემონახული 1659 წლის კახეთის აჯანყებაზე. ამ სახელოვანი, განმათავისუფლებელი იმის მრავალი ღვთალო და მონაწილე გვირგვინის ისტორიული სიუხალით არის ჩვენამდე მოღწეული. ამ ზემოწიტივეთ მასალებს ვუარდობოდნენ ქართული კლასიკოსები (ვ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა აკაკი წერეთელი), როცა კახეთის გათავისუფლებს თემაზე თავიანთ საუკუნო ეპიკურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ.

ამ მჭიდრასი ხალხური მასალების შესახებ წერდნენ ვაჟა-ფშაველა და ი. ბუქიძე, ა. ხაბაშვილი და ნ. ურბნელი. ამ მასალებს სათუთად აგროვებდა და „ივერიის“ ფურცლებზე აკვეყნებდა ი. ჭავჭავაძე. ბახტრიონის ომთან დაკავშირებული ზემოწიტივეთი მასალები სავანეებო შესწავლის საგნად აქციეს მკვლევარებმა მ. ჩიქოვანი,¹ კ. სიხარულიძემ და ს. ყუბანეივილი,² მათვე ეკუთვნის ამ ომის მონაწილე ზო-

გიერთი გვირგვინის ვინაობის დადგენა-დაზუსტება.

ჩვენ ერთი გვირგვინი — ხომარაულის ვინაობის საკითხის გარკვევა გვაქვს მიზნად.

ნადირა ხომარაულს (ხომარაულს) 1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე გვირგვინთა და მამაცობით თავგამოჩენილ მეომრად შიინხვის საქართველოს ისტორია, 1 ხოლო ქართულ ხალხურ საისტორიო ვადმოცემებსა და სიმღერებში კი იგი, ამის ვარდა, ზვესურთა ჯარის წინამძღოლად და უმაჰაყეს გვირგვინი არის აღიარებული. ასეთადვე გვისურათებს მას ვაჟა-ფშაველა თავის „ბახტრიონში“:

გულანელთ ჩამასძლოლია
ხომარაულთ. ხარია.²

როგორც ვაჟა წერს, ხომარაული ბახტრიონის ომის მთავარი გვირგვინია. პოეტი მას ასეთი ეპითეტებით ამკობს: „გულ-რკინა“, „არწივი მხარჯეარანი“ და სხვა. ომის დამთავრების შემდეგ კი ხომარაულს ის უჭიკბნესთა და უმაჰაყესთა შორის იხსენიებს.

ხალხური პოეზიის მიხედვით, რადესაც თუშ-ფშაველა-ზეესურთა ლაშქარი კახეთის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად ეშხადებოდა, თუშთა ბელადმა ზეზვა ვაფრინდაულმა ზეესურთის შემოერთებაზე უარი თქვა, ვინაიდან ისინი „ალა-ბლობას ჩადიან და ჯარს რევენო“ (ე. ი. თვითნებობენ და საერთო წესრიგს არ ეშორილებიან).

ხალხური ლექსი ამ ეპიზოდს ამგვარად ვადმოცემს:

1 საქართველოს ისტორია სახელმძღვანელო 8-10 კლასებისათვის, ავტორთა კოლექტივის შრომა ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1958, გვ. 184.

2 ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. 2, 1961, გვ. 77.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ., სახელგამო, გვ. 52.

2 მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956.

3 კ. სიხარულიძე, ქართული საგვირგვინო-საისტორიო სიტყვიერება 1949.

4 ს. ყუბანეივილი, ბახტრიონის გვირგვინი ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში. 1953.



ვაფრინდაულა ამბობდა:
 „ხევსურებს ნუ მოდიანო:
 ჩაღიან ალა-ბლოხისა,
 ჟარს ევენ გეარეგდიანო“¹.

ამ მომენტიდან ჩნდება ხოშურაული ბახტრიონის ციკლის ზეპირსიტყვიერებაში. იგი განაწევრებული ატხადებს, რომ ომი ხევსურებსაც „ქვე სწადიან“ და ხევსურთა ლაშქარს მიმართავს:

გზანი მეუ ვაენი, ხევსურნო,
 საე თუშნი ლაშქარბდიანო².

ზეზვასა და ხოშურაულს შორის მომხდარი ეს კონფლიქტი თითქმის ყველა ხალხურ ვარიანტშია შემორჩენილი, განურჩევლად იმისა, რომელ კუთხეშია ლექსი ფიქსირებული, თუმცა, ფშავსა თუ ხევსურთში³.

ხოშურაული პარტი ბახტრიონისავე წინააღმდეგაა ეს არ პირობდება ხევსურებს, არამედ შეგებრშიც კი იწვევს თუშთა ბელადს, ზეზვა ვაფრინდაულს, თუ ვინ შეუტევეს და აღღებს ბახტრიონში დაბანაკებულ ხანის კარავს:

მუქარა (შეგებრა). ხევს. დ. გ.) იყვას ზეზვაო,
 საე კარავს იეგდდიანო⁴.

თუ როგორა წარმართა ამის შემდეგ ომის მსვლელობა, ამაზე გარკვეულ პასუხს ზეპირსიტყვიერება ვერ იძლევა, ვინაიდან ხალხური მელოდები ტენდენციურობას თავს ვერ აღწევენ და, როგორც ვაჟა-ფშაველაც აღნიშნავდა, თითოეულ მათგანს თავისი კუთხის გამირები სწევა „სახელივინაღ შეავთ დასურათებუნი“⁵. მაგალითად, ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება (ლექსები, ვადმოცემები) დაჟინებით უსვამს ხაზს იმ მდგომარეობას, რომ ბახტრიონის ციხეზე პირველი სწორედ მათი კუთხის წარმომადგენელი გადავიდა და იქვე გეარსაც ასახებებს (ვაფრინდაული, გოგოლაური, ხოშურელი).

ისტორიაში ვკითხულობთ: „ხალა ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურთუშნი და ერისთავი ქსნისა შალვა. შეკრიბა ეს ყოველნი, წარბეძანა ძე თვისი და მიუხდეს პირველად ბახტრიონს, მოსრინეს და მოსწუეტირეს თათარნი. მერამე აღაევრდს და შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა მოსწუეტირეს რამე თუ არცა და-თუ დაუტევეს აქანთა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი“⁶.

მონაწილეთა ვინაობაზე კი წერილობითი წყაროები, სამწუხაროდ, არაფერს გვუძევენ⁷.

ხალხური ვადმოცემები⁸ და სიტყვიერებების შემდეგ ხოშურაულს ბახტრიონის ბრძოლის ცხარე წუთებში გვიჩვენებს. მას ხანის კარვის ხმლით აჩვენა დაუწყობი, ნაგრამ მარცხს მოსვლია: კარვის ქსოვილი ლითონის ბოძებზე ყოფილა გადაკედილი და ბოძზე ხმალი ვადამტვრევი. ერთ-ერთ მეომარს მისთვის საკუთარი ხმალი შეუტეგებია ხელში და თვითონ ვიზილბანისაგან ართმეული ხმლით ვანეგრძია ომი.

აღნიშნული ფაქტი საემაოდ ნათლად არის ფიქსირებული ძველ ლექსებში:

ხმალ ხოშურაულს ვაუტყდა,
 ხევსურნ სხვას ვამოუცვლიანო⁹.

ხოშურაული სხვა მრავალ ლექსში იხსენიება, როგორც ბახტრიონის ომის გმირი, მაგრამ ამჟერად ჩვენ მხოლოდ ის მასალები გვაინტერესებს, რომლებზეც ხოშურაულის მიერ ხანის კარვის აჩვენისა და ხმლის ვადამსხვრევის ცნობა შემოგვინახა.

აღნიშნული დეტალის დასამოწმებლად მივმართოთ ისევ ვაჟა-ფშაველას.

პოემა „ბახტრიონში“ ვკითხულობთ:

გულ-კენას ხოშარეულსა
 შუა ვადუტყდა ხმალია¹⁰

რა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება შემთხვევით დამთხვევა იყოს. ჩანს, ვაჟამ კარგად იცოდა ხოშურაულზე არსებული ზეპირი ვადმოცემები და ძველი სიმღერები, სადაც ხმლის კარავზე დამსხვრევის მოტივი შემონახული.

მაშასადამე, ვაჟა-ფშაველაც და ხალხური ზეპირსიტყვიერებაც ხოშურაულს (ხოშარეულს) ხევსურთა ლაშქრის წინამძღოლად, ბახტრიონის გამორჩეულ გმირად და ბრძოლის დროს კარავზე ხმალდამსხვრელ მეომარად გვისახვენ.

შეკვლევართ დიდი ნაწილი მხოლოდ ზემოაღნიშნულ ცნობებს უტრიალებს და გმირის დასრულებული სახით წარმოდგენას არ ცდილობს. ნაწილი კი მდებარსა და დაუსაბუთებელ მოსაზრებებს ვუთავაზობს.

თუმცა უკლებლივ ყველა ხალხური ლექსი (აგრეთვე ვაჟაც) ხოშურაულს ხევსურად მიიჩნევს. ნ. ურბნელმა ხოშურაული სოფ. ხოშარას დაუკავშირა და ამ გვარს უკანა-ფშავეში დაუწყო ძუნაძე ძირითადად, იგივე მოსაზრება ვამუროს პროფ. ს. ყუბანეიშვილმაც, როცა აღნიშნა, რომ „გვარი ხოშურაული არაა ხევსურული წარმოშობისა“¹¹. თუმცა ნ. ხიზანიშვილის მოსაზრება, მისი სოფ. ხოშარადან წარმომავლობის შესახებ,

1 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, თბილისი, 1931, გვ. 9.
 2 იქვე
 3 ა. შანიძე, ოს. დასახ. წიგნის ვარიანტები, გვ. 223-5, და ვაჟა-ფშაველა, ოსხ. ტ. V, 1961, გვ. 289, 318.
 4 ა. შანიძე, დასახ. გვ. 9.
 5 დასახ. წიგნი, გვ. 318.
 6 ვახუშტი, საქართვ. ცხ., გვ. 189-190.

1 ა. შანიძე, დასახ. წ. გვ. 332
 2 ვაჟა-ფშაველა, დასახ. წ. გვ. 87.
 3 ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ. გვ. 125.

ერთგვარად საეჭვო გახდა და, სამაგიეროდ, სოფ. ბეტისჩილის დაუკავშირა.

ვაფა-ფშაველა ზომარეულის სახელს არ გვაშინობს და ამ ნეომარს ყოველთვის მხოლოდ გვაჩივით იხსენიებს. სამაგიეროდ, ყველა ძველი საისტორიო ვადმოცემა და სიმღერა კარაგის ამჩებს ზომარეულს სახელად ნადირას უწოდებს:

ბატრიონს სულთნის ციხე დგას,
ხევსურებ ვხვევიანო...
ნადირაის ხმლის ნამტვრევ (6) ი
კარაგის კარში ზყრიანო.¹

ზომარეულს ნადირა ჰქვია, აგრეთვე, სხვა სიმღერის მიხედვითაც:

ხევსურამ ნადირამ ვაგობნა,
ნაიბზე ამტვრევს ხმალსაო.²

სახელი ნადირა ხევსურეთში საქმიოდ გავრცელებულია და ბევრ ვინმეს ამჟამადაც ჰქვია. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ცნობები, რომელთა მიხედვითაც ნადირა და ზომარეული ორ სხვადასხვა პიროვნებად არის მიჩნეული. ვფიქრობთ, მხოლოდ ერთი სტროფის მიხედვითაც კი არ უნდა იყოს ძნელი იმის დადგენა, რომ ნადირა სახელია ზომარეულისა, რომ ამ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე პიროვნებასთან. აი ეს სტროფები:

ნადირაის ხმლის ნატყნო
კარაგის ბოძთან ზყრიანო.
ხმალ ზომარეულს გაუტყდა
ხევსურ სხვას გამუცელიანო.³

ნადირა და ზომარეული რომ ერთი და იგივე პიროვნებაა, ამის დამამტკიცებელ ახალ მასალებს ზეენ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი ერთ გარემოებაზე გვიანდა გავამახვილოთ ყოთხველის ყურადღება: როგორც ძველი, ისე ახალი ზემპისტივეერი მასალების უდიდესი ნაწილი ზანის კარვის ხმლით აჩვენებს ნადირა ზომარეულს მიაწერს, მაგრამ, ამას გარდა, ვხვდებით ისეთი სიმღერებიც, სადაც იგივე მოქმედება ვინმე საღირიშვილებს მიეწერება: თ. რაზაკაშვილის მიერ ფშავეში ჩაწერილი ერთ-ერთი ლექსი ვადმოგვეცხმს:

მეტნი ხართ, საღირიშვილო,
ვიწვრტენთ ტალავარზედა.
ზახტრიონთ სულთქმის ციხესა
გადახვალთ ვალავანზედა.
ხმლითა სცემთ ზანის კარაგისა
ზედ მიხვალთ ფალავანზედა.⁴

ამ ლექსში მრავლობითი რიცხვის ფორმებია ნახშირი. თუ მოიხსილავთ ანგარიშს ვავეუ-

წვეთ, მაშინ აქ ორი საღირიშვილი უნდა ვიფარადლოთ. მაგრამ გვაქვს იგი ბუჭიარეულის მიერ ჩაწერილი ამავე ლექსის თქმული ვარიანტიც, სადაც მხოლოდ ერთი საღირიშვილი იხსენიება:

მეტი ვარ საღირიშვილი,
ნუ მიშვრთ ტალავარზედა.

საღირიშვილი (თუმ. ვ.) თუ საღირიშვილი (ფშავე. ვ.) „ხმლით სცემენ ზანის კარაგს“ და ამიტომ მით უდავოდ ვენეტიკურ-შინაარსობრივი კავშირი აქვთ ნადირა ზომარეულის ციხის ლექსებთან. ამ ზუსტიად ერთი და იგივე ეპიზოდია თითქმის ერთი და იმავე სახეებით ვადმოცემული, რის ვაშოც საეჭვოა ორი პიროვნება ვივეულისხმეთ.

საღირიშვილის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ნათლად მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი ბატრიონის ომის მონაწილეა და „ხმლითა სცა ხინის კარაგას“. ამასთან ერთად მას ციხის ვალავანზე პალოების დახმარებით ვადასვლასაც მიაწერენ⁵, რასაც სხვა ზემპისტივეერი მასალები ზოგი ზეზვა ვაფარინდაულის დამსახურებად სთვლის, ზოლო ზოგი — ნადირა ზომარეულისად.

აკად. აკ. შანიძემ საღირიშვილზე შექმნილი ლექსები ზევსურულ პოეზიაში შეიტანა⁶. ზოლო პროფ. კს. სიხარულიძემ საღირიშვილი თუმ გმირათა შორის მოაქცია⁷. პროფ. ს. ყუბანეიშვილმა სრულიად მართებულად აღნიშნა, რომ „ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით სადაურთბა საღირიშვილისა“.⁸

პროფ. ს. შაკალათის მასალების მიხედვით საღირიშვილს სახელად მეტი რქმევიან, ს. ყუბანეიშვილიც იმავე აზრისაა და აღნიშნავს, რომ „ზახტრიონის ბრძოლაში დასახელებულ საღირაშვილს მეტი ჰქვია“.⁹ ვფიქრობთ, პატივემეულო მველეთარები ტექსტის მცდარმა ვაგებამ და თანამედროვე მოქმედთა არასულტმა ვანმარტებამ მიიყვანა აღნიშნულ დასკვნამდე. ვანგებრობის საფუძველი ვამხდარა სიტყვა „მეტნი“ („მეტნი ხართ. საღირიშვილინი“) მოგვიანო დროის მოქმედებს ზედსართავი სახელი მეტი საღირიშვილის საყუთარ სახელად მიფრევიანთ. საქმე ის არის, რომ ამ სიტყვას ხევსურულ კილოზე ვანსხვაგვებულ სემანტიკური ნიუანსი აქვს. სიტყვა მეტი (გამეტებული, მემეტე) ზარისხის მნიშვნე-

1 იქვე.
2 ს. შაკალათია, თუშეთი, თბ. 1933, გვ. 26.
3 აკ. შანიძე, დასახ. წ. გვ. 326.
4 კს. სიხარულიძე, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 145.
5 ს. ყუბანეიშვილი, ბატრიონის გმირები, თბ., 1953, გვ. 27.
6 ს. შაკალათია, თუშეთი, გვ. 26.
7 ს. ყუბანეიშვილი, ბატრიონის გმირები, გვ. 27.

1 აკ. შანიძე, დასახ. წ. გვ. 9.

2 იქვე, გვ. 323.

3 იქვე, გვ. 323.

4 იქვე, გვ. 326.

8 „მნათობი“, № 2

ლი ცნება და შამაკის გამორბისა და ვეკუცო-
ბის ხარისხს გამოხატავს. ამიტომ „მეტნი ხართ
სადირიშვილო“ ნიშნავს იმას, რომ სადირიშვი-
ლებმა ამ ომში ჩვეულებრივ მეთომრებზე მეტი
ვაკეთეს, თავის აზრანაგებს „გადმეტდნენ“ ეს
რომ ასეა, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის მდგო-
მარობა, რომ უველა ვარიანტი, გარდა ერთისა,
ამ სიტყვას მრავლობითის ფორმით ხმარობს
(„მეტნი ხართ, სადირიშვილო“). იმ შემთხვევა-
ში, თუ მას საკუთარ სახელად მივიჩნევთ, მივი-
ლებთ ასეთ უაზრობას: მეტრეები ხართ პავლია-
შვილებო, რასაც ხალხი არ დაუშვებდა,
შეგვეძლო, ნათქვამის დასასაბუთებლად ხალხუ-
რი პოეზიიდან სათანადო საილუსტრაციო
მასალები ვაგვეცნო ნეთხველისათვის, მაგრამ,
ვფიქრობთ, ისეც ნათელია, რომ სადირიშვილის
საკუთარ სახელად მეტნი ვერ ჩათვლება. რაც
შეხება თვით სადირიშვილს, ასეთი გვარის აზ-
რებობა მთის კეთხვებში (თუშ-ფშვავ-ხევისურე-
თი) დასტურდება, მაგრამ არცერთ მათგანს
ხალხური პოეზია საერთოდ არ იცნობს.

უველა ძველი ჩანაწერი (ლექს-სიმღერებიცა და
გადმოცემებიც) ხანის კარავის ამხე გმირს სადი-
რიშვილად იხსენიებს. შემდეგ კი მოქმედთა თუ
პუბლიკატორთა წყალობით სადირიშვილი სადი-
რშივლად ქცეულა და ბოლს, ბგერათა მსგა-
ვსების გამო, სავინაშვილში არეულა. რჩი სრუ-
ლად სხვადასხვა დროის გმირი ერთიმეორეში
აუთქვევიათ. ერთი — კახეთის აფანეების მონა-
წილე და ხანის კარავის ხმლით ამჩეხა—სადირი-
შვილი და მეორე — გირვის ომის გმირი ანდარ-
გზ სავინაშვილი, რომელმაც თუშეთზე თავდამ-
სხმელ მამადაინთა გარის ძელადი მუელა (ნუ-
ცაღი) ორთაბრძოლაში მძლია ავაფა. ანდარგზ
სავინაშვილის შესახებ ს. ყუბანეიშვილმა სრუ-
ლიად სწორად აღნიშნა, რომ „არავითარი სა-
ერთო ამ გმირს არ აქვს ბახტრიონის ამებე-
თანა“¹.

ჩვენ არ გამოვუძღვებით იმ შრომებისა და ნა-
სალების ჩამოთვლას, რომლებშიც ეს რჩი სრუ-
ლიად სხვადასხვა დროისა და ომის გმირი ერთ-
მანეთშია არეული. დაეკმაყოფილებით მხო-
ლოდ იმ ფაქტების აღნიშვნით, რომ ბახტრიონის
ომის მონაწილე სადირიშვილი არ შეიძლება
ყოფილიყო ანდარგზ სავინაშვილი, ეინაიდან მათ
ერთობრივისაგან, სულ მცირე, ისი წელი აშო-
რებს.

საკითხი რომ ნათელი გახდეს, ხევისურული სა-
გმირო პოეზიის ტრადიცია უნდა გავითვალის-
წინოთ. საქმე ის არის, რომ ძველ ხევისურულ
საგმირო სიმღერებში გმირის გვარით მოხსენიე-
ბა ძალიან იშვიათად გვხვდება. სახელოვან მეო-

მრებს თითქმის ყოველთვის მამის სახელით იხ-
სენიებენ. აი როგორ ასახელებენ სწორედ იმავე
პერიოდის გმირებს მელექსევენი: ჩადირიშვილი
ტრელა, ლოსაურიშვილი სემბატა, გუგუიშვი-
ლი სემბატა. აქ ნადირა, ლოსაურა და გუგუა
გმირების მამათა სახელობაა. „შვილებუ“ დამთავ-
რებების გვარები კი ხევისურეთში არც მამის
ყოფილა და არც ახლა. და თუ ანგარიშს გა-
ვეწვეთ იმ მდგომარეობასაც, რომ სადირიშვილ-
ზე არსებული ლექსების უმეტესობა ხევისურუ-
ლი წარმოშობისაა, უნდა ვიფიქროთ, რომ სადი-
რი გმირის მამის სახელია. მათ უმეტეს რომ ეს
სახელი ხევისურეთში ამჟამადც არის გვარცე-
ლებული.

ჩვენს მოსახრებას იმის შესახებ, რომ სადირი
ნადირა ხოშურაულის მამის სახელია სრულიად
ადასტურებს გიორგი ლიჭკეილისა და ხეთისო
არაბული ხევისურეთში ჩაწერილი მასალებიც.

1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის სტუდენტს გიორგი ლიჭკეილს თავის სა-
დაბლოში ნაშრომში („ბახტრიონის გმირები“) მოგოებება ცნობები იმის შესახებ, რომ ხევისუ-
რეთში, ბაიკავის თემში, ს. მისასში ცხოვ-
რობს ნადირა ხოშურაულის შთამომავალი ლა-
ვაზა ხოშურაული და, თავისი წინაპრის შესა-
ხებ არსებულ მდიდარ გადმოცემათა გარდა, მის
ოჯახში შემონახულია ნადირა ხოშურაულის
ხმლის ნატეხი.

1951 წელს საგანგებოდ გავემგზავრეთ ს. მი-
სასში. არ ვიცი, რამდენად შეიძლება, რომ სო-
ფელი ეწოდოს ამ ფრალთო კლდეებზე დაკიდე-
ბულ ერთადერთ სახლს. ხე. არაბელისა და ნ.
გოგოპერის თანხლებით მივადწიე ლავაზა ხო-
შურაულის სახლამდე. ლავაზა ხოშურაული საც-
მაოდ ახოვანი, ტკბილმობარი, წყნარი მოხუცი
აღმოჩნდა. ლავაზამ კვლავ დაადასტურა გ. ლი-
ჭკეილის სადაბლოში შრომის ცნობებზე.

ლავაზა ხოშურაული, წერა-კითხვის მცირედ
ცოდნის გამო, პოემა „ბახტრიონი“ წაკითხული
არ ქონდა, სამაგიეროდ ზეპირად იცოდა ბა-
ხტრიონის ბრძოლების ამსახველი მთელი ხალ-
ხური პოეზია და აუარებელი პროზაული ვად-
მოცემები. ლავაზის, როგორც მიქმელისა და
გმირის შთამომავალს, საისტორიო ნაწარმოების
მოხრობელის ძველი ტრადიცია წმინდად ქონ-
და შემონახული: იგი ოდნავადაც არ ცდილობდა
ფაქტები გაეზვიადებინა ან თავისი წინაპრისა-
თვის შეეწირა ის საგმირო ეპიზოდები, რაც მას
არ ეკუთვნოდა. იგი ისეთი ვატაციებით ჰყვებო-
და ზეზევა გაფრინდაულის ამბებს, თითქოს მო-
მსწრე ან საკუთარი თვალით მხილველი ყოფი-
ლიყოს. მაგრამ შეშფოთების ვერ მალავდა, როცა
გამოქვეყნებული მასალების მოსმენისას რაიმე
უზუსტობასა თუ მიკერძებნას მოისმენდა. აი ად-
გილები ლავაზა ხოშურაულის ნამბობებიდან:

1 ს. ყუბანეიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 27.

1 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 19.

„ნადირაი და გამიხარდი თან ძმანი ყოფილან, საღირის შვილი, ორნივე კან ვაჯაცენ ყოფილან. სველოდ ნადირა ვოზნილას... ჭეშვი ნადირა ქვე დაჯარგულას“.

ვფიქრობთ, რადგან დიალექტური ფორმები არ არის, რაც შეეხება მონათხრობის შინაარსს, ჩვენ იგი შეუმოწმებლად არ გავგეზობარებთ. მრავალ სხვადასხვა გვიარისა და სოფლის ცნობილ მოქმედებთან ვვინდობ აღნიშნულ საკითხზე საუბარი (კუდუანის ქადაგი სულთანა გოგუერი, ს. კორმეშაევი; თათარ და ძალღკაც ლიქველი, ს. ლიქოვი; ბაბუტი, ს. ჩორღი; ჭრხა ვაგოტური, ს. ბუნტურეთა და სხვა). ამ მოქმედება ნაწილი ამგვარიც ცოცხალი და ჭერ არ შეგვხვდებოდა ისეთი მოქმედი, რომლის მონათხრობი ძირითადად და მთავარში ლაგანა ხომურაულის გადმოცემას არ ემთხვეოდეს.

ამრიგად, როგორც ძველი ხალხური ლექს-სიმღერები, აგრეთვე მოქმედება შორის შემორჩენილი საისტორიო გადმოცემები მნიშვნელოვნად იყუებს და ამდიდრებს ისტორიასა და მწერლობაში შემონახულ ცნობებს ხომურაულის ვინაობის შესახებ. ყველა არსებული მასალის შეზღუდვისპირადაა და ანალიზის შემდეგ ვამბობთ, რომ კახეთის აქანუების მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური ხომურაული (ვაჯა-ფშაველას „ბატარიონის“ მიხედვით ხომურაული) ბაქალაგოს თემის ს. მისახის მცხოვრები ნადირა საღირის ძე ხომურაულია. იგი ზოგ ნაწარმოებში სახელით იხსენიება, ზოგან — გვიართ, ხოლო ბევრ ნაწარმოებში კი მამის სახელით — საღირიშვილად ვხვდებით.

ნადირა ხომურაულზე შექმნილი ნაწარმოებებთან ყურადღებას იქცევს ერთი ძველი სიმღერის ვარიანტები. ერთ-ერთი მათგანი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

საღირიშვილო ნადირავ,
სიცოცხლით კა უნახაო.
თემ-სოფლის მამულებელო,
ბატონის შეუნახაო.

ამ ხეცურული სიმღერის კონტაინირებულ, თითქმის ერთი საუკუნის წინათ ჩაწერილი კახური ვარიანტები გვხვდება 3. უმიკაშვილის მასალებშიც.

1 მთხ. ლაგანა ხომურაული, ს. მისახი, დუშეთის რ. ჩამწერა ხე. არაბული, ს. ხიტაღ დუშეთის რ. 1952 წ. 17 ივლისი. პირადი კოლექცია.

2 მთვ. ვიგო აღუასძე არაბული, ს. აყნელი, დუშეთის რ., ჩამწ. ხ. არაბული.

3 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. 1, გვ. 198, მ. ჩიქოვანის რედაქციით.

საინტერესოა, თუ რატომ უნდა მოქმედებინა თემ-სოფელს ნადირა და ან რას უნდა მოქმედებინა დეს „ბატონის შეუნახაობა“, რაც ჩამწერის ქვეშა ვარიანტშია ხაზგასმული.

ტრადიციული გადმოცემის მიხედვით, ბატარიონის ომში საქმიოდ ბევრი ხეცური დაღუპულა. ზოგიერთ კიარისფელს ამ საქმეში ნადირა ხომურაულისთვის დაუღვია ბრალი; რასაც, ბუნებრივია, თემ-სოფლისაგან მისი მოძულედაც უნდა მოჰყოლოდა, ეს მით უფრო მოსალოდნელია, თუ ხეცურული „თავ-მეთავეობის“ (სისხლის აღების) წესსაც გავითვალისწინებთ: საკმაო იყო ნადირას მიზეზით თუნდაც ერთი მეომარი დაღუპულიყო, რომ ხეცურთა უღმობელი და მკაცრი კანონი მას შესაბამის პასუხს მოსთხოვდა.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: საისტორიო გადმოცემა და სინღერის შინაარსი აქ ერთიგორეს ავსებს და ადასტურებს ამ მხრივ, რომ ნადირას თემთან რაღაც უსიამოვნო კონფლიქტი შემთხვევია.

რაც შეეხება ბატონის მიერ ნადირას შეუნახაობის საკითხს, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ხეცურები ბატარიონით მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მეფეებს იხსენიებდნენ. ასე რომ, ხეცური მეღვკე აქ ბატონად მეფეს გულისხმობს, მაგრამ რით უნდა გამოხატულიყო მეფის მიერ ნადირა ხომურაულის „შეუნახაობა“?

ვფიქრობთ, ნადირა ხომურაულსაც კახეთის აქანუების მოთავეების: შალვას, ელიზბარისა და ბიძინას ბედი უნდა გავიხარებინოს. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ვახტანგ მეფემ შაჰ-ნავაზმა ეს გმირები, შართლაც, ვერ „შეინახა“ და საწამებლად შტრავალ შაჰს ჩაუყარა ხელი. ჩანს, ნადირა ხომურაულიც უზიზღავთა წამების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ამაზე უნდა მიგვიანიშნებდეს ნადირა ხომურაულის შთამომავლის, ლაგანა ხომურაულის ცნობაც იმის შესახებ, რომ „ნადირა დაჯარგულა“. აგრეთვე ის გარემოებაც, რომ 1870-72 წლებში ჩაწერილ ამ სიმღერის კახური ვარიანტებს სათაურად „დატყვევები“ აქვს. 2 ნადირა ხომურაულის სიცოცხლის ამგვარი დასასრული მით უფრო სავარაუდოა, რომ ფოლკლორისტიკაში ანალოგიური შეხედულება არსებობს ბატარიონის გამოჩენილ გმირის, ზეზუ ვაგოინდაულის შესახებაც: ისიც რომ „დაბალითებით“ (მოტყუებით) შეიპყრეს უზიზღავთაში და დატყვევებული, „ქალაქის ციხეში“ გამოამწყვდიეს.

2 პ. უმიკაშვილი, დასახ. წ. გვ. 325.
3 მ. ჩიქოვანი, ვაჯა-ფშაველი და ხალხური პოეზია. 1956. გვ. 46.

301კაღ მირნუსი

ორი ათასი ფალი არისტოტელეს პოეტიკის გაყალბებისა*

ფილოსოფის ისტორიაში არაფერია იმაზე უფრო საინტერესო, ვიდრე ლენინის მიერ ჰეგელის, ფოიერბახისა და არისტოტელეს ნაწარმოებების არეებზე მიწერილი კრიტიკული შენიშვნები. ლენინი მკაცრად ახასიათებს არისტოტელეს ფილოსოფის ჰეგელისეულ გაგებას: „იდეალისტმა ჰეგელმა ლარრულად აუარო გვერდი იმას, რომ არისტოტელემ ძირი გამოუთხარა იდეალიზმის საფუძვლებს“ (38, 288). ხოლო არისტოტელეს მეტაფიზიკის კონსპექტში აღნიშნავს, რომ სწოლასტიკამ და ზეცობამ მხოლოდ ის აიღო არისტოტელესაგან, რაც მასში მკედარი იყო და არა ცოცხალი; ცოცხალში ლენინი გულისხმობს „მოთხოვნილებებს, ძებებებს“, და რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ დასძენს: არისტოტელეს ლოგიკიდან „მკედარი სწოლასტიკა“ შექმნესო, რანდენადე ყოველგვარ „ძებასთან, მერყეობასთან“ ერთად უკავადეს „საკითხთა დაყენების ყოველგვარი მეთოდიც“, მაშინ როდესაც ბერძნებთან სწორად „საკითხთა დაყენების მეთოდები“, „აზრთა გულბრუვილო დისონანსები“ იყო ის სასინგი სისტემები, რასაც ასე საუცხოოდ ასახავს არისტოტელი“ (38,380-381).

* ამ უაღრესად აქტუალური და ფრიად საინტერესო ესთეტიკურ-კრიტიკული ნარკვევის ავტორი, პროფესორი, დოქტორი Wilhelm Ginn-ი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ზელოვნებათა აკადემიისა და გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ლტერატორულ იერნალ Sinn und Form-ის მთავარი რედაქტორია. ნარკვევი, რომელიც ამ ურნალის 1969 წ. მე-3 ნომერში დაიბეჭდა საათურით: *Statt «Zukunftslinien». Materialien zur ästhetischen Theorie*, ქართულად თარგმნა ნირა ველაშვილი. ებეჭდეთ ამ წერილის პირველ თავს. რედ.

„ლარრულად გვერდი აუარო“ — ეს მეტად მკაცრი მსჯერია ჰეგელისდარი ფილოსოფოსისათვის და მაინც, ეს მსჯერი მარტო არისტოტელეს მეტაფიზიკისათვის კი არა, მისი პოეტიკის ჰეგელისეული ანალიზის მიმართაცაა მართალი. მეტიც: ეს არა მარტო ჰეგელს, არამედ სპეციალისტ-ფილოსოფოსთა მიერ არისტოტელეს პოეტიკის მთელ ზვეს დრომდე მიმდინარე ინტერპრეტაციასაც ეხება. ენციკლოპედიაში კი, „მკიცე პაულსა“ და თვით „ძველი მსოფლიოს ლექსიკონში“ სიტყვაც კი არ არის დარული არისტოტელესეული ზელოვნების თეორიის კარდინალურ პრობლემზე; მასზე ხმას არც გერმანელი იდეალისტი ესთეტიკოსები, არც XIX-XX საუკუნეების მათი ბერწი ეპიგონები იღებენ. თავის ესთეტიკაში, მთელ ათას გვერდზე, ჰეგელი მხოლოდ ათეც ასხენებს არისტოტელეს და თანაც უმნიშვნელო წვრილმანთა განო. არისტოტელეს ზელოვნების თეორიის მთავარ პრობლემას, IX თავს, რაც უკვე რენესანსის დროს იქნა მიჩნეული ამ ესთეტიკის ქვარცმად, ჰეგელი მოურიდებლად უგლის გვერდს. შეასაუკუნეთო სწოლასტიკამ რომ არ იყოღა, როგორ მისდგომოდა არისტოტელეს პოეტიკას, ეს თავისთავად გასაგებია გახდებო, თე იბნ რეშდის არაბულ პერიფრაზს მივმართათ; ცელიბატურ თვალთმაქცობას ვერ მოეწონებოდა ასეთი თამაში დასტური მგრძობალობისა, რაც ასე თე ისე ყველა ესთეტიკაში მიმაღული. თავიანთი ამურდილო ტრანსცენდენტური სიმბოლიკის მეშვეობით ისინი სათანადოს მიუზღავდნენ ზელოვნებას, ვითარცა ქრისტიანული თეოდიციის მოსაყენე ნაწილს. ამიტომაც მით უფრო საკვირველია, რომ გრძობამღელვარე რენესანსმაც ასევე გვერდი აუარა არისტოტელეს კარდინალურ პრობლემას, თემცა სწორედ რომერტელემ, ნინტურნომ, სკალიგერმა და კასტელეტრომ არა თე ახალი

შევი მოფინეს არისტოტელეს ხელოვნების თეორიას, იმასაც მიხვდნენ, რომ IX თავი არისტოტელეს ესთეტიკის გასაღებს წარმოადგენდა. მხოლოდ კეთილშობილი დღემილით შეიძლება ღირსეული შაჟის, პატრიცის, ფრანკატორისა და ყველა მათ შსგავსთა ლეისონიში ცდები, რომ დიდი წარმართის პოეტოკიდან, მეტადრე კი მისი კათარზისის თეორიიდან — მათი შეზღავლის გზით — შეეზადებინათ კონტრეფორმაციის კლერკალური გამართლები-სათვის საწირო ფილოსოფიური საყმველი. მაგრამ ასევე შეიძლება შემოგვიბრუნეს: ვანა სწორედ რენესანსის თეორეტიკოსები არ იყვნენ, დიდი ტრინარები რომ გააზალეს მიზამქისა და კათარზისის, *prodesse aut delectare*-ს, ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობისა და ინტროინდელი ტრაველიის აბსოლუტური კანონების ძიებამი? ვანა სწორედ ისინი არ იყვნენ, XVII საუკუნის ფრანგული კლასიციზმისა და მის თეორეტიკოსთა — დ'ობინდაჟის, პეროს, შაპლენისა და ბუალოს — ლიტერატურულ ცრებრძოლებს თესისები რომ მიაწოდეს? დიახ, ისინი იყვნენ. და სწორედ აქ იღებს სათავეს ეს უმსგავსოება: დამამწყება, გაყალბება და ვადავიკება არისტოტელეს ესთეტიკის კარდინალური პრობელმისა. მაგრამ რალა IX თავის ეს კარდინალური პრობელმა? თავთ ტექსტს ჩახველით: სახელდობრ, მას ვაკლებით უფრო ფილოსოფიური *ხსნათა* აქვს, ვიდრე ეს იმ შოაროგენტა სასკოლო სბარმნეს წარმოედგინა, რომელთაც მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ნადირობა გამართეს მარადიულ ნორმებზე, მაგრამ ისევე ვერსად ჰპოვეს საუფლო, როგრც საყლემ მიზლიერ მითოსში.

არისტოტელე IX თავში სემს უდრესად მართებულ და ვადმწყვეტ კიხხვას: არსებობის რა გამართლება აქვს პოეზიას ფილოსოფიისა და მეცნიერებასთან მიმართებაში?

როგორც ვიცით, ეს კიხხვა ანტითეზის სახით წამოიჭრა იმის ვამო, რომ პლატონი ანტიკაცობდა, პოეზიას არსებობის გამართლება არ ვაანნიო. არისტოტელე მეთოდურად სავსებით უზადოდ ასაბუთებს (რაც, მავალითად, ლუკასაც შეეძლო ესწავლა მისგან და მაშინ აღარ მოუელუნდა ქვეყანას თავის კოლოსალურად უწიფარ „ესთეტიკას“), რომ პოეზია თავის არსებობას სრულიად ვანსაკუთრებულ სგანს უნდა უმაღლოდეს, რომელც ადამიანის სულმა უნდა ნათელიოს. ეს სავანი რომ მეცნიერებისა და ფილოსოფიის სავნის იდენტური ყოფილიყო (როგორც ამას მავალითად, ჰეკელი და მისი ვავლენით ლუკანიც ამტკიცებს), რალა აზრი ეწებოდა ხელოვნებას? ის ხელმეტრ დმონდებოდა. ეს იაკივე იქნებოდა, რომ დედსკულოვანად მოვეწონებინა ხელოვნებაში ისედა ტრამპლინის აღმართვა, რომელიც სუსტ შხატ-

ვართ იმ სიმაღლეზე ადგრენდა, რაც ფილოსოფიური აბსტრაქციის უნარს მიეკუთვნება. სწორედ ეს იყო არცთუ მეტერიოტიკოვან პოეზირენება შეხედულება, დვანასქლბნ მხოლოდ თიზმბესს, ბავშვმარტენსა და კვლავ ჩვენი ძებიარეს მეგობარ ჰვეღს, რომელიც, ფილოსოფიური სელის ერთადერთი თვითწარმოამდგენლობის უფლებიდან ვამომდინარე, ხელოვნებას ნეტარ სიყვდილს უწინასწარმეტყველებდა, აქ არისტოტელე არსებითად უფრო რეალისტურად აზროვნებს. ერთხელაც მივსკუთ უფრი მის სიტყვებს ამ პრობელემის თაობაზე:

„ზემოთქმულიდან ნათელია, რომ პოეტს არ ევალება ისა თქვას, რაც ნამდვილად მოხდა, არამედ ევალება ის თქვას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ანუ რაც შესაძლებელია აღბათობის თუ აუცილებლობის მიხედვით... პოეტი ისტორიკოსისაგან იმით როფი ვანჩრხევა, რომ პოეტი ლექსიად წერს... ვამხხვაება მათ შორის უფრო ის არის, რომ ერთი იმას ამბობს, რაც მოხდა, მეორე კი — იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ამის ვამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და ღრმად ვამომხატველი, ვიდრე ისტორია: რამეთუ პოეზია უფრო მეტად ზოვად ეხება, არამედ იმას, რაც ადამიანისთვის არის შესაძლებელი, ეხება ადამიანურ შესაძლებლობებს, რადგანაც ანტიეტრობის ლიტერატურული თეორია პოეზიის სავნად, ადამიანის ვარდა, სხვას ვერაფერს დასახვდა. ამავე დროს ისაც ვავისხნით, რომ შესაძლებლობისა და სინამდვილის, შესაძლებელისა და ნამდვილის (ნამდვილად მომხდარის — *genomena*-ს) დიალექტიკა უდიდეს მნიშვნელობას იძენს არისტოტელეს ერთიან მსოფლმხვედელობრივ სისტემაში, ზოლო მკერთი საფუძველი ყველა შესაძლებლობისა არის *hyle* (მატერია, ნეთიერება).

თუ სიტყვას — *hyle* ჩვენი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თიზმბად ვავებელი „მატერიით“ შევევლით, მივიღებდით შესაძლებლის ნამდვილ მატერიალისტურ თეორიას. ეს რომ დაუშვებელი დამამხწყბა იქნებოდა, ამას არისტოტელეს ყველა მცოდნე ადვილად დაასაბუთებდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სწორედ ვარწმობად-ცალკეულიც და, ამდენად, რასაკერაველია, ადამიანიც თავის ყველა ასპექტში ამ *hyle*-ს მიეკუთვნება ვარდა ამისა, არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ დამეოთებით და ვანსკუთრებელი ხაზგასმით იმეორებს, რომ უწყვი ვანამდვილებული სინამდვილე არის ყველა შესა-

ძლებლობის საფუძველი, რომ შესაძლებლობათა სინამდვილედ ქცევა ბედებს ახალ შესაძლებლობებს. ამრიგად, თეორიაში, რომლის თანახმადაც შესაძლებელი გვევლინება პოეზიის საკუთრივ საგნად, იმალბა მძლავრი მატერიალისტური მარცვლი. ამასთან, დაკავშირებით განსაჯუთრებით საინტერესოა არისტოტელის ცხარე პოლემიკა მეგარელთა უგერავილი პოზიტივიზმის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც შესაძლებლობა სინამდვილის იდენტურია, რაკი საგნის ნამდვილობა მისი შესაძლებლობის დასაბუთებაა. არისტოტელე ამტკიცებს, რომ აშვარეი გადგმა მიგვიყვანს ცნობიერებისაკენ დამოუკიდებლად ვარე სამყაროს ობიექტური არსებობისა და განვითარების უარყოფამდე: როგორ შეიძლება ამ თეორიის მიხედვით, — გონებაშახვილურად ასაბუთებს არისტოტელე, — არსებობდეს რაკივ გრძნობად-აღქმად, თუ მას არანც არ აღიქვამს სწორად გრძნობადი სახით. ეს მატერიალისტური დასაბუთების ბრწყინვალე ნიმუშია. გარდა ამისა, — შენიშნავს არისტოტელე, — შესაძლებელისა და ნამდვილად მომზდარის გაიკვება აქვშებს როგორც წარმოშობას, ასევე მოძრაობასაც და, მასშასადავ, განვითარებას, რადგან იმ ადამიანისათვის, ვინც კატეგორიულად არ მიწნავს ერთმანეთისაკენ ნამდვილსა და შესაძლებელს; არც მათ შორის რაკივ დიალექტიკა არსებობს და არც რაკივ პრობლემატიკა შესაძლებელს სინამდვილედ ქცევისა, რაკივ წარმოშობა (genesis) რაკივ მოძრაობა (kinesis), მასშასადავ, განვითარება. არისტოტელესათვის კი არსებობს შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება განზორციელდეს, მაგრამ ვეღა როდი ზორციელდება. და სწორედ ამ შესაძლებლობებსა და მათს განზორციელება ეხება პოეტური ნიჭი. შესაძლებლობის კატეგორია მარტო „განზორციელდება“ და „წარმოშობას“, „მოძრაობას“ და „ეულბადობას“ შორის ამ დიალექტიკას კი არ გულისხმობს, არამედ კიდევ რაღაც სხვასაც, ვინსაკუთრებით არსებობს, ამ პრობლემას ეხება არისტოტელე „მეტაფიზიკაში“, როცა სკავს კითხვას, თუ რა არის „შეუძლებელი“, და, აღნა, მის იკვევ სურდა ეთქვა „პოეტრიკაში“, ხზგამით ორგნის განმითარებელი ამზიციით: „შესაძლებელი, ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით“ (ამზიციით, რომელსაც ერწესტოტ კრასი, არისტოტელეს ესთეტის ინტერპრტაციისას, ასე ადვილად ტოვებს ყუარღლების მიღმა). მაგრამ რას ნიშნავს აქ, ადამიანურ სფეროში, „წარმოშობა“ და „მოძრაობა“ ალბათობისა ან აუცილებლობის მიხედვით? უქველია, იმ დროს არისტოტელე რადიც ისტორიულ საზღვარზე იდგა, რომლის გადალახვა ვერ შეუძლებელი იყო მაშინდელი შეშენებასა და პრაქტიკის საერთო დონისათვის. შესაძ-

ლებელს კატეგორიას მაშინ არ შეეძლო რაკივ შეცნიერული ფორმის მიღება, რაკივწინაქმისში, როგორც იტყვიან, in nuce [მაღლებს] ქმნატობის კანონზომიერების კატეგორია. ბუნების კანონის ცნება, თუცა იგი ვერ კიდევ ელანულმა ფილოსოფოსებმა განვკრიტეს (ლოკოსი, მიხედი, ენტელექტა და ა. შ.), პირველად გალაღის ნაშრომებში აღწევს, რა თქმა უნდა, ზომიერი წინასწარმეტყველების სახით, მეცნიერულ სიზუსტეს.

მაგრამ რა არის ადამიანისათვის შესაძლებელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გულსხმობს საკაცობრიო ისტორიის მოძრაობის კანონს ცოდნას, საზოგადოებრივი წარმოშობის, მოძრაობისა და ცვალებადობის, ადამიანური ქმედების და თვითგანზორციელების კანონთა შეცნობას. ეს ისტორიული კანონზომიერება კი პირველად მხოლოდ მარქსის ნაშრომებში იღებს მეცნიერულად გასაგებ ფორმას, თუცადა მის წინამძღვრად, უქვე მონტესკიუს და რუსოს, დიდროსა და ჰეგელის ნაშრომებში ზდება საცნაური აბსტრაქტული მინიშნებისა თუ მისტიფიცირებული სახით. სხვათა შორის, ამ საკითხზე კასტელეტროს უაღრესად მახვილი შენიშვნა. აქვს „პოეტრიკის“ კომენტარებში. შესაძლებელია თეორია სინამდვილის თეორიის გულისხმობაში, ამზობს იგი, და აშვარედევ ზენეც შეგვიძლია დავხინოთ, რომ ადამიანურ შესაძლებლობათა თეორია გულსხმობს ადამიანური ისტორიისა და მისი მამოძრავებელ რალების სათანადო თეორიას.

რენესანსის თეორეტისთვის იმეტომ წიბობრატისა არისტოტელეს შესაძლებლობის თეორიასთან, რომ ვერ კიდევ შეუძლებელი იყო ისტორიის მეცნიერული ანალიზი. ეს არც ისეთი საშინელება იქნებოდა, მაგრამ როგორ მოიქცნენ ისინი? ამ სინდელისაგან თავის დასაღწევად მათ შესაძლებელს კატეგორიის ადგილზე ალბათობის კატეგორია წასვეს. მათ გაიკვინეს შესაძლებელი და ალბათობითი. ეს მარტო დამახინყება კი არ იყო არისტოტელესი, არამედ მისი კაპიტალური გავაზებებს, ცთომილება, რომელმაც ესოდენ საზედისწერო ზეგაღუნა მოაზღინა მომდევნო საუკუნეებში ესთეტისური თეორიის მთელ განვითარებაზე. ალბათობითის სახელით იმარჯვებდა სამი ერთიანობის თეორიაცა და ზელოვნების ყველა შესაძლებელი ნატურალისტური თეორიაც, თუკი კასტელეტროს არისტოტელეს ამ პუნქტის ინტერპრტაციას მაინც ღიად სტოვებდა, ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთმა მთავარმა თეორეტისმა დ'ონინაქმა ასი წლის შემდეგ სულ ერთსებში მიაგლო იგი; ჰეშმარტო, მართალი, — ასე წერდა იგი, — არ არის თეატრის საგანი, რადგანაც ბევრი რამ არის მართალი, რის ნახვაც დაუშვებელია... აგრეთვე არც შესაძლებელი უნდა იყოს სიუვეტად აღებული, რადგან შრავლად

არის ისეთი რამ, რაც კაცმა რომ თქვას, შესაძლებელია, მაგრამ შეტად სპატილო და ნატლებ სარწმუნო აღმოჩნდებოდა, სცენაზე რომ წარმოდგენათ. ამიტომ დრამატული პოემა, მხოლოდ ალბათობის შეუძლია გონივრულად დასაბუთოს, განახორციელოს და დამათყაროს.

როგორც ვხედავთ, ობიექტურ კატეგორიას, რომელიც არისტოტელემ განავითარა, აქ სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ენაცვლება, რადგანაც შესაძლებელი არსებობს ცალკეული ინდივიდუალმა და მისი ცნობიერებისაგან დამოკიდებულად, ალბათობის შთაბეჭდილება კი დამოკიდებულია დამკვირვებლის ცნობიერებაზე; საქმე ის არის, რომ არც არისტოტელე და კასტილვეტრი, არც დ' ოზინიაკი, შაპლენი და ბუალო ამ ცნებას თანამედროვე მათემატიკის გაეებით არ ხმარობდნენ, არამედ პირდაპირი აზრით, და ვულისხმობენ იმ ალბათობას, სინამდვილის მოჩვენებას რომ აღქმავს, რაც სინამდვილედ მოჩანს. Eicos (ალბათობა) მომდინარეობს eico-საგან, რაც მსგავსებას ნიშნავს. ალბათობისათვის ამ აზრით არ არსებობს რაიმე ობიექტური კრიტერიუმი. სამწუხაროდ, გერმანულ არ ვიციან ამის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა სიტყვა, გამსჭვავებით ფრანგულია: გან: ალბათობას, მათემატიკური აზრით, იქ ჰქვია probable — calcul des probabilités — ალბათობის თეორია; ხოლო ალბათობას, არისტოტელეს აზრით, ანუ სინამდვილის მოჩვენებობას — vraisemblable არისტოტელეს წინდებული უბრალოდ მიუფუნჩეს და ნაცვლად იმისა, რომ წაეკითხათ: „პოეტს ევალბა... თქვას შესაძლებელზე ალბათობის მიხედვით...“, უბრალოდ ამბობდნენ: „თქვას ალბათობაზე“. ამ ონის წყალობით მოისპო ობიექტურ-არისტოტელი ესთეტიკის შესაძლებლობა, რასაც არისტოტელე ვთავაზობდა და გზა გაგხსნა სუბიექტივისტურ ესთეტიკას. და თუ დღეს ინგლისურ-საქსურ მსოფლიოში მხატვრულ ლიტერატურას კრებითი ცნება: fiction, ფიქცია, გამოგონება, აერთიანებს, ეს სხვა არაფერია, თუ არა იტალიური ჩინეკენიტრისა და ფრანგული კლასიციზმის ამ ალბათობის თეორეტიკოსთა უმსგავსი ვიგონობა. ეიმეორება: შესაძლებლობის კატეგორია ობიექტური კატეგორიას; ფიქციის, გამოგონების ცნებას კი მხატვრული ლიტერატურის არსის განსაზღვრა სუბიექტური ცნობიერების სფეროში გადაქვს.

„ალბათობის თეორეტიკოსთა“ მიერ არისტოტელესეული აზრების გადაგვარების არც თუ ისე შორეული განმოტემა რომან ინგარდენის თეორია („Vom Erkennen des literarischen Kunstwerks“ — Tübingen 1968, 571, 152), რომლის თანახმადაც, ხელოვნების ქმნილების არსი ქეშმარიტი სინამდვილის სიმულაციაა, რის ვა-

მოც ამ ქმნილების გამოთქმები (Aussagen), წარმოადგენენ არა ნამდვილ, არამედ ვიქტორულ „ეითომდა-განსყებს“, რომლებსაც ციქრულად დაც არ სჭირდებათ ქეშმარიტება; მათთვის ისიც საკმარისია, სინამდვილეს მოჩვენებითად რომ წარმოგვიდგენენ. იმ პაპოთუნაზე, რომ შეიძლება არსებობდეს ატვრთვე ქეშმარიტი მსჯელობა „შესაძლებელს“ შესახებ, რომელიც წინასწარ მოცემულ რეალობას პირდაპირ არ ეფარდება და არ ემორწმება, ინგარდენს, ცხადია, არ უფიქრა, რადგან საკმარისად ვერ დასჯეს არისტოტელეს ცნება. იმის გამო ეს „ეითომდა“-ს ესთეტიკა პრინციპულად ხელოვნების სუბიექტივისტურ თეორიაა! რიცხვს მიეკუთვნება; მასში მოხსნილია ობიექტური მხატვრული სინამდვილის პრობლემა და, რაღაცასაკვირია, რომ ბოლოს ინგარდენი იმ იდეალისტურ თეზამდე მიდის, რომ ესთეტიკური გამოცდილების ობიექტი არ არის არტეტი(!) რეალური საგნის იდეატური. ფიქტიურად ეს მეცნიერული დამკვრა კი არა არის, არამედ წინასწარ დასახული დოგმა. ამ ცხოვრებას მოწყვეტილი თეორიის შედგევი ასეთია: ყოველდღიური ცხოვრების „ბუნებრივ თვალსაზრისს“ და „სპეციფიკურ ესთეტიკურ თვალსაზრისს“ შორის რადიკალური უფსერტობა, რომელიც ყოველ ესთეტიკურ განცდაში ხელახლად უნდა დიდილოს, მასთანადამე, ესთეტიკური არ წარმოადგენს „ეითომდა“-ს ფილოსოფოსთათვის საერთოდ ადამიანის ცხოვრებისეული პროცესის ბუნებრივ ელემენტს.

იმ გულოდღებებამ, რომლითაც ჩინქვემეტოს თეორეტიკოსები და მე-17 საუკუნის მათი ფრანგი კოლეგები არისტოტელეს „პოეტის“ ეითომდა ეპოქალურ დეტალებს მიამედნენ, არ შეიძლება თვალა აგებვის იმ ცაქტზე, რომ ამით ვერ გაართვეს თავი არისტოტელეს თეორიის პირველ მარტალს, გვერდ აღუჩვიეს მის უმთავრეს საკითხს და გააყალბეს იგი. საბედნიეროდ, ამ დოქტრინათა პატრონობისას ქეშმარიტად დიდი ხელოვანი ნაკლებად მიამართადდნენ არისტოტელეს სქოლასტიკას, სხვანაირად როგორ იწვებოდა შესაძლებელი რაბლეს, შექსპირის, სერვანტესის, მოლიერისა და, დიახ, თუნდაც რასინის არსებობა?

არისტოტელემ, ობიექტურ-ისტორიულ მიზნითა გამო, ვერ ჩამოაყალიბა შესაძლებლის ისტორიულ კანონთა შესაბამისი ზუსტი და კანონზომიერი განმარტება, ამით აბსურბა ის ნიშნეული შეუსაბამობა, რაც მის ნაშრომებში გეხდება პოეზიის საგნისა და ხასათის განსაზღვრისას.

შესაძლებლობის კატეგორია ბუნებრივად გულისხმობს კანონზომიერების კატეგორიას. არისტოტელემ, კვლავ თავის შესაძლებლობათა ფარგლებში, ამ აპოზიციით ცხადყო ეს „პოეტისეში“: „ესთეტიკის მიხედვით“. „მოდ-

რობა“ და „შესაძლებლობა“ ადამიანთ სფეროში, ანუ ადამიანის მიერ შესაძლებლობათა განხორციელება სხვა არაფერია, თუ არა ისტორია, ისტორია, როგორც „წარმოშობის“, „მომარაბის“, „მიზანწარაფვის“, „ცვალებადაბნის“ და „განხორციელების“ ერთიანობა, კანონზომიერი კი ზოგადია, საყოველთაოა. ამის გამო დღეს ჩვენთვის აღარ არის მისაღები პოეზიისა და ისტორიის დაპირისპირება არისტოტელეს კრიტიციუმის მიხედვით: ისტორია კერძოს, ცალკეულ გამოხატვას, პოეზია კი — ზოგადს. ნამდვილად მომხდარის სიხშირე კანონზომიერსა და ზოგადს უკავშირდება იმდენად, რამდენადაც მომხდარი შესაძლებელიდან მომდინარეობს. ისტორიული შეცნობებები ნაკლებ, ფილოსოფიური არ არის, ვიდრე პოეზია.

არისტოტელეს კი „istoria“ ესმოდა როგორც ისტორიული მეცნიერების წინათმხრობა, როგორც ისტორიული ფაქტების მშრალი აღწერა, რატორიული ქრონიკა, რასაც ის ჰეროდოტეს და თუციდიდეს შემოქმედებაში ხედავდა. მას რომ „კომუნიკტური მანიფესტი“, ან „ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიფინგი“ ჰქონოდა ხელთ, პოეზიისა და ისტორიის თავისი გამოყენის ერთგვარ სიძნელეებს წაწყვეტებოდა. კომუნიკტური მანიფესტის შემდეგ, მთელმა მსოფლიომ იცის, ან, ყოველ შემთხვევაში, შეუძლია იცოდეს, რომ ისტორიაც შეიძლება ისევე წარმართო, როგორც მეცნიერება, რაც კანონზომიერებათა შეცნობას გულისხმობს. როგორც არისტოტელეს „ისტორია“ ემპირიულად მხოლოდ ფაქტების მონოგრაფიულ წარმოდგენას, ასევე ადამიანის თვითგანხორციელების შესაძლებლობათა მხატვრული პროექცია იმ დროს უპირატესად მოთხრობის სახით გვევლინება, რაც სხვა არაფერია, თუ არა ანთროპომორფული ანლოგიონი მომხდარისა, ოღონდ პოეტურის მეტაფორულ წანამდგარს მოკლებული, მაგრამ ვანსხევეებით არქიზაციის დღევანდელ სწობტრფიალთაგან, რომლებიც მითოსს, ვითარცა იმედის ღუზას, ექიდებთან, მათემატიკურ-ტექნიკურ რაციონს იმ ნიაღვრით დამინებულნი, რაც თქონისა წალკვეთი ემპირიკა ჩვეს ცნობიერებას, — გველისსწობ ნიქსეს, შვედლერის, როზენბერგის, შიქაელ პოხვეზანგის, ვალტერ იენსის, ერნსტ ფიშერისა და ზოგ სხვათა დისპარატულ ძმობას (ვიცა, ამ პიროვნებათა ერთად ჩამოთვლა ბევრს ელდას დასცემს, მაგრამ სწორედ ამიტომ ვასაბელებ მათ), — და, იმას მოგახსენებდით, მითოსის გალენიზაციის ამგვარი ცდებისაგან განსხვავებით, არისტოტელემ იმთავითვე პრინციპული და გადაჭრული უარი განაცხადა მითოურზე, რაც შეუძნეველი არ უნდა დარწმუნდყო, ამის გამო მე არავითარ შეუსაბამობას არ ვხედავ მის „მეტაფიზიკასა“ და „პოეტკას“ შორის. მითოლოგიური აზროვნება უკვე მან გამოაცხადა მსოფლგაგების იმ

ფაზად, რომელიც თავის საფუძველშივე მთლიანად წარსულს ეკეთვნის და ტრუმფის სერიოზული შემოქმედა, როგორც კი ეკეთვნის მბობს, არც ღირს, თუმცა ისიც მართალია. — დასძენს იგი, — ჩვეულების ძალას, როგორც ამას მითოური და ბაქმეური ადასტურებს. უფრო მეტი შეუძლია ხოლმე, ვიდრე შეგვეცნებას. და სწორედ სპირტომატ შექმნილა მითები, რათა მასების შეგნება დაეპყრო და ამ გზით კანონებსა და საზოგადო სიკეთეს მომსახურებოდა ანუ გარკვეული საზოგადოებრივი წყობა განემტკიცებინა. და ესეც მონათმფლობელის იდეოლოგია ამ სიტუაციის გადაჭრისა კეშმართად არ აწყენდათ მითომანით შეპყრობილ დასაქუელ ინტელიგენტებს. აშკარაა, არისტოტელემ მუდამ უფრო თანამედროვეა, ვიდრე ისინი.

და თუ კი მან მიინე ვერ უარყო ტრადიციის თეორიამ მითოსის ცნება, თუმცა კი ჩაქსოვა მასში შედარებით რაციონალური მნიშვნელობა, სახელდობრ, „მიმეზის“-ის ანუ მოქმედების წარმოდგენის იდეა, — ეს გარემოება გარკვევით ცხადყოფს მისი აზროვნების შესაძლებლობათა ისტორიულ ზღვარდებულებას. ხელისგნების საგნის, — შესაძლებლის, — ისტორიული თვალსაზრისით განხილვისათვის აუცილებელი ობიექტური პირობები მაშინ ვერ კეთდებათ რომწიფებული, რადგან მხოლოდ ისტორიულ და ფიზიკურ განხილვას შეუძლია, როგორც საესებით საპირთლიანად აღნიშნავს ჰეგელი თავის ესთეტიკაში, „აღიქვას და გაიგოს მომხდარი, თავისთავად, მისი ნამდვილი სახით, ემპირიული პირობებითა და საფუძველებით, მიზნულობათა და მიზნებით“. გეანკაპიტალისტური მსოფლიოს მიომანიის დღეს ყველაზე მეტად ის ფაქტი ადასტურებს, რომ, როგორც ჰეგელი იტყოდა, „ეს განუწყვეტელი გაბრუნებულობა“, ანუ, მარქსის თქმით, „საზოგადოებრივ ცნობიერების ბუნდოვანი წარმოდგენები“, რაც ექსპლოატატორულ ურთიერთობათა შენიღბავს და გაბატონებულ კლასთა თვითმოტყუების ობიექტურმა მოთხოვნილებამ წარმოშვა, პირველად მხოლოდ მღუბან რევოლუციურმა მოძრაობამ გააქარწყლა, რამდენადაც საქონლის ფეირომისტური ხასიათისა და კაპიტალიზმის ექსპლოატატორული ბუნება ამხილა, რამაც ისტორიის მისი ნამდვილი სახით გაგება და წარმოდგენა გახადა შესაძლებელი. მე აქ არ ვპირებ პოეტურ-დრამატული და ნამდვილ-შესაძლებელის დიალექტიკის შესახებ არისტოტელეს სხვა შეხედულებათა შინაგანი კავშირის განხილვას, მკვალითად, იმეს ცხადყოფას, თუ როგორ შეესაბამება დრამატული კონფლიქტი „მეტერიას“, როგორც თავის „საფუძველს“, როგორ ვითარდება დრამატული კონფლიქტი მოქმედებაში, რომელია კატასტროფისაგან მიმსწრათი „ენტელეკეია“ ტრაგიკულია, რა სახისა უნდა იყოს მოქმედ პირთა ქცევა და დიალოგი, რომლებშიც კონფლიქ-

ტი ინსკეცება და ა. შ. ამ ასპექტებს შეუძლია გადაგვახევიდეთ ისეთი ხაზიდან. საერთო თეორიული საფუძველი კი კვლავ სინამდვილესა და შესაძლებლობას შორის დიალექტიკა და მისი ობიექტური ხასიათია. ეს ვრცელდება არისტოტელესეული „მიმეზისის“ განმარტების გარშემო ატეხილ კამათზეც. იმით, რომ ეს ტერმინი „მიბაძვა“-დ თარგმნეს, აღბათობის მოციქულებმა აგრეთვე გაუგონარი გაყალბება იტვირთეს დანაშაულად, რამაც შემდეგ ზელოვნების ისტორიაში ყოველ საბედისწერო როლი შესარულა და ზოგიერთი თეორეტიკოსი, როგორც, მაგალითად, ლუკასის ნაშრომებში, დღესაც ასრულებს; იმთავითვე სწორედ ამ გაყალბებაში პოვლობდა ყოველი სახის ნატურალიზმი თავის „ფილოსოფიურ დასაბუთებას.

„მიმეზისი“ ვინმეს, ცოცერონივით მეზებთან მწყრალად მყოფს, „მიბაძვა“-დ (imitatio-დ) რომ ეთარგმნა, დიდად გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ უფრო ბეჭათინი რომ აღონდნენ, რომლებმაც ეს მონაწიხი ორი თასწლეულის მანძილზე ილადადეს, არც ეს არის ასეთი სახის ერთადერთი შემთხვევა იმ სამყაროში, რომელიც თავის სასკოლო სიბრძნეს ბიბლიიდან იღებდა; ასე რომ, ძველი უაღრესი კეთილსინდისიერი ფილოლოგს კარგა თავსატეხი უნდებოდა, როცა ამ პრობლემას ეყაბებოდა, მით უფრო, რომ ეს შეყაბება „მიმეზისის“ ცნებასთან მართი კოეტივის წყალობით ერთობ მაგარი იყო ხოლმე. კოლერის გამოკვლევის ფილოლოგიურ-ლექსიკური ასპექტი (Die Mimesis in der Antike Bern 1954) მხოლოდ აღტაცებს თუ იმსახურებს. მართლაც და, სტრაბონის, არისტოტელეს, ათენაიოსის (არისტოქსენოსის) და არისტოტელეს ქმნილებებში იმდენი ადვილია, სადაც ამჟამად მკვლავდება „მიმეზისის“ „მიბაძვით“ თარგმნის სრული უარობა, რომ, ვინც დღეს კიდევ ამ თარგმნის უტყრის მხარის, თვითონვე გამოიტყვას თავის თავს ნამდვილ კრიტიკოს-ინტერპრეტატორთა რიგებში და... როდესაც, მაგალითად, არისტოტელეს „თესმოფორიადესებში“ (850) ირონიულად აკითხვიანებს მესელიოქოსს, თუ რომელი ნაწარმოებით ვადაობირებდა ის ტრაგიკოს ევრილიდეს და იქვე გესლიანად ამასუბებინებს: „ჰა, ჰა, მე უბრალოდ „ახალ ელენეს“... — ჩვენ ხომ ტანმ უხამსობას ჩაუიღვინდით, აქ „მიმეზისი“ „მიბაძვით“ რომ გვეთარგმნა: „მე უბრალოდ „ახალ ელენეს“ მივბაძვებდი...“ ამიტომ საესებთან სწორად წერენ აქ იოან ჰ. დონერი, ლუდვიგ ზეგერი და სხვა მთარგმნელები „წარმოდგენას“, ნაცულად „მიბაძვისა“ („მე უბრალოდ „ახალ ელენეს“ წარმოვადგენდი“). მაგრამ დაეუბრუნდეთ არისტოტელეს „პოეტიკას“. მეორე თავის ბოლოში იგი ასე განმარტავს ტრაგიკოსსა და კომედიას შორის განსხვავებას: „ერთს სურს ადამიანები წარმოადგინოს უარესებად,

მეორეს კი — უკეთესებად, ვიდრე ისინი დღეს არიან“. და თუ ეს ადვილი „ანტარტული კონტრასტის კამი“ (ბერლინი, 1964) ასე ითარგმნება „სურს სურს მიბაძვას უარეს ადამიანებს, მეორეს კი — უკეთესებს, ვიდრე ისინი დღეს არიან“, ეს ხომ თვით პოლიციისთვისაც მიუღებელი უაზრობაა როგორ შეიძლება მიბაძვო იმას, რაც სინამდვილეში საერთოდ არ არსებობს? თუ არა და, არისტოტელეს ასეთი აბსურდი უნდა მიაწერო, რომ წარსულის ადამიანები ან უკეთესები არიან და ან უარესები დღევანდელ ადამიანებთან შედარებით. კიდევ ერთი მაგალითი. 25-ე თავში არისტოტელე ამბობს, მიმეზისის სამი ნაირხეობაა არსებობის: საესებთან ან ისე უნდა წარმოადგინო, როგორც ისინი იყვნენ ან არიან, ან ისე, როგორც ამბობენ და ფიქრობენ, რომ ისინი არიან, ან კიდევ ისე, როგორც უნდა იყვნენ. აქ „წარმოდგენის“ მაგიერ რომ „მიბაძვა“ ყოფილიყო, სრულიად გაუგებარი იქნებოდა, როგორ უნდა მიბაძვო იმას, რაც არ არსებობს, არამედ უნდა არსებობდეს. მაგრამ გადამწყვეტი არგუმენტი „მიმეზისის“ „მიბაძვით“ თარგმნის წინააღმდეგ სწორედ „პოეტიკის“ IX თავშია, თუ კი პოეზიის სპეციფიკური საგანი ნამდვილად მოხდარი კი არ არის, არამედ — შესაძლებელი, მაშინ გამოდის, რომ არისტოტელეს „პოეტიკა“ უსაშველო ლოგიკურ შეუსაბამობაზე აგებულია: იმის მიბაძვას მოითხოვს, რაც საერთოდ არ არსებობს, როგორც გრძობა-დღემად!

საკუთარი, რომ ყოველდ გონებასახვილში ფილოლოგისმა, კოლერმა სწორედ ეს ძირითადი შეუსაბამობა ვერ შეამჩნია. სხვათა შორის, ფრიდრიხ ტომპერგიც თავის წიგნში Mimesis der Praxis und abstrakte Kunst, Luchterhand (1968) პროფესიული სიბეცის კიდევ ერთ მაგალითს გვაწვდის. ეს რომ სწორედ პროფესიული სიბეცეა, ამას აღსატყრებს ერთი წინადადება კოლერის სხვა მხრივ ზედმიწევნით ფილოლოგიური სიზუსტით შესრულებული ნაშრომიდან (გვ. 45). აქ ვკითხულობთ, რომ თავდაპირველად მიმეზისის არაფერი ჰქონია საერთო რეალიზმთან, ბუნებასეულ სიმართლესა და სხვა ამისთანებთან; ლამის ისიცა თქვას რომ სულე ამოჩიოთ იყო საქმე; თითქოსდა ცუცკასთან, უპირველესად კი გუნდურ ცუცკასთან, თავდაპირველი კავშირი იმთავითვე კრძალავდა ყოველგვარ რეალიზმს. კი მაგრამ, რატომ? იმიტომ, რომ ამას, თერმე, იაფი სტილიზაცია, ცარიელი მინიშნებები მოჰყვება და „ამგვარად... ასევეს იგი, — მიმეზისის ცნებაში საერთოდ არ შეინიშნება მიბაძვა, რეალიზმისაკენ რაიმე ტენდენცია“. როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშე უმაღლესი რანგის, კრისტალურად დაწმენილი კაბინეტური სწავლული. „ნამდვილი მარკალიტი“, იტყოდა ლენინი. ფილოლოგიურ-ლექსიკალური დოკუმენტის ასაბრუნებელი მამაცია

მეამბოხე ინიკებს და კაბიშულაციას ახდენს ესთეტიკაში მიბაძვის დოგმატიკისთა წინაშე, არისტოტელეს აზრს ღირებს უფენს წინ, რადგან ისევ ჰკარგავს ვაგებულებას და აღიარებს, რომ რეალიზმი რაღაც ისეთს ბრძოვულს, სასაცილოსა და ბავშვურს უკავშირდება, როგორც მიბაძვის დოგმა. რეალიზმს ნატურალიზმში ურეესს და ამის შემდეგ ბატონი ფილოლოგისი კიდევაც წყრებთან, როცა აბეზარი სტუდენტები მწარედ ოხუნჯობენ მათ პროფესიულ იდიოტიზმზე. მაინც როგორ შეიძლება მიბაძვ შესაძლებელს, რომელიც ჭერ არ არის და გვების არც ოდენსე იყოს, ამის წინასწარ პრაქტიკულად ჩვენება უნდა, ეღრე გერმანული სიტყვის საკუთრივი აზრის წვალებას შეუდგებოდეთ.

მაინც რას ნიშნავს არისტოტელესათვის სიტყვები: mimesis, mimesthai, mimema, mimeses (წარმოდგენა, წარმოდგენენ, გამოსახულება და გამოშახველი)? ამის გასაღები შეიძლება ვიპოვოთ 24-ე თავში, — არისტოტელეს მიერ თბრობასა და მიშვის შორის დადგენილ განსხვავებაში. თუ პოეტის საკუთარი სახელით მოგვითხრობს, მაშინ იგი არ მიმართავს მიშვისს, მაგრამ თუ რაიმეს წარმოდგენს, ის უკვე არის Mimeses-ი, ანუ გამოსახველი. მაშასადამე, სიტყვა „მიშვისის“ და „mimesthai“ ზუსტად არ ითარგმნება. ის ნიშნავს გრძობად დად გასაგნებას (მაგალითად, ცეკვის დროს ადამიანის სხეულის ვნებათა, ხასიათების თუ მოქმედებათა გამოხატვას), სახის მიცემას, რაიმეს წარმოდგენას, რაიმეს წარმოსახვას და, ამავე დროს ძალზე შეზღუდულად, შემთხვევისდაცეალად, მიბაძვასაც. ამგვარი მიშვისის, არისტოტელეს აზრით, იქნებოდა ბელოუსოვასა და პროტოპოპოვის ფიგურული სრიალი უნებლზე, მაგრამ ამავე, მათ მიერ გამოხატული განცდების აღწერა რომელიმე რომანში, მიბაძვის თეორეტიკოსთა საწინააღმდეგოდ, არცერთ შემთხვევაში არ იქნებოდა მიშვისის, არამედ იქნებოდა უბრალოდ — თბრობის, ტერმინი მიშვისის, როგორც ზოგადი ცნება, შეიძლება მართლაც წარმოშობილყო ანტიკური ხელოვნების ფორმებიდან, რომლებიც თვალთა და ყუროთ აღიქმებოდა: ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, სადაც რაღაცა წარმოდგინებოდა. ებოს სწორედ იმთ განსხვავდება რომანისაგან, რომ იგი იმდრებოდა არცის თანხლებით (იხ. Demodokos, *Odyssey* VIII, 62-103). აქედან გასაგნობია, რომ არისტოტელე მას ისევე მიაკუთვნებს მიშვისისს, როგორც დრამას, დითირამბულ პოეზიას, კითარისა და ფლიტის დაკრის ხელოვნებას. თანამედროვე ხელოვნების თეორიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ხელოვნების დარგთა უფრო ზუსტი კლასიფიკაცია. მიმეზისის ცნება, ვითარცა notion générale, ხელოვნებათათვის, შესაძლოა, საეჭოეც გახდა. არის-

ტოტელე თვად გრძობდა ამ კატეგორიის შეზღუდულობასა და უზუსტობას, რადგან ზეირად აესებდა მას (უშეტესად იმდრედაში ნაშრომი) ზნით: apeikazein, eikazein, რაც ნიშნავს „წარმოქმნას“, „გამოსახებას“.

დღეს ეს ძალიან ზუსტად შეიძლება გადმოიცეს სიტყვით ikonisch — ხატოვანი (იკონური), რომელიც იმავე ფუძიდან არის აღებული, რაც ბერძნული eikazein-ია, ხელოვანი ხატოვანად წარმოსახვენ შესაძლებელს საქმის უკვე აღნიშნული ვითარების გამო, არისტოტელეს მიმეზისის „მიბაძვით“ თარგმნა არქიტექტურულა რამ არის და ესთეტიკის მატერიალისტური საფუძველთან იმდენზე აქვს საერთო, რამდენიც ემშაქვე შეთავსებებებზე იშის წარმოდგენებს გოეთეს მეფისტოფელთან.

ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, უკველია: სისტემური კავშირი არისტოტელეს ზოგად-ფილოსოფიურ კატეგორიებზე და მისი ხელოვნების თეორიის ფილოსოფიურ საფუძველს შორის. მაგრამ მაშინ რაღაც ვებასეხით შევიკარიელ ვიგონის მტკიცებას (Artemis-Verlag-ისმოდ „ძველი მსოფლიოს ლექსიკონში“ წარმოდგენის), თითქოს „პოეტისას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არისტოტელეს მთლიან შემოქმედებაში, რამდენადაც სრულიად უმნიშვნელოდ უკავშირდება მის მთელ დანარჩენ ფილოსოფიას; ან რაღაც ეთქვათ იმავე ცნობარში წარმოდგენილ კასელს დებულემაზე, რომ არისტოტელემ გაათავისუფლა პოეტოკა საკითხის კრიტიკულ-შემენენებით, ონტოლოგიური და სახელმწიფოებრივ-პედაგოგიური დაკვნებისაგან? ჭეშმარიტად, უცნური განთავისუფლება! ისმება კითხვა: ნუთუ ყველაფერი ეს მხოლოდ უეიკობა?

მაგრამ, საბედნიეროდ, რაღაც კარგიც არის სათქმელი. სახელდობრ, თუკი სპეცილისტ-ფილოსოფოსთა და ფილოლოგოსთ არ აღმოაჩნდათ უნარი, განევითარებნათ არისტოტელესეული ხელოვნების თეორიის შემოქმედებითი მარცელი, სამაგიეროდ, გერმანულ ლიტერატურულ კლასიკას შეუძლია თავის ღირსებად ჩათვალის მისი ხელახლა აღმოჩენაც და ისიც, რომ თავისი პოლემიკის მახელი მან სწორედ ბეთენ წარმართა. (უპოლემიკოდ კი, ცნობილია, საუკეთესო საქმეც კი მომავლინებოდა მოსაწყენი ხდება ამ ჭვენად).

როდესაც ლესინგი „ამბუტრგის დრამატურგიის“ 23-ე და 24-ე წერილებში იშის გამო ესხმის თავს ეოტერს, რომ ამ უკანასკელმა, თომე კორნელის „ესკუსის“ კრიტიკასა, პოეტრი და ისტორიკოსი ერთმანეთში არია, მაშინ როდესაც, ლესინგის აზრით, პიესა არ უნდა იყოს დილოგიზებული ამბავი, ადაგანაც თეატრში ის კი არ უნდა ენახოს, თუ რა მოიმოქმედა ამა თუ იმ ცალკეულმა ადამიანმა, არამედ ის, თუ რას მოიმოქმედებდა გარკვეული ხასიათის

შქონე ადამიანი ვარკვეულ სიტუაციაში, აქ იგი ნამდვილი არისტოტელეა. დიახ, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეთა შემდეგ ლენინმა პოეზიის სპეციფიკური უფლებებისათვის უმაჰაცეს მებრძოლად გვევლინება. ანდა როდესაც იაკობინელი გეორგ ფორსტერი ამბობს, ბუნება და ისტორია მარად დუშრეტელი წყაროებიაო, საიდანაც პოეტი ისე ქმნის, რომ მისი შინაგანი გრძნობა მის შეხედულებებს აყალიბებს და აკლავ აუცილებს, ვითარცა ზელანდა გამოკვეთილ სახეებს შესაძლებელისა, ენაც ვაუყალებელი არისტოტელეა. იგივე თეზა გვხვდება შილერის ესეში — „მშვენიერ ფორმათა გამოყენების აუცილებელი საზღვრებისათვის“ (IA — 12, 129): „ხელოვანი მწერალი წარმოგვიდგენს საგანს, რომელსაც განასახურებს, გაცილებით უფრო ვითარცა შესაძლებელს ანდა სახურველს, ვიდრე დამაჩერებელს ნამდვილობისა და აუცილებლობის თვალსაზრისით, რამეთუ მისი ფიქრი თავს იჩენს მხოლოდ როგორც ნებისმიერი ქმნილება წარმოსახვის უნარისა, რომელსაც თავისთავად არასოდეს შეუძლია იყოს თავის წარმოდგენათა რეალობის თავლები“. შილერის ეს ფორმულა, თუცა იგი უშუალოდ არისტოტელეს მიერ არის შთაგონებული, მაინც იმ რიგის კონკრეტულის წარმოადგენს, რომელიც გზას უსწნის შესაძლებლის კატეგორიის სუბიექტივისტიურ ინტერპრეტაციას.

და მაინც, ცხადია, ერთობ სანუგეშოა, როცა კაცს შევიძლია ორი ისეთი ავტორიტეტი დამოწმო, როგორც ბრეპტი და ვორკი არიან, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ მათგანს ვერაფერთა შემთხვევაში ვერ დააბრალებ არისტოტელესადმი ფარულ მიდრეკილებას, ხოლო მეორე მხრივ ვერც მოუხსენიებლად ავტო გვერდს. თუკი დღევანდელ ესთეტიკაში ვინმეს დარწმუნება გინდა. (იხ. Sinn und Form, 1969, 1, „Zukunftslinien“, გვ. 178).¹

¹ თავისი ვრცელი ფილოსოფიურ-ესთეტიკური გამოკვლევის, — „მომავლის ხაზების“, — აღნიშნულ ადგილას ვიჩინეს, სხვათა შორის, წერს: „მისა, რომ ბრეპტიც იყო დარწმუნებული, რომ შესაძლებლობათა გთიმამება (და არა თამამში) წარმოადგენს პოეზიის თავდაპირველ სარბიელს, ადასტურებს პოემის ენარა, რომლის

ვორკის შემოქმედების დომინანტიც სინამდვილესა და შესაძლებლობას შორის დრადექტიკაა. სწორედ ეს დიალექტიკა [მტყვეს] ხდამბანის, როგორც ისტორიული სუბიექტის, ვანეითარების პრობლემის, მის განზორციელებას იმ ალტერნატივებიდან ერთ-ერთის ამორჩევის გზით, რომელთაც მის ისტორია სთავაზობს შემოქმედებითი საქმიანობისათვის. სინამდვილეს შესაძლებლობის ეს დიალექტიკა თავისი უმაღლესი წარმადობისათვის მოითხოვს სწორედ ადამიანურ უნარს, რაც სწორედ ამიტომ გვევლინება დომინანტად მხატვრული ქმნის აქტიში! ეს არის პროდუქციული ფენტაზია, რის ვაკეზაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრ რაგიან პირვნებას უკირს, რადგან თვითონ ძალზე ნაკლებად ფლობს ამ კემპარტ ნიჭს, ბუნების გამო კი არა, არამედ იმის გამო, რომ იგი დაზიანებულია. არისტოტელესეული მიგნება, მამასადამე, პრინციპულად სწორი იყო. ამიტომ დღეს ლიტერატურის ობიექტური თეორიის დადგენისათვის არისტოტელეს აღმოჩენა არსებითი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია, როგორც რალაც „სამედამო მემკვიდრეობა“, რომელსაც, კიდევ ერთხელ რომ დავიმოწმოთ ლენინი, გვერდს ღარბულად ვერ აუუელით, რადგან დიდი გულისფერი გვმართებს ჩვენ საყუთარი შეხედულებების წარსულში მდებარე საწყისთა მიმართ. სწორედ ისეთ საზოგადოებაში, როგორც ჩვენ სოციალისტური საზოგადოებაა, რომელიც ადამიანის, ვითარცა genus humanum-ის განზორციელების ოპტიმალურ შესაძლებლობებს ეძებს და ცდილობს მის კანონზომიერებათა დაუფლებას, არსებითი მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნების, როგორც ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის ერთ-ერთი პირობის, საგნისა და ფუნქციის განსაზღვრას.

აქ კი საქმე შეფასების კრიტერიუმს, შეფასების გაბედულებას ეხება.

ესთეტიკურ ფუნქციას (მხატვრულ სახეთა ქმნისა) იგი ზედავს „უკვე შესაძლებლად ქცეულის გამოხატვაში... და ძნელად წარმოსადგენი ახლის ამოქმედებაში“. ბრეპტი, ანტიარისტოტელიანული დრამის თეორიასა და აშკარა არისტოტელიანული ხელოვნების თეორიაში! თურმე ასეთი რამეც ხდება! (მთარგმნელის შენიშვნა).



6960 ჩიხაძე

6960 ყიფიანი

ეს იყო 1894 წელს. ერთერთ სადღესასწაულოდ მორთულ სუფრაზე დიდმა აკაკიმ საჭაროდ მიმართა თავისი დროის უმშვენიერეს ქალს ნინო ყიფიანს:

„ნინო, შენ ქართველმა ერმა ანდერძი უნდა მოგვართვას, რომ ასე თვალის ჩინივით შეინახე დიმიტრის საყვარელი სახლ-კარი.

შენ არა თუ დავინგრევია იგი, როგორც ბევრმა ჩვენგანმა თავდაზნაურთა შეილებმა თავისი მიამაპასიებული მამული გაანიავეს, პირიქით, შენ ერთნაირად გაამშვენიერე ის, დიმიტრის რომ ასე უყვარდა, თავის სახლ-კარს პირმშოს რომ ეძახდა. ბარაქაა ქალო! აი, ამიტომ ვამბობ, რომ ქართველმა ხალხმა, ნიშნად მაღლობისა, ანდერძი უნდა მოგვართვას-მეტოქი“.

ნინო ყიფიანმა, მართლაც, დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა, როცა დანგრევასა და გაპარტახებას გადაარჩინა დიმიტრი ყიფიანის კარში-დამო და თავის სიცოცხლეშივე გადასცა საბჭოთა მთავრობას ქართველ მწერალ-მოდერნისტთა დასასვენებელი აგარაკის მოსაწყობად.

დღეს იქ ასობით და ათასობით დამსვენებელი ტაშისკარის ნიათი დამტკბარი და გავრილებული, არავთვხის მაღლობის გრძნობით მოიგონებს ამ კეთილშობილ ქალს.

ვინ იყო ნინო ყიფიანი?

ნინო ბეგანის ასული ტატიშვილი-ყიფიანისა იყო საყვარელი რძალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, „საქართველოს მამად აღიარებულ“ დიმიტრი ყიფიანისა და მეუღლე ცნობილი ქართველი მსახიობის კოტე ყიფიანისა.

ნინო ყიფიანი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას ძვირფას მამამთილს დიმიტრი ყიფიანს უმადლოდა. მას არ შეეძლო არ დაეთა-

სებინა დიმიტრის დიდი ქართული ტრადიციული ოჯახი, სადაც პირველად ჩაეყარა საღერველი ქურნალ „ციხისა“ და ქართული თეატრის დაარსებას, სადაც თავს იყრიდნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები: ალ. ჭავჭავაძე, ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, რუსი მწერალი სოლოგუბი და სხვ.

აქ წაიყვანა ი. ჭავჭავაძემ „მეფე ლილის“ ქართული თარგმანი და მეფე ლილის როლი თავის უაზლოეს მეგობარს დ. ყიფიანს შესთავაზა.

დიმიტრი დაბლოებული იყო ვორონეოვთან. რომლის კეთილი განწყობილებით სარგებლობდა დიმიტრი და მრავალ სასარგებლო საქმეს აკეთებდა თავისი საშობლობათვის.

დიმიტრი და მისი მეუღლე ნინო (ქილაშვილის ასული) დამამშვენიებელი სტუმრები იყვნენ ვორონეოვის სასახლეში გამართული წვეულებებისა.

ამ შესანიშნავ საზოგადოებაში მოხვედრილი ნინო ყიფიანი გულის ტყვილით წერდა ტრაგიკულად დაღუპული დიმიტრის შესახებ:

„მე მხოლოდ სამი წელიწადი მხვდა ბედნიერ წილად მისი მძლავრი ქეუის და მისი გველენის ქვეშ ვყოფილიყავი. პირველ დღიდანვე შვილივით შემეყვარა, ცდილობდა სწავლა-განათლებას მზრივ ჩემთვის ზელი შეეწყო, მაგრამ ამას ის არ მიჩვენებდა მასწავლებლის კილოთი. არა, მესაუბრებოდა ყოველთვის ისე, რომლის შემთხვევით სიტყვამ მოიტანაო.

ჩვენის საღამარაყო თემა ხშირად იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მისი აწყრო და მომავალი“.

ამიტომ როდია საკვირველი, თუ დიმიტრის ფრთებქვეშ გაზრდილი ნინო თავიდანვე გუ-

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ნინო ყიფიანის არქივი, № 11134.

1 ლიტერატურული მატინე, 1939 წ. №1-2 გვ. 14.

ლისწრომითა და პოტესტის გრძობით გა-
ნიმსჭვალა ცარიზმის კოლონიური პოლიტი-
კის წინააღმდეგ.

1896 წელს ვაზ. „კავკაზის“ რედაქტორის
პატივსაცემად გამართულ პანკეტზე ნინომ სა-
სტიკოდ ვაჟირიტია შეფის წყობილება. მისმა
ამდღვემდღეს სიტყვამ ისე იმოქმედა რე-
დაქტორზე, რომ ფეხზე ადგომით შეესვა დარ-
ბაისელი მანდილოსნის საღლავრებლო და ასე
მიმართა მას:

„მე ახლა მწამს ქართველი ქალის სიდადე
და მისი უკუდადება. ვრს, რომლის შთამომავ-
ლობა ასეთ ქალებს ზრდის, არა უშავს რა, თუ
აწყმონი არა, მომავალში დიდებული სეუ-ზედი
მოვლისო“. 1

დამიბრე ყფიანს იმდენად უყვარდა ნინო,
იმდენად პატივს სცემდა მას, რომ მის სურათს
ჩონბინ აღარებდა. ცხადია, დამიბრე დაუმსახუ-
რებლად არავის შეიყვარებდა. იგი საათობით
გვერდით ეწდა ნინოს, ასწავლიდა ფრანგულს,
ზრუნავდა მის გონებრივ განვითარებაზე. მო-
ხუცი ხარობდა თავისი შვილის კოტესა და ნი-
ნოს სახით ნამდვილი, სულიერი მეგობარი
ჰყავდა.

თეთონ კოტე თავის სათნო მეუღლეზე
წერდა:

„ყოველივე ღონისძიებებით აღლოდისმენტე-
ბის გამოწვევას არ ეცილობდი, საზოგადოების
აზრს დიდად ვაფასებდი, ხოლო ჩემი საუკე-
თესო მსაყული ჩემი მეუღლე ნინო ბუვიანის
ასული იყო.“

ყოველი წარმოდგენის შემდეგ მას დავეკით-
ხებოდით: აბა, მითხარი, როგორ ვითამაშე-შეთქი
თუ ნინო მეტყობდა, ყარგადაო, მე კმაყოფილი
იყავი. თუ მეტყობდა ცუდათაო, ბეკრიც რომ
მეწვე, მე მაინც აღარ ვიყავი ჩემი თამაშის კმა-
ყოფილი“. 2

ნინო ქართული თეატრის გულშემოტიკარი
იყო. მუდამ გვერდში ედგა კოტეს. მან არა
ერთსა და ორ სცენისმოყვარეთა წრეს ჩაუყარა
საფუძველი. ქვიშეთის თეატრისთვის ნი-
ნომ საყუთარი თანხით შეუტყუთა ფარდა ახალ-
გაზღა მხატვარს მოსე თოიძეს. ნინოს ინიცია-
ტივით დაარსებული „ქვიშეთის ტრუპა“ კი
სასოფლო წარმოდგენებს შერთავდა სურამში,
ხაშურში, ვოშა და სხვაგან. ნინოს თანხონო-
ბით დაარსდა ქვიშეთში სკოლა, წიგნთსაცა-
სამართბულო, რომელთაც თვითვე ამარაგებდა
წიგნებით, ექრანლებით და საქირი ავეჯით.

ქვიშელებს ახლაც ყარგად ახსოვთ დიდი
ილიას სტუმრობა დამიბრე ყფიანის სახლში,
მანინ დამიბრე კოცხალი აღარ იყო, მაგრამ

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატუ-
რული მუზეუმი. ნინო ყფიანის არქივი. №11214.
2 ტურნალი „განათლება“, 1915 წ., №11,
გვ. 8.

ნილო დიდებულად გაუძლეა წვეულებას, სიტ-
ყვის თქმაც მას დაევალა.

„პირველი იყო ეს, რომ საჯაროდ შეფხვე
სიტყვა, — წერს ნინო, — ავღწქი, შინიკ შეე-
ხედე ილიას. დამიბრე შეშომცქერის, თითქოს
მამხმევებს, უცებ მაგონდება მისი ანდერძი
ქართლის დედისადმი:

„ქართლის დედაო, ძუძუ ქართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა.
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მის უზმადებდა მომავალ გმირსა“.

და ამ ლექსზე ვაშენებ პატარა სიტყვას გა-
მარტყებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელ-
მაც ხელი შეუწყო ქართველი ქალის გადაე-
ვარებას და შე სინანულის გრძობით ბოდის
უვხლი ილიას, რომ უშვილო ქართველი ქალი
ვერ ვერსულუბ ანდერძს...“

ქალის მიერ საჯაროდ წარმოთქმულმა სიტ-
ყვამ იმოქმედა ყველაზე, გაისმა მჭურბურ ტა-
ში. აქეთ-იქიდან დამიწყეს კოცნი, მაგრამ ჩემი
ყურადღება მხოლოდ ილიასკენ იყო მიქცე-
ული...“

ის გამტყრებით მიუყრებდა, თითქოს ფიქ-
რობდა იმ ქართველ დედაზე, რომელსაც უნდა
ეხსნა კირთებ ქვეშ მგვინავი საქართველო.

და მე, როგორც ერთერთს დედათა შორის
გულზე მომხედა მისი სიტყვა, და ეს უნდა უო-
ფილიყო მიზეზი იმ კმაყოფილებით სავდე ღი-
ბილისა, რომელიც ბოლოს ილიას გადაეშალა
სახეზე და რომელსაც, ვფიქრობ, ვერ მოგვრი-
და ვერაერთაზი მისდამი მიმართული დიდი
მშვერმეტყველებით წარმოთქმული სიტყვა“

ნინო ყფიანმა თავისი საქმიანობის სწორედ
დიდი ილიას შეხედულებებით დაუღო საფუძ-
ველად, რომ ქალი ისევე მიწოდებულთა საზო-
გადოებრივ-სამეცნიერო-ლიტერატურული მო-
ღვაწეობისათვის, როგორც მამაკაცი.

ნინო ყფიანი ქართველი ქალის უფლებები-
სა და თანასწორობის დსაცაყად გამოდიოდა.

1896 წელს, როცა ნინომ პირველად დასტამ-
ბა თავისი ვრცელი წერილი „ქართველი ქალე-
ბის მოღვაწეობის მიმოხილვა“, ორი აზრი არ
ყოფილა იმის შესახებ, რომ ნინო ყფიანის
სახით მწერლობაში მოვიდა ნიკეირი პუბლი-
ცისტი.

ნინო ყფიანი იყო წ.-კ. გამაგრცლებელი
საზოგადოების გამგეობის წევრი, მისი ინიცია-
ტივით 1907 წ., ილიას ტრაგიკულ დაღუპვას-
თან დაკავშირებით, წ.-კ. გამაგრცლებელ სა-
ზოგადოებასთან დაარსდა ე. წ. ო. კავკავაშის
ფონდის გასაძლიერებლად „თბილისის ქალთა
წრის კომისია“.

„დაესხდით იმ უბედურის შვილები და
შეეცარენთ სევედის მოსანანიებლად, მისი
ხსოვნის რაიმეს აღსანიშნავად“, — წერს ნინო

მგლოვიარე ქართველი მწერალი ქალების თავ-
შეკრების შესახებ.

მართლაც, „თბილისის ქალთა წრის კომი-
სის“ შემადგენელ ქალკად თუ სოფლად ფართო
ხასიათი მიეცა. იგი მიზნად ისახავდა შექმნი-
ლიყო სწავლა-განათლების საერთო ფონდი,
რომელსაც ხელი უნდა შეეწყო უმაღლეს სას-
წავლუბელში ქალების გაგზავნისათვის. თვი-
თონ ილია თავის სიკაცულზევე ფიქრობდა
ასეთი ფონდის შექმნას.

ამ საქმეში ნინოს მხარში ედგნენ ე. ვაბაშ-
ვილი, მარიამ ღემურია, ანასტასია თუმანიშვილ-
წყერულისა, ნინო ნაკაშიძე, ელენე დაფქვი-
აშვილი, ე. ბროძელი-ანტონოვსკაია, ან. ამირა-
ჯიბი, ნ. ჩერქეზაშვილი, ნ. უგრელიძე და სხვ.
სწორედ ამასთან დაკავშირებით „თბილისის
ქალთა წრის კომისის“ სახელით ნინომ გამო-
სცა ცნობილი „მატიცა“-მოწოდება, და მასთან
დაურთო ჩებთა „მატიცის“ წესდება, რომლის
დანიშნულება და მიზანი სწავლისა და ცოდ-
ნის გავრცელება იყო.

წიგნის წინასიტყვაობაში ნინო წერს:
„ამჟამინდის ცხოვრების ეკლიან გზის ველსა,
მტრის დახვედრას, მოყვარულთან მოყვარობს,
— უველადფერს უნდა სინათლე. ეს სინათლე
სწავლა, სწავლა საერთო, სწავლა სპეციალურ-
რი, და ეს კი ჰქნენ ხალხს უდიად აკლია.

სხვისი შემომტყობილი, სხვისი იმედით მყოფ-
თი ხალხი, ყოველთვის ამ დღეში დარჩება.
ასეა დღეს, ასე იქნება ხელად, თუ სხვა ქვეყნე-
ბის მაგალითს არ მივეთხოვით.

გადაიკითხეთ ეს პატარა წიგნაკი ჩებთა, ჩვე-
ნსავით დაეწყებულნი პატარა ერისა, „მატი-
ცის“ — შესახებ. მთელი ტომი ვერ ვეტყუოდათ
თქვენ იმის, რაც ამ პატარა წიგნაკში გამოხა-
ტულია.

ეს ვეტყვით თქვენ, რა შეშლებია ერს, ხე-
ლოვნებას, რა საქმეებს ქმნის კაპეიტი. ჩვენ ვი-
თხოვთ მხოლოდ კაპეიტიკა!.

ამ გზით მოგროვილი კაპეიციებით ნინომ შე-
სწოლო მრავალი კულტურულ-საზოგადოებრივი
საქმის წამოწყება, ქართველ ქალებს შორის
ეროვნული თვითშეგნების გაღვივება.

საქმარისთა, თვალთ გადავაგლოთ იმ დროის
კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაციე-
ბის საქმიანობას, რომ წარმოვიდგინოთ ქარ-
თველი ქალების გამოფხიზლებისა და ამოქმე-
დების სურათი.

თუ, „თბილისის ქართველ ქალთა საზოგადო-
ებას“ თავმჯდომარეობდა პოეტი ქალი ლომინიკა
ერისთავა-განდეგილი, თავად-ანაურთა სკოლე-
ბთან არსებულ „ქართველ ქალთა კომიტეტს“
— პოეტ ე. ორბელიანის ასული მარია ჯაშუ-
კურ-ორბელიანი, მანდილოსანს (გორში) —

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურ-
რული მუზეუმი, ნ. ყიფიანის არქივი, №3921.

ანასტასია ერისთავა-ხომტარია, „იმედს“ ხელ-
ქღაპრულობდა ნინო ყიფიანი.

„ეკონომიურად დიდ გაჭირვებაში ყველაზე
ხალხი, მაგრამ ნიჭით კი არასდროს არ ყოფი-
ლა დარბი, და ეს ნიჭი კი, ხელოვნებისა და
სხვა რამე სპეციალურ დარგში გამოჩენილია,
სწორედ ამ ეკონომიური შევიწროების გამო,
საკმაოდ ვერ იფერჩნებოდა და მეტწილად
სრულიად ქრებოდა.

ეგრძე პირებისაგან, თუ რომელიმე საზოგა-
დოებისაგან დანიშნული სტიპენდიები ვერ
ასდროდნენ მოთხოვნილებას, და ხშირად ვაი-
სი-მოდა, რომ ახალგაზრდა ქალს, თუ ვაქს ნიჭი
აქვს, მაგრამ ხელმოკლეობა საშუალებას არ
აძლევს განავითაროს იგი“. წერდა მწერალი
ქალი.

ენერგიული შემაობით ნინო ყიფიანმა ერთ-
წილიწადში იმდენს მიიღწია, რომ საზოგადოე-
ბა „იმედს“ ჰყავდა სტიპენდიანტები კონსერ-
ვატორიასა, და უმაღლეს სასწავლებლებში
(მაგალითად, „იმედის“ ინიციატივით იქნა გაგ-
ზავნილი იტალიაში ცნობილი ქართველი მომ-
ღერალი ე. ჯამბაყაშვილი).

ასევე დიდი ეროვნული ინტერესებით იყო
ნაკარნახები ნინო ყიფიანის თავდადებული
ბრძოლა პოლიტიკურ-სალიტერატურო-სამეც-
ნიერო ფერნალის „ახალი მოამბის“ დაარსებ-
ისათვის.

მიუხედავად იმ სიმძვინვარებისა, რაც თან
სდევს გამოცემის საქმეს, საერთოდ, და მით
უმეტეს იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში,
ნინომ მოახერხა ახალი ფერნალის ნებართვის
მიღება.

საინტერესოა თვითონ ნინოს მიმართვა ცენ-
ზორისადმი:

„მოწყალე ხელმწიფევი დიდი ხანია აღარ
არსებობს ჩვენში თვიური სერიოზული ფერ-
ნალი. ეს ნაკლი ყოველთვის იყო შესამჩნევი,
მაგრამ უჯანსაღურ დროს უფრო საკარნობი
შეიქნა ყველასათვის.

არ არის ორგანო, სადაც დიწგი, ყოველ
მხრით აწინილ-დაწინილი, დაკვირვებით, გამო-
თქმით იხატებოდეს ჩვენს თვალწინ მიმდინა-
რე ცხოვრება და ირკვეოდეს მომავალიც. ამო-
სთან უადგილობის გამო თითქმის ისპობა მხა-
ტრული მწერლობა. არ არის კრიტიკა, მეცნი-
ერული წერილები თითქმის არ იბეჭდება.

აღარ ვიტყვით ჩვენი მწერლების სულიერ გა-
ნცებაზე, როდესაც ისინი იძულებული ხდებიან
კალამზე ხელი აიღონ, დაიხშონ ცოდნა, დიდი
გაჭირვებით შექმნილი, და ლეკმა პურის სა-
შოვნელად კანცელარიას მიამწრონ.

იმათი ასეთი განცდა თქვენთვის ადვილი
წარმოსადგენია. აგრეთვე, ცხადია თქვენთვის
ისინიც, რომ იმათი ნიჭი, განვითარების მაგივ-

1 იქვე.

რად, თანდათან დაზღუდვება, მინიატურებზე დახურვაღებება და ბოლოს უშეკვლად სრულად მოისპობა.¹

ნინო ყიფიანს უეღოა ეურნალის გარშემო კომპეტენტური პირები შემოეკრიბა. ამასვე მიუთითებს საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის ჩვენ მიერ მიკვლევითი წერილი ნინოსადმი:

„ბატონო რედაქტორო!
მადლობას შემოგწირავთ ხსოვნისათვის და დღი სიამოვნებით ევგებებთ თქვენს მოწოდებას, ამჟამად გაახლებთ ამ რჩეულს, რომელიც ჯერ გამოცემული არ არის, მხოლოდ რამდენიმე ეკვთმპლარია საშინაოდ დასტამბული, და ჯერ კორექტურაც აკლია. თუ მოიწონებთ და დაიბეჭდება თქვენ ეურნალში, მაშინ მეორე ნაწილსაც მოვითავებ. შემდეგში სტავ კიდევ რამეცნსაც მოვეუყრო თავს და გაახლებთ.“

რაც შეეხება შრომის პონორარს, მე ვრაცხ ჩემს თავს ვაღდებულად უსასუილოდ ვემსახურო შეძლებისდაგვარად სამშობლოს მწერლობას, ვინაიდან პატერიალური შემწეობა არ მესაქიროება.

თქვენდამი ღრმამპტივისცემით
გიორგი შერვაშიძე
7 ივნისი, 1915 წელი.“

ნინო ყიფიანს წერილით მიუმარტავს ნიკო ნიკოლაძისათვის, რომელიც იმ დროს ფოთის ქალაქის თავი იყო. წერილში ნინო, საერთოდ, წერს ქართული ნაღის მდგომარეობაზე, აცნობს ეურნალის დაარსების საქმის ვითარებას და სთხოვს ნ. ნიკოლაძეს, გამოთქვას თავისი შეხედულება ამ საკითხზე.

ნინო ყიფიანი თავადღებით იბრძოდა მშობლიური ენის სიწმინდისათვის. იგი გვერდში ედგა ილიას, აკაკის, ო. გოგებაშვილს. ერთერთ თავის წერილში, რომელიც 1895 წელს ვახ. „ივერიაში“ დაიბეჭდა, ნინო წერს:

„ადამიანი პირუტყვიდან განირჩევა მხოლოდ ლპარაკით. მამ როგორ, თუ კაცმა წერა-კითხვა არ იცის, რას შეიციუბს ქვეყნიერებისას, როგორ მიბაძავს წინ წასულ ერს.“

ნინო აკრიტიკებს და აევიტ იხსენიებს იმ ქართველ მანდილოსანთ, რომელნიც, საუბედუროდ, თავს არიდებენ მშობლიურ ენას, „სიცილს იწვევს, როცა „ზავდენკა“ ქალაშვილი თავის ღედას „მამაშას“ ეძახისო.“

1914 წელს, მსოფლიო ომის დროს, ნინომ სტავ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ხმა აფიშლა ქართველ მამამადანთა დასაცავად. იგი ეკ. ვაბაშვილის, დომინიკა ერისთავ-განდგვილის, ანასტ. თუმანიშვილის გვერდით მოღვაწეობს იბრძვის ქართველი მამამადანი ქალების სწავ-

ლა-განათლებისათვის, სკოლებისა და ბავლიოთეეების გახსნისათვის, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

აჭარაში ჩასულმა ნინომ სკტრარში ფუნქცი შემოიბრა სოფლები, გაეცნო ქართველი მამამადანი ქალების ცხოვრების მძიმე პირობებს და ამ საკითხს არა ერთი და ორი წერილი მიუძღვნა ვახუთში.

ნინო ყიფიანის ნაცნობ-მეგობრებს, მწერლებს — კ. გამსახურდიას, მარიჯანს და სხვებს ახსოვთ მის მიერ გახსნილი სასადალო „იმედი“, რომლის შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ნინო ფრონტზე მყოფ ჭარისკაცებს უგზავნიდა.

ნინო ქართველი ზალხის საყოველთაო სიუვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი ხშირად გამოდიოდა სიტყვებში, როგორც მავალითად, აკ. წერეთლის, რ. ერისთავის, ეკ. ვაბაშვილის, მაკო საფაროვა-ამაშიძის, ნატო გაბუნიას იუბილეებზე.

ქართველი საზოგადოება ნინოს უმადლის რომ პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ ნინოს მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე დაწერა მონოგრაფია დ. ყიფიანზე. ნინო ყიფიანი რომ ამ ყიფილიყო, ვინ იცის, როდის ეღირსებოდა მშის სინათლეს დ. ყიფიანის მემუარები და იქნებოდა თუ არა იმ სისრულით შედგენილი, როგორც დღეს არის.

პოტე-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი ივონებებს: „მე თუთონ ვიყავი მოწმე, როგორ გადაქმონდა ნინო ყიფიანს დიმიტრის მასალები ეტლით არჩილ ჯორჯაძესთან, რომელიც მაშინ სასტუმრო „გრანდ ოტელში“ ცხოვრობდა.“

როცა ნინო ყიფიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღინშინოს ნინოს აბო მონაწილეობა საუმაწილო ჟურნალის „ნადავლის“ დაარსების საქმეში. იგი ამ ეურნალის თანამშრომელიც იყო. ხშირად ახარებდა პატარებს ფრანგულიდან თარგმნილი მოთხრობებით.

ნინო ყიფიანი სრულად მოულოდნელად გარდაეცა 1937 წ. 24 ოქტომბერს, ქვიშხეთში. მას არავინ შეუწუხებია ავადმყოფობით. ვარდაცივლა ისე, რომ მეზობლის დამახებაც ვერ მოასწრო უკანასკნელი სიტყვის სათქმელად. იგი დაკრძალეს ქვიშხეთში, თავისი საყვარელი კარმიდამოს: მიჯრიც, პატარა ეკლესიის ფერდობზე, რომელსაც ამჟამად შავი მარმარილოს ძვება აშვევენს.

ნინო ყიფიანს დარჩა სრულად შეუსწაველი ლიტერატურული მემკვიდრეობა. იგი ძირითადად კრიტიკული წერილებისა, მოთხრობებისა და თარგმანებისაგან შესდგება. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ვინაიდან ნინო უმეტესად პრაქტიკული საქმიანობას ეწეოდა, იგი უფრო პუბლიცისტური ხასიათის წერილებს წერდა. ამ დარგში ნინო უფრო ნაკლებია. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო კრიტიკული წერილები

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ნინო ყიფიანის არქივი, №2372.

და მოგონებები თანამედროვე მწერლებსა და მოღვაწეებზე, გვაცნობს დიდი ილიას, აკაკის, ეკ. გამაშვილის, მაკო საფაროვას, არჩილ ჯორჯაძის, ნატო გაბუნიას, ეკ სარაქშივილის მ. ამირაჩიხისა და სხვათა ცხოვრებას.

თუნდაც მისი ერთი კრიტიკული წერილი — „შე-19 საუკუნის ქართული ქალების მოღვაწეობის მიმოხილვა“ ავიღოთ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქალის შესახებ, საერთოდ, ჩვენს ლიტერატურაში მისი მსკავისი არაფერი დაწერილა, იმდენად ფართოდ, საფუძვლიანდაც განხილული ქართული ქალის იდეურ-მორალური განვითარება და მისი საზოგადოებრივი როლი.

წინოს ინტელექტუალობისა და მისი სულიერი სიმამლის მარჯვენებელია წერილი დავით და ეკატერინე სარაქშივილების მოღვაწეობაზე: „გამახსენდა ის სულმოკლე წარსული, როდესაც განსვენებული ეკატერინე ჩვენი აზნაურების სახელით ბელმწიფე მიიღო ამ სასახლეში, რომელსაც მალე მოჰყვა იდექ. სუმბათაშვილის სტუმრობა ამ ოჯახში და ქართველი მწერლობის თავის მოყრა.“

ორივე ცოლ-ქმარი სიცოცხლეშივე საზოგადოდ შეკრების ადგილად თვლიდნენ თავის ოჯახს. სიცოცხლეში იყო ის სახლი ჩვენთვის და სიყვდილის შემდეგ ზომ მთელი მათი დიდი ქონება ჩვენ გადამოგვცა.

ღიბს იყო ოჯახი და აღარ არის, გაღმოდოდა ბარაქა და ჩაქრა.

სწქეფდა სიცოცხლე და ჩამოწყდა, დაშრა უღმობელია ბედის ტრაილი, დაუნდობელი“.¹

საინტერესოა მისი სხვა ნარკვევები და წერილები: „სიარეღი ნაბიჯი“, „დედა ენა“, „ზემი ლეგენდა თაბარზე“, „საქართველო იქნურება“, „ნ. ბარათაშვილის საფლავზე“, „მაშხადიან ქართველებთან“, „დამიბტიო ყიფიანი კერძო სოფრებაში“, „თანამედროვე სურათები“, „აქარის ხალხს“, „აკაკის ცხედართან“, „რა დავაშავე“, „ევაგონში“ და სხვ.

მხატვრულ ნაწარმოებთან აღსანიშნავია ნარკვევები — „მგზავრის შთაბეჭდილებაში“, „სოფელს დაეუბრუნდე“, „საბარლო დარეჯანი“, „შენ არ ვსტირი“, „სიზმარი“ და სხვ.

წინო ყიფიანის „სიზმარი“, ამ სადად დაწერილმა, პატრიოტულმა პატარა მოთხრობამ, დიდი გამოხმარება ჰპოვა ქართველ საზოგადოებაში. სასალხო პოეტმა ავადუმიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა იგი ცალკე წიგნად გამოსცა 1916 წელს თავისი რედაქტორობით.

„სიზმარი“ დაწერილია 1914 წელს, იმპერიისისტური ომის დროს, და შესანიშნავად გამოხატავს ქართველი ხალხის დამიძებულ სულიერ განწყობილებასა და მღელვარებას.

წინო ყიფიანის ფუნდამენტურ ნაშრომს მივნი

იტალიელი მწერლის ჯიოვანოლის „სპარტაკის“ ქართული თარგმანი წარმოადგენს. სწორედ ამ თარგმანმა მოუპოვა მას პოპულარობა. მთარგმნელი ქალის ამ დამსახურების გამო ეურნალი „კვალი“ წერდა:

„ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ქართულ ენაზე უცხოეთის პროზიდან სასარგებლო და საჭირო თარგმანია, რომლის დაფასება კარგად შეუძლია ხალხს. პირველი აგლუხი კაცის ისტორია“, მშვენივრად ნათარგმნი იგი მაქავარიანისა, და მეორე კი ეს „სპარტაკი“.

აღსრთოვანებული წინო ყიფიანი, რომელიც არ მოელოდა თავისი შრომის ასეთ დაფასებას, ზაქარია ჭიჭინაძეს სწერს:

„შიგილე შენი წერილი, რომელშიაც ასეთ აღტაცებას მწერ „სპარტაკის“ შესახებ. ისეთ შრომად სთელი იმის ვადმოთარგმნას და საზოგადოდ ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევ ამ წიგნს ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ შე არც კი შეგონა ეგეთი ჩემი შრომა. დიდი მოხარული ვარ, თუ კი ეგ მართლა ევრეა.“

შვიდი წელიწადია, რაც ეგ წიგნი გაღმოვარგმნე და ვერ მოვახერხე დაბეჭდვა. დღეს, როგორც იყო, შევძელი გამოცემა და სწორედ ამიტომ დავაღე ასეთი მცირე ფასი, რომ ხალხმა წაიკითხოს-შეთქი“.¹

წინო ყიფიანს „სპარტაკი“ უთარგმნია 1897 წელს, ზ. ჭიჭინაძისადმი მიწერილ ბარათში წინო წერს, შვიდი წელია, რაც ეს წიგნი ვადავთარგმნეო. ცალკე წიგნად კი წინოს მიერ ნათარგმნი „სპარტაკი“ 1901 წელს გამოვიდა, რასაც ადასტურებს ეურნალი „კვალი“ მოთავსებული შემდეგი ინფორმაცია:

გამოვიდა „სპარტაკი“, ისტორიული რომანი ჯიოვანოლისა, თარგმანი წინო ყიფიანისა.

ჯიოვანოლის რომანი „სპარტაკი“ დიდხანს ცნობილია რუსულ ლიტერატურაში და ვისაც იგი წაუკითხავს, დარწმუნებული ვარ, ძლიერ ესტეტიურ სიამოვნებას მიიღებდა.

სწორედ მაღლობის დარსია წინო ყიფიანი, რომ ასეთი მშვენიერი წიგნი ეძღვნა ქართველ მკითხველებს“.²

აღმართოვანებული წერილი ვაუგზავნიათ წინო ყიფიანისათვის ტფილისის რკინიგზის დეპოს მუშებს:

„თქვენ მიერ ნათარგმნი ისტორიული რომანი „სპარტაკის“ წაიკითხე ამ აღტაცებაში მოვიყვანა... თავისუფლად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ დღესაც ზედამოჭირი ვაკეთებთ შეადგენს სპარტაკის სიყვარული ჩაგრულთა მშენსადმი...“

დღესაც იგივე მონობა, დღესაც ერთი ბატონია, მეორე კი მონა, მხოლოდ სხვადასხვა ფორმაში ვახვეული.

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ზ. ჭიჭინაძის არქივი, № 574.

2 ეურ. „კვალი“, 1901 წ. № 12-13, გვ. 2.

დიდ მადლობას ვიძღვებ... ვისურვებთ თქვენებრ სხვანიც შრავალი აღმოჩენილიყვნენ და თქვენი მიზანძეთ სამსახური გაეწიათ ერისთვის»¹.

1902 წელს ნინო უფიანის ნათარგმნს „სპარტაკს“ გამოეხმურა ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და მკვლევარი ალექსანდრე ზახანაშვილი.

„ეს წიგნი ნამდვილად სიამოვნებას აღძრავს ყველას, ვისაც გული უცემს დაზარაღულთა საწევრეშებლად.“

პატივი შთარგმნელს, რომ მან არ დიშურა, შრომა და ხარჯი ამ წიგნის გამოცემისათვის. ამის მთარგმნელი, იმეღია, ხელს მოაკიდებს სხვა ამგვარ თხზულებათა თარგმანს.

და ჩვენ ვერჩევთ, ვერადღებთ შიჰციოს ტურგენევის, ტოლსტოის და ანდრეიოს, იბსენის და სხვა რუს და ევროპელ ავტორთა ნაწარმოებებს»².

სამასუბხო წერტილში ნინო უფიანი მადლობას უხდის ალ. ზახანაშვილს იმ რჩევა-დარჩებებისათვის, რომელიც მისცა მთარგმნელს შემდგომი შემართებისათვის.

„ღრმად პატივცემული ალექსანდრე! დღეს მე სრული კმაყოფილი ვარ, რადგან თქვენი სიტყვა, ზემო წიგნის შესახებ წარმოთქმული, სრული საქმარისია ჩემთვის, საემარისია, როგორც ჯიღლა.“

გიმეორებთ ჩემს მადლობას და გთხოვთ დასახელებით მიმითითოთ იმ მწერლებს თხზულებანი, რომელზედაც ამბობთ, რომელი უფრო არის. თქვენი აზრით, ღირსი ვაღათარგმნის რასაკვირღელია. ჩვენი ლიტერატურისათვის, არც ერთი მათი ნარკვევა არ იქნება ზედმეტი, მაგრამ ვიგულისხმებთ ჩვენ მოთხოვნილებას და იმ გაჭირვებას, რა გაჭირვებითაც იბეჭდებიან წიგნები. ნებაუნებურად უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვანსაყუთრებით იმ შინაარსის წიგნებს, რომელიც გამოხატავს აწინდელ ცხოვრებას და მის მიმდინარეობის მდგომარეობას. ამიტომ იმეღი მაქვს დამეხმარებით და სწორედ ამგვარი შინაარსის წიგნს მიჩვენებთ.

სხვაღვრიე იყავით ყარგად, ყოველგვარად ვაღატყებული ქვეყნის სიამედოდ. მიიღეთ გუ-

¹ იოსებ იმეღაშვილი, „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონიდან“.
² ვახ. აცნობის ფურცელი“, 1902, № 2.

ლითადი მოციოხვა და პატუვისცემა როგორც ჩემგან, აგრეთვე ჩემი ქმრიდანაც

ნინო უფიანი 1902 წ. 1 მაისი

„სპარტაკს“ ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური და სოციალური მნიშვნეღობა. ამ წიგნმა ხელი შეუწყო შემათა კლასის ვითუთუნობიერებას, რვეოლუციურ დაზარზმას. ეს როღი იყო პატარა საქმე.“

ჯიოვანელის „სპარტაკი“, თავისუფლებებისათვის ბრძოლის ეს შესანიშნავი ეპოპეა, გამოსვლის პირველი დღიდანვე დამკედრდა ქართულ წიგნის თაროზე და პატივისცემით შემოსია თავისი მთარგმნელის, მწერლისა და მოღვაწის ნინო უფიანის სახელი.

ნინო უფიანის თანამედროვე, სიმღერითა და ცეკვით ვანთქმული, მაკინე ამირეჯიბი, რომლის ხელოვნებას ლექსებიც კი მიუძღვნის იღიამ და აკაკიმ, სწორედ ამასთან დაკავშირებით სწერდა ნინოს:

„შენი „სპარტაკი“ წავგივითხა (ღევან ზიმეღევმა). ჩვენს აღტაცებას ვერ აგიწერ და შენ წარმოიღვიგე, ასეთი ჰება-შესხმის შემდეგ სარდიონმა რა მიოხრა: — აი, შენ მხოლოდ ტღონკავ და მღერი, ზედა, ნინო უფიანს რა წიგნი ვადაუთარგმნილია.“

ასეც იყო: ყველასათვის ნათელი ვახდა, თუ რა სიმწელეებითან იყო დაკავშირებელი იმ ღროს ქალის მოღვაწეობა და ექვსასზე მეტგვერდიანი ნაწარმოების თარგმნა და გამოცემა.

ნინომ ახალგაზრდობის საუკეთესო დღეები და უძლიო ღამეები შესწირა ამ საქმეს; რასაც დღი სიუყარულის გარეშე, ცხადია, ვერ ვაკეთებდა.

ნინოს სიყვეღიამდე არ გავუღია კალამი ხეღიდან და თუ ოღესმე ყამი ვაუკეთებდა, საერთოდ ეღტურის დარგში ქართველ მოღვაწეთა მიერ გაწეულ შრომას, ქართული ქალის პირიუნებაც. ნინო უფიანის სახით, ვალმოხდილი წარსდება მადღიერი შთამოგვადლობის წინაშე.

¹ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ნინო უფიანის არქივი, № 3920.
² სარდიონ ამირეჯიბი — მაკინე ამირეჯიბის მეუღლე.
³ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ნინო უფიანის არქივი, № 1382.



ე. ხოშავაძე

უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ფესვები დიდი ხანია შეკვლევართა უკრადლებას იქცევს. ამ ურთიერთობის არა ერთი ფაქტი უკვე გამოვლენილი და შესწავლილია. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოითხოვს გამოიზიარებას, რაც უკრაინელი და ქართველი ისტორიკოსების, ლიტერატურის ისტორიკოსების თუ ხელოვნებათმცოდნეების და სხვა დარგის მუშაკთა ერთობლივ ამოცანას წარმოადგენს.

უკრაინელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიული ფესვების ახალი ფაქტების გამოვლენისა და უკვე ცნობილი მოვლენების უფრო ღრმად შესწავლას მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი (თბილისი, 1967 წ.). სესიაზე წაკითხულ მოხსენებების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულ იქნა წიგნად — „Из истории украинско-грузинских связей“ (გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1968 წ., რედაქტორი გ. პიჭუაძე).

წიგნში შესული სამეცნიერო წერილები უკრაინელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდსა და პრობლემას ეხება. ზოგიერთი მთავანი ფეოდალური ხანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ფაქტებს ამუშავებს, ნაწილი ეძღვნება უკრაინელი და ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონტაქტებს XIX საუკუნეში, ნაწილი კი სამეურნეო თანამშრომლობასა და კულტურულ ურთიერთობას საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, საბჭოთაო თანამეგობრობის დიდი სამამულო ომის წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული წერი-

ლები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თემატიკად ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი, მკითხველს მათი ვაცნობის შედეგად სრული წარმოდგენა ექმნება უკრაინელი და ქართველი ხალხების ისტორიულ ურთიერთობასა და თანამეგობრობაზე, დაწვეული ძველი დროიდან დღემდე.

აღსანიშნავია, რომ პირველი შეხვედრები ქართველებისა ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მეზობლებთან — სლავ ტომებთან ჯერ კიდევ არ არის ქვარცხანლად შესწავლილი. ამიტომ თითოეული ახალი ფაქტი მაკვირებს გულმოდგინე დაკვირებასა და განხილვას. თუკი აქამდე ცნობილი იყო ქართველებისა და სლავების შეხვედრის ფაქტები შორეულ წარსულში საქართველოს ფარგლებს გარეთ, ახალი მასალებით დამტკიცდება სლავთა ცალკე ჯგუფების ყოფნა დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ 14 საუკუნის წინათ. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ სლავების (ანტების) ცალკეული ჯგუფების საქართველოში (კოლხეთში) ყოფნის შესახებ ახ. წ. VI საუკუნეში მოთხრობილია ისტორიის მეც. კანდიდატის მ. ბრაინკესის წერილში: „სლავები ბიზანტიის ლაშქარში რიონზე VI საუკუნეში“. ავტორი ბიზანტიელი მწერლის აგათიას ცნობის ანალოზს საფუძველზე აღგვნა, რომ ანტების ორი რაზმი, დობროგესისა და უზიგარდის მეთაურობით, იმპერატორ იუსტინიანეს დროს, როგორც ბიზანტიელთა მოკავშირეები, იბრძოდნენ სპარსელთა წინააღმდეგ ფაზისის მიდამოებში. ამ შემთხვევაში ანტები გვევლინებიან სლავების მოკავშირეებადაც, რადგან ბიზანტიელი მოქმედებდნენ ლაზიკის მეფის გუმბაზის მოწოდებით სპარსელ დამპყრობელთა გასადევნად. ავტორი აღნიშნულ ფაქტებს გადმოვცემს ბიზანტია-სპარსეთის თუ ბიზანტია-სლავების პოლიტიკურ ურთიერთობათა ფართო ფონზე და თვით სლავური ტომების ისტორიის სათანადო დეტალების გათვალისწინებით.

XI-XII საუკუნეებში სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე დიდი ეთნიკურ-პოლიტიკური ძვრები ხდებდა. რუსული სამთავროების ზრდა და მომთაბარე ტომების (ყივჩალები და სხვა) ნაწილობრივ იწვევს უკანასკნელთა გადმოადგილებას სამხრეთისაკენ. ძლიერდება კონტაქტი ამიერკავკასიის ხალხებსა და მათ ჩრდილოეთ მეზობლებთან, როგორც სლავებთან, ასევე მათ მოწინააღმდეგე მომთაბარე ტომებთან. მართალია, ამ ეპოქის ზოგიერთი ფაქტი ქართულებსა და მათი ჩრდილოეთის მეზობლების ურთიერთობიდან სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენადმე ცნობილია, მაგრამ ბევრი რამ დაზუსტებას მოითხოვს. სწორედ ასეთ მიზანს იახავს ისტორიის მეცნიერებმათა კანდიდატის ნ. კოტლარის წერილი: „ყივჩალები საქართველოში და ვლადიმირ მონომახი“, რომელიც ამუშავებს რუსებისა და ყივჩალების ბრძოლების ფაქტებს XII ს. დამდეგს და ვლადიმირ მონომახის დროს რუსთავან შვეიწროვებულ ყივჩაღთა ერთგობა ტომის საქართველოში გადმოყვანას დავით აღმაშენებლის მიერ. ავტორი ძველ რუსულ მტიანებებსა და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით აზუსტებს ათრაქა შარადანის ძის მეთაურობით ყივჩაღთა აღნიშნული ტომის გადმოსვლის თარიღს (1111 წ.).

წერილში გაშუქებული ფაქტები მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ურთიერთობის შესწავლად მის ჩრდილოეთ მეზობლებთან — ჯერ ყივჩალებთან და შემდეგ სლავურ ტომებთან, რომელნიც თანდათან ფეხს იყიდებენ სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე და უახლოვდებიან ამიერკავკასიას. ცნობილია, რომ ცოტა უფრო მოგვიანებით საქმაოდ ცხოველი ურთიერთობა შეარდებდა ქართველებსა და საქუთარი სლავებს შორისაც.

უშუალოდ კიევის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესწავლა აქვს დასაბუღი მიზნად ისტორიის მეცნი. კანდიდატის ო. ეფრემოვის წერილს „კიევის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XII საუკუნეში“. ავტორი ფართოდ განიხილავს XI სუკ. მიწურულსა და XII საუკუნეში რუსეთს სამთავროების პოლიტიკურ ეთიარებას, კერძოდ კიევის მამონდელ მთავრის იზიასლავ მსტისლავის ბრძოლას კიევის სამთავროს ჰეგემონობისათვის. ო. ეფრემამ იზიასლავის დამოყვრების საქართველოს სამეფო სახლთან სხნის ბიზანტიელთა ვაჟლების მოწინააღმდეგე კიევის მთავრის პოლიტიკური მისწრაფებით დეკავშირებოდა ავტოკეფალური ეკლესიის მქონე უახლოეს მართლმადიდებლურ სახელმწიფოს და მიუღწია აქვარი კათალიკოზ-პატრიარქისაგან კიევის მიტროპოლიტის პატრიარქად კურთხევისათვის. ეს უკანასკნელი გამოდიოდა იზიასლავის მხარდამჭერად მის მოქმეშე მთავრების

წინააღმდეგე, რომელთაც ბიზანტია უჭერდა მხარს. ამგვარად, ო. ეფრემამე საქმაოდ დაუფიქრო ანობით ვარაუდობს, რომ XII ს. ყივჩაღთა მთავრისა და საქართველოს შორის შეარდებოდა თავისებური საეკლესიო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც იზიასლავის სიკვდილის ვამევერ იქნა ბოლომდე განხორციელებული.

ისტორიის მეცნი. დოქტორის ფ. შუკუნეის ნარკვევს — „ქართველები ზამორცივის ლაშქარში“ გადმოყვავართ იმ ეპოქაში, როდესაც, როგორც ქართველები, ასევე უკრაინელები, სამეკლდრო-სასიციცხლო განმთავისუფლებულ ბრძოლას აწარმოებდნენ თურქ დამპყრობთა წინააღმდეგე. მნელებულობის ეამს საქართველოდან რუსეთში ვაბტანე VI-ს ვაჟევა ქართველთა დიდი ჯგუფი, რომლის ერთი ნაწილი მოსკოვში დამეკლდრა, ხოლო მეორე ნაწილს რუსეთის სამეკლდრო ლაშქრობებში მონაწილეობისათვის ჯილდოს სახით მიეცა მიწები უკრაინაში. ამასთან ერთად საქართველოდან თურქეთში ვაგიდული თუ ტუვედ ჩავარდნილი ქართველები ვაქცივის შემდეგ სშირად უკრაინაში პეოვდნენ თავშესაფარს, სადაც ერწარდნენ ეახაკურ მოსახლეობას, იზიარებდნენ მის პედელბაღს. ნაწილი კი უკრაინის გზით ბრუნდებოდა სამშობლოში.

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის საკითხებია ვაშუქებული ისტორიის მეცნი. დოქტორის გ. პაიქაძის წერილშიც: „ქართველთა და უკრაინელთა ურთიერთობის საკითხისათვის XVIII საუკუნეში“.

ავტორი ებება ძირითადად ვაბტანე მეფის თანშლები ქართველი ემიგრანტებისაგან XVIII ს. 30-იან წლებში ქართველ პესართა როტის, ხოლო შემდეგ პოლის შექმნის ისტორიას. პოლემი ჩარცხულ პარეზს მიეცათ მიწები პოლდემინიში, სადაც შეიქმნა ქართველთა საქმაოდ კომპაქტური დასახლება. ახალ-მოშენეთა შორის იყო დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილიც, რომლის ცხოვრება და შემოქმედება წარმოადგენს ნიმუშს ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიული მეგობრობისა.

ავტორის ნაშენები აქვს, რომ უკრაინაში ქართველები ხედებდნენ სხვა გზითაც — თურქთა ტუველობიდან ვამოქციულები უკრაინაში აფარებდნენ თავს. ბევრი მთავანისათვის უკრაინა მეორე სამშობლოდ იქცა.

რუსეთსა თუ უკრაინაში ვადასახლებულმა ქართველებმა მარტო რუსეთის ლაშქრობებში მონაწილეობით როდი ვამოიმიენეს თავი. მათ შორის იყო კულტურის არაერთი ცნობილი მოღვაწე. უკრაინაში მცხოვრებ ქართველთაგან, ვარდა დავით გურამიშვილსა, ჩვენთვის ცნობილია უფრო მოგვიანო ხანის მთელი რიგი მოღვაწეების სახელებიც. ასეთი იყო, კერძოდ, ნ. წერეთელი, რომლის ღვაწლის ჩვენება აქვს

დასახული მიზნად ისტორიის წყნ. კანდაცატს ო. გვინიძეს წერილში — ნ. ა. წერეთელი, როგორც უკრაინელი ხალხური შემოქმედების ბეჭდების შემკრები და გამომცემელი. ნ. წერეთლის საქმიანობა ნიშნავს უკრაინის დამკვიდრებელ ქართველთაგან თავიანთ ახალ სამშობლოში გაშლილი ფართო კულტურული მოღვაწეობისა. წერილში გაშუქებულია ნ. წერეთლის მიერ უკრაინელი ხალხური შემოქმედების შეკრების, შესწავლისა და გამოცემის საქმეში შეტანილი დიდი წვლილი. აღსანიშნავია, რომ ნ. წერეთელი იყო არა მარტო უკრაინელი ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშების პირველი შემკრები, მათი დიდი შემფასებელი და პოპულარიზატორი, არამედ უკრაინელი კულტურისა და სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწე — ჯერ ტამბოვის, ხოლო შემდეგ პოდტაის გუბერნიების სასწავლებლების დირექტორი და ბოლოს ხარკოვის სასწავლო ოქქის მხრუნველის მოადგილე, ფაქტობრივად კი სასწავლო ოქქის გამგებელი. ნ. წერეთლის ამ შემოღობის ხანას ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობა თვლიდა ყველაზე უფრო ნათელ და ბედნიერ დროდ, ხოლო მას პირადად იხსენებდა, როგორც ნიჭიერ და საქმიანთვის თავადებულ მოღვაწეს.

ნ. წერეთელი დაკავშირებული იყო იმდროინდელ უკრაინისა და რუსეთის კულტურის პროგრესულად მოაზროვნე, მოწინავე ადამიანებთან. მან უკრაინელი ხალხური შემოქმედების საეწიწის შეკრება-გადარჩენითა, თუ სხვა სახის საქმიანობით დაიმკვიდრა სახალხო საქმის უნივერსალური მსახურის სახელი. ასეთი ადამიანების მოღვაწეობის გაშუქება თავისთავადაც და უკრაინის-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისითაც. უპირველთა, პეტრე სპიჩიკო და სასარგებლო საქმეა.

უკრაინაში მოღვაწე ქართველთაგან არ შეაძლებია არ მოვიხსენიოთ, შავალითად, ცნობილი ქიმიკოსები ე. პეტრიაშვილი — ოდესის უნივერსიტეტის რექტორი და პ. მელეჟინელი, იმავე უნივერსიტეტის პროფესორი, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. დასახლებული პირები დიდი პატივისცემით სარგებლობენ უკრაინაში და ყოველთვის მოიხსენებდნენ იქ მოღვაწე სხვა ეროვნების გამოჩენილ წარმომადგენელთა შორის.

XIX საუკ. მეორე ნახევარი ხასიათდება რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ანგარიშობით. სულ უფრო და უფრო ირღვევა ხალხთა ეროვნული კარნაქტილობის ჩარჩოები, მტკიცდება მათი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საფუძვლები, ახალი დროის უდიდესი მოღვაწე — დემოკრატიული პრესის გახდა ხალხთა საუკეთესო მონაპოვარის ურთიერთგაზიარების ყველაზე უფრო ქმედობით საშ.

უალბა. ამავე ამოცანის სამახებურზე რადეც დემოკრატიული ხელოვნება, თეატრი, ლიტერატურა. მიუხედავად ცარიზმის უხეშ კონტროლური პოლიტიკისა და შთავრების სიგანეგანი ღონისძიებებისა, ხელი შეეშალა ხალხთა თანამეგობრობისათვის, ხეც იქნა შენერებელი ხალხთა დაახლოების პროცესი.

უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნეში ორ წერილშია გაშუქებული: ფილოლოგურ მეცნიერებათა კანდიდატს ო. ბოგომოლოვს ეკუთვნის ნაშრომი: „ტრაის შევჩენსო და ქართველი საზოგადოებრიობა“, ხოლო ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს ნ. შალუტაშვილის — „უკრაინის-საქართველის თეატრალური ურთიერთობანი XIX ს. მეორე ნახევარში“.

დიდი უკრაინელი პოეტი ტრაის შევჩენსო და მისი შემქმედება აღრიდნენ იყრობს ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღებას. პოეტის სახელი უკვე 60-იან წლებიდან ჩნდება ქართულ და რუსულ ევრნალ-გაზეთების ფურცლებზე, შექმდება მისი ნაწარმოებების ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა, იბეჭდებო მათი თარგმანები. ტ. შევჩენსოს შემოქმედების დიდი თავაანისმცემლები იყენენ ქართული კულტურის მოამგენი: ო. ქავჭავაძე, ა. წერეთელი (უკანასკნელი პირადადაც იცნობდა პოეტს), ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ო. გოგებაშვილი, დ. ყიფიანი, ნ. დომოტრი და სხვები. 1911 წ. ხელისუფლების მხრივ პირდაპირი აკრძალვის მიუხედავად, ქართველი საზოგადოებრიობის მიერ პოეტის გარდაცვალებიდან 50 წლისთავი, ხოლო 1914 წელს მისი დაბადების 100 წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა, რაც ორი ხალხის თანამეგობრობის აშკარა დემონსტრაციად იქცა.

ნ. შალუტაშვილის წერილში ნაჩვენებია არა მარტო ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობანი, უკრაინულ მწერალთა შემოქმედების ქართულად თარგმნისა და საქართველოში გავრცელების, თუ პირიქით, ქართული ლიტერატურის ძეგლების უკრაინულად თარგმნის და უკრაინაში გავრცელების ფაქტები, ქართულ და უკრაინულ საზოგადო მოღვაწეთა კონტაქტები, არამედ საგანგებოდ არის გაშუქებული თეატრის როლი ამ ორი ხალხის დაახლოების საქმეში.

ავტორი საესებით მართებულად შენიშნავს, რომ XIX საუკუნეში, როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში, ლიტერატურა და თეატრალური ხელოვნება ეთთარღებოდნენ სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ნიშნით. ორივე ხალხის აზროინდული იდეური ბელადები კარგად გრძნობდნენ თუ მსახებო აღზრდის რა მძლავრ იარაღს წარმოადგენდა თეატრი და ამიტომ, მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა, არ ზო-

გადგინდნენ ძალებს თეატრალური ხელოვნებას განვითარებისათვის.

მე-10-იანი წლებიდან საქართველოში სისტემატურად ჩამოდიოდნენ უკრაინელი თეატრალური დასები, უკრაინის თეატრალური ხელოვნების კორიფეები. ამ უკანასკნელთ დიდი შეგობრობა აკავშირებდა ქართველ კულტურის მოღვაწეებთან. პატრიოტიზმი და სოციალური სიმპატიულე იყო საწინდარი უკრაინული თეატრის პოპულარობისა საქართველოში. მართალია, რევოლუციონელე ქართველი პროფესიონალური თეატრალური დასების გასტროლიები უკრაინაში ვერ მოხერხდა, მაგრამ თვით საქართველოშივე თეატრის უკრაინელი და ქართველი კორიფეების თანამშრომლობა, უკრაინის საუნივერსიტეტო ქლაქებში ქართველი ახალგაზრდობის ძალებით მოწყობილი თეატრალიზებული საღამოები და სხვ. იყო საშუალება ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციისა უკრაინაში, თეატრალურმა კონტაქტებმა დიდი სიმსახური გასწიეს ქართველ და უკრაინელი ხალხების დაახლოების საქმეში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში ქართველ ხალხს გაუხსნა გზა ურდველი კავშირის დასაყარებლად მომხმ ხალხებთან. ამიერიდან უკრაინელი და ქართველი ხალხების ურთიერთობა მჭიდრო კულტურულ თანამშრომლობასა და თანამეგობრობაში გადაიზარდა. დასახლებულ წიგნიშო მოთავსებულ წერილების დიდი ნაწილი სწორედ ამ თანამშრომლობისა და თანამეგობრობის გამოქვებას ეძღვნება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დენინტური ნაციონალური პოლიტიკიდან გამომდინარე სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ხალხთა დაახლოების, მათ შორის ძმური თანამეგობრობის და საწარმოო თანამშრომლობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა წარმოადგენდნენ მტკიცე საწინდარს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებისა. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში გაძლიერდა უკრაინელი, ქართველი და სხვ. ხალხების მეგობრობა. ვანსაუბრებთ თვალნათლივ ეს გამოძეადენდა მომხმ ხალხების ბრძოლაში მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიალისთვის, მრეწველობის წაშყვანი დარგების შემდგომი განვითარების, ახალი მაღაროების, ქარხნების, ელექტროსადგურების აგების საქმეში. ზემოაღნიშნული საკითხები, კონკრეტული მასალის საფუძველზე, თვალნათლივ არის გამოქვებული ისტორიის მეტ. კანდიდატების მ. ნათელაძისა და ს. სირცოვის ნაშრომში: „საქარ-

თველოსა და უკრაინის მეშათა კლასის თანამშრომლობა დიდ სამამულო ომის წლებში“

ომის შემდგომ პერიოდში სტეპულე კავშირზე ხალხთა და, კერძოდ, უკრაინელი და ქართველი ხალხების ცხოვრება კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ხალხთა შორის ეკონომიური კავშირი კომუნისტური აღმშენებლობის პროცესში ხორციელდება საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგების საფუძველზე. საკავშირო მასშტაბით სპეციალიზაციის და კოოპერაციის განვითარების გზით. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. პანინუდლასკის წერილში: „ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა და შემოქმედებით თანამშრომლობის განვითარება კომუნისტური აღმშენებლობის წლებში“ თვალნათლივ არის ნაჩვენები უკრაინისა და საქართველოს შორის მატერიალურ ღირებულებათა გაცვლის რილი ორივე რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებაში. საქართველოდან უკრაინაში იგზავნება ფეროშენადნობები, მარგანეცი, ბარიტი, მარმარილო, ავტომანქანები, ელექტროავტომატები, დახვევა, ქსოვილები; სოფლის მეურნეობის პროდუქცია: ჩიი, ციტრუსები და სხვ. თავის მხრივ უკრაინა იგზავნის საქართველოში შავ ლითონებს, ნახშირს, ქიმიური მრეწველობის პროდუქციას, ხელსაწყო-იარაღებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას — მარცვლეულს, მეცხოველეობის პროდუქტებს და სხვ.

უღელეს მნიშვნელობა ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში კვლავ ენიჭება სოციალისტურ შეფიბრებას, სპეციალისტების ვაცვლის და სხვ.

ორი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა თანამეგობრობისა და თანამშრომლობის ერთერთი თვალსაზირო და კარგად ცნობილი ფაქტა ვაშუქებულია ისტ. მეტ. კანდიდატის ნ. ტუპისა და ისტ. მეტ. კანდიდატის ი. ჭუკნიას ნაშრომში — „უკრაინის ვეტინესკის რაიონის და საქართველოს მხარაძის რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეფიბრება.“

გენიჩესკის რაიონის სკვპ XXII ყრილობის სახელობისა და მხარაძის რაიონის ორგანიაციის სახელობის კოლმეურნეობათა მშრომელების მეგობრობას დიდი ტრადიცია აქვს. იგი 1938 წელს ჩაისახა და წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა. აღნიშნულ კოლმეურნეობათა თანამშრომლობის მავალითი ფართოდ ვავრცელდა იმავე რაიონების სხვა კოლმეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოებზედაც, რამაც მნიშვნელოვან ვაზარდა მშრომელთა საწარმოო მიღწევები, ხელი შეუწყო სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

ქართველი მეგობრების შემწყობით გენიჩესკელმა კოლმეურნეებმა მნიშვნელოვნად ვაზარდეს ბაღებისა და ევენახების ფართობი, ზოლი უკრაინელი მეგობრების დახმარებით მხარაძე-

ღმა კოლმეურნეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქციის ზრდაში.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ისე დაახლოვა ორივე მხარე, რომ მათი ურთიერთობა ვასცილდა ოფიციალურ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებს და გადავიდა მჭიდრო მეგობრობაში, არა მარტო საწარმოო ბრძოლებს, არამედ ცალკეულ კოლმეურნეებსა და მათ ოჯახებს შორის. ვაცხოველდა მიწერ-მოწერა, სტუმრინაობა და სხვ. ვენიჩესკისა და მხაბარაძის რაიონების მშრომელთა თანამშრომლობა და მეგობრობა არის მავალით ხალხთა დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა არა მარტო სამეურნეო სფეროში, არამედ კულტურის დარგში წარმოადგენს ნათელ ილუსტრაციას ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში.

კულტურულ ურთიერთობათა ვადრმაგვებასა და კულტურის დარგში საბჭოთა ხალხების თანამშრომლობას კომუნისტური პარტია მიიჩნევს არა მარტო ეროვნული კულტურებისა და ერთიანი საბჭოთა სოციალისტური კულტურის განვითარების კანონზომიერების გამომატლებად, არამედ, აგრეთვე, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების მნიშვნელოვან საშუალებად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურული თანამეგობრობის გაძვივებას ისახავს მიზნად წინაშე მოთავსებული ორი ნაშრომი: ისტ. მეცნ. დოქტორის ც. კალანდაძისა და ისტ. მეცნ. დოქტორის გ. შევჩუკის წერილი — „უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან 1917-1941 წწ.“ და ისტ. მეცნ. დოქტორის დ. მასურაძისა და ისტ. მეცნ. კანდიდატის ლ. შევჩუკის — „უკრაინისა და საქართველოს ხალხების კულტურული თანამშრომლობის განმტკიცება დიდი სამამულო ომის წლებში და ომის შემდგომ პერიოდში.“

დასახელებულ ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრკ ხალხთა მეგობრობამ და, ერთდრო, ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურულმა ურთიერთობამ თვისობრივად ახალი სახე მიიღო. ეს ურთიერთობა გახდა მუდმივი და მრავალმხრივი. ფართო მასშტაბი მიიღო ხალხთა შორის მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ურთიერთგაცვლამ.

უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობანი ვლინდება სხვადასხვა ფორმით (— ლიტერატურული შედეგების თარგმნა, კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, თეატრალურ და სხვა საშემსრულებლო

მატერიალი კოლექტივების ვაცვლა, მეცნიერული თანამშრომლობა და სხვ.)

უკრაინელი მეცნიერების კოლექტივების მხრივ მოამე ხალხთა და, მათ შორის, ქართველი ხალხის წარსულითა და ბედობალით დაინტერესების მკაფიო მავალით წარმობადგენს 20-იან წლებში უკრაინაში შექმნილი აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოება და მისი საქმიანობა, რის შესახებაც მოგვითხრობს ისტ. მეცნ. კანდ. მ. დმიტრენკოს ნაშრომი — „აღმოსავლეთმცოდნეობის უკრაინის სამეცნიერო ასოციაციის მასალები და ეურნალი „აღმოსავლური სამყარო“, როგორც უწყაროები უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებას შორის შესასწავლად“.

საზოგადოების არქივმა შემოგვინახა მდიდარი მასალა, რომელიც მოწმობს, რომ 1925—1931 წლებში საზოგადოების წევრებსა — უკრაინის ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეებსა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებას შორის მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობა არსებობდა. საზოგადოების ყრილობების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ კ. კეკელიძე, ვ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ვ. ჩიტაია და სხვები.

საქართველოს ისტორიის მასალები შემოინახულია საზოგადოების პერიოდულ ორგანოებში, მათ შორის ეურნალ „აღმოსავლური სამყაროში“.

საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა და თანამშრომლობა დიდი სამამულო ომის პერიოდში არის ერთგვარი ბრწყინვალე ფერცული საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში. ამ მეგობრობამ, თვით საბჭოთა სისტემასთან ერთად, გაიარა მკაცრი გამოცდა, გამოიწვით და კიდევ უფრო განმტკიცდა ომის ქარცეხელში. სსრკ ხალხთა გმირობის ჩვენება ომში, მათი წვალიის, ურთიერთდახმარების წარმოჩენა და პოპულარიზაცია იველი ისტორიკოსების ერთგვარი საპატიო ამოცანაა. ასეთ მიზანს ისახავს ისტორიის მეცნ. კანდიდატის მ. ქოჩიაშვილისა და ისტ. მეცნ. კანდიდატის ი. სლინკოს წერილი „უკრაინელი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა უკრაინაში იატაკქვეშ და პარტიზანულ ბრძოლაში გერმანულ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ“. წერილში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ქართველი ხალხის შვილები გმირულად იბრძოდნენ არა მარტო სამამულო ომის ფრონტებზე, რევოლუციურ ჯარებში, არამედ მონაწილეობდნენ მტრის ზურგში იატაკქვეშ და პარტიზანულ მოძრაობაში. ავტორები აღნიშნავენ ასობით ქართველ მეომრებს, რომელთაც თავი დასდეს უკრაინის მიწის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. აღსანიშნავია, მავალითად, რომ საბჭოთა კავშირის გმირის ა. ოლდის პარტიზანულ ქვეყანაყოფებში იბრძოდა 71 ქართველი, რამდენიმე სხვა განაყოფში აღრიცხულია 70 ქართველი პარ-

ტიზანი. პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელთაგან ცნობილია საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, რომელიც იბრძოდა ლეგენდარული კოვკასის მხარდამხარ. ქართველმა პარტიზანებმა თავი ისახელეს ყირიზის განთავისუფლებისათვის ბრძოლებშიც.

დიდი სამამულო ომში ხალხთა მეგობრობის ერთერთი მაგალითის გამოქვეყნებას ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ციშბალის წერილი: „ხალხთა მეგობრობა, როგორც საწინდარი გერმანულ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ შავი ზღვის სატრანსპორტო ფლოტის მეზღვაურთა ბრძოლის (1941—1945 წწ.) წარმატებისა.“ წერილში მოთხრობილია იმ წვლილის შესახებ, რომელიც შეიტანეს შავი ზღვის სატრანსპორტო ფლოტის მეზღვაურებმა, და მათ შორის ქართველმა მეზღვაურებმა, კიევის, ოდესის, სევასტოპოლისა და სხვა ბუნებრივი გზით თაღდაცვის საქმეში, რითაც დიდი ხნით შეაფერხეს მტრის მოძრაობა დონბასის სამთამადნო სიმდიდრეებისა და კავკასიის ნავთობსაცენ. სამხედრო ფლოტთან ერთად, სამხედრო რესურსებით სამხრეთის ფრონტს ამარაგებდნენ სატრანსპორტო ფლოტის გემებიც. მათი ეკოაგები ხშირად უშეუღლო მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო ოპერაციებში ზღვისა და ხმელ აზერში. მათ მხარში ედგნენ აგრეთვე გემშემკეთებელი ქარხნებისა და ნავსადგურების მუშები — უკრაინელები, რუსები, ქართველები და სხვა ერების წარმომადგენლები.

მეგობრობა ხალხებს შორის ყველაზე უფრო თვალნათლად ვლინდება მათ წარმომადგენლების ხანგრძლივი თანაცხოვრების პროცესში. სამუქოთა რესპუბლიკების უმრავლესობა მოსახლეობის შედგენილობის თვალსაზრისით მრავალეროვანია. ასეთია საქართველო, ასეთია უკრაინაც. უკრაინაში ქართველი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესწავლა აქვს დასახელო მიზნად ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. ნაულკოს წერილი — „ქართული მოსახლეობა უკრაინაში სტატისტიკური და ისტორიული წყაროების მიხედვით.“ ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი მოსახლეობის კომპაქტური დასახლებანი უკრაინაში ძველთაგანვეა ცნობილი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველების რიცხვი უკრაინაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამჟამად აღემატება 11500 სულს. თუ კი ადრე ქართველები სახლობდნენ უმთავრესად დიდ ქალაქებში (კიევი, ზარკოვი, ოდესა), ამჟამად ისინი განსახლებულნი არიან სხვა სამრეწველო ცენტრებშიც, მაგ., დონბასში 4 ათასამდე ქართველი ცხოვრობს და შრომობს.

დიდი არის უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველებზე [ბრატუნოვიც]. უკრაინაში მცხოვრებ ბევრ ქართველს შეეძლება წელიწადში ერთხელ დასახლდეს უკრაინის სხვადასხვა მხარეებში, კულტურის, ზელოვნებისა და მეცნიერების განვითარებაში.

დაბოლოს, უნდა შევხედოთ კრებულში მოთავსებულ კიდევ ერთ მუხრად სიანტერესო წერილზე. ეს არის ისტორიის მეცნ. დოქტორის ს. პარხომუჩის ნაშრომი: „სსრკ ხალხთა კავშირი და თანამშრომლობა თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიაში“.

წერილის ავტორს მიზნად აქვს დასახული ამხილის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორთა ცდები გააყალბონ სსრკ ხალხთა თანამეგობრობა, დაუპირისპირონ ხალხები ერთმანეთს და ამით ძირითადი გამოთხარაონ სოციალისტური სისტემის.

წერილი აღნიშნულია, რომ სხვადასხვა რჯელის ფალსიფიკატორები — ნაწილობრივ საბჭოთა კავშირიდან განდევნილი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დაჯგუფებათა ნაშთები, ნაწილობრივ კი ბურჟუაზიული „მეცნიერები“, მოკალათებულნი სხვადასხვა ანტისაბჭოთა „კვლევით“ ცენტრებში, ძალუბს არ ზოგავენ საშახტარი გაუწიონ საერთაშორისო იმპერიალიზმს, გაადიეონ „ცივი ომი“.

ანტიკომუნიზმი, ყოველივე საბჭოთარისადმი სიძულვილი, მისწრაფება, რათაც არ უნდა დაუფდეთ, დამტკიცონ ერთმანეთის არარსებობა საბჭოთა ხალხებს შორის და მათი „ანტიკომუნიზმი“ შედეგად ხალხთა საბჭოთა თანამშრომლობის „დაშლის“ გარდუვალობა, აი ეს მიზნები, რომლებიც ამოძრავებს ბურჟუაზიული ფალსიფიკატორებს.

ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების ცდა, ცილისწამებით შეარყიონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური კავშირი, განწირულია. ფაქტები, რომლებიც გაშუქებულია კრებულში მოთავსებულ მთელ რიგ წერილებში, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის მაგალითები, ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობს. ამაშია სწორედ ამ წიგნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება.

მისასაღებელია ის გარემოება, რომ წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია უკრაინელი და ქართველი მეცნიერების თანაგტრობით, საერთო ძალებით. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ასეთი კოლექტიური შრომით, სხვადასხვა რესპუბლიკების მეცნიერთა მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი ვადატრას ბევარი სადგურ და ბუნდოვანი საეთობი, რომელიც საერთო ინტერესების მქონე პრობლემების დამუშავებისას იხადება.

„...ხსოვა თაჳისი თაჳისა!“

„მნათობის“ 1969 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის წერილი სათაურით „ცისკრის“ პოეტური მოსაჯელი (1968 წლის ნომერების მიხედვით).

ვეელამ კარგად იცის, რა არის ლიტერატურული კრიტიკის საგანი, ისიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კრიტიკული აზროვნების უნარი ნიჭია, ღვთით მომადლებული!

კრიტიკოსი მოვალეა მკაფიოდ და გარკვევით უთხრას მკითხველს სათქმელი, სამწუხაროდ, რ. მიშველაძე არ მიჰყვება ნათელი აზროვნების გზას. პირიქით, სიტყვების ზედახორით ცდილობს „რთული კრიტიკული მსჯელობის“ ატმოსფერო შექმნას და მკითხველს თვალში წაეარა შეაყაროს — აქოდა, 1968 წლის „ცისკრის“ პოეტურ მოსაჯელს ბდღვირი ავაღინეო, რ. მიშველაძის მთელი მსჯელობა სიტყვების ისეთ კრიანტელშია გახვეული, რომ მკითხველს მწელია ამ წერილიდან რაიმე აზრის გამოტანა.

მოკლევანოთ მავალითებო:

„ე. წ. მიძღვნილი ლექსების გვერდით (სოსო იორამაშვილის ბსონენა“, „ოთარ ჰელიძეს“, „მოხუცი კაცი საქართველოს ტყეებს უფრთხილდება“) ეთრინალში დაბეჭდილია ჩვენი ეპოქის აზრისა და პრობლემტიკის კვლევით დაინტერესებული პოეტის აქტუალური და სადღეისო ლექსები“...

განა ეს ლექსები და საერთოდ ამ ხასიათის ლექსები აქტუალური და სადღეისო ლექსები არ არის? თუ ისინი „საგუშინდლო“ თუ სახვლით ლექსებია? რატომ არაფერს გვეუბნება რ. მიშველაძე? დღემდე „მიძღვნილი ლექსი“ ლიტერატურის თეორიას ცალკე ენარად არ გამოუყვია და არ განუმარტავს, რა თავისებურებანი ახასიათებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მიძღვნა ლექსს ზღვს არ უშლის აქტუალური, ეპოქალური მნიშვნელობისა იყოს. ამის დასტურად მარტო პუშკინის „ჩაადავეს“ და ლერმონტოვის „პოეტის სიყვდილი“ კი სამყარისი იქნე-

ბოდა, რ. მიშველაძისებარ „გაბედული კრიტიკოსი“ კი ვერ იტყვის, „ჩაადავეს“ და „პოეტის სიყვდილი“ საიმდღეისო და აქტუალური არ იყო. იქნებ უკვე ხსენებული ლექსები მ. ლებანიძის მხატვრულად და აზრობრივად სუსტი ლექსებია? ჩვენი რწმენით ასე არ არის, მაგრამ სტატიის ავტორის აზრით, საქმე თუ მაინც ასეა, გვითხრას ეს, ნუ მიაფუჩენებს მწერლის შრომას და ბატონაკური ღიმილით ნუ ჩაუვლის გვერდით. განვაგრძობთ ციტირება:

„თუ მიძღვნილ ლექსებში მტრმან ლებანიძე ადამიანებთან თავის პირად ურთიერთობას აანალიზებს და მკითხველს მოყვასისადმი კაცურ სიყვარულს უქადაგებს, სხვა ლექსებში იგი გვეუბნება საკმაოდ რთულად მოაზროვნე და ცხოვრების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით შეპყრობილ, სამყაროს წერტილში ხმების პოეტად („ძველი ქართული ანდაზა“... „წარწერა რემარკის წიგნზე“...), (გვ. 131).“

მ. ლებანიძე, რ. მიშველაძის აზრით, ზოგიერთ ლექსში „საკმაოდ რთულად მოაზროვნე“ ყოფილა. რა თქმაა, ესა და ეს კაცი „საკმაოდ რთულად მოაზროვნეაო“. თავად რ. მიშველაძე როგორ მოაზროვნეა — რთულად თუ საკმაოდ რთულად? გვეუბნება, როდისმე რ. მიშველაძემ თავის თავზე თქვას, საკმაოდ რთულად მოაზროვნე ვარო.

„მოყვასისადმი კაცური სიყვარულის ქადაგება“ სასხვათაშორისო საქმე ყოფილა რ. მიშველაძისათვის, რადგან მისი სიტყვით ისე გამოდის, რომ მ. ლებანიძე მოყვასის სიყვარულს იმ ლექსებში ქადაგებს, სადაც იგი (მ. ლებანიძე — გ. ჩ.) „არც საკმაოდ რთულად მოაზროვნეა“ და არც „სამყაროს წერტილში ხმების პოეტი“.

ნიკოლოზ ჩაჩავას ლექსების გამო ნათქვამია: „კვლავ ახალგაზრდული ტემპერამენტით და მგზნებარებით; თანამედროვე პოეტური სტანდარტებისათვის ფეხაწყობის სერიულითაა აღბეჭდილი ნიკოლოზ ჩაჩავას ლექსები“... (გვ. 132).

ზის ლიტერატურულმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პოემაში ლირიკის და ეპიკურის ხელოვნური გაერთიანება სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ზოლო მეოცე საუკუნეში შექმნილი მრავალი პოემის მხატვრულმა ანალიზმა ცხადყო რომ პოემის გაგება, როგორც ლექსად დაწერილი რომანისა, რამდენადმე მოქველდა, რომ პოემა, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ეპოსია და მის წინაგან დრამატისმს (რომელიც ამავე დროს სიუჟეტია) უმთავრესად ლირიული მოტივები უნდა ასახვად იქონიებდნენ (ვ. ვ. 136).

ამ გრძელ ციტატაში რამდენიმე დებულებაა. პირველი ვახლავთ: „პოემაში ლირიკის და ეპიკურის ხელოვნური გაერთიანება სასურველ შედეგს ვერ იძლევა“. ეს დაუდასტურებია უკანასკნელი წლები ლიტერატურულ პრაქტიკის ყოფილი ყო თევსზე, კომერსიდან დღემდე, რომ ლირიკისა და ეპიკურის ხელოვნურ გაერთიანებას სასურველი შედეგი მოეცეს? ლიტერატურის ისტორიამ ეს არ იცის. მაშინ რაღა საჭიროა „უკანასკნელი წლების ლიტერატურული პრაქტიკის“ დასტური? იმას, რაც დიდიხანა ცნობილია, საკუთარ აღმოჩენად ნუ გვახსობთ.

მეორე დებულება ვახლავთ: „პოემის გაგება, როგორც ლექსად დაწერილი რომანისა, რამდენადმე მოქველდება“. არსად, არც ერთ დროში, არც ერთ ლიტერატორის არ უფიქრია, პოემა ლექსად დაწერილი რომანია.

მესამე დებულება: „პოემა, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ეპოსია“ (?) ესეც „საკმაოდ რთულად მოაზროვნის“ ნახტევია და ზევს კვლავ უძღურნი ვართ.

ბუნებრივად იხადება კითხვა: მეორე ან მესამე შემთხვევაში რა არის პოემა? „ვანდებილიცა“ და „ილიადაცა“ ორივე პოეტური შედევრებია, ორივე პოეზია, ცალკე საკითხია, რა სხვაობაა მათ შორის ეპიკური თვალსაზრისით.

მეოთხე დებულება: „მის (პოემის — გ. ჩ.) წინაგან დრამატისმს (რომელიც ამავე დროს სიუჟეტია) უმეტესად ლირიული მოტივები უნდა ასახვად იქონიებდნენ.“

ესევეც ვერ მიხვდება, როგორ არის დრამატისმში ამავე დროს სიუჟეტი. ამ ფრაზის კომენტირება არ შეევიძლია, რადგან „საკმაოდ რთულად მოაზროვნის“ დაწერილია და ჩვეულებრივად მოაზროვნის გონება ვერ მისწვდება.

ახლა თვითონ მითხვებულმა ვანსაქოს, ღირს კო, რომ რ. მიშველამე ზოგადთეორიულ მსჯელობებს მოჰკიდოს ხელი.

უხედავ რ. მიშველამის წერილში უცხოური სიტყვები, ისედაც აზრმოკლებულ და არაფრისმთქმელ წინადადებას ეს თითონებურად ნახმარი სიტყვები უარესად აბუნდოვანებს.

„ვიგზარდით უცხოური სიტყვა მაშინ, როცა მისი ფარდი გვაქვს რუსულში, ეს ნიშნავს შეფრატყვით ნათელი აზრი და საღი გეგონება“

(В. Белинский, сочинения, т. IV, გვ. 545). რატომ ვწერთ და ვიხმართ „გრადაცია“ (წ. ნი-შინანის პოეტური გრადაცია დღემდე სწორად სამწიფეია — რ. მ.) როცა არსებობს ქართული სიტყვები: „წინელი“, „აღმავლობა“, „ზრდა“, „აღმავლობის გზა“ (სტილურ-ფიგურალურ თქმას „გრადაციას“ ორი მნიშვნელობა აქვს, იგი აღმავლობასა და პირიქით, დღეში სვლასაც შეიძლება ნიშნავდეს). ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები უფრო ვასაგებია მკითხველთა ფართო მასისათვის და „გრადაციაზე“ უფრო მრავალსმეტყველია მათთვის. რა თქმა უნდა, შეიძლება ვიხმართ უცხოური სიტყვა, მაგრამ იქ, სადაც აქცილებულია და, სადაც უამისოდ ფრაზის სწორად გაგება შეუძლებელია.

რ. მიშველამე ლამაზაკობს ვალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებზე“ და „სკვინის“, რომ „ამ სტილიზმებს კაცაფონიურად წაიკითხვა არ ხერხდება“. სადაური გამოთქმა „კაცაფონიურად წაიკითხვა“? რომელი პოეტის „წაიკითხვა ხერხდება კაცაფონიურად? ან როგორ „მიხვდა“ რ. მიშველამე იმას, რომ „ლურჯა ცხენებზე“ „კაცაფონიურად“ არ იკითხება? აღბათ სცადა ამ საოცრად მუსიკალური ლექსის ასე წაიკითხვა. რაღა უცნაურად, ძალზე მოუხერხებლად მსჯელობს სტილის ავტორი... ისე გამოდის, თითქმის ვალაკტიონის დიდი დამახებრება მხოლოდ ისაა, რომ მისი ლექსის „კაცაფონიურად წაიკითხვა არ შეიძლება“ და „...იგი (ვალაკტიონი) არსად არ აჩვენებს ამ მართალი მდებარებას; (?) არსად არ იჭრება ბეგრაათა პირველყოფილ პარმონიაში მანერული დეტონაცია...“ აქვე: „მისი ლექსის პოლიფონია არსად არ შორდება რაციონალურ დატვირთულობას, არსად არ უარყოფს და არსად არ არღვევს მას“. ეს „ბეგრათა პირველყოფილი პარმონია“ უს „მანერული დეტონაცია“, „ლექსის პოლიფონია, რომელიც არ შორდება „რაციონალურ დატვირთულობას“, ტვინის ჭყლეტა და სხვა არაფერი, ანდა უკეთ, ეს არის «Мелкая философия на глубоких местах», როგორც ვ. მაიაკოვისის შექმნილი ეთქვა რ. მიშველამე ამს არ დასჯერდა. ჩავხედავთ იხლა ერთ გრძელ აბზაცს მიშველ, დაუსაბუთებელ რწმუნებაზე დაფუნებულს.

„თუთ რექსში სრულიად ორიგინალურად შეკრიბილი ფიქტური ინტონაციები და მაღალ პოეტურ ელტერსთან შენეფთული პირველყოფილი უშელობა — ბესიუ ზარანაული — („ფიქტური მისი ნაბიჯები“). ამბიან პოეტურ ბმასთან მკიდროდ დაკეთიერებული ლირიკოსის მგრანობიარე გული და მახვილი, პოლიტიკური ილი — რ. ამაშველი (პოემა „ძახილი“) ქალაქური მოტივების ნათელი პოეტური სიმბოლიცა და ქანსალი ესთეტიზმი — მ. მინდამე (ლილიდან „მაშინ, მღინარე როცა ვიყავი“), სამოქალაქო პრობლემებს ახლებური პოეტური ინტერპრეტაცია და წინაგანი ექსპრესიულობით

კ. ა. პოლოვანოვი

ავიაციის მთავარი მარშალი

‘შორი ბომბლაშენი...’

ა. ე. გოლოვანოვი დიდი სამამულო ომის დროს შორი მოქმედების ავიაციის სარდალი იყო. იგი თავის მოკონებებში მოგვითხრობს, თუ რა წვლილი შეიტანა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში ბომბლაშენმა ავიაციამ, რა როლი შეასრულა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა შორი მოქმედების ავიაციის საკითხების გადაწყვეტაში.

ბ ხ ბ ლ ი, 1941-ი

ბმეტრიაში და საბეიზო იყო 1940 წლის 31 დეკემბერი მფრინავთა სახლში (ახლა აქ სასტუმრო „სოვეტსკაია“). ბილოტები თავიანთ ცოლებთან, ამხანაგებთან, ნათესაებებთან და გულს სატრფოვებთან ერთად ზღვებოდნენ ახალ, 1941 წელს.

მრავალ მათგანს გამოვლილი ჰქონდა ხალხინ-გოლი, თვითმფრინავებთან ომში, ლაშქრობა დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის განთავსებულებისათვის. საღამარაკო ბევრი ჰქონდათ — უმრავლესობას დაღიბანია რაც არ ენახა ერთმანეთი.

ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ. გვეგონა დამთავრდა შფოთისა და მოუსვენარი ცხოვრების დრო, შეიძლება დამშვიდებულად იცხოვრო ოჯახში, თბილად გამოიძინო, გემრიელად ესაუზმო, დალიო საყვარელი მეუღლის მიერ მოდებული ყავა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგე შენს ყოველდღიურ საქმეებს.

ყველა გატაცებით ჰყვებოდა რადიკსა, ყველას უნდოდა ერთმანეთისათვის ვაეზიარებინა რაიმე გამსაკვირებელი და მოულოდნელი, რაც მათ გადახდით ოცდაცხრამეტსა და ორმოცში — ამ ორ მშფოთვარე წელიწადში. გუნებს ერთგვარად ამძიმებდა ფინეთის აშეხბა. მართალია, უკვე მშვიდობიანი წლები დადგა, და ჩვენც შეეხაროდით ამას, მაგრამ მშვიდობიან ცას ნატისტების სენი უდიოდდა: რო-

გორც არ უნდა ყოფილიყო, ევროპაში ომი მიმდინარეობდა, ფაშისტური გერმანია ზედიზედ აწუიბდა აგრესიულ აქციებს. და, თუცა რიპენტროპმა ხელი მოაწერა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ თავდაღსხმელობის პაქტს, ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ ფაშისტებს შეეძლოთ ვერაგულად გაეტეხნათ თავიანთი სიტყვა. როცა თვითფინელებთან ომის სიმწელებზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, გვინდოდა დავეჯერებინა, რომ ამ სიმწელების მთავარი მიზეზი იყო ძალზე ცოვი, დიდყოფიანი ზამთარი და იშვიათად ცუდი, ნისლიანი და ყინვიანი ამინდი.

თორმეტს ხუთი წუთი აკლდა, შამანურის საცობების ხმური რომ ვაისმა. დაიწყო მზიარელება ვალეებს სცელიდა იმ დროისათვის მოდური ტანგო—მფრინავები ცეკვავდნენ. იმდენი ხალხი იყო, რომ ნეშვიც კი არ ჩაეარდებოდა.

მე და ჩემი მეუღლეც ვეცეკვავდით, ორიენი მზიარელები და ბედნიერები ეცეკვავდით იმით, რომ ერთად ეხვდებოდით ახალ წელს, იმით, რომ ორიენი, ბოლსდაბოლოს, ნამდვილად შინ ეცეკვით და მე, ვარდა ამისა, იმითაც, რომ შეეხვდი ზემს ამხანაგებს, მოვასწარა ბევრ რამეზე ლაპარაკი და ბევრი რამის მოგონება. ჩვენ ყველანი, მებრძოლი მფრინავები, განსაკუთრებულად უტრადლებით ეცეკვით გაერმოსილი. ზოგიერთ ჩვენგანს უკვე რამდენიმე ორდენი ჰქონდა, რაც იმ დროს იშვიათი იყო. ზოგიერთნი კი საბჭოთა კავშირის ვპირები გახდნენ.

ჩვენთან ერთად მავიდასთან ისხდნენ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომსარაი ალექსი ივანეს ძე შაჭურინი, მეუღლით, სამხედრო საპაერო ძალებზე განერალური ინსპექტორი იაკობ ელდამიერის ძე სმუშკევიჩი, რომელიც ესპანეთსა და ხალხინ-გოლზე ობრძოდა ჩვენი სამხედრო-საპაერო ძალების ფაქტორი სარდ-

მხარი, როგორც ჩანს, სტუდიად უღრბოდ". სმუშვეინის სერიოზულმა და მოულოდნელმა შეკითხვამ ჩიხში მიამწიველია.

— ამხანაგო გოლოვანოვო, ნუთუ თქვენ, სტერენინის საქმის ასე დახვეწილ მყოფენს, არსადღეს არ გაიფიქრიათ ამაზე?

„რა კარგია, რომ იმას არაფერია გაუგონია“, — გამიხარდა.

— თქვენ ოცნებობთ შორეულ გაფრენებზე, იმაზე, რომ გარშემო შემოღფრინათ დედამიწას... ეკვი არა მაქვს, ამას თქვენ გააყელებთ. მაგრამ, მე მგონია, რომ საქმის ინტერესებისათვის ხელი უნდა მოკიდოთ სხვა, უფრო მნიშვნელოვან საკითხს. მე ამაზე თქვენთან მოლაპარაკებას ვფიქრობდი, მაგრამ რაჟი თვითონ თქვენზე წამოიწყეთ ფრენაზე ლაპარაკი, მიღისა და ზოგერთი რამ ახლავე განვაჯყოთ. კარგია, რომ უყვლა ცეკვაეს და თავისი საქმით არის გართული.

მე იქით გაიხედე, სადაც ჩემი მუდღე იქდა. ის უკვე ადგილზე აღარ იყო.

— უარს ხომ არ იტყვიან? — მკითხა სმუშვეინმა.

— რასა ბრძანებთ!

იაკობ ვლადიმერს ძემ ლაპარაკი დაიწყო ესპანეთზე, იმაზე, თუ რა შესანიშნავი მფრინავები ვკვყავს, თუ როგორ მამაკურად იბრძოდენ პაერში, როგორს მიჭრინაუდნენ ბომბდამშენები დასაბომბად ითქმის ისე, რომ არავითარი საფრთხელი არ ჰქონიათ.

— მაგრამ, — განავრძო სმუშვეინმა, — ყველაფერი შესანიშნავად მიდოდა, ვეძრე კარგი ამინდები იღვა, ვიძრე ამინდი ვაერუსადებოდა და უყვლაფერი შეიცვლებოდა. ბრმა ფრენები, გაფრენები დედამიწის ზილადობას გარშე — ის ჩვენი ლოდი შებრკოლებსა, და თუმცა ჩვენ ჭერ კიდევ იქიდან. ესპანეთიდან დეკავნეთ ეს საკითხი, თუთფიანტლებთან იმამა კვლავ დამატოკა ცუდ ამინდში ფრენისათვის ჩვენი ბევრი პილოტის სუსტი მომზადება, მითი უტოლინარობა რადიონავიგაციის საშუალებების გამოყენებისა.

იაკობ ვლადიმერის ძე დადებდა, დემილი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ყოველნარი აზრები მიტრიალებდა. მაგრამ რამდენი არ იცოდად ვამეგო. რატომ წამოიწყო მან ამაზე ჩემთან ლაპარაკი, მაინც ვერადრით ვერ მოვიღობრა.

ნამდვილად, ფინეთის კამპანიის დროს სპიხისდარი ამინდები იღვა. ნისლი, თოვა, ღრუბლიანობა, მოყინვა — მფრინავთა ეს მუდმივი თანამგზავრები — ფრონტის ხახს იქით ჩვენი ეკიპაჟის მარტოფრენის დროს, როგორც იტყვიან, შორიღლებში ვაყვადდნენ. უამინდობაში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც თვეზა იწვალში, ესარგებლობდით რადიონავიგაციის საშუალებებით, მათ შორის მოწინააღმდეგის მოძებნავე რადიოსადგურებით, როგორც ფრენის, ისე მისი მეზობლების ფართოდაეწყებელი სადგურებითაც კი. მათე მიხედვით ვახდენდით პელენგირებას და შენარტე ვაგლორით მოცემულ ადგილზე. რამ შეეცა ეს ელმამკვირების მიხედვით ბრმა ფრენებს, ჩვენთვის ისე, როგორც სანდებით განტრჩეველი იყო ბრმად ვიფრენდით თუ დედამიწის ხილადობის დროს. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ბრმად ფრენის დროს, უზრადღებით ეპერობი ფრენას, უფრო ზუსტი ხარ, ამასთანავე ცუდ ამინდში თითქმის დაუღვეული ვიყავით, რომ მტრის გამანადგურებლებს არ შეგვხვდებოდით. დაბალ სიმაღლეზე ფრენის დროს სახეხიტო არტილერიას, თუ მხოლოდ შემთხვევით არა, არ შეეძლო ჩვენთვის სერიოზული ზიანი მოყვანობა.

გამასხნდა ფინეთის ომის კურიოზებით. ერთხელ, არც თუ სქელი ღრუბლიანობა გავარღვიეთ და გაოცებისაგან პირი დეკავნეთ: საითაც ვაიხედავდი, ყველგან ვადაშლობი აეროსტატები იყო, რომლებზედაც თავს იცავდა ღენინგრაღი. თითქოს იგი ამბობდა: აი სად ვარ მე! მოგვიხდა სწრაფად ფან დაბარუნება, რათა ეს ამბავი სარდლისათვის გვეცნობებანა. ამის შემდეგ ჩვენ მუდამ ვამოწყებდით, ხომ არ ჩანდა აეროსტატები.

გვესმოდა, რომ საფრონტო ავიაციას არ შეეძლო ცუდ ამინდში ფრენა და წინადადება შეუტანეთ, მისთვის ვამეწეა ლიდერობა, სხვანაირად რომ ითქვას, წინ გაეძლოლით მას — ცნობილია, რომ საკმაოდ იოლია ღრუბლიანობის გარღვევა მწყობრით. მაგრამ ფარი ვეთიხრეს, რატომ? მაშინ ჩვენ ამაზე არ დავფიქრებულვართ. ჩვენი საშუალოს ვასრულვდით — ის კი საკმაოდ საწყოფი ვეჭონდა — ეიფრინდით ოთხას საათამდე, არც თუ ცოტა ცუდ პირობებში.

მაინც რატომ დაიწყეთ ჩემთან ასეთი ლაპარაკი?

ხანგრძლივი დემილი დავარღვიე და ვეცხე:

— იაკობ ვლადიმერის ძე, მაინც სახელიდბ რა უნდა გააკეთო? რა კავშირი მაქვს ყველა ამ საკითხთან? მე სამოქალაქო მფრინავი ვარ, აეროფლოტის შეფაილოტი, და მეტე არაფერი.

— თქვენ, ამხანაგო გოლოვანოვო, წერიალი უნდა მისწეროთ ამხანაგ სტალინს.

ელდა მეცა, პირველად ისიც კი მეგონა, რომ სმენა მლაღატობდა.

— ამხანაგ სტალინს?

— დიახ, იმას, — მშვიდად მიპასუხა სმუშვეინმა.

ბოლოს მე გარკვევით მივხვდი, რომ ჩემთან წარმოებდა სერიოზული, მნიშვნელოვანი საუბარი, რომელიც აღრვეე იყო მოფიქრებულნი, რომ იგი მამანტრისა თუ კარგი განწყობლების გავლენით როდი იყო.

— მეორე და რა უნდა მიეწეროს ამხანაგ სტალის?

— თქვენ მოვალე ხართ მისწეროთ, რომ ირი წლის განმავლობაში საქმე გაქვთ სამხედრო-სამხარო ძალების საფრინოსო მეთაობასთან და ნახეთ, რომ ბრმა ფრენისა და ნაიგაციის სამუშაოების გამოყენების საკითხებს არ აჩვენებენ ჯეროვან მნიშვნელობას, რომ ამ საქმის სათავეში მდგომი ამხანაგები ამ მხრავ თვითონ არ არიან საგზაოდ მომზადებულნი. ამის დასადასტურებლად, მაგალითად, მოიყვანეთ ლინეთის კამპანიაში ბომბდამხმენების უკმარისი გამოყენება. შემდეგ დააწერეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ხელი მოჰყოლოთ ამ საქმის და იგი სათანადოდ სიმალღებუ დააყენოთ. მეტი არაფერი.

უბრალოდ რომ ითქვას, თავხუდად ცემული დაფრანი, დაწერილი ასეთი წერილი და ისიც სტალის მიეწეროს ეინ მაინობს იქ შეიძლება ბაიად და კანდიდატად ჩამთვალონ.

მე ვფიქრობდი, უველსათვის ცნობილია, რომ ცტრად არის დაყენებული ბრმა ფრენისა და რადიონავიგაციის სამუშაოებათა გამოყენების საქმე-მეთეი. ჯერ კიდევ 1939 წელს საქირთ გახდა ჩვენი „ესპანელები“, ე. ი. საპერსონალიზმში გამოცდის აღმშენებლის მქონე მფრინავების დიდი ჯგუფის სწრაფი გადართობა მონტრალტში. ამასათვის მიგვიწვიეს სამოქალაქო ავიაციის პილოტები, ყვერდ ნიკოლზ იცინეს ძე ნოვიკოვი და მ. ე. ვიკოაევი. გარდა ხომალდების მეთაურებისა და ბორტ-შეპანაებისა. სამხედროებისაგან შეადგინეს ხოლმეკლად გვაკობლბა კლიმენტ ეფრემის ძე ვორონილოვი, რომელმაც ვახოვა, სწრაფად და უჩვენლად მიგვიყვანა მთელ მქსპელიცია.

უნდა ითქვას, რომ ამ ვაფრენამ სამხედრო მტრომენტის და მსროლელი-რადისტების საქმად სუსტი მომზადება გვიჩვენა, როცა ნოვოსიბირსკიდან ვაფრინდით და კრასნოიარსკის რაიონში ცულ ამინდას შევეჩვებეთ, აქედან ხოლმეის თვით ირკეტსკამდე ბრმა ფრენით მივლიოდით. მთელი კაემარისა და თვითმფრინავთმლონის ჩვენს თავზე აღება მოგვიხდა. კიდევ კარგი, რომ ბორტშეპანის კონსტანტინე მიხეილის ძე ტომშლონს რადისტთა სპეციალური კურსები ჰქონდა აღმთავრებელი საბოლოო ანგარიშით, ღირსტულად გამოვდით ამ მტრად მძიმე მფრომარტობიდან და ფანასკენლად აფრინალები ირკეტსკაში პირველი მიფჩინდით. მე ვიყნობდი აღმოსავლეთ კიმიბარში მუშაობის პირობებს, ამოდ არ მიფრინდა იქ რამდენიმე წელიწადს.

სანგრძლოება ბრმა ფრენამ პირველ ხანებში დიდად ახლულა ჩვენი „მგზავრები“, შესანიშნავი სამხედრო მფრინავები, მაგრამ თხუთმეტოცოკი წუთის შემდეგ უკვე დაშვიდებულნი, ხოლო ირკეტსკაში ჩვენს ვიპაავს უკვე აჩვენს

ბიკებად“ სთვლიდნენ. იცდათი წუთის შემდეგ გამოხნდა მეორე თვითმფრინავი, მას კი მესამეც მოჰყვა. თორმე მეორე თვითმფრინავის პილოტმა მ. ა. ნიუბტიკოვმა, რომელიც შემდეგ დიდად ცნობილი მფრინავი-გამომცდელი გახდა, ვადწევიტა ამ ცულ ამინდში მცელავი ფრენით ევლო რკინიგზის ხაზის თავზე, და — ყოჩაღ! — თავიც ვართთა მე პირადად მას ისე შევიტყროდი, როვორც ახლადამადებული ყოფილიყოს. ნიკოლოზ ივანეს ძე ნოვიკოვა (ის ნიუბტიკოვის შემდეგ მოდიოდა), თმცა თვითმფრინავში „თავისი“ კაცო არ ჰყავდა, მილო ისეთივე ვადწევიტბილება, როვორც ჩვენ, — ბრმაღ წამოსტლოყო სიმალღებზე. მიქსთან ფატიტორი კავშირს არ ჰქონდა და ხოიავის ტბის რაიონში გაიჭირა, აღადგინა ორიენტირება და ირკეტსკაში მოვიდა. პირად-პირ ეთქვათ: საფრინოსო საქმეში არც თუ ისე იშვიათად ვაკილიმეს ბედი.

განხილვამ გვიჩვენა, რომ სამხედრო-სამხარო ძალების განსაკუთრებული ყუკადრილიდან გამოყოფილი მფრინავების ქვეფი სუსტად იყო მომზადებული სამტრომანი და რადიონავიგაციის საქმეში და ხომ საუცეთსო ამხანაგები იყენენ შტარტული სასიხარლო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მხოლოდ შაიორმა ე. გ. ვრანიმმა, რომელიც ჩემთან მოფრინავდა მეორე პილოტად. ფრენის დროს თავი მშვილად უჭირა და კარგად მფლობდა მისთვის ახალი თვითმფრინავის პილოტირების ტექნიკას.

იაკობ ვლადიმერის ძესთან ლაბორავია ამ ვაფრენას რამდენჯერმე დაეუბრუნდით. ფრენის კამპანიაში ავიაციის გამოყენებზე მე, რა თქმა უნდა, უველადერი იყლა და სმუშევიმმა, მე კი მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები ვიყოფი.

აქ ერთიმეორესთან დაპირისპირებული არიან „თვისნი და ნათესავნი“, ერთი მხრივ, და „ტომად ჩემდა სახელდებულნი“, მეორე მხრივ. აქაც ტიპიკონის ავტორს ტომობრივობის მომენტზე აქვს მითითებული. აქ „ტომად ჩემდა სახელდებულთა“ და ზემოთ „ქართველი ვართ ნათესავით“ ერთიმეორეს აქვს ბუნდ და ცხადყოფენ, რომ გრიგოლ ბაქურაიანს ძე შთაშობაველობით, მოდგმით, ნათესავით, ტომით ქართველია.⁴

გრიგოლ ბაქურაიანს ძე ტიპიკონის 33-ე თავში ამბობს, რომ წესდება „ამისთვის დაიწერა ბერძნულად და ქართულად რამეთუ ქართველი არიან და არა იყიან ბერძნული წყაითხება და ჭერ არს რათა ქართულად დაწერილსა აღმოიკითხიდნენ და გულისხმა ჰყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა“⁵. რომ აქ ქართველი ეთნიკური მნიშვნელობით არის ნახმარი, განმარტებას არ საჭიროებს; ქართულად დაწერილი უნდა ამოიკითხონ და გულისხმავდნენ.

აქ, აგრეთვე, არ შეიძლება უუტრადღებოდ დავტოვოთ კიდევ ერთი მომენტი, რომელიც კვლავ მიუთითებს გრიგოლ ბაქურაიანს ძეს ეთნიკურ შთაშობაველობაზე და იმაზე, რომ ის არ არის ქალკედონიტ სომხი.

¹ ს. ეთხნიშვილი, „გეორგია“, 5, გვ. 219.

² იქვე.

³ მ. თარხნიშვილის მიერ გამოცემული ქართული ვარიანტი, თავი 18, გვ. 48.

⁴ ტომობრივობის მომენტის აღნიშვნის საკითხი, შეიძლება, იმანაც გამოიწვიოს, რომ მონასტერი უცხოეთში არსებობდა, სადაც იქაურს ვისმაც, შთაშობაველობით ქართველს, გრიგოლის არანათესავს, შეეძლო პრეტენზია რამ განეცხადებინა მონასტრის მამართ თავისი ქართველობის საფუძველზე.

⁵ ივლიტსკიშვილიან მონასტრის ბერები.

⁶ მ. თარხნიშვილი, მით. შრ., გვ. 80.

¹ ბერძნული ტექსტი წარმოდგენილია ლათინური ტრანსკრიპციით.

² ს. ეთხნიშვილი, „გეორგია“, 5, გვ. 115.

ტიპიკონში გრიგოლი თავისთავზე ამბობს, რომ იგი არის ძე „სანატრელისა ერისთავთა შთაერისა ბაქურჩიანისათა აღმოსავლელისა და ქართველისათა“.¹ ხოლო ბერძნული ვარიანტის ეს ადგილი ცოტა სხვაანაირად არის გამოთქმული, რაც ს. ყაფხჩიშვილის ქართულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: „...აღუაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და შთელი დასავლეთის დომესტროსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაქურჩიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვიარმან“.²

მაშ, გრიგოლის მამა ბაქურჩიან არის მბრძანებელი აღმოსავლეთის ხალხებისა და ქართველებისა? ცხადია, რომ აქ ქართველები ეთნიკური მნიშვნელობით არის ნახმარი სხვა ხალხების გვერდით და არა კონფესიურ-ეკლტურული მნიშვნელობით, რაც ვითომცდა გაქართველებულ სომეხ ქალკედონიტებს, შეიძლება გულისხმობდეს.⁴

გრიგოლ ბაქურჩიანის ძე ავტობიოგრაფიული ცნობის ამ დეტალიდანაც სისხლით ქართველი მოჩანს.

ტიპიკონის არც ქართულსა და არც ბერძნულ ვარიანტში არ მოიპოვება არც ურთი შემთხვევა, რომელიც ოდნავ მაინც მიკვანიშნებდეს იმას, რომ გრიგოლ ბაქურჩიანის ძე არა ტომით, არამერ კონფესიურად არის მხოლოდ ქართველი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში ნათესაობა და ტომობრივობა თავთავის სათანადო ტერმინებით არის ურთიმეორისაგან განსხვავებული და ამის შედეგადაც გრიგოლის ტომით ქართველობა მტკიცდება. პირველსთვის ტიპიკონის 18-ე თავში ნახმარია: *hemon süngenikon* და *süngenin*, 25-ე თავში *süngenon*, ხოლო ტომობრივობა აღინიშნება: *en te hemetera file* 24-ე თავში. აგრეთვე, შესავალში გრიგოლი, ლაპარაკობს რა თავის შთამომავლობაზე, ამბობს: „*ek tes ton Iberon pamfanistates files*“ ტიპიკონის პირველ თავში კი ქართველები, როგორც ტომი მოხსენებულია *Iberon genous*, ხოლო მის გვერდით და მასთან შეპირისპირებით, *Romaion genei*. გრიგოლის მიერ ქართველებისა და რომაელების (ბერძნების) ტომობრივი დაპირისპირება მაშინ, რადესაც რელიგიურად ისინი ერთიანი არიან, აგრეთვე, დამახასიათებელია, ასეთი დაპირისპირება, რომ რელიგიით ერ-

თნი ვართ, მაგრამ ტომობრივად განსხვავდებითო, მხოლოდ ქართველს შეეძლო 'ბერძნის' მიმართ, სომეხ ქალკედონიტს კი *პამფანისტატის* ფისიურ ნიადაგზეა გაქართველებული, ამის თქმა არ შეეძლო. გრიგოლი ამბობს, ქართველებს ბერძნებისაგან გვაქვს კეთილმოკრწმუნეთა მიღებული, სომეხს ქალკედონიტებს კი თავიანთი აღმსარებლობა ქართველებისაგან აქვთ მიღებული, რის ნიადაგზეც ისინი იმდენად გაქართველდნენ, რომ თავს ქართველებს უწოდებენ. აღმსარებლობის საფუძველზე გაქართველებულ გრიგოლს არ შეეძლო სომეხებს დენაციონალიზებულება, ქართველებთან ასიმილირებული ნაწილი, ცალკე ტომად წარმოედგინა და ისიც ქართველების სახელწოდებით ბერძნებისათვის დაეპირისპირებინა.

ფრიად საყურადღებოა, აგრეთვე, რომ გრიგოლ ბაქურჩიანის ძე მონასტრის წესდების ტექსტში ერთიმეორის უპირისპირებს ნათესავსა და ისეთ კაცს, რომელიც გრიგოლთან თვისტომობას მოიმიზეზებს („გინა ტომად ჩემდა სახელდებულთა“). მაშასადამე, მას ჰყავს არათვისტომი ნათესავნიც. გრიგოლის თვისტომად შეიძლება იყოს მხოლოდ ტომით ქართველი, რადგან, როგორც ვნახეთ, მონასტრში მყოფნი და თვით გრიგოლიც შთამომავლობით, მოდგმით ქართველები არიან. აქ გრიგოლ ბაქურჩიანის ძეს იმის განმარტება სწავდა, რომ მონასტრის ნურგინ რას მოეადგება იმ საბაბით, რომ ის, თუმცა ჩემი ნათესავი არ არის, ჩემი თანამეტომე ქართველიაო.

რომ აქ მართლაც ტომით ქართველი იგულისხმება, ეს კვლავ მოჩანს წესდების იმავე, 18-ე თავის სხვა ადგილიდან, სადაც მსგავსსავე კონტექსტში ლაპარაკია მონასტრის მიმართ შესაძლებელ პრეტენზიების მქონათა შესახებ და ნათქვამია: „გინა მტკიცეთა კუშნარითთა თუთათა ჩემთავანი ანუ თუხად ჩემდა სახელდებულთაგანი ეინჟე ანუ მსახურთა ყრმათა ჩემთავანი“. უველა აქ ჩამოთვლილნი იმის გარეშე დგანან, ვინც იგულისხმება გამოთქმაში „გინა ტომად ჩემდა სახელდებულთა“. ამ უქანასცნელში მხოლოდ სწორედ ქართველი და არა სხვა ეინჟე იგულისხმება.

იქნებ ტიპიკონის 25-ე თავიც, სადაც გრიგოლ ბაქურჩიანის ძის ნათესავებსა და მისი ვასალების მონასტრში მიღებაზეა ლაპარაკი და რომლის სათურშიც სწერია „*Peri ton Iberon süngenon*“. აგრეთვე, მხოლოდ ტომით ქართველსა გულისხმობდეს, რადგან სომეხს ქალკედონიტები ხომ სხვაგანაც, ექრძოდ, თვით სომეხეთში უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც სომეხ ქალკედონიტთათვის დარსებულ მონასტრში შესვლა შეეძლებოდათ და ამათ გრიგოლი ქართველებს (*Iberon*) ვერ უწოდებდა. ამითაც ხომ უველგან თავისი ეროვნება დაიწყებულნი არ უნდა ჰქონოდათ და ქართული ენისა და მწერლობის

1 ქართული ვარიანტის წესდების თავი 1.

2 ს. ყაფხჩიშვილი „გეოგრაფია“, 5. გვ. 99.

3 თუნდა: მხარეებისა და საქართველოსი.

4 აქ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სომეხი ქალკედონიტი ვერ იქნებოდა ქართველ ერისთავთა (შთაერის) ერისთავის შვილი, ეს კიდევ ერთხელ მკვეთრად მითითებებს გრიგოლ ბაქურჩიანის ძის ტომით ქართველობაზე.

ცოდნის საფუძველზე „ეკლტრულად გაქართ-
ველებულად“ ქცეულიყვნენ.

ქართული ენის როლი, რომელიც მას მონას-
ტრის ცხოვრებაში განეუფეთნებოდა, მკვერმე-
რტყველურად ღიადღებს, თუ ვისი მონასტერი
იყო იგი. ყველა ზემოაღნიშნული ეკვს ადარ
ტრეებს, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძეს თავისი
მონასტრის ტიპიკონში ქართველებზე საუბარი
აქვს, როგორც ეთნიკურ ელემენტზე; გრიგო-
ლის ნათქვამს, ქართველები ვართო, პირდაპირი
მნიშვნელობა აქვს და სხვას არაფერს გულისხ-
მობს. ტიპიკონის ვრცელი ტექსტის შანსილზე
ეთიოპად კონფესიური, ეკლტრულად გაქართ-
ველებული სომხების განუხსნავეებლობა ტოპიათ
ქართველებისაგან (რომელთა შესახებაც აქ არა-
ერთგზის არის საუბარი), თავის მხრივ, აგრეთვე,
იშის მიქმელია, რომ აქ საკუთრივ ქართველებ-
ზე, ტომით ქართველებზეა საუბარი და არა სხვა
რომელიმე „ასახეობის“ ქართველებზე, რაც სა-
თანადოდ უნდა ყოფილიყო განმარტებული და
მინიშნებული.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მონასტერი
ბულგარეთში მცხოვრებ სომეხ ქალკედონიტები-
სათვის იყო დაარსებული (გრიგოლ ბაქურიანის
ძე ხომ ამბობს, მონასტერში ახლო მიდამოე-
ბიდან შემოყრებილი მონაზვნები ვართო), პავ-
ლიკიანელთა დასაპირისპირებლად, აქ, მიუთმე-
ტეს, სრულიად უადგილო იქნებოდა გრიგოლ
ბაქურიანის ძეს ბულგარეთში მცხოვრები სომე-
ხი ქალკედონიტები ქართველებთან (Iberes) გა-
ეგვივებინა და ისინი, ამასთანავე, ქართული ენის
მცოდნეები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც ბერ-
ქადელი ენა არ იცაან. რით უნდა ყოფილიყო გე-
მოწვეული, რომ ბიზანტიის იმპერიაში მცხოვ-
რებ სომხებს ბერქმული ენა არა სცოდნოდათ
და დაუფლებული ყოფილიყვნენ ქართულ ენა-
სა და მწერლობას საქართველოდან შორს მყოფ-
ნი?... თუ რწმენის მომენტს ჰქონდა მშნიეგლო-
ბა, ქართული და ბერქმული მიმართულება ხომ
ერთნაირი იყო?

პეტრიწონის მონასტრის ვრცელ წესდებაში
მრავალგზის არის ღიბარაკი იბერიელებზე (ქარ-
თველებზე), და არსად არაერთიარ სხენება არ
არის სომხებისა ან როგორც ტომისა, ან რო-
გორც კონფესიურად გაქართველებული ნაწილი-
სა.¹

როგორც ვხედავთ, არც გრიგოლ ბაქური-
ანის ძისა და არც პეტრიწონის მონასტრის ბერე-
ბის სომეხ-ქალკედონიტობა არა მტკიცდება.

1. სწორად შენიშნავს ა. ივანტაიევი, რომ მო-
ნასტერში სომეხი ქალკედონიტების „...наличие
ничем не доказано, а наоборот, хорошо из-
вестен часто грузинский характер монасты-
ря“. Журнал Московской Патриархии, 1968,
№ 2, გვ. 46. წერლის სათაუტრია: Бачковский
монастырь.

ანა კომწენეს ცნობა ვრიგოლის სომხურ შთა-
მოამელობაზე, რაც ადრევე მცდრქად ყფუ მცე-
ნიერთაგან მიწნეული, უნდა ჩაღვადლოყფუ
ზუსტ ცნობად, რომელზე დამყარებაც არ შეიძ-
ლება.

პეტრიწონის მონასტრის წესდებაიდან იმ დას-
კენის გამოტანა, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძეს
სომეხი ქალკედონიტია და მონასტერიც მის თა-
ნამომქმეთათვის არსდება, არავითარ საბუთთანო-
ბას არ ემყარება, თუ კი გრიგოლი არავტობელ
იმეორებს, რომ ისიც და მისი მომქმენი ქართ-
ველები, ტომით ქართველები არიან, რატომ ვერ
იტყოდა, რომ სომეხები ვართო. ეს მიუთმეტტეს
მონალოდნელი იყო, თუ კი, როგორც ნ. მარი
ამბობს: «...халкедониты-армяне были нацио-
нальным и патриотичным!».

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს პეტრიწონის
წესდება დამწერილო ყოფილიყნს ბერქმულსა და
ქართულის ვარდა, სომხურ ენაზეც, ამაზე უმყო-
ბესია ჟერ თავი შეეკავიეთ.

თუნდაც ფაქტად მივიჩნიოთ მონასტრის წეს-
დების სამ, მით შორის სომხურ ენაზე არსებობა,
ეს იმით უნდა ახსნას, რომ სამივე ენა აღმო-
სავლეთის რაიონების მოსახლეობაში პრაქტიკუ-
ლად სახმარის იყო. ხოლო გრიგოლს მამულები
ეკუთვნოდა სამივე ტომის ხალხებით დასახლე-
ბულ პროვინციებში და ამ მოსახლეობის სომ-
ხურ ნაწილს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა მი-
სი ბატონის სურვილს უშეალოდ ვასცნობოდა
და სავალდებულოდ მიეწინა. და თუ კი გრიგო-
ლი სომხურად ხელის მოწერასაც სინამდვილის
რამივე იგერი შეიძლება ჰქონდეს, ესეც მხოლოდ
ამივე ასპექტშია განსახილველი: ამით გრიგოლ
ბაქურიანის ძე თავის ნებსსურვილს ამცნობდა.

ვარდა იმისა, რომ ნ. მარი უფულებლყოფის
და გვერდს უვლის თვით გრიგოლ ბაქურიანის
ძის ატრობიოგრაფიულ ცნობას, რაც მის ტიპი-
კონშია მოცემული, იგი უფუადლებოდ სტო-
ეებს მთელ რიგ პირველწყართო ცნობებს,
რომლებშიც ღამარაკია გრიგოლ ბაქურიანის ძის
ქართველობაზე; ნ. მარი არ უწევს ანგარიშს ატყ
იმ მეცნიერთა მონაზრებებს, რომლებიც ან-
კომწენეს ცნობას მცდარად აღიარებენ და გრი-
გოლ ბაქურიანის ძეს ქართველად მიიწნევენ.

მეცნიერთლი ობიექტურობა მოიბოვდა ნ.
მარს შეეპირისპირებინა ერთიმეორის საწინააღ-
მდეგო პირველწყართო ცნობები, აგრეთვე, მეც-
ნიერთა მონაზრებები და სათანადო მეცნიერტ-
ლი არგუმენტაციით დამტკიცებინა, რომ უპო-
რატესობა მინც ანას მხარეზეა, რომ მის სა-
წინააღმდეგო მთელ რიგ ცნობათა მიმართ, იგი
ყველაზე სანდოდ უნდა ჩითვალოს. ეს მით უმე-
ტეს საჭირო იყო, რომ ანა კომწენეს ცნობა ეცნ-
ტად დგას, მისი მხარდამწერი და დამდასტრ-
რებული სხვა, პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება.

პირიქით, მთელი რივი არგუმენტები მის მცდარობას მოწმობს. მაშინ როდესაც გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართულ შთამომავლობას, გარდა პეტრიწონის მონასტრის წესდებში დატული გრიგოლის ავტობიოგრაფიული და სხვა ცნობებისა, არა ერთი პირველწყაროს ცნობა და სათანადო გარემოება უპყველად ამტკიცებს.

6. მარმა ვერ თვით მიიჩნია გრიგოლ ბაკურიანის ძე გაქართველებულ სომხად და ამის საფუძველზე ანას ცნობა ჩათვალა უხადოდ. თავის მოსაზრების დამადასტურებლად, მოსალოდნელი კი იყო პირიქით. ვერ ეპიმიოტანელი ცნობებით უნდა დადასტურებულიყო გრიგოლის (რომელიც თავისი პირით გვაუწყებს ქართველი ვარა) სომხური შთამომავლობა, მერე მისი ქალკედონიტობა (ე. ა. ტომით სომხობა და კულტურით ქართველობა) და მერე გამოტანილიყოს დასკვნა ანა კომნენეს ცნობის უწყველობისა და მისთვის სხვა ცნობათა წინაშე უპირატესობის მიცემის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ანა კომნენეს განმარტობით მდგარ ცნობას მხარს არ უჭერს არც რომელიმე პირველწყაროს ცნობა და არც მკვლევართა მოსაზრებები, ამვე დროს მას ეჭვნიება ის წყარო, საიდანაც მისი მცდარობა უნდა მომდინარეობდეს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ბიზანტიელები აღმოსავლეთის მიულ რიგ რაიონებს, რომლებიც ესაზღვრებოდა სომხეთს (არმენიას), ადმინისტრაციულ-სამმართველო დარაიონების დროს, ერთ სახელწოდებას Armenia-ში აქცევენ. იმისდა მიუხედავად, რომ აღნიშნულ რაიონებში არა სომხები, არამედ სხვა ტომთა ხალხები ცხოვრობდნენ, ბიზანტიელ პოლემიკებს ყოველთვის და ყველას როდი გააჩნდა ზუსტი ცნობები ამ რაიონების გეოგრაფიისა და მოსახლეობის შესახებ, და ეს იქცეოდა წყაროდ მათი შეცდომებისა. ასეთ შეცდომათა რიცხვს ვანიკეთუნება ანა კომნენეს ცნობაც გრიგოლ ბაკურიანის ძის სომხური შთამომავლობის შესახებ, რასაც არა თუ არ ეჭვნიება გამართლება, არამედ მთელი რივი დამაჩრებელი ცნობები უწინააღმდეგება.

ამის მსგავს მაგალითებზე მითითება შეიძლება. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ბიზანტიურ წყაროებში მცდარად არის ესა თუ ის პიროვნება ამა თუ იმ ერის შთამომავლად მოხსენებული.

ბიზანტიელ ისტორიკოსი იოველი, რომელიც 1204-1261 წლებში ცხოვრობდა და დაწერა „მოკლე ქრონოგრაფია“, მოგვიხსობს, რომ გადაყენებული იმპერატორი მიხეილ დუკა მონასტერში გაუგზავნიათ და მასთან ერთად მეთულე ავგუსტა მარიაში, წარმოშობით ალანთაგანი.¹ მერე ადგილას ამბობს, რომ ნიკითორე ბოტიანი-

ატემ „...დაიღა სამეფო გვირგვინი და ცოლად შეირთო მარია ალანთაგანი, ემიქვილის მძღოლს“².

როგორც ვხედავთ, აქ გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ ანა კომნენეს ლაკონიური ცნობა, საგან ვასხვავებით, ორჯერ, საკმაოდ გარკვეულ ვითარებაში, ქართველი მარია დედოფალი მოხსენებულია ალანთა შთამომავლად.

ანას მითუმეტეს, შეიძლებადა მოსვლიდა შეცდომა იმის გამო, რომ საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ რაიონს ბიზანტიელები „თემა არმენიკა“³ უწოდებდნენ, თუმცა მისი მოსახლეობა სრულიად სომხური არ იყო, როგორც ამას კონსტანტინე პორფიროგენეტა გვაუწყებს. იგი წერს: „გერეთ წოდებული არმენიკის თემი საკუთარ სახელს კი არ ატარებს... არამედ ეს სახელი შეიძინა მან მოსაზღვრე და მეზობელ არმენიულთაგან“⁴ მერე ადგილას კი ამბობს, რომ კაპადოკიის შიდაწილი, ხარსიანი რომ ეწოდება, „წოდებულ იქნა არმენიკად, რადგან იგი არმენიულთა ქვეყნის მეზობლად იყო“⁵ სხვა ადგილას კი ამბობს: „მესამე კაპადოკიაში, რომელთა აყვამად არმენიკა ეწოდება, შეიდი ქალაქია: ამსია, იფრია, ზალისი, ანდრამა, ამინსი, ნეოკესარია, სინობი“⁶.

გრიგოლ ბაკურიანის ძის ეროვნული შთამომავლობის შესახებ ზემოაღნიშნული შეცდომა შეიძლებადა მოსვლიდა ანა კომნენეს, რადგან იგი იმ წელს არის დაბადებული (1083). როდესაც გრიგოლმა პეტრიწონის მონასტერი დააფუძნა, ზოლო ანა თავის შრომას ამის მერე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ წერდა. მსგავსი შეცდომები ბევრია ჩვენი დროის მკვლევართა ნაშეუკრებშიც, რომლებიც არ უწყაზრა ანგარიშს იმას, თუ ესა თუ ის გეოგრაფიული პუნქტი რა მოტივით, რის საფუძველზე იხსენიება არმენიაში (არმენიკის თემში), ხელაღებით აცხადებენ მას სომხურად, სომხური სამყაროსადმი კუთვნილებად, რასაც არავითარი გამართლება არ მოეპოვება მეცნიერულად.

წყაროებში უხსენებია მოსალოდნელია, რაც ბიზანტიურ წყაროებს საჭიროებს. მაგრამ თვით ცნობა გრიგოლ ბაკურიანის ძის სომხური შთამომავლობის შესახებ კუმშარიტად ანა კომნენეს კალამს კი ეკუთვნის?... ზოლო თუნდაც ცნობის უშუალო ავტორი მართლაც ანა კომნენე იყოს, მაშინ ეს უთუოდ იმით იხსენება, რომ თვით

1 იქვე.

2 აქ და ქვემოთ მოტანილიდან აშკარა ხდება, რომ „თემა არმენიკაში“, იმ გაგებით, როგორც ეს იხსარება ბიზანტიურ წყაროებში, საკუთრივ არმენიული არაფერია იყო.

3 ს. უაუხნიშვილი, „გეოგრაფია“, IV, ნაკვ. II, გვ. 296-297.

4 იქვე, გვ. 298.

5 იქვე გვ. 299-300.

1 ს. უაუხნიშვილი, „გეოგრაფია“, VI, 1966, გვ. 160.

გრიგოლ ბაქურიანის ძე მის ტიპიკონში შენახულ ერთ ავტობიოგრაფულ ცნობაში გვეუბნება, რომ იგი სახელმწიფო სამსახურში იყო სომხეთში და სხვაგან. ანას ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რომ გრიგოლი სომხეთიდან წარმოამავლობდა.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ზემოთქმულს, მაშინ, აღარ გავკვირდებვს ანა კომენენს თხზულებაში გრიგოლ ბაქურიანის ძის სომხებად მოხსენიება, რაც ისტორიულ წყაროთაგან კენტად დგას, არც ერთი პირველწყარო და ისტორიული ვითარება მას მხარს არ უჭერს, პირაქით, ყველაფერი, პირველყოფლისა კი ტიპიკონის ცნობები, მის წინააღმდეგ და გრიგოლის ქართველობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურბაქელის ცნობას, რომელშიაც გრიგოლ ბაქურიანის ძე ტომით ქართველად არის მოხსენიებული და რომელიც ანა კომენენს ცნობასთან შედარებით, უფრო უწყველია, რადგან, თვითონ სომეხს, არ შეიძლება არა სკოდნოდა თუ კი გრიგოლი სომეხი იყო. სადაც ამ ცნობამ ანა კომენენმდე მოაღწია, ის პირველყოფლისა, მ. ურბაქელისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. ხოლო თუ მან იცოდა, რომ გრიგოლი სომეხი იყო და მაინც იგი ტომით ქართველად მოიხსენია, ეს ძნელი წარმოსადგენია, რადგან რას უნდა აეძულებინა იგი სინამდვილე ასე დაემახინებინა? მ. ურბაქელი უკეთ უნდა ყოფილიყო ინფორმირებული გრიგოლის ენაობის შესახებ, ვიდრე ანა კომენენი, რომელსაც, როგორ ჩანს, არ უნდა ჰქონოდა ზუსტი ცნობები.

6. მართან ერთად, სომეხმა მეცნიერმა პ. მურადიანმა, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, წარბეჭდვრად უგულებელყო მისი თანამემოქმედის, გრიგოლ ბაქურიანის თანამედროვეის, სომეხი ისტორიკოსის მ. ურბაქელის მიერ გრიგოლის ქართველად მოხსენება, სადაც გრიგოლის სწორად ტომით ქართველობაზეა მითითებული. პ. მურადიანი ამბობს, რომ: „სომეხი წყაროთაგან ბაქურიანის ნაციონალიზმის შესახებ ვაღმოგვეცვს მათეოს ურბაქელი, რომელიც ამტკიცებს და ამჯერებს „ტიპიკონის“ ცნობას („გრიგოლ ბაქურიანის ძე ტომით ქართველი“), ე. ი. ცნობას იმის შესახებ, რომ გრიგოლი ტომით ქართველია.“

როგორც ვხედავთ სომეხი წყაროებში ეს ერთადერთი ცნობაა გრიგოლ ბაქურიანის ძის ეროვნული შთამომავლობის შესახებ და ისიც მის ტომით ქართველობას ვაუწყებს, რაც თავისთავად ფრიალ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ მდიდარ სომეხი ისტორიოგრაფიას გამორჩენილია გრიგოლ ბაქური-

ანის ძის სომხობის აღნიშვნა, თუ კი იგი სომეხი იყო...

სამართლიანობისა და ქვეყნობის სასწრაფო ერთ მხარეზე დევს გრიგოლ ბაქურიანის ძის სომხური შთამომავლობის ანა კომენენს, დაუსაბუთებელი, ლაკონიური ცნობა, მეორე მხარეზე: თვით გრიგოლ ბაქურიანის ძის სრული ავტობიოგრაფიული ცნობა, რომელშიც იგი გვაუწყებს თავის ადგილ-წარმოამავლობას (აღმოსავლეთიდან), ეროვნულ (ქართულ) შთამომავლობას და საზოგადოებრივ მდგომარეობას (თანამდებობებს), მის მიერ შედგენილი პეტრიწონის მონასტრის ვრცელი შინაარსი,¹ სადაც არაერთგზის არის ნახსენები გრიგოლის ტომით ქართველობა, ბიზანტიური, სომეხური და ქართული პირველწყაროები, რომლებშიც მრავალჯერ არის დადასტურებული გრიგოლ ბაქურიანის ძის მხოლოდ ტომით ქართველობა და ის მკვერმეტყველური ქართული ატრიბუტები, რომლებიც ბლომად აღირიცხება მონასტრის დაარსებიდან დღევანდლამდე.

ობიექტური მეცნიერება თვით დინახავს, საითაც იხრება სასწრაფო.

ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველზე ხომ უფრო ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ პეტრიწონის მონასტერი იმთავითვე ქართული იყო და ქართულადვე დარჩა, ვიდრე წარმოვადგინოთ დაუსაბუთებელი პოპოთეზა, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძე თვითონაც სომეხი იყო (თუნდაც კონფესორად გაქართველებული სომეხი) და მონასტერიც სომეხებისათვის დააარსაო. გრიგოლი ხომ, როგორც ვნახეთ, თვითვე გვაუწყებს თავის ენაობასაც (ქართველობას) და იმასაც, რომ მონასტერი ქართველებსათვის არის აგებული, რასაც არაერთხელ აქვს მონასტრის წესდებაში ხაზი გასული. ან ბულგარეთში მცხოვრები სომეხი ქალედონიტებისათვის რატომ უნდა ყოფილიყო საგაღმებელი ქართული წერაქითხევა. თუ ასეთი რამ ქართულ პრივილეგია ტაოში მოსალოდნელი იყო ქართველობის ზეგავლენით (თუნდაც იქნებდითაც), ბულგარეთში ხომ არ შეეძლოთ ქართველებს ასევე მოქცეულობენ, თუნდაც იმტომ, რომ ქალედონიტობის წინააღმდეგ სომეხების ბერძნულთან დაახლოვება უფრო ბუნებრივი იყო და „ქართული აღმსარებლობის“ ფაქტური იქ ქმედითი ვერ იქნებოდა, ძნელი დასაჯერებელია, რწმენის საფუძველზე სომეხები ისე გადაჯავრებულებიყვნენ, რომ დაეფინებინათ უარყოფითი სომეხობა და საქართველოდან შორს, უცხო ქვეყანაში, ბერძენთა სახელმწიფოში მყოფი, ემტკიცებინათ თავიანთი ქართველობა და თანაც ტომით ქართველობა, როგორც ეს არა ერთგზის არის წესდებაში გრიგოლ ბაქურიანის ძის მიერ განმეორებული.

¹ იველისმგება პეტრიწონის მონასტრის წესდება.

ამასთანავე, თვით ნ. მარის ცნობით, სომხეთში სომეხი ქალკედონიტები „horom“-ებად იწოდებოდნენ. მაშ, სომეხ ქალკედონიტებს ჰქონიათ სათანადო სახელწოდება, სწორედ რელიგიური ბერძნული მიმართულებების საფუძველზე მიღებული და მათი ამ სახელით არსებობა (მოხსენება) ბიზანტიის სახელმწიფოს შიგნით (ბულგარეთში) უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ვიდრე ქართველებად გამოცხადება, გრიგოლის დაყენება ქართველები ვართო, სრულიად არ არის რელიგიურ მომენტთან დაკავშირებული.

არც ანა კომნენეს მკვლევარად აღიარებულ მოწმობას და არც ნ. მარის დიდი ერუდიციისთვის სრულიად შეუსაბამოდ წამოყენებულ მოსაზრებებს, ონდაც არ შეიძლება მიეწეროს ის ფუნქცია, რომ კაცო, რომელიც დაჰინებით იმურობს ტომით ქართველები ვართო, სომხად აქციონ.

იმისდა მიუხედავად, რომ გრიგოლ ბაპრიანის ძე პეტრიწონის მონასტრის წესდებაში რამდენჯერმე იმურობს, რომ თვითონაც და მონასტრის ბერებში ტომით ქართველები არიან, ნ. მარის მიერ იმას დღებრობის, რომ ტრიპიციონის სომხური ვარიანტი (რომლის არსებობაც ჯერ დამტკიცებული არ არის) «...мог предназначаться лишь для армян, понятно, для армян-халкедонитов, которые в виду их единоверия, названы здесь грузинами за одно с грузинами по происхождению»¹.

მაგრამ, თუ ეს ასე იყო, მაშინ რატომ ერთი სიტყვით მარინ არ აღნიშნა გრიგოლმა, რომ აქ სწორედ ის ქართველები (უკეთ რომ ვთქვათ, ის სომეხები) იგულისხმებიან, რომელნიც მხოლოდ რწმენით არიან ქართველებიო... რამე განსხვავების გატარება აუცილებელი იყო აღრვეის თავიდან ასაცილებლად, რადგან, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ტერმინი ქართველები (Iberes) ტომით ქართველების აღსანიშნავად იხმარებოდა. სწორედ ასეთებისათვის დააარსა თითქმის ერთდროულად ალექსი კომნენოსმა კონსტანტინეპოლში მონასტერი, რაზედაც ანა კომნენე მოგვითხრობს.² როგორც ამ მონასტრის, ისე პეტრიწონის მონასტრის ბინადართა მიმართ ერთნაირად არის ნახმარი ქართველები (Iberes). პეტრიწონის მონასტერი ბიზანტიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსდებოდა, სადაც Iber-ების სახელით ქართულ უნიკურ სამყაროს იცნობდნენ და ამიტომ სავირო უნდა ყოფილიყო სათანადო განმარტება, თუ კი მისი ბერები ჩვეულებრივი, ტომით ქართველები არ იყვნენ.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მონასტრის წესდებით (25-ე თავი) მონასტერში შესვლის უპო-

რატესობა ეძლევა ჯერ გრიგოლ ბაპრიანის ძის სისხლით ნათესავეებს და მერე ესტეფანე ივერთავანს.³ აქ გარკვევით აქვს ნახი განსწორი თვისტომის მომენტს და არა კონფესიურ მომენტს. აქ დააპარკია სისხლის მონათესავე ქართველებზე და არა კონფესიურად ერთიან, გაქართველებულ სომეხ ქალკედონიტებზე.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პეტრიწონის წესდებაში ასოლუტურად არ მოიპოვება არავითარი, თუნდაც მიახლოებული რამ, ცნობა-მოთხოვნა იმაზე, რომ იქ საუბარი იყოს კულტურულ-რელიგიურ საფუძველზე ქართველებად წოდებულ სომეხ ქალკედონიტებზე, არც რაიმე უკუდასკვნითი გზით შეიძლება ამის ვარაუდი. სამაგიეროდ, წესდებაში ქართველობის მრავალგზის ხსენებას თითქმის თან ახლავს ელემენტარულიც ვენაშნებას, რომ იქ ტომით ქართველებზეა საუბარი, ეს ორივე გარემოება იმდენად თვალსაჩინოდ მოჩანს წესდების შინაარსის ანალიზიდან, რომ მისი უგულებელყოფა შეუძლებელია, ხოლო მისთვის სათანადო ყურადღებას მიმპრობის შეუძლია თავიდან აგუადინოს ყალბი, ანტიმეცნიერული კონსტრუქციები.

ჯერ არც ის არის დამტკიცებული, რომ წესდება სომხურადაც იყო დაწერილი და არც ის, რომ გრიგოლ ბაპრიანის ძეს სომხურად აქვს ხელი მოწერილი, ნ. მარის კი უუცემანოდ აკეთებს რადიკალურ დასკვნას: «...но выяснено уже, что... армяне Петрицонской братии... по всей видимости знавшие и живой разговорный грузинский язык, более сильны были в армянской грамоте». В начале же в числе армян-халкедонитов Петрицонского монастыря, лучше владевших армянским языком и во всяком случае предпочитавших пользоваться им, как более привычным, оказывается сам основатель Григорий Бакурияни. Подпись на официальном греческом тексте устава он делает армянским письмом»⁴.

აქ არც ერთ სიტყვას არ მოეპოვება იმაზე მეტი მეცნიერული ღირებულება, რაც მარისეულ მრავალრიცხოვან მიმოთხებებს, ხშირად მართლაც მალაღონიერებს, მაგრამ არა იშვიათად სრულიად აბსტრაქტულსა და ეფემერულს.

ჯერ ერთი, რის საფუძველზე მიიხსენებს ნ. მარის პეტრიწონის ბერებს სომეხ ქალკედონიტ-

¹ ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგია“, 5, გვ. 273-275.

² ასეთი დასკვნა ეწინააღმდეგება მონასტრის წესდების კატეგორიულ განცხადებას, რომ იქ შეკრებილი ბერები ქართველები არიან, ქართული წერა-კითხვის მცოდნენი; წესდებაც ქართულად უნდა წაიკითხონ და შეითვისონ.

³ ნ. მარის, მით შტ., გვ. 20.

¹ ნ. მარის, მით შტ., გვ. 20. აქ ისე გამოდის, რომ ნ. მარის პეტრიწონის მონასტერში ერთად ეგულება ქართველები «по происхождению» და გაქართველებული სომეხები.

² Anna Comn, XV, 7.

ბად, მაშინ, როდესაც ზემოთ იყო მითითებული, რომ იქ შემოკრებილი არიან ბულგარეთის გარკვეულ რაიონში მყოფი ქართველი ბერები. იქ ზომ-თვით ნ. მარის აღიარებით, ადრევე არსებობდა ქართული მონასტერი?!

მეორე, ნ. მარმა კარგად იცის, რომ გრიგოლის სომხური ხელმოწერა შეკლევართაგან სავსეა არის მიზნული. იგი თავის ზემოთ მოტანილ მსჯელობას ასეთ შენიშვნას ურთავს: «Поразительно, что О. Луиш, считающий Григория Бакуриани кровным грузином, не смущеннисколько его армянской подписью. Museus по крайней мере ставит вопросительный знак?».

ის ვარაუდობს, რომ სომხური ხელმოწერა გრიგოლის სრულად უადგილოდ, მხოლოდ ბერძნულ ვარიანტშია მოხსენიებული, ვრთხელ კიდევ მითითებს იმაზე, რომ იგი შემდგომში, დროთა განმავლობაში უნდა იყოს გაჩენილი და იმ თაობაზე არ შეადგენდა წესდების ორგანულ ნაწილს.

რომ მოიბოვებოდეს წესდების სომხური ვარიანტი, გრიგოლის სომხური ხელმოწერით (სასურველია ორიგინალი), მაშინ შეიძლებოდა მსჯელობა ამ მიმართულებით. ეხლა კი ბერძნულ ვარიანტზე, ვითომდა, სომხური ხელმოწერა, თავისთავად სავსეობს ხდის ასეთი ფაქტის რეალობას და თვით ამ ცნობის მიმართ უნდობლობა იწვევს.

ნ. მარი ერთ დაუმტკიცებელ დებულებაზე მეორეს აკვებს.

რაკი, მისი აზრით, მან, ვითომდა, დამტკიცა, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძემ, თუმცა ქართული იყო, მაგრამ სომხურს უკეთ ფლობდა და ამიტომაც წესდებას სომხურად მოაწერა ხელი, განაგრძობს: «После этого нет надобности указывать на то, что форма фамилии Григория на «иан» (Бакуриан) армянская, родные его носят армянские или более обычные в древне-армянском быту имена, как напр., Абас, Вардан?».

და შემდეგ: «Очевидно, сам основатель грузинского монастыря¹ Петрицион, халкедонит, был армянин по крови, по происхождению. Безукоризненно перю в этом отношении свидетельство Анны Коминий²».

ნ. მარი განაგრძობს თავის მიერ აღებულ ვებს, რომელსაც მყარი მეცნიერული დასაყრდენი ვერ მოუძებნა და მაინც, დაწმენებული საკუთარ სიმართლეში, უკვირებს რა Louis Petit-ს, რომ

ეგი «...последнюю часть с блистательной армянской родовитости (სუბტილ მღვდლის). так как сам Григорий (სუბტილ მღვდლის) себя, что он из блистательнейшего рода из Грузии... но мы теперь знаем, какое широкое, чисто культурное значение имеет в устах Григория, слово грузин: всякий армянин-халкедонит, даже все еще более грамотный в армянском, чем в грузинском, по его представлению, есть грузин, наравне с чистокровным грузином»³.

ძველი დასაჯებელია, რომ ესოდენ მნიშვნელოვან პრობლემაზე ასეთი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი, ზერეულ მსჯელობა იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც სამეცნიერო სარბიელზე დიდი მეცნიერის სახელი აქვს დამკვიდრებული. ნ. მარი უფელეებულყოფს იმ ვარაუდებს, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე წესდების ამ კონტექსტში, რომელიც მხედველობაში აქვს ნ. მარს და ბევრ სხვა ადგილასაც, ხახასაშით აღნიშნავს, რომ იგი სწორედ ტომით არას ქართველი და არა რწმენით.

ნ. მარი, განაგრძობს რა, რომ გრიგოლი რწმენით არის ქართველი და თუმცა მისი რწმენა «во всем согласуется ...с греческой он все же чувствует не греком, а грузином, так как. — თურმე ნუ იტყვი, происходит несомненно» — დიას, მხოლოდ ასეთი დასაბუთების საფუძველზე, «из района некогда армянского, но к XI веку уже обращенного почти вполне грузинский»⁴. ნ. მარს აქ ლაპარაკი აქვს ძველ ქართულ პროვინცია ტაოზე, რომელიც, მისი აზრით, «...в VII веке была армянской... и здесь процветало повидимому армянское халкедонитство»⁵.

რომ ამ მხარეში უნდა ყოფილიყვნენ სომეხი ქალეღონიტები, რასაც იქ სათანადო საეკლესიო ობიექტებზე დასტურებს. — ეს სადაო არ უნდა იყოს, მაგრამ სიდიან ჩანს, რომ ეს მხარე მთლიანად გასომხებული იყო და იქ ქართველობა არა ცხოვრობდა? რა იძლევა ამის საფუძს, რომ ეს მხარე ქართული მოსახლეობის ვარგულ წარმოდგენილი? ნ. მარს თავის მოსაზრებას დებულებათაგან არც ერთი საჭირო მეცნიერული საბუთიანობით არ ცხადუვყია. საისტორიო წყაროების მიხედვით კი, ეს მხარე მუდამ ქართული მოდგმით იყო დასახლებული.⁶

თუ რა „მყარ“ საბუთებზე აგებდა ნ. მარი თავის ამ კონცეფციას წინასწარ მიჩნევა რა,

¹ Н. Марр, Аркауи გვ. 17, შეად. ს. ყაფხიანი-შვილი, «გეორგია», 5, გვ. 273-275.

² ნ. მარი, იქვე, გვ. 209.

³ Н. Марр, Аркауи..., გვ. 20.

⁴ საყურადღებოა ეს გამოთქმა: «Грузинского монастыря».

⁵ ნ. მარი, იქვე.

¹ ნ. მარი, იქვე.

² Н. Марр, Аркауи... გვ. 21.

³ იქვე, გვ. 21-22.

⁴ ამ პრობლემის განხილვა ჩვენს მიზანდასახულებას სცილდება ამჟამად.

რომ ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა სომეხი ქალკედონიტებისაგან შედევბოდა, რომელნიც თავის თავს ქართველებად სთვლიან სარწმუნოების ნიღაჯზე, თვალსაჩინოდ მოჩანს შემდეგიდან:

ნ. მარსი ჭადაგებს, რომ ტაო-კლარჯეთის სომეხები «будучи халкедонитами, денационализовались и становились грузинами». В X же веке была еще попытка вернуть край армянам обращением его в антихалкедонитство, но шардапет Состенес, взявшийся за это дело, не имел успеха (Жордани, Хроника и проч. I, 1893, стр. 125 и сл.). В 1083 году, когда основывался Петропавловский монастырь, армяне-халкедониты этого края считали себя уже природными грузинами и сравнивали все еще армянскую грамотность².

იმ მასალაში, რომელსაც მიუთითებს ნ. მარსი, საუბარი სრულადაც არ არის იმაზე, რომ «Вернуть край армянам», მიუთითებელი საბუთში ნათქვამია: «ბაგრატ მეფესთან მოვიდა სომეხთა წინამძღვარი და რეფლისა მეცნიერო მათი ქადაგებად, რათა არწმუნოს სარწმუნოება მათი ქართველთადაც, რომელსა ეწოდა სოსთენა»³. მაგრამ ქართულთა მხარეს ჩაუხუმებია ეს მკადაგებელი მისიონერი „და წარვიდა სოსთენ თვისადე“³.

როგორც ვხედავთ, აქ საქმე სრულიადაც არ ეხება „ამ მხარის სომეხებისათვის დაბრუნებას“, არამედ საუბარია სომეხთა მოძღვრის მცდელობაზე, რათა სომეხთა (ანტიქალკედონიტური) სარწმუნოება გაეარეცოს საქართველოშიც. მიადლებინა იგი ქართველებს გრეგორულ სარწმუნოებად. სწორედ ამიტომ იგი ბაგრატ მეფესთან მოვიდა, სარწმუნოების საკითხებზე ასეთი პაექრობის პრაქტიკა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა ამ ორ ზალს შორის, როგორც ამას შეორე წყარო ვგაუწყებს.

თ. გორდანიას მიერ იქვე მოტანილ მეორე ვრცელ წყაროში ისიც არის დამოწმებული, რომ სარწმუნოების საკითხებზე პაექრობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქართველთა და სომეხთა შორის და ისიც, რომ სოსთენის მოხელა სწორედ ერთაში ასეთი ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო და მას ოდნავად არ ეტყობა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რასაც მას ნ. მარსი მიაწერს.

ამ საბუთში ნათქვამია, რომ სოსთენი „...უკეთე ჩვეულებისამებრ მოვიდა ბაგრატ მე-

ფისა და იწყო ზეობით და ამპარტავენით ქებად თვისსა, ხოლო ვმოხად დეკრეტოჲს ქართველთა მხრისა.“ მეორე ხეცვლას კი იწყებენ საბუთში ეკითხულობთ: „დიდი მოძღვარი სომეხთისა სოსთენ მოვიდა დისწულისა მისისა იერემიას თანა და გამოვიბნაჲსა ჰყოფს წინაშე მეფისა სრულისათვის ჩუენისა და მათისა.“⁴

თუ ამ მასალიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სოსთენის მისია იმაში მდგომარეობდა, რათა დაებრუნებინა ტაო-კლარჯეთი სომეხებისათვის, ამის განსჯა ობიექტური მეცნიერებისათვის მივიწინდებართ⁵.

ნ. მარსის მიერ ასეთი არაობიექტური (მე არ ვიკადრებ ვიხმარო მის მიმართ უფრო მეტეტი გამოთქმა) დამოკიდებულება წყაროს მიმართ, ფრიად კარდინალური პრობლემის გადაჭრის დროს, უთუოდ მეცნიერულ ღირებულებას უკარგავს მთელ მის ამ მიმართულებად გაწეულ ნაშეშეარს... თუმცა, დაე, ყოველმა პირთყველმა მეკლუარმა თვით დასლოს მას მსჯავრი.

ამვეჯარად, ირკვევა, რომ ნ. მარსის პიპოთეზა, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძე ანა კომნენეს ცნობის საფუძველზე სომეხად არის მისაჩნევი, მეორე მხრივ კი თეზისი, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძეს სომეხი ქალკედონიტია და ამ ნიღაჯზე უწოდებს იგი თავის თავს ქართველს—ეგრე პოულობს მეცნიერულ დასაყრდენს; ამისდა მიუხედავად, იმდენად მიმზიდველი და მაცდური აღმოჩნდა ეს პერსპექტივა ზოგიერთებისათვის, რომ მას ზალით მიეტანნენ და ცდილობენ რაიმე დამაჯერებლობა შესძინონ ნ. მარსის პიპოთეზას. მაგრამ წარმატება არ ზღუდა.

1968 წელს სომეხეთის ისტორიულ-ფილოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნდა პ. მურადიანის წერილი, რომელშიაც კვლავ მოცემულია ცდა გრიგოლ ბაქურიანის ძის გასომეხებისა.

არც პ. მურადიანს და არც მისი დასის სხვა მკვლევარებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ახალი არგუმენტი გრიგოლ ბაქურიანის ძის სომეხობის დასამტკიცებლად და ძირითადად იმეორებენ ნ.

¹ თ. გორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 127.
² ბაგრატ მეფისთვის დროს (1027-1072) როგორღა შეიძლებოდა „სომეხებისათვის დაბრუნება“ იმ რაიონისა, სადაც, ნ. მარსის სიტყვით, სომეხები „...будучи халкедонитами, денационализовались и становились грузинами“ (გვ. 22) და რომელი მხარეც წარმოადგენდა «к XI веку уже обращенного почти вполне грузинский» (გვ. 21) და ამ მხარის «армяне-халкедониты ...считали себя уже природными грузинами» (გვ. 22).

³ ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 1968 წ., № 1. პ. მურადიანის, გრიგოლ ბაქურიანის „ტიპოკონის“ პერძნული და ქართული რედაქციების შეფასების საკითხისათვის, გვ. 103-117 (სომეხურ ენაზე).

¹ საკითხავია, დენაციონალიზებული და გეოპოლიტიკური სომეხები როგორღა ინარჩუნებდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ ნ. მარსისად თქმით, «...всякий армянин - халкедонит, даже все еще более грамотный в армянском, чем в грузинском» (გვ. 20), თავს ქართველად სთვლიდა.
² Н. Марр, Аркаун..., გვ. 22.
³ თ. გორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 126.

მარის მოსაზრებებს, მიიჩნევენ რა მათ უცხო-
ბელ დებულებად. თავისი შრომის თითქმის
დასაწყისშივე პ. მურადიანი წერს, რომ რამდენ-
იმე უცხოელ და რუს მეცნიერს გამოთქმული
აქვთ მოსაზრება, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძე
სომეხი კი არა, ქართველი იყო და ამბობს, რომ
ეს ტრადიციული თვალსაზრისი გადათავლიერ-
ებული არის ნ. მარის მიერ, რომელიც ამტკიცებს,
რომ გრიგოლი სომეხი იყო. პ. მურადიანს მო-
აქვს ნ. მარის წიგნიდან ციტატა: «...очевидно,
сам основатель грузинского монастыря Пе-
трицона, халкедонит был армянином по крови,
по происхождению»¹. და ამ უებარე აჩევიდ-
ნოზე დაყრდნობით, პ. მურადიანი მტკიცედ და-
სკვნის: «ამრიგად, საკითხი სავსებით გარკვეუ-
ლად იყო მიჩნეული, ე. ი. გრიგოლ ბაქურიანი
წარმოშობით არის სომეხი, მაგრამ ქალკედონე-
ლი და ქართული წრიდან (ტრადიცი) და რომ
იგი ამის გამო უწოდებს თავის თავს ქართველს,
რომ ამ ქართველი სინონიმი ქართული აღმსა-
რებლობისა»².

ეს არის უბრალოდ განხილვა იმისა, რის
დამტკიცებასაც ამაოდ ლამობდა ნ. მარი.

თავისი შრომის 107-ე გვერდზე პ. მურადიანი
განაგრძობს მსჯელობას გრიგოლ ბაქურიანის
ძის სომეხობაზე, ერთერთ არგუმენტად მიიჩნევს
სწორედ ანა კომენენს ცნობას და გადამტყობი-
ანობს, რომ „ბაქურიანი ამ ცნობის მიხედვით
არის სომეხი»³. მაგრამ საისტორიო წყაროს
ცნობაზე დაყრდნობა და ისიც ასე ზედადებით,
მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იგი, მაკარი
მეცნიერული ანალო-ინტერპრეტაციების საფუძ-
ველზე, უდავოდ მიიჩნევა, თუ სხვა პარალელურ
ცნობები მხარს უჭერს და არა პირიქით, მის
საწინააღმდეგოდ არ მეტყველებენ. ანას ცნობა
მეცნიერთაგან მდარად არის აღიარებული, რა-
ზედაც პ. მურადიანი დუმილს არჩევს და ამით
მეცნიერთა ობიექტურობას დაღატობს⁴. საერ-

თოდ პ. მურადიანს თავისი დებულებების ძირა-
თად დასაყრდენად მხოლოდ ნ. მარის სწავლენ-
ტაცია შიანია.¹

პ. მურადიანი ცდილობს მოჭებნოს გრიგოლ
ბაქურიანის ძის სომეხობის მარჯველი ცნო-
ბები და ერთერთ ასეთად მას შიანია პეტრიწო-
ლის მონასტრის წესდების ცნობა, რომლის ში-
ხედვითაც, გრიგოლს ჰქონია ოქრობეჭები და
მას შეუძლია ვადასცეს თავისი მამულები ყვე-
ლას. ამ პ. მურადიანი ყურადღებას მიაქცევს
გრიგოლის სიტყვებს: „ჩემს ნათესავეებსა და ჩემს
შემეს, თუნდაც ისინი სომეხური სარწმუნოებისა
იყვნენ“ და დასკვნის: „რად უნდა ლაპარაკი,
რომ სომეხური აღმსარებლობის ჰქონე თანამე-
ტომენი (ნათესავეები) მხოლოდ სომეხს შეიძლე-
ბოდა ჰყოლოდა»².

მართლაც შესანიშნავი დასკვნაა, კონტექსტო
რომ ამის შესაძლებლობას იძლეოდეს და, პირი-
ქით, სწორედ საწინააღმდეგოდ ამაყრად არ ლა-
ღებდებეს; თანაც ეს მაშინ იქნებოდა შესაძლე-
ბელი და დასაყრდენი, გრიგოლის სომეხობა
და მასთან ერთად ქალკედონიტობაც, რომ არა
თუ უეჭველი იყოს, არამედ რომელიმე უშუალო
წყარო, თუნდაც მხოლოდ გვაგულისხმებინებ-
დეს ამას.

საქმე ის არის, რომ პ. მურადიანს ამ „თა-
ნამეტომენი“ სრულიად უდავოდ და უსაფუძ-
ველად აქვს ნახმარი. ტრაიკონის კონტექსტში
არის „Pros tois süngeneis kai anthropous
moi“. ამ ლაპარაკია ნათესავეებსა და anthropo-
us-ზე, ესენი არიან ერთმეტერგს მიმართ დაპი-
რისიანობენი. მაშასადამე, გრიგოლ ბაქური-
ანის ძე ამ გულისხმობს, ერთი მხრივ, ჩვეულებ-
რივ ნათესავეებს, რაც შეიძლება, სრულიად ბე-
ნებრივად, ტომობრივსა და რელიგიურ ზღუ-
დეებს სცილდებოდეს და, მეორე მხრივ, „an-
thropous“.

რას უნდა ნიშნავდეს ეს უკანასკნელი და ვის
უნდა გულისხმობდეს იგი? ს. ყაუხჩიაშვილი მას
თარგმნის ყმები. მაგრამ ეს ცნება ამ უფრო კონ-
კრეტული მნიშვნელობით უნდა იყოს გავგებელი
და უნდა გულისხმობდეს არა საერთოდ უბრა-
ლო შინაყმებს, ფეოდალური საზოგადოების უმ-
დაბლეს ფენას, არამედ მხოლოდ იმთ, ვინც
გრიგოლისავე გარკვეულად არის დამოკიდებუ-
ლი, ფეოდალური იერარქიის საფუძველზე, სოუ-
ზერენ-ვასალური დამოკიდებულების სისტემით.

სხვათაშორის, anthropoi-ის სოციალური ში-
ნაარსი სავსებით საშარტლიანად სწორედ ასე
განმარტა პ. მურადიანის თანამემამულემ, აფ-
რეთვე გრიგოლ ბაქურიანის ძის სომეხობის

¹ თუ რაოდენ საიმედო დასაყრდენს შეიძ-
ლება წარმოადგენდეს ნ. მარის დებულებანი,
ეს გამოჩნდა ზემოთ, ამ დებულებათა კრიტიკუ-
ლად განხილვისას.

² იქვე გვ. 107.

¹ იქვე, გვ. 105.

² იქვე, სომეხი რატომ აარსებს ქართულ მო-
ნასტერს უცხოეთში, როცა თვით საქართველო-
ში სომეხური ეკლესიები არსებობს?

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 107. პ. მურადიანი უგულებელ-
ჰყოფს და მოხსენების ღირსადაც კი არ მიი-
ჩნევს ჩვენი დროის ბიზანტიის ისტორიის ცნო-
ბილ მკვლევართა აზრებს, როგორც არის ა. კაფ-
დანი, რომელიც ამბობს: «Среди полководцев
Алексея выделялся Григорий Бакурини,
грузинский феодал, человек несобычайной
смелости». История Византии, т. II. Акад.
Наук СССР, М., 1967, გვ. 298.

⁶ პ. მურადიანი გვერდს უხვევს ანა კომენენს
ცნობის შედასებას სამეცნიერო ლიტერატურა-
ში და Я. Любарский-ზეც კი არ მიუთითებს.

შეადგებულმა ვ. არუთინოვამ. «ვ. არუთინოვას განმარტებით: «...итак, «люди, упомянутые в типике богородицы Петричониссы, это мелкие феодалы, которые несут службу (в основном — военную) в пользу своего господина и получают в награду от него имения и пожизненное владение, т. е. эти «люди» — вассалы Григория»¹.

ვ. არუთინოვას შეველო ვაგვარკუნბა ეს თავისი სწორი დებულება ტიპიკონის მასალით, სადაც ხალხის, აღმართისა ის კატეგორია, რომელიც შინაყმებს გელისხობის, აღნიშნულია antihorou-ის საწინააღმდეგოდ, ტერმინით Paroikon. იგი ნახშირია იმ კონტექსტში, რომელშიაც ჩამოთვლილია გრიგოლ ბაქურაინის ძის მიერ მონასტრისათვის შეწირული საბატონო უღლები, გლეხები (ყმები) და შათი კეთვნილი ყოველგვარი ცხოველი (despotikon zeugarion paroikon)² მაშასადამე, antropous-ში იგულისხმებიან გრიგოლ ბაქურაინის ძის ვასალები, რომლებიც მის სხვადასხვა მხარეში ეთონვნილ მამულ-სამფლობელეებში³ ბინადრობდნენ და რომელთათვისაც შეიძლება იმის მიმუღის გადაცემა. ასეთთა შორის, სომხურ სამფლობელოებში (გრიგოლს ზომ სომხეთშიაც ჰქონდა მამულები), სრულიად ბუნებრივად, იქნებოდნენ ანტიქალკედონიტი სომხები, რომლებიც ტიპიკონში არ მუხლში იგულისხმებიან. სწორედ ამით გამო არის იმ მუხლში ეს ფრაზა. აქ თანამეტროპოია არაფერ შეაშაია.

3. მერაღიანის მსჯელობაში ირც ის არის მართალი, რომ ვითომც გრიგოლ ბაქურაინის ძე მამულებს გადაცემას მხოლოდ ტაოში ვარაუდობდეს და რაკი, მისი აზრით, ეს ასეა, მაშასადამე, ტიპიკონის ეს მუხლი სწორედ სომხ ნათესავებს გელისხობის, რადგან მერაღიანის თქმით: «ისტორიიდან ცნობილი არ არის რომელიმე ისეთი ფაქტი, რომლის თანახმადც XI საუკუნის ტაოში (ისევე როგორც ერთი-ორი საუკუნით ადრე) ყოფილიყვნენ ერთბუნებიანი (სომხური აღმსარებლობის მატარებელი) ქართველები»⁴.

აქაც წყაროს კონტექსტის არასწორად გაგების შემთხვევია. გრიგოლ ბაქურაინის ძე მხოლოდ ტაოზე რიდი ლაპარაკობს.⁴ იგი სავანგებოდ აღნიშნავს, რომ მას აქვს უფლება თავისი

მამულები გადასცეს სხვას, სადაც კი მას ეს მოეხურება» («მაქც უფლება გადაცემა შეეძლება, სადაც კი მსურს»).

3. მერაღიანისა და სხვათა მიერ გამოყენებულ და მსგავს არგუმენტ-საბუთიანობით ვერ მოხერხდება იმის დამტკიცება, რომ ქართული ისტორიული პროვინცია ტაო X-XI საუკუნეებში დასახლებული იყო სომხებით და თანაც, სადაც ჯერ კიდევ იყვნენ მონოფიზიტი სომხები. რომ, ამასთანავე, სომეხი ქალკედონიტები იქ იმ რაოდენობით იყვნენ, რომელნიც საჭიროა იმისათვის, რათა მასზე დაყრდნობით ნ. მარშა წამოაყენოს თავისი პიპოთუხა სომეხ ქალკედონიტთა მსოფლიოში მრავლად არსებობის შესახებ და მით შექმნას საფუძველი «არქაუნის» ასახნვალად; მისი მიმდევარნი კი იმავე საშუალებით გადასწდნენ ცნობილ ქართველ მოღვაწესა და პეტრიწონის დიდებულ ლეჩას, გამოაცხადონ სომხურად და ამით პრეტენზია განაცხადონ ქართულ რაიონ ტაოზე.

ასეთი რთული და სერიოზული, ხოლო მათ მხრივ პრეტენზიული პრობლემის, ასე მართლად და ნებისმიერად გადაწყვეტას შეცინებული შეთაღლოვითა ვერ იგუვებს. ჯერ ეპიმიოტანელი საბუთებით უნდა დამტკიცებულიყო, რომ ტაო სომხური იყო და ამას მერე მოჰყოლოდა გრიგოლ ბაქურაინის ძის სომხად და თანაც ქალკედონიტად გამოცხადება, რომელიც ამასთანავე, ტაოელი უნდა ყოფილიყო. აქ კი პირველად, ჯერ, ყოველგვარი შეცინებული დასაბუთების გარეშე, მიიწინევა, რომ გრიგოლ ბაქურაინის ძე ტაოელი სომეხი ქალკედონიტი იყო და მერე დასყენა კეთდება, რომ, რაკი გრიგოლ სომეხი იყო, ტაოი სომხური იყო. თუცა გრიგოლის ინდივიდუალურად ქალკედონიტობასა (ეს კიდევინა რომ მართალი იყოს) და ტაოს ქალკედონიტობას შორის ორგანულ კავშირსაც ცალკე მტკიცება დასჭირდებოდა.

როგორც ვხედავთ, 3. მერაღიანს მონასტრის წესდების შინაარსის არასწორად, თავისებურად გაგების საფუძველზე, არასწორი და თვითნებური დასკვნები გამოაქვს: წესდების ზემოვანბნულ მუხლში არც გრიგოლის მხოლოდ ტაოს მამულებზეა ლაპარაკი და არც იქ მის არ არსებულ მონოფიზიტ ნათესაებზე.

შემდეგი არგუმენტი, რომლითაც, 3. მერაღიანის აზრით, გრიგოლ ბაქურაინის ძის სომხობა მტკიცდება, იმაში გამოიხატება, რომ გრიგოლს, როგორც 3. მერაღიანი აღნიშნავს, ვადამწყვეტი რიდი შეუტრულებია «არისა და კარნე ქალქის, სომეხთა ქვეყნების» ბიზანტიისათვის დამორჩილებიასა.¹¹ ხოლო კარი და კარნე ქალქი რა საფუძველზე მიანიჩა 3. მერაღიანს «სომეხთა ქვეყნებად», თუ როდის და რიგორ იყო ეს

¹ В. Арутюнова, К вопросу об «antihorou» в Типике Григория Пакуриана. Византийский Временник, т. XXIX, гв. 63—76. 3. მერაღიანი ამასვე დღმს.

² ტიპიკონი, თავი 2. 17. ს. ყაუხჩიშვილი, «გორაკია», 5, გვ. 129.

³ 3. მერაღიანის დასახ. შრ., გვ. 108.

⁴ კონტექსტი იმის პირდაპირ მითითებასაც კი არ შეიცავს, რომ იქ ტაო უსათუოდ (ან მით უმეტეს განსაკუთრებით) იგულისხმება.

¹¹ 3. მერაღიანის დასახ. შრ., გვ. 108.

მეცნიერები სომხური, პ. მურადიანი არაფერს ამბობს.¹

თავისი წერილის 110-ე გვ. შენ. 32-ში პ. მურადიანი წერს: „როგორც ერთხელაც აღვნიშნეთ, დავით ერეკლეს მითხოვნილი არაბულიდან სომხურად შესრულებული თარგმანები თვალნათლივ ამტკიცებენ, რომ X-XI საუკუნეების ტაოსა და კლარჯეთში არა მხოლოდ ცხოვრობდნენ მონოფიზიტი სომხები (ქალკედონელთა შესახებ ხომ ლაპარაკი ზედმეტია), არამედ სომხური ენა იმდენად ცოცხალი და ექსტენსიური იყო, რომ „პირველი მეფენი და მთავარნი“ მოსახლობლად და წასაკითხად სომხურად თარგმნიდნენ.“²

ახლა მოვეხმინით სომხური მეცნიერების მეორე, უფრო მომცრო წარმომადგენელს ვ. არუთინოვას, იგი თვითდაჯერებული აცხადებს: «Мы можем утверждать, что армянский язык в Таихе в X—XI веке был не только

разговорным языком населения, но и литературным и даже придворным языком»³. და დასამტკიცებლად მოაქვს რომელიღაც ცხოვრება, რომ დავით ერეკლეს ბრძანებით, არაბულიდან რაღაც თხზულება უთარგმნიათ სომხურ ენაზე, და დასაყენის: «...следовательно, Давид имел в своем окружении достаточное количество «князей», которые, как он сам, говорили и читали на армянском языке»⁴.

ვ. არუთინოვას აიწუქდება, რომ წინა გვერდზე—იმისათვის, რათა შეუქმნას საფუძველი პოპულარულ, რომ პეტრიწონის წესდების «ქართველები» კულტურულად გაქართველებული სომხები არიანო, ამტკიცებს, ტაოელი ქალკედონიტი სომხები იმდენად გადაგვარებული, დენაციონალიზებული არიან, რომ თვით უფოდალური დოქტრინის სათავეში მღვდელნი «...будучи поборниками и последователями грузинской (халкедонитской) церкви, грузинской письменности и литературы, считали себя грузинами»⁵ და თუ ეს ასეა, მაშინ საიდან მოდის ის განწყობილება, რომ თვით დავით ერეკლეს კი სომხურად შეტყველებს და სომხურად ნათარგმნს კითხულობს?⁶

და ეს იმ ქვეყანაში, სადაც თვით სომხები ქართული ენისა და შერეობის გავლენით ქართველებიან და ეს „კულტურულად გაქართველებული“ სომხები კარგად ფლობენ ქართულ ენასა და წერა-კითხვას.

იმის კითხვა: როგორ მოექცა სომხე ქალკედონიტთა მთელი უნივერსი ელემენტი (სამყარო), რომლითაც დასახლებული იყო ვითომდა ტაო-კლარჯეთი, ქართველთა გავლენაში, იმ ქართველთა, რომელნიც, სხენებულ მეცნიერთა თუ დაუფრებულთა, აქ ან სრულიად არ იყვნენ, ან თუ იყვნენ, ძირს მცირედ, და ეს გავლენა იმდენად მძლავრია, რომ ქალკედონის კრების დადგენილებს მიმდევარი სომხები უშეალოდ ამ წყაროსთან კი არა, არამედ ქართველებთან ორგანულ კავშირს ამკობინებენ და აღმსარებლობის საფუძველზე საერთო ეთნიკურ სახელზე ხელს იღებენ და თავს „მუნებრივ ქართველებად“

¹ ამ მხარეთა ისტორიულ მოსახლეობაზე იხ. Ф. Успенский, Очерки по истории Трапезунтской империи, გვ. 88, 110—123; Ritter, Die Erdkunde, Achtzente Theil, Drittes Buch, Berlin, 1858, გვ. 108; Н. Адона, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 65; Э. Липшиц, Павликианское движение в Византии в VIII в. и первой половине IX в. В. Вр. V, გვ. 60; Const. Porfirog. De administrando imperio, თავი 46; ს. უახინიშვილი, გეორგია, IV, ნაკვ. II, გვ. 280, 287; ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 424, 1951 წლის გამოცემა; ვ. გობალიშვილი, მთარდატე პონტიკი-ელი, თბილისი, 1965 წ., გვ. 197; Г. Мелкишидзе, Наирн-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 59; С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, თბილისი, 1947; Х. Ф. Б. Линч, Армения. Путевые очерки и этюды, т. II, гл. 532, 535; Известия Кавк. отдела импер. Русск. Географ. Общ., т. VIII, 1884—1885. Приложения. еրուიოვის წერილი: K. Koch, Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien, 1846, გვ. 166, 167; Записки Кавк. отд. Импер. Геогр. общ., кн. X, вып. 1, 1876, გვ. 87. ვ. უახინიშვილი წერს: Э. К. Лонзен (перевод Д. А. Левшина). Берег Русского Лазистана. Изв. Кавк. отд. Русск. Геогр. общ., т. XVIII, 1905, გვ. 165.

² გვ. 110, შენ. 32, ვერ ერთი, თარგმანებზე მრავლობით რიცხვში ლაპარაკი ზედმეტია, რადგან მხოლოდ ერთადერთი ფაქტია ცნობილი, მეორე: ზემოთ პ. მურადიანმა ტაოს მხარე მთლიანად ქალკედონიტურად მიიჩნია, აქ კი მონოფიზიტებს კვლავ დაუთმო ადგილი.

³ В. Арутюнова, Типик Григория Пахуряна. Автореферат, გვ. 8.

⁴ ასე ვამბობ იმიტომ, რომ ეს წყარო არის: «Сказания для (назидания) царей и князей», იქვე.

⁵ იქვე, გვ. 8.

⁶ იქვე, გვ. 7.

⁷ აქ არუთინოვა უფოდალ მოიხვედრებს მის მიერ შენიშვნაში გამოთქმულ დებულებას, რომ: «Грузинские царства, такие, как и Таихе в этот период являлись вассалами Ширакских Багратидов». იქვე, გვ. 8, შენ. 1, მთარამ ეს ხომ მხოლოდ ლიტონი სიტყვებია.

თელიან. თანაც ქართველებმა თვითონ არ იცა-
ან ქართული საქმარისად და ცოდნის გასაფარ-
თობებლად სომხურ თარგმანებს მიმართავენ,
სომხები კი ქართული ენისა და მწერლობის
ისე ღრმად მცოდნენი არიან, რომ თავს ბუნებ-
რივ ქართველებად მიიჩნევენ.

სინამდვილეში პირიქით არის: ტაოელ სომ-
ხებს დავით კურაპალატის დროზე ერთი საუკუ-
ნით ადრე საკუთარი ენა საფუძვლადანად ჰქონი-
ათ დაეწიებული და იგი თითქმის ხმაურებიდან
ყოფილა გამოსული.

ილია აბულაძის გამოკვლევით, VIII საუკუ-
ნის გასულიდან ტაოელი სომხებისათვის: „...ად-
გილობრივ ქართველ ელემენტთან ურთიერთო-
ბისა და ქართულ კულტურულ სამყაროსთან
ახლო კავშირის გამო სომხურ ლიტერატურულ
ენაზე არსებული ძეგლები ადვილად გასაგები
აღარ აღმოჩნდა... სპიროთ გამხდარა ამ ძეგლე-
ბის გადათარგმნა უფრო ადვილად გასაგებ ენა-
ზე, ამ შეთხვევაში — ქართულზე... სომხები პა-
სიურე მომხმარებელსათვის მკაწინდელი სომხურ-
ი სალიტერატურო ენა ძველად გასაგები ყო-
ფილა, მისთვის დედა სამწერლო ენის მიავიერო-
ბას უცხო ენა ეწევა. დედა ენა თუ ესმის მას.
ეს ისევე და ისევე სასაუბრო ენაა და არა სალი-
ტერატურო“.¹

ამასთანავე, რა უწყობ ისეთ მკვერმეტყვე-
ლურ ფაქტებს, როგორც არის ის, რომ ეს მხარე
შეიქმნა კერძოდ მძღარი ქართული ფეოდა-
ლური სახელმწიფოს ფორმირების პრაქტისა,
რომ ამ მხარეში მისცა საქართველოს პოლიტი-
კურსა და კულტურულ დარგებში ისეთი გამო-
ჩენილი მოღვაწენი, რომელთა სახელებიც ყვე-
ლა ერის ისტორიას დაამწვენება, რომ ამ მხარე-
შია ქართული კულტურისა და ხელოვნების
ისეთი ძეგლები, რომლებიც მსოფლიოს კულტუ-
რის საფუძვლის მნიშვნელოვნად აღსებს, რომ აქა-
ური სამყარო შეიქმნა საფუძველი იმ მაღალი
კულტურისა, რომელიც საქართველოში XI-XII
საუკუნეებში დიდ აყვავებას განიცდის და რომ-
ლის ღირებულებაც მსოფლიოშია აღიარებული.

ერთი მხრივ, ქართული ენისა და მწერლო-
ბის ისეთი ძლიერი სამყარო, რომელიც თავის
გავლენაში აქცევს მთელ უცხო ეთნიკურ ელემ-
ენტს² იმდენად, რომ საქართველოდან შორს
დაარსებულ პეტრიწონის მონასტრშიც ქარ-
თული წერა-კითხვა ამ ელემენტისათვის საკლ-
დებულოა და, მეორე მხრივ, ამ სამყაროს მესვე-
ურთა უცილობა ქართულში, ერთი მეორესთან

შეთხვევებელია და გრიგოლ ბაქურიანის კის
სომხობის მქადაგებელი უნდა დათანხმდნენ
ერთერთი მათგანის გამორიცხვას. მხარე-
მორიცხვა დამღუპველი იქნებოდა, რადგან
ღრმა უფსკრულში ჩასწებდა სომხები ქალაქო-
ნიტების „გაქარაღვლებს“, იმავე დროს კი სომ-
ხებად დარჩენის, ამ ორიგინალურ თეორიას და
ნიადაგს გამოკლიდა გრიგოლ ბაქურიანის ძის
სომხობისა და მისი გაქართველების პიპოთეზას.
მაგრამ არც მეორის გამორიცხვა იქნებოდა ამ
მხრივ ნაკლებ საზიანო შედეგების მომტანი.

3. მერაღიანის აზრით, „მონასტრში უნდა
ყოფილიყვნენ აგრეთვე უცხო ტომთა სასული-
ერო პირები, მონასტრის ქმობა უნდა შემდგ-
რიყო სხვადასხვა ტომის ვაჟთაგან“.¹ ხოლო
„უცხო ტომისანი კი მხოლოდ სომხები მხოლო-
ბოდა ყოფილიყვნენ ტაოელი, ქალაქდონელი და
ბაქურიანის მსგავსნი, ე. ი. ქართული აღსარების
მტარებელი სომხები, რომლებიც „ქართველე-
ბად“ იხსენიებოდნენ“.²

ეს ამონაწერი, პირველყოფლისა, იმით არის
საინტერესო, რომ მისი ავტორის შეუშინებლად,
გადაწყვეტილია, რომ ძირითადი სადგო საკითხი:
პეტრიწონის მონასტერი დაარსებული ყოფილა
ქართველებისათვის და იქ მყოფი, მონასტრის
წესდებაში ქართველებად წოდებული ბერები,
ტომთა ქართველები არიან, რომელთა გვერდი-
თაც 3. მერაღიანი ცდილობს მოძებნოს სხვა ტო-
მის ხალხიც. ამ აღიარებით მოხსნილია ის სა-
კითხი, თუ ვისთვის იყო დაარსებული მონასტე-
რი და რა ერთგუნების იყვნენ იქაური ბერები.
აქედან კი ვრცელ ბაქურიანის ძის ტომით ჭეშ-
მარიტ ქართველად აღიარებამდე მხოლოდ ერ-
ლი, ბუნებრივად ელოგურნი ნაბიჯიდა რჩება.
3. მერაღიანის ეს აღიარება იმის ანტიციტება,
რომ ჭეშმარიტებამ, მიუხედავად მისი მიჩქმალ-
ვის მრავალგზისი ცდისა, მაინც თავი იჩინა.

თუ გრიგოლ ბაქურიანის ძე სომეხია და მო-
ნასტერს კი ქართველებისათვის აარსებდა, მაგრამ
სურვილი აქვს, რომ იქ გაქართველებულ ტო-
ელი სომხებიც მიიღონ, ვერ ერთი, ამის პირდა-
პირ თქმას ვინ დაუშლიდა გრიგოლს და, მეო-
რეც, რატომ უნდა გასწელებოდა მას თავის
მონასტერში ადგილი მიეჩინა თავის თანამეტო-
მე-მემამულეთათვის და ისინი არ გამხდარიყვნენ
მველევართათვის საქებარი. მონასტრის წესდ-
ებაში სრულიადაც არ ნაგარადდენ „უცხო ტო-
მის ხალხში“?

ამასთანავე, 3. მერაღიანის მსჯელობა წინააღ-
მდეგობას შეიცავს: რაკი მან, მონასტრის ქართ-
ველთათვის დამაარსებლის სურვილის წინააღმ-
დეგ, მისი კარი ყველას გაუღო, მაშინ ზომ იქ
მათილაც უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა ტო-
მის სასულიერო პირები, გარდა ბერძენებისა, რა-

¹ ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლი-
ტერატურული ურთიერთობა IX-X სს. თბილ-
სი, 1944 წ., გვ. 13.

² ზემოაღნიშნული მეცნიერნი ზომ ცალკეულ
პიროვნებებზე არა ლაპარაკობენ, არამედ ტაოს
მთელ მოსახლეობას გულისხმობენ სომეხ ქალ-
კლონიტებში.

¹ დასახ. ნაშრომი, გვ. 112.
² იქვე, გვ. 112.

მელთა მიღებაც საგანგებო მუხლით, გამოი-
ცხელი იყო. მონასტერში, თუ კი იქ ყველას მი-
ღება შეიძლებოდა, უნდა ყოფილიყვნენ ქალკე-
დონურ-მართლმადიდებლური სარწმუნოების აღ-
მსარებელნი: სირიელები, ეგვიპტელები, კობტე-
ბი, და სხვანი და სხვანი. მაგრამ მის მიერ გაღე-
ბულ მონასტრის კარში პ. მურადიანმა სხვა არა-
ფინ შეუშვა ვარდა სომეხებისა. სწორად ასე წერს:
„...უცხო ტომისანი მხოლოდ სომეხნი შეიძლე-
ბოდა ყოფილიყვნენ“ და ისიც „ტაოელი და ბა-
კურიანის მსგავსნი, ე. ი. ქართული აღსარების
მტარებელი სომეხნი, რომლებიც „ქართველე-
ბად“ იხსენიებოდნენ“.¹

მაშასადამე, მონასტრის დამაარსებელი და მი-
სი წესდების ავტორი გრიგოლი ვერ ახერხებს,
თუ არ სურს დაზღადიან თქვას, რომ მონასტერი
არსდება ტომით ქართველთათვის, ოღონდ შე-
იძლება იქ მიიღონ ტომით არაქართველებიც,
„ქართველებად“ წოდებული სომეხებიც, რომლე-
ბიც თავის თავს ქართველებად თვლიან, და ეს
აზრი სადღაც სტრეიტონებს შორის იმალება. ვეუ-
ვობ, რომ რამე სერიოზული მეცნიერული დი-
კტებულება ჰქონდეს ასეთ მსჯელობას და ნაძა-
ლადეუ არგუმენტირებას.

აღნიშნული საკითხის სწორად გადაკასთან
უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ვივარაუდებთ, რომ
გრიგოლ ბაქურიანის ძის მიერ დაარსებულ ქარ-
თველთა მონასტერში ქართული ენისა და მწერ-
ლის ეოლის კატეგორიული მოზოგენა იმით
იყო გამოწვეული, რომ მონასტერი არსდებო-
და უცხოეთში, ბიზანტიის ქვეშევრდებ ტერიტო-
რიაზე, სადაც საკმაოდ იყვნენ ისეთი ქართვე-
ლები, რომელთაც სწავლა-განათლება ბერძნულ-
ად ჰქონდათ მიღებული და შესაძლებელია,
ქართულის უეოლინარობით უნდობლობას იწ-
ვევდნენ, ისინი გადაგვარებულად ეჩვენებოდათ
და საშიშად მიაჩნდათ იმ ბერძნებთან ერთად,
ვისი მონასტერში მიღებაც კატეგორიულად იკრ-
ძალებოდა. ასეთთა შორის ძირითადად უნდა
იკუთვნებოდნენ აღმოსავლეთის (მცირე აზიის)
რაიონებიდან ბიზანტიის ხელისუფლათაგან მოყ-
ვანილი ქართველ ტომთა მოსახლეობა, ფილიპო-
პოლისა და პეტრიწონის რაიონებში რომ ბა-
ნადრობდა და რომლის ნაწილსაც დროთა გან-
მავლობაში, გარემოებათა წყალობით, იღბათ
ემწნეოდა მშობლიური ენის დავიწყების ტენ-
დენცია.

პ. მურადიანი ცდილობს საკითხი მისთვის სა-
სურველ ასპექტში წარმოადგინოს apriori აღიარ-
ებით, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძე სომეხი
იყო. ამირებს რა ტიპიონის სამ ენაზე დაწე-
რილობის პრობლემის გარკვევას, იგი აცხადებს,
რომ შევედგეთ „...ამ საფუძვლების კვლევა-ძი-

ებას, თან გავიხსენოთ, რომ ბაქურიანი იყო სრ-
მეხი, ტაოელი, ქალკედონელი...“¹

მაგრამ სად არის დამტკიცებულ/პრეზერვირ/ბა-
კურიანის ძის ან სომეხობა, ან ტაოელი/ქალკე-
დონელი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ პეტ-
რიწონის მონასტრის ირგვლივ აღმოცენებულ
პრობლემათაგან სადავო და საეკლესიო ბევრი აღი-
არა იქნებოდა რა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პ. მურა-
დიანი, ოღონდ კი თავისი პიპოთეზის სასარგებ-
ლოდ რამე ნამკეცი აღმოაჩინოს და იგი მეცნიერ-
ულ თიბეტიტრობასა და სიზუსტეს აღარ დაგი-
დებს.

იგი წერს: „ისტორიიდან ცნობილია, რომ XI
საუკუნეში ფილიპოპოლისში (ეხლა პლოვდივი,
ბულგარეთი), რომლის ახლოსაც აშენდა პეტრი-
წონის მონასტერი, ბევრი სომეხი ცხოვრობ-
და“² და ამის დასადასტურებლად მოაქვს ცი-
ტატა 1878 წ. გამოცემული კ. ირეჩეის წიგნი-
დან. მუკე კი მიმართავს ანა კომნენეს ცნობას
ფილიპოპოლის რაიონში სომეხების, პავლიკიანე-
ბისა და ბოგომილების შესახებ. შემდეგ იმოწ-
მებს მისთვის ფერისად ქვეულ ნ. მარს და
სრულად გვერდს უხვევს უახლესი ლიტერატურ-
ის მიღწევა-მონაცემებს. ამ ლიტერატურაში პ.
მურადიანის საწინააღმდეგო საყურადღებო მო-
საზრებებია გატარებული.

1960 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში
«Болгария и Византия в XI—XII вв.»,
გ. ლიტავრინი ანა კომნენეს ცნობის მიმართ
შენიშნავს: «Эти свидетельства Анны, хотя
она не указывает на этническую принадле-
жность восставших и называет их то мани-
хеями (павликианами), то «армянами», и
дают основания считать, что в восстании
приняли участие также и жившие в этих
районах богомилы»³.

გ. ლიტავრინის ამ შენიშვნას ლიებარსკი საე-
სტეტი სამართლიანად სთვლის.⁴

ამყარია, რომ ანა კომნენეს ზუსტი და უტყუ-
არი, საიმედო ცნობები არა ჰქონია ხელთ და
მასზე უყოყმანოდ დაყრდნობა ძნელია.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ ფილიპოპოლის
რაიონში არა თუ მხოლოდ სომეხი მოსახლე-
ობის, არამედ, აღბათ, მათ მსობრივ მოსახლე-
ობაზეც კი, მივაყრათ რა ამასთანავე, სომეხებს
ყველაფერს იმას, რაც საისტორიო წყაროებში
მანიქეველებზე, პავლიკიანეებზე, ბოგომილებზე,
თუ სხვა სახეობის მწვალებლობებზეა მოთხრო-

¹ პ. მურადიანი, დანახ. შრ. გვ. 111.

² იქვე, გვ. 112.

³ Г. Г. Литаврин, Болгария и Византия в XI—XII вв. М., 1960, гв. 417.

⁴ Анна Комнина, Алексиада. Вступительная статья, перевод и комментарии Я. Н. Любарского. М., 1965, гв. 613.

მილი. რომ თავი დაეანებოთ სხვა ცნობებს. რომლებიც გვაუწყებს აღნიშნულ რაიონში სხვებთან ერთად ქართული მოსახლეობის არსებობას, ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და უაღრესად ანგარიშგასაწეია ბიზანტიელ მწერალთა ცნობები ამ რაიონში მცირე აზიიდან მოსახლეობის გადმოყვანის შესახებ. პირველ ყოვლისა, თვით ამა კომენტე გვაუწყებს, რომ იმპერატორმა ითანე ციმისხიმ დაამარცხა აფანეხელი მანიქველ-პაელიანები და „გამოიყვანა ისინი აზიიდან, ხალიზიისა და არმენიის ოლქებიდან, თრაკიაში და აიძულა ისინი დასახლებულიყვნენ ფილიპოპოლის მახლობლად“.¹

ზემოთ ლაპარაკი იყო, რომ ხალიზთა თემა (როგორც თვით სახელწოდება უჩვენებს) დასახლებული იყო ქართველი ტომებით, ხოლო არმენიის თემაზე კონსტანტინე პორფიროგენტი აგრეთვე, სრულიად კონკრეტულ ცნობებს გვაწვდის, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი და რომელთა მიხედვითაც ამ დასახლებულ ოლქებში მოსახლეობის ძირითად მასას ქართველი ტომები შეადგენდნენ, და სომხური ელემენტი აქ მხოლოდ მინიმალურად თუ არის საეკლესიო სავარაუდოა, რომ მოაიყვანე უნეტებში შერეული მოსახლეობა იყო.

თითქმის ამ ათი წლის წინათ გამოთქმული იყო აზრი, რომ როგორც პირველწყაროთა ანალიზის შედეგად ირკვევა, „იმ მოძრაობაში, რომელიც ბიზანტიის წინააღმდეგ ამბოჯრდნ VIII-IX საუკუნეებში ხალხი-არმენიას თემში და რომელიც პაელიანთა მოძრაობის სახელით არის ცნობილი, შთავარა როლს ადგილობრივი ხალხურ-ქანური მოსახლეობა თამაშობდა და სოციალურსა და რელიგიურ საკითხებთან ერთად, პოლიტიკურ მომენტზე ასლდა ამ მოძრაობას“.²

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ის განმარტება, რომელიც გვხვდება ბიზანტიოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში. აი ერთი მთვანი: „Область Арменнаков была на Востоке и получила новое название от того, что была сопредельна с Арменией“³. და მითითებულია Du Cange, Glos., ტ. I, გვ. 487, სადაც ეს განმარტება ეყრდნობა კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობებს.

ამგვარად, უსაფუძვლოდ ჩანს თეზისი, რომ XI საუკუნეში ბულგარეთში ბლომად იყვნენ სომეხი პაელიანები, რომელთა დასაპირისპირებ-

ლადაც, ვითომდა, დაარსდა პეტრიწონის ქალაქდონისტა მონასტერი.

მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურის ზემოთ მოტანილი ცნობებისა, ჰ. შერადიანიმ წინადასრულებს სომხებსა და ბულგარეთის აფანეხულ ერეტაიკებს და ამბობს, რომ „1081 წ. 19 ოქტომბერს ნორმან-ბიზანტიელთა ბრძოლაში ბიზანტიელთა ბანაკში მყოფ სომეხმა-პაელიანებმა და ბოკომილებმა კეისარს ამცნეს გრიგოლ პაელიანის ტყვედ ჩავდების შესახებ“.¹

პაელიან-ბოკომილებისა და სომხების გაიგეგმა ასე ხელალებით, ადვილი საქმე არ არის, იგი მეცნიერულ დასაბუთებას მოითხოვს.

პ. შერადიანის მიერ ნივარდული კატეგორიის მოსახლეობის ფილიპოპოლისა და მის მიდამოებში არსებობა საქმოდ პრობლემატურია, რადგან, როგორც დღინახეთ, პირველწყაროების მიხედვით, ეს მოსახლეობა აქ სრულიად სომხური რაიონებიდან არ იყო მოყვანილი. მაგრამ, რაც შთავარია, ბიზანტიის ქვეშევდარე ხალიზისა და არმენიის თემის მოსახლეობა რატომ უნდა ყოფილიყო „ქართული აღმსარებლობისა“, რომელთა თანამომედ სურთ ვიგეგმე ბაქრაიანის ძეც გამოიყვანონ? ხოლო თუ ქართული კი არა, ბერძნული აღმსარებლობისა არიან, მაშინ გრიგოლი და სხვა მისთანები რატომ უწოდებენ თავის თავს ქართველებს? ბიზანტიის ქვეშევდარი ტერიტორიაზე, მის სახელმწიფოებრივ იურისდიქციაში მყოფი არაქართული მოდგმის მოსახლობა რატომ უნდა ყოფილიყო „ქართული“ და არა „ბერძნული“ აღმსარებლობისა, რომელსაც თვით ქართველებიც ეუფოვოდნენ. თუ ყველა ზემოთქმულს გაითვალისწინებთ (ბიზანტიური ცნობების მიხედვით აღნიშნულ რაიონებში ხომ ქართველები ცხოვრობდნენ), მაშინ უფრო ბუნებრივია ფილიპოპოლისა და მის რაიონში ქართული მოსახლეობა ვიგეგმისხმოდ, ვიდრე ქართული აღმსარებლობის სომხური მოსახლეობა. თუ ქართული აღმსარებლობა ტაოში მოსახლე სომხების დამახასიათებელი იყო, რაც ქართული გავლენის შედეგს მიეწერება, მაშინ საქართველოდან ასე შორს ანალოგიური გავლენა ძნელი სავარაუდოა. გრიგოლ პაელიანის ძე სწორედ იმ რაიონში მცხოვრებ ქართველებსათვის არსებს პეტრიწონის მონასტერს, სადაც, მისი სიტყვით, შემოკრებილი არიან ახლო-მახლო მიდამოებიდან მოსულნი, „რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან“.²

განაგრძობს რა აღნიშნული მიმართულებით მსჯელობას, პ. შერადიანი დაასკვნის: „პეტრიწონის მონასტრის სასულიერო დასის წევრთა ქართველბად“ იგულისხმებიან არა მარტო ქარ-

¹ Anna Comn.—VIII, Я. Любарский, შით. შრ., გვ. 395.

² გ. გოხალიშვილი, მითრიდატე პონტოელი. მეორე გამოცემა. თბილისი. 1965. გვ. 201.

³ Византийские историки. Никиты Хониата история, т. I перевод под редакцией В. Н. Долонского. СПб, 1860, გვ. 13, შენ. 1.

¹ პ. შერადიანი, შით. შრ., გვ. 113.

² ტბიციონის შესავალი, მუხლი 2. ს. ყაღზიხი-შვილი, „გეოგრაფია“, 5, გვ. 99.

თველები, არამედ ქართული აღმსარებლობის მატარებელი სომეხებიც¹. ამით პ. მურადიანი თავისი და უნებურად მხარი დაუჭირა ს. ყაზვინჯი-ის იმ თეზისს, რომ ტიპიკონის სომეხები ვაი-ანტის შესახებ ცნობა შერე, მონასტერში სომეხ ქალეფდონიტთა იქ შესაძლებელი მისვლის შემდეგ, უნდა იყოს განჩინილი, ჩამატებული, რასაც პ. მურადიანი თავისი წერილის სხვა ადგილას ეკმაყოფიება.

3. მურადიანის მოსაზრება მონასტრის ორივე ეროვნების (ქართველთა და სომეხთა) ბერთათვის დაარსების შესახებ პირობების ახალ ასპექტში წარმოვედგინო და მას ჯერ კიდევ დიდი კვლევა ესაბიროება, ჯერ სამისო მასალის გამოვლენება სავიწრო².

ხოლო თუ შევიჩნევთ, რომ მონასტერში ერთი და იგივე ქართული აღმსარებლობის ქართველი და სომეხი მოღვაწეები იყვნენ, რომელნიც დაუფლებულნი არიან ქართულ ენასა და მწერლობას (ამასთანავე, სომეხებისთვის სომეხრ ეკლესიებში კი ქართული ენა იყო სახმარო), მაშინ რაღა სავირო უნდა ყოფილიყო წესდების სომეხური ვარიანტი, რა მიზანდასახულებულია უნდა პირობა მას, რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა და ვისთვის იყო იგი განკუთვნილი: მონასტერში შემსვლელისთვის ხომ სავალდებულო იყო ქართული და მას ქართულად დაწერილის საშუალებით უნდა აეთვისებინა წესდების შინაარსი და მღვდელმსახურებაც აქ ქართულად სრულდებოდა.

რაც შეეხება პ. მურადიანის მსჯელობას იმაზე, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძის მიერ მონასტერში შემსვლელთა შორის „ქართველებისთვის უბრაატესობის მიცემა უცხო ტომის კაცებთან შედარებით, რაც ცნობაშია ხაზგასმული, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მონასტერში იყვნენ ბაქურიანის არა თანამემამულე სხვა კაცებიც³—

1 პ. მურადიანი, შით. შრ., გვ. 114. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პ. მურადიანი მონასტერში ჯერ ქართველებს აჩვენებდას გულისხმობს და მერე მათ გვერდით, სხვებისაც.

2 ამასთანავე, ეს უკანდახევა იმ პრეტენზი-დან, რომ პეტრიწონის მონასტერი კულტურუ-ლად გაქართველებულ სომეხ ქალეფდონიტები-სათვის იყო დაარსებული. ეხლა კი პ. მურადი-ანი იქ, ქართველებთან ერთად სომეხებიც ეგუ-ლებდა. ეს კი იმის აღიარებას ნიშნავს, რომ მო-ნასტერი ქართველებისა იყო, რაც სინამდვილეს შეეფერება და რაც ზემოთ ერთხელ უკვე აღ-იარა პ. მურადიანმა, მაგრამ სომეხები შეიძლე-ბოდა ყოფილიყვნენ იქ. ამ აღიარებით გრიგოლ ბაქურიანის ძის ქართველობისა თუ სომეხობის საკითხიც გადაწყვეტილია.

3 იქვე, გვ. 114-115.

4 ესეც იმის აღიარებაა, რომ მონასტერი ქარ-თველებისათვის იყო დაარსებული.

ქართველები, რომლებმაც ზემომსმენებულ ცუ-ბის თანახმად, იცოდნენ ქართულე წარმოთქმა, ხოლო ეს ეხება ქალეფდონელ სომეხ ქალეფდონიტებს, რომლებსაც შეთხზულ ტირანულ წარმოდგენა. იგი აღმოცენებულია იმ ვაღბ თეზისზე, რომლის მიხედვითაც ვარაუდობენ, რომ პეტრიწონის მო-ნასტრის ქართველები კონფესიურად გაქართვე-ლებული სომეხები არიან, რის წინააღმდეგაც და-ლადებს მონასტრის ტიპიკონი მთელი თავისი შინაარსით. იბერთა ტომი, რომელიც თავით პ. მურადიანის თქმით, „სხვა ტომის კაცებთან“ არის დაპირისპირებული, არ შეიძლება კონფე-სიურად გაქართველებული სომეხების ხინოაში იყოს. თვით გრიგოლ ბაქურიანის ძეს, რომელიც ნ. მარია, პ. მურადიანის და სხვათა რწმენით, თმთა გაქართველებული იყო სხვა რის თანამო-ძემთა მსგავსად, მაგრამ მიიწე რნარჩუნებდა ნა-ციონალურ სახეს, რა აძებლებდა მთელ თავის მოძმე სომეხებთან ერთად, თავი ქართველ ტო-მად გამოეცხადებინა.

3. მურადიანის მსჯელობა პეტრიწონის მო-ნასტრის წესდების 25-ე თავის შინაარსზე და მისგან მიღებული შეუსაბამო დასკვნები ტექს-ტის არასწორად გაგების ნიადაგზე აღმოცენე-ბულია.

3. მურადიანს პგონია (უფრო კი სურს ასე იყოს), რომ წესდების ამ თავში იბერიელები (ქართველები) დაპირისპირებული არიან სხვა უცხო ტომის ხალხთან, მონასტერში მიღების პირობებთან დაკავშირებით.

3. მურადიანმა წესდების 25-ე თავის შინაარსი მთლიან კონტექსტში კი არ განიხილა, არამედ მისი შესაბამე მუსლიდან ამოვლიყა ის ადგილი, სადაც ქართველებისათვის კონკრეტულ შემო-ხვევაში უბრაატესობის მიცემანება ლაპარაკი, მაგრამ არ გააჩვეია, თუ რა ვითარებაში და ვის მიმართ ან როდის ეძლევა ქართველებს უბრა-ატესობა და ნებისმიერი, მცდარი დასკვნა გამო-იტანა. ამიტომაც მისი ცუდა, დემტკიცებინა პეტ-რიწონის მონასტერში სხვადასხვა ტომის სასუ-ლიერო პირთა არსებობა, როგორც ყალბ ნია-დაზე აღმოცენებული ფუჭი გამოდგა.

პეტრიწონში მის მიერ ნავარაუდელ სომეხებს, პ. მურადიანი ცდილობს მოეპოვოს დეტალისა-ხურების მათს ენაზე შესრულების უფლება. სა-ამისო „საბუთიც“ მოუტანია.

3. მურადიანი მიმართავს პეტრიწონის მონასტ-რის წესდების 15-ე თავს, სადაც ლაპარაკია, რომ „საქიროა მღვდელმსახურება სრულდებოდას...

1 გაქართველებს არ გამოუწყევია დაქარგვა «...армянами-халдедонитами родного языка и национального облика». В. Арутюнова. Автореферат, გვ. 8. მაგრამ მაშინ როგორღა თვლიდნენ ისინი თავს თავს „ბუნებრივ ქარ-თველებად“, როგორც ნ. მარია აღნიშნავდა და არუთინოვაც იმეორებს?

ყოველ ენაზე¹. მას გამოაქვს დასკვნა: „თუკი მღვდელმსახურება მხოლოდ ქართულზე არ სრულდებოდა, მაშინ რომელი იყო მეორე ენა?“ და თვითვე უპასუხებს: „მეორე ერთადერთი ენა იყო სომხური“².

ნუთუ მართლა ასე მარტივად წყდება საკითხი?

წესდების 15-ე თავში რომ მხოლოდ იმაზე იყოს საუბარი, მონასტერში ქართულის გარდა, „მეორე ენა“ — სომხურზეც უნდა სრულდებოდა მღვდელმსახურება, ნუთუ ამის სათანადოდ გამოთქმა ვაძნელებოდა? ან მაშინ რაღა საჭირო იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მღვდელმსახურება ყველა ენაზე უნდა სრულდებოდა? თუკი წესდების ავტორს მხოლოდ იმის თქმა სურდა, ქართულის გვერდით სომხურზეც სრულდებოდა წირვა-ლოცვა (ამასთანავე ეს „მეორე ენა“ ერთადერთი უნდა იყოს), ამას იგი პირდაპირ და მარტივად იტყოდა და არ დასჭირდებოდა შეენიღბა თავისი მარტივად სათქმელი, „ყველა ენაზე“ შესრულების თეზისით. რომელშიც წამოთხველს სომხურაც და ამასთანავე, ერთადერთ მეორე ენად უნდა ევაზა უნდა.

პ. მურადიანს წესდების ამ თავის შინაარსი თვითმეორედ გავიყა და დასკვნაც შესაბამისი მიიღო. წესდებამი ხომ არც სომხური და არც რომელიმე „მეორე“ ენა არ არის ნახსენები, არამედ ლაპარაკია „ყველა ენაზე“.

ამასთანავე, მურადიანისეული დასკვნა ეწინააღმდეგება იმ კიპოთუხას, რომლითაც, ვითომცუდა, გრიგოლ ბაქურიანის ძე და მისი თანამომემ სომხები „ქართველებად“ იმიტომ იწოდებიან, რომ, ქართული ენისა და მწერლობის გაღვივების გვერდით, მათ, როგორც ქართული აღმსარებლობის მატარებელთ, აგრძალები ქმონდათ საკუთარ ენაზე ღვთისმსახურება მათს ეკლესიაში და ამ ნიადაგზე გადააქცნენ ისინი „ქულტურულ გაქართველებად“. თუ კი სომეხ ქალკედონიტთა ეკლესიებში ქართველები უცრამად აღედგნენ სომხურ ენაზე ღვთისმსახურებას, რატომ დაბრუნდნენ ამის ნებას იქ, სადაც ქართული იყო გაბატონებული, რაც თვით პ. მურადიანის მიერ უდევოდ არის შინაწერი იმ აღიარებით, რომ პეტრიწონის მონასტერში ქართულის გვერდით „მეორე ენა“ შეიძლება სომხური ყოფილიყო.

ლოგიურად ასე გამოდის: ან მონასტერი ქართველთათვის არსდება და სომხურ ენას იქ აღ-

ვილი არ შეიძლება ჰქონდეს, ან იგი სომხურთათვის არსდება, მაგრამ უპირატესობა ქართულს ენიჭება და სომხური „მეორე ენა“ არც უმეტენილი. სომხურ მონასტერში მხოლოდ ერთი ასეთი ფუნქცია გაუგებარი იქნებოდა, მით უმეტეს, თუ გაქართველებული სომხებიც კი, მეცნიერთა ერთი წყების მტკიცებით, ინარჩუნებდნენ ეროვნულ ადათს, ზნე-ჩვეულებებს, ენასა და მწერლობას.

ამასთანავე, ქართული ენა ასეთ დომინირებულ როლს ასრულებს სომხურ სამყაროს მიმართ, მაშინ, როდესაც, სომეხ მეცნიერთა მტკიცებით, თვით საქართველოში, სახელდობრ ტაოში, ქართველმა მესვეურ-მმართველებმა ძალზე სუსტად იცაან ქართული ენა, ქართული მწერლობა ესოდნ უძღობია, რომ უცხოურ ენაზე დაწერილი ნაწარმოების მხოლოდ სომხურად თარგმნა ხერხდება, თვით უზენაესი ბრძანებით რომ ხორციელდება, რაზედაც ზემოთ იყო მსჯელობა.

კ. არეთიანოვას თქმით, დავით კურაპალატის ბრძანებით არაბული წყნის სომხურად თარგმნის «Этот знаменательный факт свидетельствует не только о положении в среде таджикской аристократии, но и о состоянии всего края». მაშ, ქართული ენა და მწერლობა მოისუსტებს ტაოში, თუმცა კი თავის გაღვივებაში აქცევს თითქოს გაბატონებულ სომხურ ელემენტს და მათ კიდევ აქართველებს. ამავე დროს: «Тайские армяне-халкедониты, знакомые с грузинским языком, совершающие богослужение по церковным книгам, переведенным на грузинский язык, тем не менее в X—XI вв. говорили и читали на родном языке»³.

აქ შეიძლება ვეითხან, რომ პეტრიწონის მონასტერში ქართული ენის გაბატონებული მდგომარეობა სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ სომეხ ქალკედონიტთათვის ღვთისმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ნებადართული, მაგრამ მაშინ ხომ იქ სომხური ენის ვარაუდაროგორც საშლოცვლო ენისა, ავტომატურად გამოირიცხება. ამის გარდა, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი იქ ასეთი რამ გვევარაუდნა, თუ დამტკიცებოდა გრიგოლ ბაქურიანის ძის სომხური შთამომავლობის (თუნდაც მხოლოდ შთამომავლობის) შესახებ ანა კონსტანტინეს ცნობა, რომელსაც ყველა ისტორიკოსი წყარო და მეცნიერთა მსჯელობა-ნაზრევი თითქმის ერთხმად (სომეხ მეცნიერთა და ნ. მარის გარდა) უარყოფს; თუ რომ გრიგოლ ბაქურიანის ძე თავის ტოპიკონში ვარკვევით არ ლაპარაკობდეს მონასტრის ბერებზე, როგორც ტომით ქართველებზე. აღრევი ნ. მარის შემდგენი კი პ. მურადიანი

¹ იქვე, გვ. 115.

² იქვე.

³ «Грузины, также как и греки, требовали от армян-халкедонитов осправления церковной службы на грузинском (или греческом) языках». В. Арутюнова, Автореферат, გვ. 7.

¹ იქვე, გვ. 9

² იქვე, გვ. 9.

და არუთინოვა დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ სომეხ ქალკედონიტთა როლს მემპობე-მწვეალ-ბელ პავლიკიან-ბოგომილთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიისათვის.

3. მერაღიანის აზრით: „... პეტრიწონის ტაძრის მშენებლობას მიზნად ჰქონდა პავლიკიანელთა და ბოგომილების პროცესის დარღვევა. ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში არანალები მონაწილეობა უნდა მიეღო ფილიპოპოლის და მის მიდამოებში მცხოვრებ ბერძენულ ან ქართულ აღმსარებლობის მქონე სომეხებს. მეცნიერებისათვის ამჟამად ცნობილია, რომ სომეხი ქალკედონიტები ყველაზე უფრო საიმედო ხალხი იყო, როგორც მონოფიზიტობის, ასევე განსაკუთრებით პავლიკიანელთა და ბოგომილების წინააღმდეგ საბრძოლველად“.¹

სრულიად ბუნებრივად, იქნებოდა შემთხვევები სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევარი სომეხების ერთმეორისადმი დაპირისპირებისა და ამას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის უფროდ გამოიყენებდა ბიზანტიის ხელისუფლებამ, მაგრამ დუსაბუთებელი და ვადკაპრბებელია 3. მერაღიანის ნათქვამი, რომ „... პავლიკიანელთა წინააღმდეგ ბრძოლა პეტრიწონის მონასტრის დაარსების ერთერთი ბიჭვის მიმიცემა მიზეზი იყო,“² რომ: „სომეხ მონოფიზიტთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლაც პეტრიწონის მონასტრის საქმიანობის სფეროთაგანი იყო. ხოლო ამ საკითხში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყველაზე დიდი იმედები სომეხ ქალკედონიტებზე იყო დამყარებული“.

ამსვე იმეორებს ვ. არუთინოვა და ამბობს, რომ პეტრიწონის მონასტრის დაარსებას ფილიპოპოლისის მახლობლად სწორედ ის აზრი ჰქონდა, რომ სომეხ ქალკედონიტთა ბერებისა და მონასტრის საშუალებით ბიზანტიას ეწარმოებინა ბრძოლა, ერთი მხრივ, პავლიკიან-ბოგომილებისა და, მეორე მხრივ, იმავე რაიონის მცხოვრები სომეხი მონოფიზიტების წინააღმდეგ. ამის დასამტკიცებლად იგი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, მისი თქმით: «По поручению Давида Петриционского Арсен Икалтойский в конце XI в. перевел с греческого языка на грузинский трактат Никиты-монаха «Опровержение армянского вероисповедания». Это произошло непосредственно после основания монастыря, что свидетельствует о том, что монахи Петриционской обители одной

из основных своих целей считали борьбу против армян-монофизитов».

ვერ ერთი, საეკლესიო, რომ ხსენებული წერილების თარგმანი ვ. არუთინოვას შერჩევაში აღწერილი სტომული იყო გამოწვეული, ამის საჭიროება ქართული სინამდვილად უნდა მომდინარეობდეს. საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხირი იყო დისპუტ-კამათი სარწმუნოების საკითხებზე, საერთოდ, და, კერძოდ, ქართველ-სომეხთა შორის. საჭირო იყო ქართველ სთანადეო წრეებს საფუძვლიანად სცოდნოდათ სომხური აღმსარებლობის არსი და მისი საწინააღმდეგო არგუმენტები, რათა მათთან წარმატებით შესძლებოდათ ბრძოლა.

მერა: თუ კი პეტრიწონის მონასტრის ბერები სომეხები იყვნენ — და სწორედ მათ უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა მწველებელთა წინააღმდეგ, ამასთანავე სომეხების (როგორც პავლიკიან-ბოგომილების, ისე მონოფიზიტების) წინააღმდეგ, მაშინ რატომ საჭირო ლიტერატურა ბერძენულიდან ქართულად ითარგმნება და არა სომხურად, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა სომეხებისათვის, როგორც თავისებობა, ისე ტომობრივად მოქმედ, მაგრამ აღმსარებლობით განსხვავებულ სომეხთა მიმართ გამოსაყენებლად. ნუთუ პეტრიწონის მონასტრის სომეხმა ბერებმა სომხური არ იცოდნენ? თუ სუსტად იცოდნენ და ქართული უფრო ადვილი მოსახმარი იყო, მაშინ როგორდა გამოდის, რომ ტაოში, სადაურმა კაცმა გრიგოლმაც დააარსა პეტრიწონის მონასტერი თავის თანამოქმედ და თანამორწმუნე სომეხებისათვის — ქართული ენა და მწერლობა მოისუსტებს, რის გამოც დავით კურაპალატი იძულებულია სომხური თარგმანების საშუალებით გაიფართოს ეკლესია თვითონაც და მისი კარის უმადლესმა წევრებმაც, როგორც ამას ვ. არუთინოვა და სხვები ქადაგებენ?³

მწველებელთა და უსწვლელთა წინააღმდეგ ბრძოლა ყველა კემშარიტი ქრისტიანისა და, მით უმეტეს, მონასტრის წმიდა მოვალეობა იყო და პეტრიწონის მონასტერიც ამ მხრივ გამოიყ-

¹ В. Арутюнова, Автореферат, Мит. შრ. 33-18. ვ. არუთინოვა იქ აღარ უწევს ანგარიშს იმ ვარაუდებს, რომ თუ თარგმანი შესრულდა «непосредственно после основания монастыря» და იქ იყო ისეთი მიღება, როგორც არსენ იყალიბელი, — აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მონასტერი ქართულ ენისათვის დაარსდა.

² პეტრიწონის მონასტრის დაკავშირებით ბერძენულიდან ქართულზე თარგმანი საჭირო ლიტერატურისა, რომელიც განუყოფელი იყო პეტრიწონის მონასტრის ქართველ ბერებისათვის, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელიც და იქ მოღვაწენიც ქართული სამყაროს შეიღები იყვნენ.

¹ 3. მერაღიანი, მით. შრ., გვ. 117.

² 3. მერაღიანი, მით. შრ., გვ. 117. იხ., აგრეთვე, გვ. 17-18.

ლის არ შეადგენს. ხოლო რომ ამ საქმეში მთავარ როლს იქ სომეხი ქალეღონიტები ასრულებდნენ, ეს არსაიდან ჩანს.

არც პავლიკიან-ბოგომილთა წინააღმდეგ ზარბოძას ჰქონდა ზიზანტიისათვის დიდი რაზე არსებითი მნიშვნელობა და არც სომეხ ქალეღონიტთა ამ ზარბოძაში მონაწილეობა არის რითიმე დამტკიცებული. მით უმეტეს, ეს ზარბოძა არ შეიძლება ყოფილიყო სტიმული პეტრიწონის მონასტრის დასაარსებლად არც ბიზანტიის მთავრობისათვის და არც მონასტრის დამაარსებლისათვის, როგორც ამას ირწმუნება ვ. არუთინოვა, აცხადებს რა, რომ: «Итак, в честь богородицы Петрициониссы¹, входила борьба, во-первых, против армян-монофизитов, во-вторых, против павликиан и очевидно, против богомилов²».

პავლიკიან-ბოგომილთა მოძრაობას ბიზანტიის ხელისუფალი ადვილად უსწორდებოდა. 1080 წ. მათ უარი განაცხადეს ჭარში სამსახურზე, მაგრამ ალექსი კომნენოსმა მათი შესვეურება ვერაგულად იგდო ხელთ და ამოხოცა.

«Так в один момент перестала существовать сильная армия богомилов: их имущество было конфисковано, вместе с семьями их выгоняли из домов, а вождей высылали на острова»³.

ზარბოძა, ალექსი კომნენოს I ბოგომილთა წინააღმდეგ ზარბოძა 1084 წლიდან მოუხდა, მაგრამ საბოლოოდ მანც დაიბრუნა ისინი და 1084 წლის მოძრაობის შემდეგ მათ მოქმედებას სერიოზული ხასიათი აღარ ჰქონია⁴.

ვ. ლიტავრინის თქმით, ბოგომილთა მოძრაობის შეთურები, «...неожиданно сами явились к Ватинату с изъявлением покорности и раскаяния»⁵. ხოლო ა. კაედანის თქმით, ნიკეიტორე ბოტანიატის დროს ბელგარეთში (ფილიპოპოლის რაიონში) აჯანყებულ პავლიკიანთა მოძრაობა: «...не имело серьезных последствий: вскоре им пришлось просить мира и принести присягу верности»⁶.

ისიც არის ვასთვალისწინებელი, რომ ბიზანტიის ხელისუფალი ბელგარეთში მოსახლე მწველებელთა წინააღმდეგ იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივი ზარბოძა ნაკლებ ინტერესებდათ. ზარბოძა, ბოგომილთა მწველებლობის ფართოდ გავრცელება: «...объясняется в первую оче-

редь ее демократическим антифеодалным и антицерковным характером, привлекающим к ереси народные массы»¹.

ლუებარსკის აზრით: «...именно это, а не богословские вопросы толкования евангельских текстов навлекло на богомилов гнев патриархов и императоров»². ხოლო შემდეგ: «...византийского императора не волновали богословские споры, а страшилась реальная социальная угроза распространявшейся ереси»³.

ამიტომაც ბიზანტიის ხელისუფლება მათ რადიკალური საერო საშუალებებით ეზარბოდა.

რუსი მკვლევარი ა. ივანტიევი არ ეთანხმება ნ. მარის პიპოთეზას, როგორც იგი წერს: «...о специальном назначении основанного Григорием Бакуриани монастыря, якобы призванного содействовать ослаблению павликианского движения путем привлечения армян-павликиан к Православию, пользуясь их единокровным родством с монашествующими армянами-халкедонитами»⁴.

ივანტიევი ამბობს, რომ ეს თეორია არ შეიძლება იყოს სწორი, რადგან იგი: «...основывается на убеждениях, что среди братьев было много православных армян, тогда, как их наличие ни чем не доказано, а, наоборот, хорошо известен чисто грузинский характер монастыря и, во-вторых, она плохо сочетается с ясно выраженной Бакуриани целью создания обители — служить искуплением за совершенные им грехи и быть усыпальницей для его бренных останков. Главное же возражение заключается в том, что на нынешней стадии изучения сохранившихся списков монастырского Типика нельзя считать установленным самое существование его армянской редакции»⁵. მერვ აცხადებს, რომ პეტრიწონის მონასტრის არც შექმნილ შეესრულებინა ნ. მარის შივრ ნავარაუდები პროზულიტერი ფენქცია, რადგან ქ. ფილი-

¹ Вопросы истории религии и атеизма. Сборник статей, XII, 1964. Расправа Алексея Комнина с богомилами. Перевод и комментарий Я. Н. Любарского, гл. 310.

² იქვე, 310.

³ ალექსი კომნენოსი.

⁴ А. Игнатъев, Бачковский монастырь Журнал Московской Патриархии, 1968 № 2, гл. 46—47.

⁵ იქვე, გვ. 47. წესდების ბერძნული ვარიანტის ცნობას, რომ იგი დაწერილი იყო სომხურ ენაზე, ა. ივანტიევი სიკვდილ თვლის და ამბობს: «...не было ли оно добавлено позднее». იქვე, გვ. 48.

¹ მონასტრის წესდებაში ნათქვამია: «ქართულთა ღვთის მშობლისა».

² ვ. არუთინოვა, მით. შრ., გვ. 18.

³ История Византии, т. II, гл. 310.

⁴ იქვე, 307.

⁵ Г. Литаврин, Болгария и Византия..., гл. 415.

⁶ История Византии, т. II, 1967, гл. 292

პაპოლი და მისი რაიონი 1086 წ. დამარცხებულმა ბიზანტიამ კარგა წინი დაკარგა.¹

გ. ლიტაერის აღნიშნავს, რომ ანა კომნენის, ფილიპოპოლის რაიონში მწვალებულთა აჯანყებისა და მასში მონაწილეთა შესახებ, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.²

ერთი მხრივ ეს ვაგეშოვება, რომ ფილიპოპოლი და მისი რაიონში მოსახლეობა სომხური არა ყოფილა, როგორც ამას პირველწყაროები გვაუწყებს (ანა კომნენე, კონსტანტინე პორფიროგენეტი).³ მეორე მხრივ ის, რომ პეტრიწონის მონასტერში შეკრებილი ბერები, მონასტრის დამაარსებლის სიტყვით, ტომით ქართველები არიან და ეს კეშმარიტება უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რას უნდა ავტლებინა საქართველოდან შორს, უცხო ქვეყანაში (სადაც, სხვათა შორის, ბერძნული აღმსარებლობის სომხებიც ცხოვრობდნენ) მცხოვრებ სომხები თავიანთი ეკლესიის საფუძვლად ქართული ენა და მწერლობა ჰქონოდათ და თავიც ქართველებად ვაგსალებინათ; ამასთანავე, თუ კი თვით საქართველოში სომეხ ქალკედონიტებს, ქართული აღმსარებლობის მიმდევარ სომხებს, ჰქონდათ საკუთარი ეკლესია და არ მოგვეპოვება არც ერთი ქართული ცნობა, რომ ისინი **ქართველებად** იწოდებოდნენ, რისთვის უნდა დასწირვებოდნენ სომეხ ქალკედონიტებს უცხოეთში დაეშალათ საკუთარი ეროვნება და თავი ქართველებად გამოეცხადებინათ. ნუთნ მათ ვაუჭირდებოდათ, ვერ მოახერხებდნენ იმის თქმას, რომ ისინი აღმსარებლობით არიან ქართველები, თორემ ტომით სომხები არიან — ეს ხომ ბუნებრივი და საუკირო იყო იმ რაიონში **თითქოსდა მოსახლე სომხების ხამყაროში** — ნუთნ ამის თქმას ვერ მოახერხებდა ის ხალხი, რომელიც თუშუბ ძირფესვიანად გამართვებულთა იყო, მაგრამ იმავე დროს ინარჩუნებდა საკუთარ ეროვნებას, როგორც სურთ ამაში დავკარწმუნონ გრიგოლ ბაკურიანის ძის სომხობის მქადაგებულთ.

რომ პეტრიწონის მონასტრის მართლაც ქართველებისათვის (იბერიელებისათვის) იყო დაარსებული, ამის დამამტკიცებელია, სხვათა შორის, იერუსალიმის პატრიარქის ხელის მოწიჭა მონასტრის წესდებაზე, სადაც ნათქვამია, რომ იგი ხელს აწერს: „გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართული მონასტრის“ ტიპიკონს⁴. აქაც აშკარად იგრძნობა, რომ ლაბარაკი კეშმარიტ ქართველობაზე და სრულებით არაფერი მიგვაჩვენებს იმაზე, რომ ან ბაკურიანი თვითონ ყოფილიყო

ქართული საშუალოს მიერ კონდესურაზე გაერთიანებული სომეხი ქალკედონიტის სახით, და ან რომ პეტრიწონის მონასტრის ბერები არ იყვნენ ტომით ქართველები.

აქ კვლავ უნდა ვავიხსენიოთ, რომ დაახლოებით ერთ და იმავე დროს დაარსებული ორივე მონასტერი — ალექსი კომნენოსის მიერ კონსტანტინოპოლში და გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ პეტრიწონში — ერთი და იმავე ეთნიკური კონტინგენტის ქართველ ბერ-მონაწილეთათვის იყო განკუთვნილი. ორივე მათგანი თანაბრად იწოდებოდა „იბერთა“ (Iberes) — ქართველთა მონასტრად და თუ რომ ისინი სხვადასხვა წერის ქართველთათვის, მით უმეტეს ქართველად წოდებული სხვა ტომის ხალხისათვის იყო აშენებული, ეს კიდევ იქნებოდა წყაროების სათანადოდ აღნიშნული. პეტრიწონის მონასტრის წესდებაში კი განსაკუთრებით უნდა ყოფილიყო იგი მითითებულ განმარტებული; მას მოეთხოვებოდა აღნიშნა, რომ ეს, აგრეთვე „იბერიელთა“ მონასტრად წოდებული, არ იყო იდენტური ალექსი კომნენოსის მიერ დაარსებული „იბერიელთა მონასტრისა“. სხვა რამ არა იყოს რა, თუ კი იერუსალიმის პატრიარქისათვის ინფორმაციის მიწოდება და მონასტრის რეგისტრაციის მიზანმიმართული იყო საჭირო, მას ხომ უნდა ჰქონოდა სწორი წარმოდგენა, თუ რომელი მონასტრის ვისი იყო, ვისგან შედგებოდა მის ბერ-მონაწილეთა კორპორაცია. და რაკი ამ მხრივ პეტრიწონის მონასტრის წესდებაში არაფერია აღნიშნული, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე — კონსტანტინეპოლისა და პეტრიწონის მონასტრის ბერები ერთი მოდემის „იბერიელები“, ქართველები იყვნენ. აქ ისიც შეიძლება დავუმართო, რომ ალექსი კომნენოსის მიერ დაარსებული მონასტრის ბერების ძირითად მასას აღზდა ის ქართველები შეადგენდნენ, რომელნიც, პირველწყაროთა თანახმად, აღმოსავლეთის რაიონებიდან იყვნენ იქ დასახლებული. პეტრიწონის მონასტრის ბერების ქართველობა უფრო ბუნებრივად ეხმარება პირველწყაროთა იმ ცნობებს, რომ ექსიმოპოლისის რაიონში მოსახლეობა მოყვანილი იყო ბიზანტიულ ხელისუფალთა მიერ იმ თემებიდან, სადაც ქართველი ტომები მოსახლეობდნენ.

საერთის ცხადყოფის მიზნით, გაიხსენებთ პირველწყაროთა ცნობები ფილიპოპოლის რაიონის მოსახლეობის შესახებ.

როგორც ზემოთ იყო მოტანილი, ანა კომნენე ამბობს, რომ იმპერატორმა ციმისხში დაამარცხა მცირე აზიის აჯანყებული მწვალებლები და ხალიბიისა და არმენაკონის თემებიდან მოყვანილი იყო ბიზანტიულ ხელისუფალთა მიერ იმ თემებიდან, სადაც ქართველი ტომები მოსახლეობდნენ.

ამ ხალიბიის თემზე კონსტანტინე პორფირო-

¹ აგრეთვე ათონის მონასტერი.

² Anna Comn., XIV, 8, გვ. 395.

¹ იქვე, გვ. 41.

² მით, შრ., გვ. 416.

³ მართო ეს რას ნიშნავს, რომ იქ არსებობს ერთერთი ქართველი ტომის მოსახლე ქალაქი მოსინოპოლი, სადაც გრიგოლს მამულები ჰქონდა.

⁴ ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“, 5, გვ. 256.



ვენერტ გადმოგვცემს: «ე. წ. ხალდის თემი და მისი დედაქალაქი, რომელსაც ტრაპეზუნტი ეწოდება... მისი ზეპირ და შიდა მხარეები მცირე არმენიის მისავალ ადგილებს წარმოადგენს».¹

იგივე პ. პორფიროგენეტი გვაუწყებს: «მესამე კაბადოკიაში, რომელსაც ამჟამად არმენიკაი ეწოდება, შვიდი ქალაქია: ამასია, იგორა, ანდრაპა, ამინსი, ნეოკესარია, სინოპი».²

მცირე სომხეთთან (არმენიასთან) უშუალო მახლობლობის გამო, ბიზანტიელებმა აღმინისტიკაციულ-სამმართველო დარაიონების დროს, აღნიშნული მიდამოები არმენიკის თემში მოაქციეს. არმენიკად მოხსენიება ამ გეოგრაფიული არეს ტრადიციად იქცა და ისე დამკვიდრდა რომ აღარც ძველსა და აღარც ახალ დროს აღარავინ შედიოდა იმის განსჯაში, ესა თუ ის პუნქტი ან რაიონი კი კონკრეტულად რომელ ეთნიკურ სამყაროს თუ გეოგრაფიულ მხარეს გაეყვანებოდა და ხელაღებით წყარდნენ და ლაპარაკობდნენ არმენიებზე.

სწორედ აქედან მომდინარეობს, როგორც აღვნიშნეთ, ანა კომნენეს არასწორი ცნობა როგორც ფილაპოპოლისისა და მისი რაიონის სომხურად მოხსენიებისა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მოაქციეს ყურადღება, ისე გრიგოლ ბაქურიანის ძის სომხური შთამომავლობისად გამოცხადება. ამის ანალოგიური განმეორება მოიპოვება ახალი დროის ლიტერატურაში, სადაც ვგვხვდებით ასეთი გამოთქმა: «Халдиз-византийская фема на территории Армении».³

სინამდვილეში, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებიდან დავინახეთ, ხალდის თემი მხოლოდ მასაზღვრე იყო არმენიისა, ისევე როგორც პროკოპი კესარიელის უფრო აღრინდელი ცნობითაც. კვანთ ტომები არმენიელთა მებობლები არიან».⁴

არც ის, რომ ბიზანტიელებს უჭირდათ ბელჯარეთში მოსახლე შვეალებების წინააღმდეგ ბრძოლა და ეთიოპი ამ საჭიროებას გამოეწვიოს პეტრიწონის მონასტრის დაარსება, არც ის, რომ ამ პრიტალაში სომხე ქალეღონიტებს განსაკუთრებული როლი შეეპარებოდნენ და არც ის, რომ ფილიპოპოლის და მისი რაიონების მოსახლეობის რამე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ სომხე ქალეღონიტები — მართალი არ

გამოგვა. ამდენად, პ. ბერდიანის ცნობა მოკლებს საფუძველი გრიგოლ ბაქურიანის წინადადებას, ამაო აღმოჩნდა.

მაგრამ გარკვეულ წრეებში იმდენად დღვია სურვილი გრიგოლ ბაქურიანის ძის გასომხებისა, რომ ზოგჯერ თვალისმომჭრელი ფაქტების უგულვებელყოფამდე მიდის საქმე, რასაც სინამდვილის დამახინჩება სდევს თან.

იმ დასს, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს გრიგოლ ბაქურიანის ძის სომხობა, ვაჩვენებთ ვ. არუთინოვა, რომელიც ნ. მარსიკან ვლდმოლებულ მერყვე დებულებებზე დაყრდნობით, ამტკიცებულად მიიჩნევს, რომ «Григорий Пакуриан был армянином-халкедонитом из Тайка, т. е. он был армянином по крови; по происхождению, но исповедывал «грузинскую» халкедонитскую веру да тყუყუანოლ დააკენის: «Подводя итоги полемики относительно национальной принадлежности Григория, отметим, что мнение о его армянском происхождении представляется нам бесспорным».¹

თავის სხვა ნაშრომში ვ. არუთინოვა იმის დასამტკიცებლად, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძის დიდფეოდალობა დიდი ოჯახიდან მომდინარეობს, ვერ აღნიშნავს, რომ: «Исаак Комнин — представитель семьи Комнинов, долгое время занимавшей престол Византийской империи. Ясно, следовательно, что это был крупнейший феодал». და ამას უშუალოდ მოყოლებს: «Григорий Пакуриан также был очень родовитым человеком. Он происходил из знатного армянского рода из Тайка».²

მეორე გვერდზე კი ამაიბს: «Родословное древо Григория, его краткий послужный список и упоминание о его богатстве понадобилось нам для того, чтобы подчеркнуть, что этот феодал, действительно, был grand-seigneur».³

მაშასადამე, არუთინოვას აზრით, გრიგოლ ბაქურიანის ძეს ეს დიდფეოდალობა მოსდგამდა იქიდან, რომ ის იყო ტამ სომხური დიდი საგვარეულოდან.

მაგრამ ვ. არუთინოვა უფრო შორსაც მიდის და ამ აზრსაც ატარებს, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძის არა მხოლოდ დიდფეოდალობა მომდინარეობს სომხური საყვაროდან, არამედ მას ბო-

¹ ს. ვაუხნიშვილი, «გეოგრაფია», IV, ნაწ. 11, გვ. 299-300.

² იქვე, ამ ცნობების განმეორება ვგვხვდებით მათი უაღრესი მნიშვნელობის გამო.

³ Анна Комнина, Александра, Вступит. статья Я. Любарского, გვ. 545.

⁴ ს. ვაუხნიშვილი «გეოგრაფია», V, თბილისი, 1965 წ., გვ. 13.

⁵ და თუ ეს ისე იყო, რაღად უნდა დავმალათ თავიანთი ეროვნული ვინაობა.

¹ В. А. Арутюнова, Тшик Григория Пакуриана и некоторые вопросы истории Византийской империи. Автореферат, გვ. 12. არუთინოვას აქ ძირითადად მარის აზრები აქვს განმეორებული.

² В. А. Арутюнова, К вопросу об антигрой в «Тшике» Григория Пакуриана, Виз. Вр., XXIX, 1968, გვ. 73-74.

³ იქვე.

ზანტაში თან მოეტანა სომხური განვითარებული ფეოდალიზმის ფორმები (სახეობა). იგი წერს: «Очевидно, что-то выделило Григория Пакуриана из ряда современных ему крупных феодалов. Возможно, здесь некоторую роль сыграло происхождение Григория Армения в XI в. была страной развитого феодализма, и Пакуриан мог принесть с родины на византийскую почву более четко оформляемые вассальные связи»¹.

გარდა ამისა, რომ აქ კვლავ დაუსაბუთებლად არის გრიგოლ ბაქურიანის ძე სომხად გამოცხადებული, დამახინჯებულა თვით ფაქტობრივი მხარე მისი დიდფეოდალობის შესახებ. გრიგოლს დიდფეოდალობა სრულებითაც შთამომავლობით და ისიც სომხური შთამომავლობით არ მოსდევდა. და თუ კი მაინც შთამომავლობა იქნებოდა ამის საფუძვლად მიღებული, მაშინ, უფრო სამართლიანია იქნებოდა ერასთავთა-ერსთათვის შვილი ნეტარისა და სახელოვანისა მამისა ბაქურიანისა მიგვეჩინა ასეთად, მიუთითებდა რა ამასთანავე, მამის ტიტული და მისი ცნობილი ავტობიოგრაფიული ცნობა ქართული ბრწყინვალე საგვარეულოდან ჩამომავლობის შესახებ, მის ქართველობაზე-გარდა ამისა, ვ. არუთინოვა იმდენად გაიტაცა საკუთარმა ფანტაზიამ, რომ მის სრულ ტყვეობაში მოექცა, უგებლავებლყო სრულიად პოზიტიური მასალა და ნებით თუ უნებლავთ, მოუხდა სიყალბის ჩადენა.

საქმე ის არის, რომ გრიგოლის დიდფეოდალობას იმ ვაგებით, როგორც ამას ვ. არუთინოვა ვარაუდობს, არავითარი კავშირი არა აქვს მის შთამომავლობასთან, მას იგი მოპოვებული აქვს მხოლოდ საკუთარი შრომითა და სისხლით, რაზედაც თვითონ გრიგოლს მიერ მოწოდებული სრულიად უტყუარი ცნობა გვაჩვენია.

პეტრიწონის წესდების ოცდამეთვრამეტე თავში გრიგოლ ბაქურიანს ძე გაღმოგვეყმს: «ვიინიდან ჩვენი ნეტარი მამა აღრე მიიქვალა, ჩვენი ძალიან პატარები დაგვტოვა და უსაყონი და მთელი მისი ქონება დედაჩემმა ქალური ჩვეულებისდა მიხედვით თავისი ბავშვების სარჩენად და ჩვენი დების მზითვად გამოიყენა, ჩვენი კი ტიტულები დაგვტოვა და ცარიელი ხელდომთ, მამაჩვენის ყოველგვარ ქონებას მოკლებულნი, აგრეთვე თავისი, ე. ი. ჩვენი დედლის ქონებასაც მოკლებულნი, ზოლო ჩვენი დები თავიანთი მზითვით წაიღიდენ ქმრებთან სხვადასხვა ქვეყანაში»².

ამყარა, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძეს არა

¹ იქვე. სომხეთისა და სომხების მიმართ გულებზე ვ. არუთინოვა XI საუკუნის ტაოს განიხილავს სომხეთის ტერიტორიად, უწოდებს რა სომხეთს გრიგოლ ბაქურიანის ძის სამშობლოს.

² იქვე. თავი 38, მუხლი 9, «გეორგიკა», V, გვ. 201-203.

თუ დიდფეოდალობა არ მოსდევს ოჯახიდან თუ საგვარეულოდან, მით უმეტესე **ჩრქურთ ფეოდალიზმიდან**, არამედ არაფრცხედ: **ჩრქურთ ფეოდალიზმი** კი არ მიუღია.

წესდების იმავე თავის მომდევნო მუხლში გრიგოლი ამასაც გვაშინებს დაწერილებით, თუ როგორ შეიძინა ქონება და გახდა შეძლებული ფეოდალი.

იგი გვაუწყებს: «ზოლო როდესაც მე დავდიოდი სომხეთში, იბერიასა და სირიაში, აგრეთვე რომანიაში და ეცდილობდი ცხოვრების კეთილმოწყობას, დიდი დრო გავიდა ამასობაში და მთელი ეს ქონება და მსახურები, ისევე როგორც სახელმწიფო პატრია, მოვიპოვე დეთის შეწყენით, ჩემი მშობლების წმინდა ლოცვების მეშვეობით და თვით ჩემი შრავალი ტანჯვითა და გაპირვებით, რომლებიც ვაღვირანე, აგრეთვე შრომითა და სისხლით, რომლებიც მე დაეღვაბა და არა სხვა ვისიმე დახმარებითა და შეწყულობით»¹.

გრიგოლ ბაქურიანის ძეს ყველაფერი, რაც მას დიდფეოდალთა რიგებში აყენებდა, მხოლოდ პირადი ღირსებით, გაძვირობითა და სისხლის დაქვეით მოუპოვებია. ამდენად, მის დიდფეოდალობას არავითარი კავშირი არა აქვს მის ვითარება სომხური შთამომავლობასთან და არც მის მიერ ბიზანტიაში განვითარებული სომხური ფეოდალიზმის ფორმების მოტანასთან და ვ. არუთინოვას მიერ გრიგოლის ფეოდალიზმის ხელის წამოყვრა სრულიად ხელოვნურია და ვ. არუთინოვასავე საზიანოდ მერყევულებს.

ამიტომ, არ იქნებება არც ერთი პირველწყაროს ცნობა, არც ერთი არგუმენტი, რომელიც გრიგოლ ბაქურიანის ძის სომხურობის აღსატყუებლად, და ნ. შარის მიერ წამოყენებული პიპოთოზის დასაბუთება მისმა მიმდევრებმა ვერ შესძლეს.

პეტრიწონის მონასტრის დაარსებიდან მოყოლებული მთელი ისტორიის მანძილზე არ მოიპოვება არც ერთი ისტორიული წყარო, არც ერთი ისტორიული რეალია, რომელიც ოდნავ მაინც რითიმე მიუთითებდეს ან გულისხმობდეს მონასტრის სომხურ სამყაროსთან რაიმე, თუნდაც ძალიან შორეულ კავშირს, მაშინ, როდესაც მონასტრის აღმოცენების დღიდან უკანასკნელ დრომდე უამრავი წყარო და ისტორიული რეალები მის ქართულ სამყაროსადმი კუთვნილებას დადასტოვებენ.

ნ. ბერძენიშვილი ფაქტობდა, რომ პეტრიწონის მონასტერი XIV საუკუნეში ჯერ კიდევ ქართველების ხელშია «და რომ შესაძლებელია»... XIV საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში ჯერ

¹ თავი 38, მუხლი 10, ს. ყაუხჩიშვილი, «გეორგიკა», V, გვ. 203.

კიდევ არსებობდა ის სასწავლებელი გრიგოლის ტიპიკონით რომ არის გათვალისწინებული“.¹

უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობას, რომელიც ბულგარულ მეცნიერს იორდან ივანოსა ქრონიკოტანილი თავის ნაშრომში — Ansbert-ის წიგნიდან. ამ ცნობის მიხედვით: „XII საუკუნის მიწურულს პეტრიწონის მონასტერი ისევ ქართველთა ხელშია და მისი მამასახლისიც ამ დროს ქართველია... ეს მამასახლისი ხლებდა ფილიპოპოლისში გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას, რომელიც იქ იმყოფებოდა 1189 წელს ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის დროს. იმპერატორს კეთილად მიიღია ქართველი მკვრი და პატივთაყვანისმცემრებისა ის უკანა“.²

პეტრიწონის მონასტერში დღემდე შემორჩენილია მისი ქართველობის მუწყებელი არა ერთი ნიშანი.

აქაი ურუშაძე, რომელმაც მოიხაზა პეტრიწონის მონასტერი, ვაღმოგვეცხა: „მთავარ ტაძართან დგას წმინდა მთავარანგელოზის ვაგუნი, რომელიც ალექსი კომნენოსის განკარგულებით გრიგოლ ბაქარიანის ძის სიკვილის შემდეგ აუგიათ. ეს ეკლესია ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ რაც მოღწეულია, ძველი ქართული არქიტექტურის სუბსტანსია ნიშნის წარმოადგენს. ეკლესიის კედლებში რამდენიმე ადგილას ყრუ ნიშნებია. ასეთი ნიშნები სწორედ ქართული ტაძრების დამახასიათებელი ძირითადი ელემენტია“.³

ქართული უოფილა, აგრეთვე, პეტრიწონის საძეალე. აქაი ურუშაძის სიტყვებით: „საძეალე ბრტყელ ქართული აგურით, ბრტყელივე ქვითა და მტკიცე დუღასტანის ნაგები. მისი აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი კედლები მთლიანი დაზიანებული თანეებითაა შემკული. ყრუ თაღები და აგურის წყობა წმინდა ქართულია... ბულგარულ სპეციალისტების აზრით, პეტრიწონის საძეალე იშვიათი არქიტექტურული ძეგლია, რომლის მსგავსი არც ბულგარეთში, არც სავრთოლ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და არც

თვით მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში არ მოიპოვება“.¹

ეს აღიარებულია სხვების მიერაც. სხევის ლისტა აზრით, პეტრიწონის საძეალის მთელი არქიტექტურა ქართული ხეროთომოდერგების შესანიშნავი ნიმუშია. ხოლო კედლის შებენობა, რომელსაც მამინდელი ბიზანტიური ხელოვნების გავლენა ატევიო, ძირითადად ქართული ერთგულთა შემოქმედების ნიადაგზეა შექმნილი“.²

აქაი ურუშაძე ეყრდნობა ბულგარულ მეცნიერთა გამოკვლევებს.

ა. ივანატიევი მონასტრის საძეალეზე ამბობს: «Этo здание... единственное, уцелевшее с самого основания монастыря — пользуется всемирной известностью».³

მიმდინარე წელს გამოხულ „ბულგარეთის არქიტექტურის ისტორიაში“ აღნიშნულია რა, რომ: «Костница Бачковского монастыря по своей архитектурной идее чужда древней болгарской архитектуре и тогдашнему быту»; მიითვებელია, რომ ამ შენობის არქიტექტურული ნაგებობა, განსაკუთრებით კი ფასადების დეკორატიული დამუშავება (декоративное оформление) ეფარდება სირიულსა და სომხურ-ქართულ არქიტექტურას, და ზაზგამულია, რომ: «Этo станет вполне понятным, если принять во внимание, что основатель монастыря был грузин и что первоначально монастырь был населен монахами-грузинами».⁴

ყველაფერთან ერთად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ პეტრიწონის მონასტერთან ერთად, იქვე, არსდება ქართული სასწავლებელი, რომელსაც ქართველი მოღვაწენი უნდა მოემზადებინა და რომელიც უმაღ ვალაქცა ქართული ეკლტურის თვალსაჩინო კერად.

ყველა შემოთქმელის საფუძველზე უნდა დავასკნათ:

1. პიპოთეზა გრიგოლ ბაქარიანის ძის სომხური შთამომავლობისა და მისი ქალკედონიტობის შესახებ, რის წყალობითაც იგი „ეკლტურულად გაქართველებულია“, ვერ პოულობს მეცნიერულ დასაყრდენს, რადგან ანა კომნენეს ცნობა, რომელიც აღმოსავლეთი რაიონების მოსახლეობაზე არასწორი წარმოდგენიდან მომდინარეობს, მტდარად არის მეცნიერთაგან აღიარებული.

პეტრიწონის წესდების ბერძნული ვარიანტის ცნობა, წესდების სომხურ ენაზეც შესრულებისა და გრიგოლ ბაქარიანის ძის მიერ სომხურად ხელის მოწერაზე, მერმინდელ კონკრეტულ ვი-

¹ გ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ გვ. 33.

² Ausbert, historia de expeditione Fridrici Imperatoris. E. I. Dobroncky, 1827, გვ. 47-48.

ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, გვ. 47. იქვე, სქოლიოში მოტანილია ამ ცნობის ლათინური ტექსტი, რომელშიც ყურადღებას იქცევს გამოთქმა: ex hibernia ortem. აკ. ურუშაძე — ქართული ეკლტურის კერა ბულგარეთში, თბილისი, 1969 წ., გვ. 30. აქ მოტანილია ბულგარული ავტორის წიგნი: Иорд. Иванов, Асеновата крепост на Станимаки и Бачковският манастир. Известия на Българското археологическо дружество. София, 1912.

³ აკ. ურუშაძე, ქართული ეკლტურის კერა ბულგარეთში, თბილისი, 1969 წ., გვ. 52-53.

¹ იქვე.

² აკ. ურუშაძე, შიო. შრ. გვ. 63

³ Журнал Московского Патриархии, 1968, № 2, გვ. 43-44.

⁴ Краткая история болгарской архитектуры «Болгарская Академия Наук», София, 1969, გვ. 123.

თარებაზე აღმოცენებულ დამატებას უნდა წარმოადგენდეს.

პეტრიწონის მონასტრის წესდების (ტიპიკონის) შინაარსი სრულებით არავითარ მასალას არ შეიცავს იმისათვის, რათა აღმოცენდეს ვარაუდი გრიგოლ ბაქურიაშის ძის ქალკედონიტობის შესახებ.

2. მონასტრის წესდების მდიდარი შინაარსი, სადაც თვით გრიგოლ ბაქურიაშის ძის მიერ არა ერთჯერ არის აღნიშნული, რომ მის დაარსებულ მონასტერში თავმოყრილი ბერები ტომით ქართველები არიან, ცხადაყოფს, რომ მისი დამაარსებელიც ქართველი იყო.

3. აღნიშნულის საფუძველზე, სრულიად დაუსაბუთებელი მოჩანს და ვერავითარ მეცნიერულ დასაყრდენს ვერ პოულობს ვარაუდი ტაოში სომეხ ქალკედონიტთა იმ რაოდენობით არსებობისა, რომ ეს პროვინცია გასომეხებულად წარმოვიდგინოთ.

4. თითქოს ფეხპოყიდებელი აზრი ფილიპოპოლისსა და მის რაიონებში (საერთოდ ბუღჯარეთში) სომხური მოსახლეობის მასობრივად არსებობის შესახებ. რომელსაც იჭაურ მწვალებლთან (მონოთეიზიტ-პავლიკიან-ბოგომილებთან) აიკივებენ და რის წინააღმდეგაც პირველწყაროები ლაღადებენ, ავრეთვე ვერ პოულობს მეცნიერულ დადასტურებას.

5. ზემოაღნიშნული რაიონების მოსახლეობას შორის რეალური ადგილი ეძებნება ქართველ ტომთა განყოფებას, რაზედაც პირველწყაროები

სრულიად გარკვეულ ცნობებს ვეაწვდით (ანა კომნენე, კონსტანტინე პორფიროგენიტის).

6. ამიერიდან საქინოა დამატებული რაიონების მოსახლეობის ეთნიკური ენობა (ქართველობისა თუ სომხურობის თვალსაზრისით), რაც ხელს შეუწყობს პასუხის გაცემას როგორც, საერთოდ, მიზანტილოლოგიის, ისე ქალკედონოლოგიისა და არმენოლოგიის არა ერთ საკითხზე.

7. ვერ პოულობს დადასტურებას ვარაუდი, რომ პეტრიწონის მონასტერი დაარსდა პავლიკიან-ბოგომილთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რაშიც ვითომდა სომეხ ქალკედონიტებს უნდა მივლეთ დიდი მონაწილეობა, არც ბიზანტიისათვის ჰქონდა ამ დროს ბუღჯარეთის მწვალებლთა წინააღმდეგ ბრძოლას არსებითი მნიშვნელობა და არც სომეხ ქალკედონიტთა ამ ბრძოლაში მონაწილეობის რამე ფაქტია ცნობილი, გარდა იმისა, რომ პეტრიწონში მოღვაწე ბერების სახელთან არის დაკავშირებული ზოგი წერილობითი ნაწარმოები, მწვალებლობას რომ ეხება.

8. დღიდან მისი აღმოცენებისა დღევანდლამდე შრავალი ცნობა და ისტორიული რეალია მოწმობს იმას, რომ პეტრიწონის მონასტერი ქართული იყო და ასეთად რჩებოდა საუკუნეთა განმავლობაში, იგი იმთავითვე მიჩნეული იყო (და დღესაც ასე ესმით მეცნიერთ) ქართველთა მონასტრად და სომხურობის რაიმე ნიშან-კვალი მის მიმართ მთელი ისტორიის მანძილზე სრულიად არსად არა ჩანს.

3360 80 333.

6 26/42


ИНДЕКС
76128
საქართველოს
საქართველოს

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ